საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის
ქართული უნივერსიტეტი

ლაშა დეისაძე-შარვაშიძე

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე)

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

„საქართველოს ისტორია“

სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: **სერგო ვარდოსანიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

თბილისი

2019

ს ა რ ჩ ე ვ ი

ანოტაცია ----------2

Annotation ----------5

შესავალი ----------7

თავი I. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელ წლებში ----------14

1.1. საერო ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი ----------14

1.2. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრება, პირველი სირთულეები და გამოწვევები ----------19

1.3. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ისტორიული წინაპირობები და ავტოკეფალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება ----------47

თავი II. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დრამატული მოვლენები XX საუკუნის 80-90-იან წლებში ----------72

2.1. მღვდელმთავართა საქმეები ----------72

2.2. მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) სასამართლო ----------108

თავი III. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მარწუხები და საქართველოს ეკლესია --125

თავი IV. გარდამავალი პერიოდი, საბჭოეთის რღვევა და საქართველოს ეკლესია ----151

თავი V. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ურთულესი გამოწვევების წინაშე XX ს. 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში ---------- 167

5.1. სამხედრო გადატრიალება და მღვდელ რომანოზ ჩიქობავას წამება და შეპყრობა ე.წ. მხედრიონის მიერ ---------- 167

5.2. 1997 წლის მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში ---------- 178

5.3. საერო ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის საკითხები -195

თავი VI. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობათა უახლესი ისტორიიდან ---------- 221

დასკვნა ---------- 252

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა ---------- 257

ანოტაცია

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორია, ჩვენი სამშობლოს ისტორიის დარად, აღსავსეა მრავალი პრობლემატური საკითხითა და ტკივილიანი მონაკვეთებით. საქართველოს ეკლესია, როგორც სული ქართველი ხალხისა, ზუსტად მასვე განიცდიდა, რასაც ჩვენი ქვეყანა, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხრივ.

ამგვარად იყო მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მამამთავრობის საწყის ეტაპზე, როდესაც მრავალი შიდა თუ გარე ფაქტებით წარმოშობილი გამოწვევის წინაშე დადგა საქართველოს ეკლესია

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული ეპოქა, მთლიანად ემთხვევა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს საჭეთმპყრობელობის ხანას. მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ეპოქა თითქოს შესწავლილია, ჩვენი აზრით არის საკითხები, რომლებიც მეტ სიცხადეს მოითხოვს. სწორედ, ამიტომ გადავწყვიტეთ წარმოდგენილი თემის არჩევა.

საქართველოს ეკლესია ძლიერ განიცდიდა საბჭოთა ხელისუფლების ზეწოლას... დიდი იყო მთავრობის ზეწოლა ცალკეულ იერარქებზე... 1980 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მღვდელმთავრის ხარისხიდან განკვეთა წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი), რომელიც 1972-1978 წლებში იყო საქართველოს ეკლესიის მოქმედი მღვდელმთავარი. ასევე, 1983 წელს, წმიდა სინოდის მიერ განიკვეთნენ: ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე), რომელიც 1978-1983 წლებში იყო საქართველოს ეკლესიის მოქმედი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), რომელიც მოქმედი მღვდელმთავარი გახლდათ 1978-1983 წლებში. საერო ხელისუფლების მიმართ საჩივრის შინაარსის წერილებს წერდა 1978 წელს წმიდა სინოდის შემადგენლობიდან გამოყვანილი ეპისკოპოსი ილარიონი (სამხარაძე). 1986 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ეპარქია ჩამოართვა და პენსიაზე გაუშვა ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი), რომელიც მოქმედი მღვდელმთავარი იყო 1978-1986 წლებში. 1998 წელს მოხდა მთავარეპისკოპოს ამბროსის (ქათამაძე) განკვეთა. 1995 წელს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მღვდელმოქმედება აუკრძალა, ეპარქიის

მმართველობა ჩამოართვა და სინოდის შემადგენლობიდან გამოიყვანა ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე), რომელიც 1979-1995 წლებში იყო მოქმედი მღვდელმთავარი.

ტრაგიკულად დასრულდა მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) დაკავება და გასამართლება, რომელსაც ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმეში თანამონაწილეობა დასწამეს და სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, რაც ოფიციალური ცნობით, 1984 წლის 3 ოქტომბერს აღსრულდა.

რთული იყო საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალებისა და შემდეგ არალეგიტიმური მმართველობის დამყარებისას. ამ პერიოდში ე.წ. მხედრიონმა უკანონოდ დააპატიმრა და აწამა მღვდელი (შემდგომში დეკანოზი) რომანოზ ჩიქობავა, რომელიც მაშინ გადაურჩა წამებას, მაგრამ 2005 წელს აღესრულა დასნეულებული.

1997 წელს მორიგი სერიოზული გამოწვევა წარმოიშვა საქართველოს ეკლესიის წინაშე, როდესაც გამოიკვეთა განხეთქილების რეალური საფრთხე, ვინაიდან მონასტრებისა და სასულიერო პირთა ნაწილი მოითხოვდა საქართველოს ეკლესიის გამოსვლას ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან, რაც ამავე წლის 20 მაისს დააკმაყოფილა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა, რითაც სქიზმისგან იხსნა საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია, თუმცა წარმოშვა საქართველოს ეკლესიის თვითიზოლაციაში მოქცევის სერიოზული საფრთხე.

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისშიც მრავალი პრობლემა წარმოიშვა საერო ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის წინაშე: 2011 წელს მიღებული კანონი რელიგიების შესახებ, 2013 წლის 17 მაისს განვითარებული მოვლენები, 2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი, რაზეც სათანადო რეაგირება მოუწია საქართველოს ეკლესიას.

ყოველივე აღნიშნულის პარალელურად მუდმივად პრობლემატური იყო და არის ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან და მოსკოვის საპატრიარქოსთან, გამომდინარე რუსული ოკუპაციიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში. ამ ფაქტორთანაც მუდამ უხდება შეხება საქართველოს ეკლესიასა და მის იერარქიას.

ყოველივე აღნიშნული წარმოადგენს ჩვენი საკვლევი პერიოდის იმ გამოწვევებს, რომლებზეც გავამახვილეთ ყურადღება წარმოდგენილ ნაშრომში.

ჩვენ შეგნებულად გამოვყავით ის საკითხები, რომლებზეც ნაკლები ყურადღებაა გამახვილებული ამ პერიოდის სტატიებსა და მონოგრაფიებში და ვეცადეთ, ჩვენი მხრივ შეგვევსო იგი.

Annotation

Alongside the history of our homeland, aforetime existence of the Georgian Orthodox Church, is full of problematic issues and sorrowful periods. Georgian Church is the soul of the Georgians and it has always experienced exactly the same positive and negative aspects that our country has encountered itself.

It was in the 80s of the20th century, just in the beginning of the patriarchate of the Catholicos-Patriarch of All Georgia, Ilia II, when the Georgian Church faced the challenges, caused by many internal or external circumstances.

The era we have been studying, thoroughly coexists with the era of His Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II. Although, at first glance, the epoch of the Catholicos-Patriarch Ilia II seems to be analyzed and studied, however, in our opinion there are issues that require more clarity. That's why we decided to choose the presented thesis.

The Georgian Church was greatly suffered from the pressure of the Soviet authorities . There was an extensive coercion from the government on certain hierarchies . In 1980 Holy Synod deprived Metropolitan of Urbnisi Gaiozi (Keratishvili) of bishop dignity . He served as the Bishop of the Georgian Church in a period of 1972-1978. Also, in 1983, the Holy Synod excommunicated Metropolitan Nicholas (Makharadze) of Kutaisi and Gaenati, who was the Bishop of the Georgian Church (1978-1983) and Archbishop Ioane (Ananiashvili), who served as bishop (1978-1983). Bishop Ilarion (Samkharadze), a former member of the Holy Synod in 1978, wrote complaint letters regarding the secular authorities. In 1986, the Holy Synod stopped the jurisdiction of Metropolitan Shio (Avalishvili) in Batumi-Shemoqmedi diocese. He was the Bishop in a period of 1978-1986. In 1998, Archbishop Ambrose (Katamadze) was ejected as well. In 1995, the Holy Synod suspended priest rank to Bishop Christopher (Tsamalaidze), who served as a bishop from 1979 until 1995.

The arrest and conviction of the priest Theodore (Chikhladze) ended up tragically. They slandered him for the participation in so called ‘Aircraft boys’ case and as a result he was condemned to death, the highest range of punishment. According to the reports he was executed on October 3, 1984.

The 1991-1992 coup d'état and illegal governing of the country was a difficult period for the Georgian Orthodox Church. The so called ‘Mkhedrioni’ volunteers illegally arrested and tortured a priest(then deacon Romanoz Chikobava)who somehow stayed alive after torture, but died sickly in 2005.

Another serious challenge for the Georgian Church was in 1997, when the real threat of rift emerged, as some monasteries and ecclesiastical clergy demanded to disassociate with the World Council of Churches. This was approved by the Holy Synod of the Georgian Church on May 20, thus defended Georgia's oldest apostolic church from falling out . However, a serious threat of Church's self-isolation appeared.

In the beginning of the twenty-first century, Georgian secular authorities and the Georgian Church faced many problems: 2011- Law on Religions, the episode of May 17, 2013, the Anti-Discrimination Law,adopted in 2014. The Georgian Church had to react to these circumstances fairly and properly.

At the same time, the relationship with the Russian authorities and the Moscow Patriarchy has always been problematic, considering the Russian occupation of Abkhazia and the Tskhinvali region. The Georgian Church and its hierarchy have always had to meet the impact of this factor.

In our research we gave priority to the above-mentioned period and did focused on the main points. We have deliberately identified the issues that have caught less attention in the articles and monographs of this period and tried to refill the information.

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდზე არსებობს საინტერესო გამოკვლევები (პროფ. სერგო ვარდოსანიძის, აკად. როინ მეტრეველის, პროფ. მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის, პროფ. ელდარ ბუბულაშვილის, პროფ. ნესტან კირთაძის ავტორობით) არის საკითხები, რომლებიც მეტ სიცხადესა და პრობლემების სიღრმეში შესვლას მოითხოვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შევეცადეთ, არსებული და გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების საფუძველზე, ყურადღება გაგვემახვილებინა შემდეგ საკითხებზე: მეოცე საუკუნის 80-იანი წლებში, საქართველოს ეკლესიაში განვითარებული დრამატული მოვლენები, ზოგიერთი მღვდელმთავრის განკვეთა, საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიისადმი, რომელიც ძირითადად რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულისა და მისი აპარატის მოქმედებით გამოიხატებოდა, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დახვრეტილი უკანასკნელი ქართველი სასულიერო პირის, საქართველოში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებისა და მის კვალად, ე.წ. მხედრიონის მიერ, ერთ-ერთი ქართველი სასულიერო პირის წამება და შეპყრობა, მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ეკლესიის წინაშე წამოჭრილი შიდა და გარე გამოწვევები და ა.შ.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიის ისტორიაზე კიდევ არაერთი ნაშრომი შეიქმნება, მასალა ბევრია და არაერთ მკვლევარს მიეცემა შესაძლებლობა, ახლებურად გაიაზროს და წარმოაჩინოს მთელი რიგი საკითხებისა.

ნაშრომში წარმოდგენილია არაერთი სიახლე: მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი), ეპისკოპოს ილარიონის (სამხარაძე) მიტროპოლიტ ნიკოლოზის (მახარაძე), მთავარეპისკოპოს იოანეს (ანანიაშვილი) მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი), მთავარეპისკოპოს ამბროსის (ქათამაძე) ირგვლივ განვითარებული პრობლემატური და ხშირ შემთხვევაში, დრამატული მოვლენები; რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, მის აპარატსა და საქართველოს ეკლესიას შორის არსებული ურთიერთობის არაერთი ასპექტი, რომლებიც პირველად გამოდის არქივიდან სამეცნიერო მიმოქცევაში, საბჭოთა პერიოდის საერო ხელისუფლების მიმართება საქართველოს ეკლესიისადმი, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიათა ურთიერთობების უახლესი ისტორიის მიმოხილვა, სადაც წარმოდგენილია ჩვენეული

მოსაზრება უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი აღიარების შესახებ.

ნაშრომზე მუშაობის დროს მოგვიხდა საქართველოს ოთხ სხვადასხვა და სხვა კერძო არქივებში კვლევა, საქართველოს უახლესი ისტორიის ფონდების დამუშავება, რომლებიც ძირითადად ეხება საქართველოს ეკლესიას. განსაკუთრებით საინტერესო მასალებია დაცული საქართველოს საპატრიარქოს არქივში, საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში, სადაც არის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის დოკუმენტური მასალები, ყოფილი იმელის არქივში, რომელიც ახლა შს არქივშია დაცული, საქართველოს ეროვნული არქივის ქუთაისის ცენტრალურ არქივში, სადაც ძირითადად ამ პერიოდის ეკლესიის ისტორიის შესახებ დაცულია გარდამავალი პერიოდის ურთიერთობები ოფიციალურ ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის.

მარტივი არ იყო მასალების მოძიება, რომლებიც ეხებოდა მიტროპოლიტ გაიოზს (კერატიშვილი), ეპისკოპოს ილარიონს (მახარაძე), მთავარეპისკოპოს იოანეს (ანანიაშვილი), მთავარეპისკოპოს ამბროსის (ქათამაძე). აღნიშნულ მასალათა უმრავლესობა, რომელიც ნაშრომშია წარმოდგენილი, პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, მათ შორის მასალები, მიტროპოლიტ გაიოზის სასამართლო განაჩენიდან. ნაშრომში განხილულია მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) თავს გადახდენილი დრამატული მოვლენები და მისი დახვრეტა, რომლის შესახებ არაერთი საინტერესო ცნობა არის წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომში. ასევე, ნაშრომში განხილულია ე.წ. მხედრიონის მიერ მღვდელ (შემდგომში დეკანოზი) რომანოზ ჩიქობავას წამება და უკანონო შეპყრობა. პირადად შევხვდით მამა რომანოზის მეუღლეს, რომლის თანხმობითაც ჩავიწერეთ მისი საუბარი, რაც ნაშრომში არის მოტანილი.

საარქივო დოკუმენტების, საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვა

ა) წყაროების მიმოხილვა

ჩვენს მიერ საკვლევად აღებული საქართველოს ეკლესიის ისტორიის პერიოდის შესახებ საქართველოს არქივებში დაცულია არაერთი დოკუმენტი.

უპირველესად საინტერესოა მასალები საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივიდან და საქართველოს საპატრიარქოს არქივიდან.

მდიდარი მასალებია დაცული უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის დოკუმენტაციაში (ფონდი №1880). სწორედ, აღნიშნული არქივის ხსენებულ ფონდში მოვიძიეთ ჩვენთვის საინტერესო მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთა უმრავლესობა პირველდ შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამ ფონდში დაცული მასალები ნათლად წარმოაჩენს თუ რა უმძიმეს ვითარებაში იმყოფებოდა ეკლესია საბჭოთა რეჟიმისას.

ასევე მდიდარი მასალებია დაცული საქართველოს საპატრიარქოს არქივში, სადაც გავეცანით ჩვენი საკვლევი საკითხისათვის საინტერესო დოკუმენტაციას, გავეცანით ახალი აღწერით დანომრილ სხვადასხვა საქმეს, რომლებიც წარმოდგენილია ნაშრომში.

ყურადღებას იპყრობს ასევე ყოფილი იმელის არქივის მასალები, რომლებიც ამჟამად შს არქივშია დაცული, სადაც თავმოყრილია პარტარქივის მნიშვნელოვანი დოკუმენტები ჩვენს მიერ საკვლევად აღებული ეპოქის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობდა ათეისტური პროპაგანდა სახელმწიფოს მხრიდან და პროპაგანდა-აგიტაციის დონეზე რა სახით ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლება ეკლესიასა და ქრისტეს მორწმუნეებს.

საინტერესოა ქუთაისის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცული მასალები (ფონდი №149), სადაც მივაკვლიეთ დოკუმენტებს საბჭოთა რეჟიმის არსებობის უკანასკნელ წლებში, ე.წ. გარდაქმნის პერიოდში, თუ როგორ ეტაპობრივად დადებითისკენ იცვლებოდა საერო ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ.

წარმოდგენილია მასალა ქუთაის-გაენათის ეპარქიის საარქივო დოკუმენტაციიდან.

ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე), მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივები.

აგრეთვე, მკვლევარმა პაატა ქურდოვანიძემ თავისი პირადი არქივიდან დაგვრთო ნება, რომ გამოგვეყენებინა მის მიერ შედგენილი ერთ-ერთი ნარკვევი, რომელიც არ არის დღემდე გამოცემული.

ნაშრომში გამოყენებულია აუდიოჩანაწერის მასალა, რომელიც რესპოდენტის თანხმობით ჩავიწერეთ.

გამოვიყენეთ ინტერნეტრესურსი მცირე რაოდენობით, ძირითადად საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

მნიშვნელოვანი მასალებია მოცემული პერიოდიკის გამოცემებში, რომელთაგან საინტერესოა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ და გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“. ასევე, სხვა ქართულ პერიოდულ გამოცემებში მოცემულია ცნობები ამ პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მომხდარი სხვადასხვა საინტერესო, პრობლემატური საკითხის შესახებ.

ბ) ისტორიოგრაფიული მიმოხილვა

წარმოდგენილი ნაშრომის კვლევის პერიოდის საქართველოს ისტორიის შესახებ არსებობს მონოგრაფიული გამოცემები.

უპირველესად ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესორ სერგო ვარდოსანიძის ნაშრომები, რომლის ავტორობით გამოიცა „უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე“ (თბილისი, 2008), „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები)“ (თბილისი, 2010), „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“ (თბილისი, 2011), „მზიანი ღამის 38 წელი“ (თბილისი, 2015), „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.)“ (თბილისი, 2017).

აღნიშნული პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ საინტერესო ცნობებია საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მიერ მომზადებულ გამოცემაში „ისტორია შეულამაზებლად“ (თბილისი, 2015).

2016-2017 წლებში გამოიცა ოთხტომეული „ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“, (თბილისი, 2016-2017), სადაც

დაბეჭდილია სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული დოკუმენტური და ფოტომასალები. პროექტის ავტორი და შემდგენელია ამავე არქივის დირექტორი მზია კაცაძე.

ამ პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული ზოგიერთი დოკუმენტი დაბეჭდილია მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მონოგრაფიაში „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“ (თბილისი, 2017).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს მიერ საკვლევად აღებული ეპოქის საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესახებ გამოცემულ მონოგრაფიებსა და ნაშრომებში ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება იმ საკითხებზე, რომლებიც წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში წარმოვაჩინეთ და ჩვენი მხრივ ვეცადეთ, უფრო სიღრმისეულად გამოგვეტანა ისინი.

საკვლევი თემის აქტუალობა

სადისერტაციო თემის „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე“ აქტუალობა გამომდინარეობს იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პერიოდის პრობლემატური ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, მრავალი მასალა დღემდე გამოუქვეყნებელია. ამ პერიოდში საქართველოს ეკლესიას უხდებოდა გამკლავება შიდა და გარე პრობლემებთან. აღნიშნულ ეპოქაში მომხდარი მოვლენები მიზეზ-შედეგობრივ გამოძახილს ჰპოვებს საქართველოს ეკლესიის ამჟამად მიმდინარე, თანამედროვე ეპოქაში. შესაბამისად, საბჭოთა ხელისუფლების მმართველობის უკანასკნელ ათწლეულში, დამოუკიდებლობის სათავეებთან და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მომხდარი ფაქტები, საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს საქართველოს ეკლესიის ამჟამინდელი ყოფის გაანალიზებისათვის.

ნაშრომის (კვლევის) მეცნიერული სიახლე

სადისერტაციო ნაშრომში გამოკვლეულია საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის ნაკლებად ცნობილი ფაქტები, რომლებიც განვითარდა ცალკეულ მთლიანად ეკლესიისა თუ ცალკეული იერარქების მიმართ.

მოკრძალებულად შევნიშნავთ, რომ ეს არის პირველი ცდა, წარმოაჩინოს კადრს მიღმა დარჩენილი ფაქტები.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა საარქივო დოკუმენტებს, პერიოდიკის მასალასა და აგრეთვე, სხვა სამეცნიერო ლიტერატურას.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომი „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და თანამედროვე გამოწვევები (XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე)“ წარმოადგენს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში, 1980 წლიდან დღემდე მომხდარი პრობლემატური ფაქტების წარმოჩენასა და ხშირად, დრამატულ ვითარებამდე მისული მოვლენების აღწერას. ამ კუთხით, არაერთი სიახლეა წარმოდგენილი ამ სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს, რომ იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიით დაინტერესებულ პირებს, როგორც სამეცნიერო წრეებიდან, ისე მკითხველთ და მიაწვდის მათთვის, ამ დრომდე უცნობ, ან ნაკლებად ცნობილი ფაქტების შესახებ ინფორმაციას. ნაშრომში მრავლად არის წარმოდგენილი საარქივო მასალა საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიის შესახებ. შესაბამისად, იგი, უპირველესად და მეტადრე, შესაძლებელია გამოიყენონ საქართველოს ეკლესიის უახლესი ისტორიით დაინტერესებულმა პირებმა. ნაშრომი დახმარებას გაუწევს, უმაღლესი სასწავლებლების (როგორც საერო, ისე სასულიერო) პედაგოგებს, სტუდენტებს. მასში წარმოდგენილი მასალა შეიძლება გამოყენებული იქნეს სამეცნიერო პუბლიკაციებში.

კვლევის მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომი დაფუძნებულია ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიაზე, რაც თავის თავში მოიცავს საკვლევად შერჩეული თემის შესახებ არსებული დოკუმენტური თუ სხვა სახის წერილობითი წყაროების - საარქივო, ისტორიოგრაფიული, პერიოდიკის მოძიებას (ასევე, ნაშრომში გამოყენებულია აუდიოჩანაწერი, რომელიც წერილობითად არის გადმოტანილი). საკითხის შესწავლისას, ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი ანალიზის მეთოდები.

სამეცნიერო ნაშრომის მიზანი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მონოგრაფიულად შევისწავლოთ მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში წარმოქმნილი პრობლემატური ვითარებანი, შიდა თუ გარე ფაქტორებით წამოჭრილი გამოწვევები, რომლებიც მიზეზ-შედეგობრივად შეეხო საქართველოს ეკლესიასა და გარკვეული გავლენა

მოახდინა მის უახლეს ისტორიაზე, წარმოვაჩინოთ საბჭოთა რეჟიმის პირობებში თუ რა ურთულეს პირობებში უხდებოდათ მოღვაწეობა სასულიერო პირებს და ასევე, დამოუკიდებლობის სათავეებთან მყოფ და შემდგომდროინდელ საქართველოში, რა სირთულეების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია.

ქრონოლოგიური ჩარჩო

სადისერტაციო ნაშრომის ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1977-2019 წლებს.

თავი I. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია საბჭოთა ხელისუფლების უკანასკნელ წლებში

1.1 საერო ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი

საბჭოთა კავშირის არსებობის ყოველ ეტაპზე ხელისუფლება თავის ტრადიციულ დამოკიდებულებას ინარჩუნებდა ეკლესიისადმი. საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიურ დოქტრინაში ეკლესია მიჩნეული იყო, როგორც სისტემის მტერი. სახელმწიფოს ოფიციალური კურსი იყო ანტირელიგიური, ათეიზმის განუხრელი პროპაგანდა მიმდინარეობდა სახელმწიფოს ყველა სფეროში. შესაბამისად, ხელისუფლება მრავალი სახეობის შეზღუდვას უწესებდა ეკლესიას... მიმდინარეობდა ტოტალური კონტროლი და დევნა ეკლესიის, როგორც სასულიერო იერარქიის, ასევე მორწმუნე საზოგადოების მიმართ.

საბჭოთა სისტემის მთავარი იდეოლოგი ვ. ლენინი წერდა: „ჩვენ უნდა ვებრძოლოთ რელიგიას. ეს მთელი მატერიალიზმისა და მაშასადამე, მარქსიზმის ანბანია. მარქსიზმი ებრძვის ყოველგვარ რელიგიას, რა სახითაც უნდა არსებობდეს ის... რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა მარქსიზმის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს, რადგან მისი არსი ათეისტურია“ (ფანჯიკიძე, 1976:247).

მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების დასაწყისში საბჭოური მმართველობის ყველაზე გამოკვეთილი ნიშანი იყო იმჟამად არსებული პოლიტიკური სისტემისა და ძველი კადრების ხანდაზმულობა. დგებოდა ჟამი, ტოტალიტარული რეჟიმის რეინკარნაციისა, რომელიც არსებულს მოჩვენებითად რეკონსტრუირებულს გახდიდა, რეალურად კი, უწინდებურად და კიდევ აღმატებულად დაუნდობელ ფორმას შეუნარჩუნებდა.

აღნიშნულ პერიოდში საბჭოთა ხელისუფლებამ შეინარჩუნა და გააგრძელა თავისი ჩვეული, ათწლეულთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ათეისტური კურსი, რომლის შედეგი იყო ის სავალალო ვითარება, რომელიც, სამწუხაროდ, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში სუფევდა. საქართველოს საპატრიარქოს ისტორიული რეზიდენცია კვლავ საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში რჩებოდა და უწმიდესსა და

უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დავით მეხუთეს (1972-1977 წ.წ.) ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძრის გვერდით მდებარე საკმაოდ მცირე ზომის შენობაში. მოქმედი იყო ორმოცდაათამდე ტაძარი და მონასტერი. ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა ეპარქიათა უმრავლესობა. საქართველოს ეკლესიას ჰყავდა მხოლოდ შვიდი მღვდელმთავარი, რომელთა უმრავლესობას ცხოვრება უხდებოდა თბილისში, სადაც სხვადასხვა ტაძარში აღასრულებდნენ ღმრთისმსახურებას, ვინაიდან ხელისუფლება მათ უკრძალავდა ეპარქიებში სამღვდელმთავრო მოღვაწეობას. „თუ რევოლუციამდე საქართველოში იყო 1450 მართლმადიდებელი ეკლესია, 2609 ღვთისმსახური, 227 მთავარდიაკვანი, 1706 დიაკვანი, არსებობდა 29 მამათა მონასტერი 1188 მონაზვნით, 6 ქალთა მონასტერი 280 მონაზვნით, 1976 წლისათვის საქართველოში არსებობს მხოლოდ 45 მართლმადიდებელი ეკლესია და სალოცავი სახლი. ღვთისმსახურთა რიცხვი შედარებით უმნიშვნელოა... იმ დროს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში იყო 15 ეპარქია. აქედან ფაქტიურად აქტიურად მხოლოდ 6 მოქმედებს, დანარჩენი როგორც თვით სამღვდელო პირები წერენ, თავისუფალია. კულტის მსახურთა ნაკლებობის გამო, ქართველი მღვდელმსახურები იძულებული არიან რამდენიმე ეპარქიის მართვა ერთსა და იმავე პიროვნებას მიანდონ. ეპარქიები იყოფა ოლქებად, ხოლო ოლქები თავის მხრივ სამრევლოებად... დღეისათვის (1976 წლისათვის. შენ. ავტ.), ქართული მართლმადიდებელი ეკლესია პოლიტიკის საკითხებში ჩაურევლობას და ლოიალობას აცხადებს საბჭოთა ხელისუფლების მიმართ...“ (ფანჯიკიძე, 1976 :169-170).

მღვდელმთავარი არ ჰყავდა: ქუთაის-გაენათის, ურბნისის, აწყურის, აგარაკ-წალკის, მარგვეთის, ცაგერის, ნიკორწმინდის ეპარქიებს. გასაოცარია, რომ მმართველი მღვდელმთავარი არ ჰყავდა ისეთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს ეპარქიას საქართველოს ეკლესიისა, როგორიც არის ქუთაის-გაენათის ეპარქია. მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში ხსენებული ეპარქიის მმართველობა ფორმალურ დონეზე შეთავსებული ჰქონდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დავით მეხუთეს, ხოლო თვეში ერთხელ სამღვდელმთავრო ღმრთისმსახურების აღსასრულებლად, ქუთაისში ჩადიოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი). ქუთაის-გაენათის ეპარქიაში არც მანამ სუფევდა

სახარბიელო ვითარება, როდესაც ეპარქიას მწყემსმთავრობდნენ: მიტროპოლიტი ნაომი (შავიანიძე; 1957-1969 წ.წ.) და მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი; 1971-1974). მიტროპოლიტ ნაომს არ აძლევდნენ მღვდელმთავრული მოღვაწეობის საშუალებას და მრავალ პროვოკაციას უწყობდნენ... მიუგზავნეს მოსაკლავად დედაკაციც კი . მეუფე ნაომი იმგვარ უმძიმეს ყოველდღიურ ვითარებაში აღმოჩნდა, რომ მან 1959 წლის 16 სექტემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მელქისედეკ მესამეს გაუგზავნა წერილი: „თქვენმა უწმიდესობამ უწყის, რომ ა.წ. ივლისის თვეში მე თავს დამესხნენ ბოროტი პირები. შესაძლებელია, კიდევ განმეორდეს. ამისა გამო ასაცილებლად მოსალოდნელი მარცხისა, ვითხოვ თქვენი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევას, რათა ღამისთევით ლოცვებზე, ამ ზამთარს მაინც, არ მივდიოდე საკათედრო ტაძარში, არამედ დამშვიდებულად ვლოცულობდე ჩემს კელიაში“ (მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე) პირადი არქივი). აგრეთვე, 1974 წელს პროვოკაციების ფონზე მოუწია ქუთაის-გაენათის ეპარქიის დატოვება მიტროპოლიტ რომანოზს...

საეკლესიო ვითარების მხრივ, ჩვენი ქვეყნის სიდიდითა და მნიშვნელობით მეორე ქალაქში თუ ამგვარი სიტუაცია სუფევდა, მაშინ რთული წარმოსადგენი არაა, რა იქნებოდა ქვეყნის სხვა ქალაქებსა და მხარეებში. მიმდინარეობდა ათეიზმის პროპაგანდა... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთადერთი ბეჭდვითი გამოცემა იყო საეკლესიო კალენდარი, რომელსაც მცირედ ურთავდნენ საღმრთისმსახურო თუ სხვა სახის ტექსტებს, ვინაიდან ხელისუფლება კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ეკლესიას ჰქონოდა სხვა სახის ბეჭდური გამოცემა. ყოველწლიური საეკლესიო კალენდრის ტირაჟიც კი მთავრობასთან თანხმდებოდა.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში შესაბამისი პროფილის სამეცნიერო ნაშრომებსა და გამოცემებში აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის პროგანდისტული მტრობა, მორწმუნეთა აბუჩად აგდებისა და დაცინვის მცდელობები, მათი წარმოჩენა გაუნათლებლებად და სულიერად დემორალიზებულ ადამიანებად. ერთ-ერთი ასეთი დაიწერა 1976 წელს: „ჩვენს ქვეყანაში მართლმადიდებელი ეკლესია ძირითადად დაბალი განათლების და სუსტი ნებისყოფის ადამიანებს ეყრდნობა. საბჭოთა ინტელიგენცია თითქმის მთლიანად თავისუფალია რელიგიის გავლენისგან. მართლმადიდებელ მორწმუნეთა უმრავლესობა ცუდად იცნობს არა

მარტო მეცნიერების ძველ და ახალ მიღწევებს, არამედ ზერელე წარმოდგენა აქვთ თვით ქრისტიანულ რჯულთმოძღვრებაზე. ასეთ პირობებში ყოველგვარი მოდერნიზმი აზრს კარგავს" (ფანჯიკიძე, 1976: 171).

ოფიციალური ხელისუფლების იდეოლოგი, პროფესორი დავით გეგეშიძე მიიჩნევდა: „საქართველოში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში არსებითი ხასიათის ცვლილებები მოხდა ადამიანთა შეხედულებებში. საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარებული მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის და ძირითადი სოციალისტური გარდაქმნების შედეგად საქართველო მასობრივი ათეიზმის რესპუბლიკად გადაიქცა. წარსულს ჩაბარდა ეკლესია-მონასტრებით დაფარული საქართველო, სინამდვილეს რამდენიმე მართლმადიდებელი ეკლესია შემორჩა. ახალ პირობებში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ხელმძღვანელები იძულებულნი არიან გაატარონ ღონისძიებები მრევლის შენარჩუნებისთვის, შეეგუონ შეცვლილ სოციალურ და პოლიტიკურ ვითარებას. ამიტომ ქართულ მართლმადიდებლობაში უკანასკნელ პერიოდში აღინიშნებოდა: 1. პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლის პროცესის დამთავრება და გარკვეული პოლიტიკური პლატფორმის მხარდაჭერის პოზიცია; 2. ძველ სოციალურ პრინციპებზე უარის თქმა და ახალი სოციალური პრინციპების აღიარება... მაშინ, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა საქართველო შეუდგა სოციალისტური გარდაქმნების გატარებას, ქართველ სამღვდელოებათა უმრავლესობამ ახალი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის გზა აირჩია... ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნის შემდეგ ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის გამო, რაც გამოიხატა საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში, ქართველი სამღვდელოების ერთმა ნაწილმა პასუხი აგო სახალხო სასამართლოს წინაშე. მათ საკადრისი მიეზღოთ. ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში კულტის მსახურთა პასუხისმგებლობა სრულებითაც არ იყო დაკავშირებული რელიგიურ რწმენასთან. უფრო ზუსტად, ისინი პასუხისგებაში იქნენ მიცემულნი არა იმიტომ, რომ მორწმუნეები იყვნენ და ეკლესიის წინააღმდეგ წარმოებდა ბრძოლა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი საქმიანობის ანტისაზოგადოებრივი და ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისათვის... დაიწყო საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელთა მხრიდან პოლიტიკური პოზიციის შეცვლა. ამ პროცესმა მთელი რიგი ეტაპები გაიარა თავდაპირველი აპოლიტიკური პოზიციიდან საბჭოთა

ხელისუფლებისადმი აქტიურ მხარდაჭერამდე... თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანებელმა აღიარეს ჩვენს ქვეყანაში სინდისის თავისუფლების პრინციპების განხორციელება ყველა მიმართულებით... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს სკკპ და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას... კათალიკოს-პატრიარქის დავით V-ის განცხადებით „ატომის ეპოქაში არა აქვს იმაზედ უფრო დიდი საზრუნავი განათლებულ კაცობრიობას, თუ არა ზრუნვა - საყოველთაო მშვიდობისათვის. ის დიდი და აურაცხელი ტექნიკური მონაპოვარი, რომელიც ამჟამად ხალხებს გააჩნია, სიცოცხლის საწამლავად გადაიქცევა, თუ მის და მშვიდობისათვის ბრძოლის პროგრესს შორის თანაფარდობა დაირღვევა, თუ ბზარი შევა იმ საღმრთო ჰიმნში - მშვიდობისა და სიყვარულისა, რომელსაც ამქვეყნად დიდი საბჭოეთი მეთავეობს“... მაშასადამე, სკკპ და საბჭოთა მთავრობის მიერ ეკლესიისა და რელიგიისადმი გატარებულმა სწორმა პოლიტიკამ ზეგავლენა მოახდინა ქართული მართლმადიდებლობის პოლიტიკურ პლატფორმაზე. საქართველოს ეკლესიის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურ ხასიათს ატარებს. ეკლესია მხარს უჭერს სკკპ და საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო საგარეო და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობისათვის ჩატარებულ საშინაო პოლიტიკას“ (გეგეშიძე, 1976:73,76,78,79,82,83).

სინამდვილეში ეკლესია უკიდურესად მძიმე ვითარებაში იყო ჩაყენებული. გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში მოხდა არაერთი შემთხვევა, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, კათოლიკოს-პატრიარქ დავით მეხუთეს ემუქრებოდნენ ოჯახის წევრთა მორალური, საზოგადოებრივი თუ ფიზიკური რეპრესიებით...

მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში საბჭოთა სახელმწიფო კვლავ ერთგული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიისა. საბჭოთა მთავრობისთვის კვლავ იდეოლოგიურ მტრად მოიაზრებოდა ქრისტეს ეკლესია, რომლის წინააღმდეგ არაერთი საზოგადოებრივი თუ ხელოვნურად გამოწვეული კერძო გამოწვევები, პრობლემები და დაბრკოლებები აღიმართებოდა. ხშირად საერო ხელისუფლებისგან წაქეზებული პირები, ეკლესიისა და კონკრეტული სასულიერო პირების საწინააღმდეგო ქმედებებს ჩადიოდნენ, ავიწროებდნენ მორწმუნეებს და პრობლემებს უქმნიდნენ მათ სარწმუნოებრივ ცხოვრებაში. საეკლესიო დღესასწაულები საბჭოთა ხელისუფლებას მავნე ტრადიციებად და წეს-ჩვეულებებად მიაჩნდა

და ბრძოლის სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა ხსენებული დღესასწაულების ხალხისთვის დავიწყებას და მათი ე.წ. სახალხო დღესასწაულებით მოქნილი ხერხებით ჩანაცვლებას. მთავრობა თვლიდა, რომ საეკლესიო დღესასწაულები წარსულიდან შემორჩენილი მავნე ტრადიციები იყო და ამიტომ საგანგებო აღწერას აწარმოებდა რიგ ქალაქებსა და რაიონებში, როგორი მდგომარეობა სუფევდა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნის კუთხით, რათა ბრძოლის სპეციფიკური მეთოდები შემუშავებულიყო. ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს პირდაპირი დავალებები და მითითებები ეძლეოდათ რელიგიური დღესასწაულების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავის მხრივ, ცენტრალური ხელისუფლება დახმარებას უწევდა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ათეისტურ მუშაობაში. „რესპუბლიკაში ფართოდ არის გავრცელებული: აღდგომა, მარიამობა, გიორგობა, ღვთისმშობლობა. ხალხმრავლობით გამოირჩევიან რელიგიური დღესასწაულები, კერძოდ: ლომისობა დუშეთში, ლაშარობა თიანეთში, ალავერდობა და თეთრგიორგობა ახმეტაში, კვირიკობა მესტიაში, თელეთობა გარდაბანში, მცხეთობა მცხეთაში, გერისთობა ცხინვალში, ყურბან-ბაირამი, რამაზანი მარნეულში და სხვ.

რელიგიურ დღეობებს ეფექტურად უპირისპირდება კარგად მომზადებული და ჩატარებული სახალხო დღესასწაულები... რელიგიური დღეობების წინააღმდეგ ბრძოლაში მეტად ეფექტურ როლს ასრულებს ხსოვნის დღეები, რომლებიც ჩვენთან აპრილში აღინიშნება“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.562, ფურც.10).

საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ უცვლელი რჩებოდა, რეჟიმის არსებობის უკანასკნელ წლებშიც კი. ამგვარ პირობებში, კიდევ უფრო რთულდებოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობა.

1.2 სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრება, პირველი სირთულეები და გამოწვევები

1977 წლის 9 ნოემბერს, დილის 9 საათზე გარდაიცვალა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით მეხუთე. საქართველოს ეკლესიაში არსებული ვითარება კიდევ უფრო გართულდა, რასაც ხელი შეუწყო პიროვნული მოსაზრებებიდან გამომდინარე სურვილებმა... 9 ნოემბერს სინოდის წევრები მთელი დღის

განმავლობაში ელოდებოდნენ ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის თბილისში ჩამოსვლას, თუმცა ის არ გამოცხადდა და არც რაიმე ცნობა მოვიდა მისგან. საღამოს 19 საათზე დაიწყო წმიდა სინოდის სხდომა, რომლის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ხოლო მდივნად - ბოდბელი ეპისკოპოსი ილარიონი. კათოლიკოს-პატრიარქის გარდაცვალების დღესვე, წმიდა სინოდის სხდომაზე, ხმათა უმრავლესობით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ აირჩიეს ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია. იგი იყო ქიროტონიით უხუცესი მღვდელმთავარი, რამაც გაამყარა მისი მოსაყდრედ დადგინების ლეგიტიმური საფუძვლები, თუმცა, ვითარება კიდევ უფრო გაართულა უწმიდესისა და უნეტარესის დავით მეხუთის მიერ 1977 წლის სექტემბერში გამოცემულმა ბრძანებულებამ, რომლის თანახმადაც, უპირატეს მიტროპოლიტად ცხადდებოდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი). წმიდა სინოდის ზემოთ ხსენებულ სხდომაზე, აგრეთვე, მიტროპოლიტმა ილიამ განაცხადა, რომ „განსვენებულ პატრიარქს ჰქონდა მისთვის ნათქვამი, რომ ის ყოფილიყო მის შემდეგ...“ (კაცაძე, ნაწ. I, 2016:88).

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ არჩევას დაეთანხმნენ 1977 წლის 9 ნოემბრის წმიდა სინოდის სხდომის მონაწილე მღვდელმთავრები (სხდომას არ ესწრებოდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი (პეტრიაშვილი), გარდა წილკნელი მიტროპოლიტის გაიოზისა, რომელმაც წამოაყენა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტის რომანოზის კანდიდატურა, ხოლო მას შემდეგ, რაც მოსაყდრედ აირჩიეს მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი გაიოზი აცხადებდა წმიდა სინოდის აღნიშნულ სხდომას უკანონოდ (მოგვიანებით იგი აცხადებდა, რომ მისი ამგვარი გადაწყვეტილება ნაკარნახევი იყო იმ გარემოებით, რომ წმიდა სინოდის ხსენებულ სხდომას ესწრებოდა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა რწმუნებული თენგიზ ონოფრიშვილი, რომლის სხდომაზე დასწრება (როგორც ერისკაცის, რომელიც სინოდს არ მოუწვევია) საეკლესიო კანონმდებლობიდან გამომდინარე გახლდათ ანტიკანონიკური და დაუშვებელი მოცემულ ვითარებაში. აგრეთვე, მიტროპოლიტი გაიოზი აღნიშნავდა, რომ ზემოთ ხსენებული პიროვნება იყო ათეისტური ხელისუფლების ოფიციალური პირი და მისი

დასწრება მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე გახლდათ პრინციპულად მიუღებელი).

1977 წლის 10 ნოემბერს საქართველოს საპატრიარქოში მივიდა ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი რომანოზი, რომელმაც განაცხადა, რომ იგი, როგორც უხუცესი მღვდელმთავარი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, იერარქიული პატივით არის ყველა მღვდელმთავარზე წინ და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე მოითხოვა საპატრიარქო ტახტის მოსაყდრეობა. მან წმიდა სინოდის წევრებს წარუდგინა 1977 წლის სექტემბერში კათოლიკოს-პატრიარქ დავით მეხუთის მიერ გამოცემული ბრძანება უპირატეს მიტროპოლიტად მისი გამოცხადების შესახებ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმჟამად მოქმედ მართვა-გამგეობის დებულების 23-ე მუხლის მეორე შენიშვნაში ჩაწერილია: „მწყემსმთავარნი პატივდებულ იქნებიან ქიროტონიის უხუცესობის მიხედვით“ (ვარდოსანიძე, 2015:17). მიტროპოლიტი ილია ეპისკოპოსად ხელდასხმულია 1963 წელს, ხოლო მიტროპოლიტი რომანოზი - 1965 წელს. ზემოთ მოხმობილი მუხლი ითვალისწინებს ქიროტონიით და არა ასაკით უხუცესობას, რომლის მიხედვით უპირატესი მღვდელმთავარი იყო მიტროპოლიტი ილია.

1977 წლის 16 დეკემბერს გამართულ წმიდა სინოდის სხდომაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნების დღედ განისაზღვრა 23 დეკემბერი, ხოლო ინტრონიზაციისა - 25 დეკემბერი. წმიდა სინოდის აღნიშნულმა სხდომამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ასარჩევ კანდიდატად დაამტკიცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, რომელმაც თავის მხრივ, თანხმობა განაცხადა მის კანდიდატად დასახელებაზე. ზოგიერთი მღვდელმთავრის მხრიდან, მიტროპოლიტ ილიას საპატრიარქო კანდიდატად დასახელების მიუღებლობის მიზეზად გამოითქვა, რომ იგი (მიტროპოლიტი ილია) დაბადებული გახლდათ საქართველოს საზღვრებს მიღმა, ქ. ვლადიკავკაზში. უპირველეს ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მართვა-გამგეობის დებულების მიხედვით, არავითარი მნიშვნელობა გააჩნდა საპატრიარქო კანდიდატის დაბადების ადგილს და მსგავსი ჩანაწერი არ ფიქსირდება ხსენებულ დებულებაში და აგრეთვე, მიტროპოლიტი ილია გახლდათ ეროვნებით ქართველი და ნათელღებული საქართველოს სამოციქულო

მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში არსებული ვლადიკავკაზის წმიდა ნინოს სახელობის ტაძარში, საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციაში მყოფი სასულიერო პირის, არქიმანდრიტ (შემდგომში წილკნელი ეპისკოპოსი) ტარასის (კანდელაკი) მიერ.

1977 წლის 18 დეკემბერს, საღამოს 19 საათზე, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით უმკაყოფილო სამი მღვდელმთავარი: მიტროპოლიტი რომანოზი, მიტროპოლიტი გაიოზი და ეპისკოპოსი ილარიონი შეიჭრნენ საპატრიარქოში. აღნიშნულის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანი გრიგოლ მშვიდობაძე ატყობინებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრეს, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს ილიას: „მათ გაუტეხიათ პატრიარქის კაბინეტის კარები, კანცელარიის ოთახში გაუღიათ მდივნის საწერი მაგიდა და სეიფი - პატრიარქის კაბინეტში, დაუხევიათ საქმიანი ქაღალდები, მათ შორის - მოსაყდრის არჩევის ოქმი, გამოუყენებიათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბეჭედი, უსარგებლიათ ქართული და რუსული საბეჭდი მანქანით. როგორც დარჩენილი შავი ნაწერებიდან ჩანს, მათ დაუგზავნიათ პროვოკაციული დეპეშები მთავრობის წარმომადგენლებისთვის, რუსეთის საპატრიარქოში, სომხეთის ეკლესიაში, დაუმტვრევიათ პატრიარქის კაბინეტის გასაღები და ჩაუსვამთ ახალი“ (იქვე :19-20). გაგზავნილ დეპეშებში ხსენებული სამი მღვდელმთავარი აღნიშნავდა, რომ მიტროპოლიტი ილია გადაყენებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის თანამდებობიდან, ხოლო მეთორმეტე საეკლესიო კრების ჩატარების თარიღი გადატანილია. ამ ფაქტის გამო, მიტროპოლიტმა ილიამ განმეორებით გააგზავნა დეპეშები ეკლესიათა მეთაურებთან და საერო ხელისუფლებაში, რომ საქართველოს ეკლესიის მეთორმეტე ადგილობრივი კრება, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნები და შემდეგ აღსაყდრება ნამდვილად გაიმართებოდა 1977 წლის 23-25 დეკემბერს.

1977 წლის 19 და 20 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, გრიგოლ მშვიდობაძემ, საგანგებო წერილები დაუგზავნა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციასთან დაკავშირებით, სათანადო დახმარების თხოვნებით მიმართა: სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რეპუბლიკაში თენგიზ ონოფრიშვილს საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიისის მიერ ფართო

ფირზე გადამღები ოპერატორის გამოყოფის შესახებ; ქალაქ თბილისის მილიციის უფროსს, ჯემალ მიქელაძეს - მილიციის მიერ 23 დეკემბერს სიონის ტაძართან და 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის ტაძართან უსაფრთხოების დაცვის მიზნით; საქართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის უფროსს - სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ; ინტურისტის მმართველს, ზ. მახარაძეს - 25 დეკემბერს სასტუმრო „ივერიის“ საბანკეტო დარბაზის დაჯავშნისა და უცხოეთიდან მოწვეული სტუმრების დაბინავების უზრუნველყოფის შესახებ. გრიგოლ მშვიდობაძემ რელიგიის საქმეთა რწმუნებულს, თენგიზ ონოფრიშვილს თხოვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის არჩევნებისა და აღსაყდრების დღეებში ავტომობილებით („ჩაიკით“) უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს იმჟამად თუ რა მძიმე ვითარებაში იმყოფებოდა საქართველოს საპატრიარქო და რა უკიდურესად მწირი გახლდა მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ზოგადად, როგორ ურთულეს და ყოველდღიური ყოფიერების პრობლემებთან ჭიდილში უხდებოდა არსებობა საქართველოს ეკლესიასა და მის მაღალიერარქიას...

დაძაბული და რთული დღეების შემდეგ დადგა 1977 წლის 23 დეკემბერი... თბილისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საპატრიარქო ტაძარში მუშაობას შეუდგა ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ საქართველოს ეკლესიის მეთორმეტე კრება, რომელსაც უნდა აერჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი. შესრულდა პარაკლისი, გუნდმა იგალობა „მრწამსი“. კრება გახსნა და მოკლე შესავალი სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილიამ. შეიქმნა კრების სამდივნო და კომისიები. გაიმართა კათოლიკოს-პატრიარქის არჩევა ფარული კენჭისყრით, რა დროსაც ტაძარში გუნდი გალობდა „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“. მეთორმეტე კრებას დაესწრო ორმოცდაათი დელეგატი, რომელთაგან ორმოცდაცხრამ (მიტროპოლიტმა ილიამ თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან), ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია ერთხმად აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსად.

ამავე დღეს, 1977 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, ბათუმ-შემოქმედელი და ჭყონდიდელი მიტროპოლიტი

რომანოზი (პეტრიაშვილი), მოსკოვში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ლეონიდ ბრეჟნევს უგზავნის წერილს: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძევ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით V-ის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ გამოცხადდა მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი). იგი ჯერ კიდევ 1972 წლიდან ქართველი დისიდენტების მხარდამჭერი და წამქეზებელია. მოვითხოვ, მოიხსნას მისი კანდიდატურა" (ვარდოსანიძე, 2008:126). საბედნიეროდ, აღნიშნული წერილი დარჩა მხოლოდ ისტორიის კუთვნილებად და მას რეალური ქმედება არ მოჰყოლია.

უფრო ადრე კი, 1977 წლის 12 ნოემბრით დათარიღებულ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განცხადებაში ვკითხულობთ: „მიტროპოლიტმა რომანოზმა მიტროპოლიტ ილიას უწოდა რუსოფილი და განუცხადა, თითქოს იგი ისწრაფვის, რომ საქართველოს ეკლესია დაუმორჩილოს რუსებს. ასეთი უსაფუძვლო განცხადებები, ცხადია, ყოვლადშეუფერებელია მღვდელმთავრის ხარისხში მყოფი სასულიერო პირისთვის... ასეთი ანტიეკლესიური და კანონთა საწინააღმდეგო მოქმედება დიდ ზიანს აყენებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალურ მიმდინარეობას" (ვარდოსანიძე, 2011:129).

მიტროპოლიტ რომანოზს მიაჩნდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქად ის უნდა აერჩიათ, 90 წლის ასაკში.

საინტერესოა და მიტროპოლიტ ილიას საპატრიარქო კანდიდატად დასახელების მოწინააღმდეგეთა აქტიურ მოქმედებას ნათლად ასახავს ალავერდელი ეპისკოპოსის გრიგოლის (ცერცვაძე) 1977 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული ჩანაწერი: „ამა წლის 17 ნოემბერს მოვიდა ჩემთან ეკლესიაში ვინმე ახოვანი ახალგაზრდა კაცი და გამომიძახა, თქვენთან ცალკე საუბარი მსურსო. შევიხმე. მან წამომიწყო საუბარი, სინოდი, რომელიც თქვენგან შედგა, გაუქმებული არის მთავრობის მიერ, აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიაზე უარი განაცხადეს, რომ პატრიარქად იყოს არჩეული. ამ საქმეს, თვით შევარდნაძემაც მოაწერა ხელიო... ის დაჟინებით მოითხოვდა მიტროპოლიტ რომანოზის კანდიდატურის პატრიარქად დასახელებას. ამ საქმეში უშიშროებაც არის ჩარეულიო... ამით უნდოდა ჩემი დაყოლიება. მე ვუპასუხე, სინოდზე რაც გადაწყდა, მაგას ხაზი არ გადაესმება-მეთქი. ჩვენს საუბარს არავინ

ესწრებოდა, მაგრამ ხმამაღლა ლაპარაკობდა და ყველას ესმოდა... ბოლოს ამით დაამთავრა, მოკლე ხანში მოგივათ დეპეშა იმისათვის, რომ ახალი სინოდი შედგესო. მე ასე გამოვემშვიდობე, რაც ვთქვი, იმასვე ვიტყვი-მეთქი. მაინც და მაინც ნასიამოვნები არ წასულა“ (ვარდოსანიძე, 2011:130).

1977 წლის 25 დეკემბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაცია. ამ დღისათვის ხელისუფლებამ დააწესა სპეციალური საშვები, რომელთა გარეშე, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრებას ვერავინ დაესწრებოდა. ხელისუფლების მიზანი იყო ხალხი შეზღუდული რაოდენობით ყოფილიყო ამ დღეს სვეტიცხოველში. „ამგვარი მოწვევა ეკლესიაში უჩვეულო იყო. როგორც ჩანს, გათვალისწინებული იყო აღსაყდრების ცერემონიალზე ხალხის შეზღუდული რაოდენობის დასწრება. საბაბად, წესრიგის დაცვა იგულისხმებოდა. მოხდა სრულიად გაუთვალისწინებელი რამ. საქართველოს ყველა კუთხიდან მოაწყდა ხალხი მცხეთის სვეტიცხოველს. მოზღვავებულ ხალხს ვერაფერი შეაფერხებდა. აივსო სვეტიცხოველი და მისი ეზო. ბევრი ეზოს გარეთაც იყო. ხალხი განსაკუთრებულს ელოდა ამ დღისგან და უნდოდა თავადაც მონაწილე ყოფილიყო ეკლესიაში ახალი ცხოვრების დასწყისისა“ (მეტრეველი, კრებულიდან „ისტორია შეულამაზებლად“, 2015:28).

მიტროპოლიტი ილია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრდა. მიუხედავად იმისა, რომ 23 დეკემბრის კრებამდე, წილკნელი მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი) იბრძოდა მიტროპოლიტ ილიას გაპატრიარქების წინააღმდეგ, მიხვდა, რომ ამ ბრძოლას აზრი არ ჰქონდა და აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალი კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციაში. აღსაყდრებისას, მთავარი ლოცვები წაიკითხა მიტროპოლიტმა გაიოზმა. აღნიშნული ქმედების გამო, მოგვიანებით განრისხებულმა ეპისკოპოსმა ილარიონმა (სამხარაძე) 1984 წელს მიწერა მიტროპოლიტ გაიოზს: „ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გაწეული აურაცხელი შრომა და ამაგი შენ, ერთმა, ერთის მხრივ, ქარს გაატანე, მეორეს მხრივ კი - წყალს. ჯერ იყო და საქართველოს XII საეკლესიო კრების დაწყების წინ - 23 დეკემბერს, შაბათ დღეს, სიონის საკურთხეველში მითხარი, ჩვენ დავმარცხდით და აწი, დროა, მიტროპოლიტ ილიას შევურიგდეთო. მერე, XII საეკლესიო კრებაზე პრეზიდიუმში

წარმოსკუპებით ის აირჩიე, მერე კი, კვირას - 25 დეკემბერს, მცხეთის საპატრიარქო ტაძარში პირადად შენ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აკურთხე, რაზედაც ჟურნალი „მოსკოვის საპატრიარქო“ სწორედ წერდა: კურთხევის ლოცვა მიტროპოლიტმა გაიოზმა წაუკითხაო“ (მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი). ახლადაღსაყდრებულ პატრიარქს, ქართველ კათოლიკოს-პატრიარქთა ისტორიული მიტრა მიართვეს მანგლელმა ეპისკოპოსმა გიორგიმ (ღონღაძე) და ალავერდელმა ეპისკოპოსმა გრიგოლმა (ცერცვაძე). აღსაყდრებაში ასევე, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავართაგან მონაწილეობა მიიღო თეთრიწყაროელმა მიტროპოლიტმა ზინობმა (მაჟუგა), ხოლო, როგორც პატრიარქის არჩევნებში, ასევე ინტრონიზაციაში, მონაწილეობა არ მიიღეს: ბათუმ-შემოქმედელმა და ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა რომანოზმა (პეტრიაშვილი) და ბოდბელმა ეპისკოპოსმა ილარიონმა (სამხარაძე). კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს აღსაყდრებას დაესწრნენ: უწმიდესი სრულიად რუსეთის და მოსკოვის პატრიარქი პიმენი და ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ პირველი.

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, აღსაყდრებისას ისტორიული სიტყვით მიმართა თავის სამწყსოს - სრულიად საქართველოს, რომელშიც მან აღნიშნა: „ვჰმადლობ ღმერთსა ჩემსა ყოველსა ზედა ხსენებასა თქუენსა“ (ფილიპ. 1.3).

საოცრებამდე უსაზღვროა განგება ღვთისა, არც მის მოწყალებას აქვს სადმე საზღვარი, არ ილევა მისი მადლის მონიჭება მის მონებზე. ჭეშმარიტად, მისმა განგებამ და მისმა მოწყალებამ დააყენა თქვენს წინაშე ჩემი სიმდაბლე, როგორც მამამთავარი საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა.

მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა. მუხლს ვიყრი ამ პატივისათვის მისი ძლიერების წინაშე და თაყვანს ვცემ მარადიული ნათლით მოსილ ხსენებას მისას.

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის - ქართველი ხალხის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და გონება, იმ სარწმუნოებით, რომელი

სარწმუნოების დაცვისა და შენარჩუნებისათვის ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ხალხმა, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან...

ახსოვს ჩვენს მცხეთას, სატახტო ქალაქს და სვეტიცხოველს, ქრისტეს პერანგი რომ ჩაიხუტა გულში სამარადისოდ, ბევრი რამ ახსოვს ერის წარსული ისტორიიდან...

როგორც ვიცით, დრონი იცვლებიან, მაგრამ ღვთის ძლიერება უცვლელია, დავით მეფისა და წინასწარმეტყველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის დროს იცვლის, როგორც სამოსელს, თავად კი წლები არ აკლდება“. არც ჩვენი უფალი იესო ქრისტეს „ახალი აღთქმის“ სიბრძნე იცვლება...

ამრიგად ჩვენს ხალხში მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი. სარწმუნოება, რომლის გარეშეც არ არსებობს ღვთის მადლის მოსვლა, დე, იყოს ახალი აყვავების დასაწყისი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა...

მაშ, გავიგოთ, ჩემო თანამორწმუნე ქართველებო, რომ სიყვარულია მთავარი ამ ქვეყანაზე, უსიყვარულოდ ვერ მივალთ ღმერთთან, უსიყვარულოდ ვერ შევიგრძნობთ ნეტარებას სასუფევლისას...

ჩვენი მომავალი საქმიანობის პროგრამა ვრცელი და მრავალმხრივია...

უნდა შევეხოთ შრომის საქმეებსაც: უიმისოდ ხომ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყნად მშვიდობას, ვერც სარწმუნოებას განვამტკიცებთ, ვერც სასოებას მოვუმზადებთ რამე საფუძველს, ვერც სიყვარულს ავაყვავებთ შრომის გარეშე...

ჩვენ მუდამ უნდა ვიყოთ მამამთავარი და მღვდელმთავრები, პატიოსანი მღვდლები და ყველა მსახური ეკლესიისა და ჩვენ გარშემო კი, ჩვენთან ერთად უნდა იდგეს ყველა მორწმუნე ქრისტიანი...

მაშ ასე, შრომასა და ბრძოლაში გამობრძმედილო, ქრისტეს რჯულის ერთგულო ძვირფასო სამწყსოვ!

შევსთხოვთ ღმერთს, რომ მისმა ძლიერმა მარჯვენამ წაგვიყვანოს წინ ჩვენი ახალი ნაბიჯებით და რომ ჩვენი ეკლესიების ზარების რეკვა, წინდებურად ომისა და უბედურების მაცნე კი არ ყოფილიყოს ხალხისათვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის ზეიმისა.

„მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და სიყუარული ღმრთისა და მამისა და ზიარება სულისა წმიდისა, იყავნ თქუენ ყოველთა თანა! ამინ!“ (2 კორ. 13, 13)” (კაცაძე, ნაწ. I, 2016:122-124).

ახლადაღსაყდრებული კათოლიკოს-პატრიარქის აღნიშნული სიტყვა, რომელიც შემოკლებით წარმოვადგინეთ, გახლდათ მომავალი სამოქმედო გეგმა, რომელშიც უმძიმესი მემკვიდრეობის მიმღები და ჩამბარებელი მამამთავრისგან გამოიკვეთა მომავალი, სირთულეებითა და გამოწვევებით აღსავსე ეპოქისათვის სათანადო პასუხების გაცემის გზები.

სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრება მიულოცეს: უწმიდესმა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა პიმენმა და ყოველთა სომეხთა უმაღლესმა პატრიარქ-კათოლიკოსმა ვაზგენ პირველმა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე მოგვიანებით გაიხსენებს: „ჩემი პატრიარქად არჩევა ჯერ კიდევ დავითამდე, ეფრემ მეორის შემდეგ უნდოდათ.

ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: ერთი პარტიული ფუნქციონერი ჩამოვიდა ჩვენთან, სოფელ სნოში. მიმდინარეობდა სხდომა სოფლის მეურნეობის საკითხზე. ერთი კაცი წამოდგა და თქვა: „ჩემი შეკითხვაა: რატომ არ აირჩიეს პატრიარქად მიტროპოლიტი ილია?“ ფუნქციონერმა მიუგო: „ეს ჩვენი სხდომის საგანი არ არის.“ მეორე და მესამე კაცმაც იგივე კითხვა რომ დასვა, მას შეეშინდა, ახლა ყველა წამოდგებაო და სწრაფად მოჭრა: „იმიტომაც არ ავირჩიეთ, რომ მას ახალგაზრდობა გაჰყვება და ეს ჩვენ არ გვჭირდება!“

ხუთი წლის შემდეგ კვლავ შედგა პატრიარქის არჩევნები. ჩემ წინააღმდეგ წერილებს წერდნენ: მიტროპოლიტი ილია ანტისაბჭოურია და ა.შ., მაგრამ რაც იყო ნება ღვთისა, ის განცხადდა!

დაიწყეს ფიქრი ინტრონიზაციის პროცესის ორგანიზებაზე, თუ რამდენი ადამიანი უნდა დაეშვათ მცხეთის საპატრიარქო ტაძარში. შევთანხმდით ექვსი ათასზე. ჩვენ მეტი გვინდოდა, ხელისუფლებას - ნაკლები და მოვიდა არა ექვსი ათასი, არამედ გაცილებით მეტი!

ტაძრის ეზო და ქუჩები ხალხს ვერ იტევდა. ყველა ერთად მიაწვა მილიციის კორდონებს და ისინი იძულებული გახდნენ, უკან დაეხიათ. აი, ასე დაიწყო ეკლესიის აღორძინება პირველივე დღიდან” (კაცაძე, ნაწ. I, 2016:116).

აღნიშნულის შესახებ ასევე საინტერესო და საგულისხმო ცნობებს გვაწვდის აკადემიკოსი როინ მეტრეველი. იგი გვაუწყებს: „1972 წელს, ეფრემ II-ის გარდაცვალების უმალ დადგა ახალი კათოლიკოს-პატრიარქის საკითხი. უპირატეს კანდიდატად ამ წმიდა თანამდებობაზე მიტროპოლიტი ილია (შიოლაშვილი) იქნა დასახელებული. იგი ქვეყანაში აღიარებული, საზოგადოებაში პოპულარული იყო. მხედველობაში იქნა მიღებული მისი ღრმად განსწავლულობა და 39 წლის ასაკისათვის საკმაო გამოცდილება. გვინდა მკითხველს ვაუწყოთ ერთი ფაქტის შესახებ... ათეისტურ სახელმწიფოში (სამოცდაათიანი წლების საბჭოთა კავშირი) ეს ფაქტი (შეთანხმება) ფაქტობრივად იყო ჩასატარებელი და აი, სწორედ ამის შესრულება წილად ხვდა ამ სტრიქონების ავტორს (როინ მეტრეველი; შენ. ავტ.), რომელსაც იმხანად მაღალი სახელმწიფო თანამდებობა ეკავა. მინისტრთა საბჭოს იმდროინდელმა თავმჯდომარის მოადგილემ ვიქტორია სირაძემ საშურ და დროულად შესასრულებელ საქმედ მიიჩნია ილია შიოლაშვილის კანდიდატურის საკითხის შეთანხმება ქვეყნის პირველ პირთან, ვასილ მჟავანაძესთან. სათანადო მასალები (ანკეტა და სხვა) მოგვაწოდეს და ჩვენც შევუდექით ამ საპასუხისმგებლო მისიის შესრულებას. ერთ-ერთი აუდიენციის დროს, სხვადასხვა საკითხის მოხსენების შემდეგ, ფრთხილად მივაწოდეთ ანკეტა და ვუთხარით, რომ ქვეყნის მღვდელმთავრის (კათოლიკოს-პატრიარქის; შენ. ავტ.) საკითხი იყო გადასაწყვეტი. ბატონმა ვასილმა ჯერ გაიკვირვა, ჩვენ რა შუაში ვართო. როცა ავუხსენი, რომ მიღებული წესის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს პირველი პირი უნდა იყოს ეკლესიაში მიმდინარე პროცესების საქმის კურსში-მეთქი, დახედა ანკეტას, ილიას სურათს დააკვირდა, რა ლამაზიაო - აღმოხდა ხმამაღლა, ანკეტას თვალი გადაავლო და მომაწოდა. ეს თანხმობას ნიშნავდა. უფრო მეტიც - ვასილ მჟავანაძე ნასიამოვნები იყო. აქ გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ილია შიოლაშვილის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევის წინააღმდეგ გამოვიდა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს რელიგიათა საქმეთა კომიტეტი, კერძოდ, ამ სამმართველოს უფროსი /უშიშროების გენერალი/ კუროედოვი. ეს რელიგიურ საქმეში მეტად უხეში ჩარევა იყო. წინააღმდეგობის მოტივად ილია შიოლაშვილის სიჯიუტე დასახელდა, რაც როდოსის შეკრებაზე მის პროტესტში გამოიხატა. იმხანად, მიუხედავად იმისა, რომ „ბრალდება“ სრულიად უმართებულო იყო, შეუძლებელი გახდა ამ წინააღმდეგობის გადალახვა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია შიოლაშვილის კათოლიკოს-

პატრიარქად არჩევა რამდენიმე წლით გადაიდო“ (მეტრეველი, კრებულიდან „ისტორია შეულამაზებლად“, 2015:21-22).

საინტერესო არის კიდევ ერთი ცნობა: „ამასვე ამბობდნენ ქართულ ეკლესიაზე სამოციან წლებში: „ეს არისო მდიდარი მღვდლების ღარიბი ეკლესია“, - უთხრა ავტორს (ჯანრი კაშია; შენ. ავტ.) ბელგიის არქიეპისკოპოსმა მეუფე ვასილიმ 1965 წელს. უნდა ვთქვა, რომ მანვე დაასახელა საუკეთესო კანდიდატურად საქართველოს მწყემსმთავრის ტახტზე, თუ არ ვცდები, მაშინ აკადემიაში მყოფი ჩვენი ამჟამინდელი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც მისი თაობის სასულიერო მოღვაწეთა შორის მთელ მართლმადიდებლურ ეკლესიაში საუკეთესოთა პირველ რიგშიც დასახელდა და თქვა, რომ ჩვენ (რუსული ეკლესია) ვცდილობთ, მის რუსეთში დატოვებასო“ (კაშია, 2013:317-318). აღსანიშნავია, რომ 1965 წელს საქართველოს ეკლესიის მეთაური იყო უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე (სიდამონიძე), რომელიც 1972 წლის 7 აპრილამდე, გარდაცვალებამდე მამამთავრობდა საქართველოს ეკლესიას. შესაბამისად 1965 წლისთვის საპატრიარქო კანდიდატურის დასახელება სრულიად უადგილო და ალოგიკური იქნებოდა.

აღსაყდრების დღეს გაიმართა საზეიმო სუფრა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. მან აღნიშნა: „ვიდრე ვიცოცხლებ, მუდამ ჩემ თვალწინ იქნება ის თვალით უხილავი, მაგრამ რეალური ტახტი, რომელზედაც უფლის ძლიერმა მარჯვენამ დამსვა. ჩემს გულზეც სწერია უკვე ის ვალდებულებანი, რომელიც მისმა მოწყალებამ დამაკისრა და ბედნიერს მხდის იმაზედ ფიქრი, რომ ყოვლად მაღალის მოწყალებით და ქრისტეს მოძღვრების მოყვარული ქართველის ხალხის თანადგომით, ყველაფერს გავაკეთებ, რაც მაღალ ღმერთის მადლმა და ძალამ ჩვენ დაგვისახა. „მშვიდობა ძმათა და სიყუარული სარწმუნოებითურთ ღმრთისა მიერ მამისა და უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა“ ამინ! (ეფეს. 6, 23)” (კაცაძე, ნაწ. I, 2016:130).

საზეიმო ტრაპეზთან სიტყვები წარმოთქვეს და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აღსაყდრება მიულოცეს: უწმიდესმა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა პიმენმა; ალექსანდრიის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, არქიმანდრიტმა გრიგოლმა; ბულგარეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა, არქიმანდრიტმა ნაუმმა; ყოველთა სომეხთა უმაღლესმა პატრიარქ-კათოლიკოსმა ვაზგენ პირველმა. „საზეიმო

მიღებაზე, რომელსაც სამღვდელოების გარდა ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებიც (მათ შორის ამ სტრიქონების ავტორიც (აკად. როინ მეტრეველი; შენ. ავტ.) ესწრებოდნენ, გამორჩეულად დასამახსოვრებელი სიტყვა წარმოთქვა ყოველთა სომეხთა კათოლიკოსმა ვაზგენ I-მა. მან გულმხურვალედ მიმართა ილია II-ს: „თქვენ რომ გიყურებთ, მახსენდება ჩემი პატრიარქობის დასაწყისი. მეც 44 წლისა გავხდი სომეხთა პატრიარქი. სომხური ეკლესია მძიმე მატერიალურ და მორალურ მდგომარეობაში იყო... ჩვენ ღვთის წყალობით, ყველა პრობლემა გადავჭერით... დარწმუნებული ვარ, უწმიდესი და უნეტარესი ილია II ყველა პრობლემას, რომელიც დღეს საქართველოს ეკლესიის წინაშე დგას, გაართმევს თავს და საეკლესიო ცხოვრებას დიდ ძალას შესძენს“ (მეტრეველი, „აღსაყდრება“, წიგნიდან „ისტორია შეულამაზებლად“, 2015:30).

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ 1977 წლის 25 დეკემბერს წერილი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძეს. წერილში ნათქვამია: „ვიტვირთე რა საჭეთმპყრობელობა საქართველოს ეკლესიისა, წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით, მიიღეთ უღრმესი პატივისცემა და კეთილი სურვილები.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მხარს უჭერს ჩვენი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომელიც ემსახურება სოციალურ პროგრესსა და ხალხთა შორის სამართლიან დამოკიდებულებას. ჩვენი ეკლესია ყოველთვის იდგა და მომავალშიც იდგება მშვიდობისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში.

მთელი გულით ვუსურვებთ ჩვენს დიად სამშობლოს შემდგომ აყვავებას, დიდ მიღწევებს ყოველ საქმეში, კაცობრიობის საკეთილდღეოდ” (კაცაძე, ნაწ. I, 2016:136).

1977 წლის 26 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ინტრონიზაციაზე დასასწრებად ჩამოსული უცხოელი სტუმრები: რუსეთის პატრიარქი პიმენი, ალექსანდრიის, რუსეთისა და ბულგარეთის საპატრიარქოს წარმომადგენელი იერარქები და ყოველთა სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსი ვაზგენ პირველი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მიიღო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, პავლე გილაშვილმა.

დაიწყო კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს პირველი წერილობითი ურთიერთობები მართლმადიდებელი და არამართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებთან, მათ წარმომადგენლებთან, უცხოეთში მოღვაწე სასულიერო თუ საერო პირებთან.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს წერილობითი ფორმით აღსაყდრება მიულოცა წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა ბენედიქტემ. „სიხარულით გავიგეთ თქვენი არჩევის ამბავი. გულწრფელად გილოცავთ და გისურვებთ ჩვენი ღმრთისგან დალოცვასა და ძლიერებას თქვენი წმინდა ეკლესიის საკეთილდღეოდ. ძმურად გეხვევით“ (იქვე: 138), - ნათქვამია პატრიარქ ბენედიქტეს მიერ გამოგზავნილ მილოცვის ტექსტში.

კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს სახელზე მისალოცი ტელეგრამა გამოგზავნა რომის პაპმა პავლე მეექვსემ, რომელსაც 1977 წლის 31 დეკემბერს საპასუხო სამადლობელი წერილით უპასუხა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა.

1978 წლის 2 იანვრით დათარიღებული წერილით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს აღსაყდრება მიულოცა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, პროფესორმა ლუკას ფიშერმა, რომელმაც აღნიშნა: „თქვენმა არჩევამ გამახარა, რადგანაც თქვენი სახით გავიცანი ადამიანი, რომელმაც ცხოვრების მთავარ მიზნად ქრისტე, ეკლესია და მისი მსახურება დაისახა... მე ვიცი, რომ საქმე, რომელსაც თქვენ ემსახურებით, არცთუ ისე ადვილია, პასუხისმგებლობა, რომელიც კათოლიკოსის ტიტულით გამოიხატება, არის პასუხისმგებლობა მთელი ეკლესიის წინაშე... თქვენ საქართველოსა და ქართული ეკლესიის სიყვარული ჩემს გულში დააბუდეთ... გისურვებთ ძალმოსილ საქმიანობას! ღმრთის წყალობით დიდხანს გეცოცხლოთ!” (იქვე :139).

1978 წლის 8 იანვარს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, უწყების სიგელები დაუგზავნა ყოვლადუწმიდეს მსოფლიო პატრიარქსა და კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსს დიმიტრიოს პირველსა და მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს. აღნიშნული უწყების სიგელში, მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, მოძმე მამამთავრებს აუწყებდა: „სული წმიდის ღვთაებრივმა მადლმა „უძლურთა ყოველთა მკურნალმა და ნაკლულევანთა აღმავსებელმა“, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივი კრების განჩინებითა, სადაც მონაწილეობდნენ

ჩვენი ყოვლადსამღვდელო მღვდელმთავრები, სამღვდელოება, ბერმონაზონნი და ერისაგანნი, 1977 წლის 23 დეკემბერს, თბილისში, სიონის საპატრიარქო ტაძარში ამირჩიეს მე, ჩვენს ძველ და დიდ მამამთავართა ღვთივკურთხეულ საპატრიარქო ტახტზე და დამადგინეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად.

25 დეკემბერს, მართლმადიდებელ ეკლესიათა და სხვა მოძმე ქრისტიანულ ეკლესიათა მაღალ წარმომადგენელთა მონაწილეობით, ღვთივდაცული ჩვენი ხალხის თანდასწრებით, საქართველოს ძველ სატახტო ქალაქ მცხეთაში, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში, სადაც იმყოფება მსოფლიო ქრისტიანთა უძველესი სიწმინდე - კვართი უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, შედგა ჩვენი ინტრონიზაცია, საპატრიარქო ტახტზე აყვანით...

გამოვთქვამ რა ურყევ რწმენას, რომ ძმური ურთიერთობა ჩვენს წმიდა ეკლესიათა შორის მომავალშიაც განმტკიცდება და გაძლიერდება, ქრისტესმიერი სიყვარულით ვაუწყებთ თქვენს სიწმინდეს, ჩვენს აღსვლას საქართველოს საპატრიარქო ტახტზე და გამოვითხოვთ თქვენს ლოცვებს ჩვენი ეკლესიისა და მისი მამამთავრისათვის.

გეხვევით რა ქრისტესმიერი სიყვარულით, ვრჩები მუდამ ჩემს ლოცვებში თქვენი მომხსენებელი“ (იქვე :140-141).

1978 წლის 23 იანვარს, საპასუხო წერილი გამოგზავნა სინას მთის ავტონომიური ეკლესიის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა დამიანემ, რომელმაც კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა და ინტრონიზაცია მიულოცა საქართველოს ეკლესიის მამამთავარს. „გისურვებდით, რომ წმიდა სული მიგიძღოდეთ თქვენ, თქვენს წმიდა საქმიანობაში. ვრჩები თქვენი უნეტარესობის მოყვარული ძმა ქრისტეში“ (იქვე :144), - ნათქვამია მთავარეპისკოპოს დამიანეს მილოცვაში.

1978 წლის 16 თებერვალს, საპასუხო წერილი გამოგზავნა ყოვლადუწმიდესმა მსოფლიო პატრიარქმა და კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიოს პირველმა, რომელშიც საუკეთესო სურვილებით მიმართა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. აგრეთვე, მცირე ხანში, ამავე წლის 13 აპრილს, პატრიარქმა დიმიტრიოსმა, მეორე წერილიც გამოგზავნა, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს აუწყებდა: „საპატიო მიზეზების გამო ვერ შევძელით დავსწრებოდით თქვენი უნეტარესობის ინტრონიზაციას 1977 წლის 25 დეკემბერს... ვფიქრობთ, რომ დადგა შესაფერისი დრო, რათა ვეწვიოთ თქვენს უნეტარესობასა და თქვენს ეკლესიას ამა წლის 1-3 ივნისს. ჩვენი დელეგაციის

შემადგენლობაში იქნებიან: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი მელიტონ ქალკედონელი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომეოსი და სკანდინავიისა და შვეციის მიტროპოლიტი პავლე. ისინი გადმოგცემენ თქვენ, ჩვენს საუკეთესო სურვილებსა და პატივისცემას თქვენი და თქვენი ხალხის მიმართ...“ (იქვე :148).

1978 წლის გაზაფხულზე უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თანხმლებ პირებთან ერთად ეწვია რუსეთს. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი აირჩიეს მოსკოვის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად. აღნიშნულ ღონისძიებაზე საქართველოს ეკლესიის მეთაური წარდგა სიტყვით და რჩევა-დარიგებებით მიმართა იქაურ სტუდენტობას, ხოლო მოსკოვის სასულიერო აკადემიის ბიბლიოთეკას უსახსოვრა აკადემიკოს აკაკი შანიძის მიერ აღდგენილი ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“. ასევე, საქართველოს დელეგაცია იმყოფებოდა ლენინგრადში (ამჟამად სანკტ-პეტერბურგი), სადაც აღესრულა საღმრთო ლიტურგია და სხვადასხვა ღონისძიება. ხსენებული ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია რიგას. ლატვიის მთავარეპისკოპოსმა ლეონიდემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტის აღსანიშნავად რიგის საკათედრო ტაძარში აღავლინა საზეიმო პარაკლისი, რომელსაც ლატვიაში არსებული სხვა კონფესიების მეთაურებიც დაესწრნენ. რიგიდან საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლობა კვლავ მოსკოვში დაბრუნდა, სადაც მოსკოვის ელოხოვის საპატრიარქო ტაძარში სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის პიმენისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მიერ აღევლინა წირვა-ლოცვა რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავართა და სამღვდელო პირთა თანამსახურებით.

1978 წლის 4 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ეწვივნენ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაცია, ქალკედონის მიტროპოლიტის მელიტონის ხელმძღვანელობითა და ანტიოქიის საპატრიარქოს დელეგაცია, ტრიპოლის მიტროპოლიტის ილიას მეთაურობით. აღსრულდა ერთობლივი საღმრთო ლიტურგია სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში.

1978 წლის 30 სექტემბერს თანხმლებ დელეგაციასთან ერთად საქართველოში ვიზიტით ჩამობრძანდა უნეტარესი სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტი და ნიუ-იორკის მთავარეპისკოპოსი თეოდოსი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ „აღნიშნა, რომ ერთმორწმუნე ამერიკული - ავტოკეფალური ეკლესიის მამათმთავრისა და მისი თანმხლები პირების ვიზიტი საქართველოში მისასალმებელია და სასიხარულო, რომ ეს პირველი ვიზიტია ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებისა საქართველოს ერთმორწმუნე ეკლესიაში. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა გამოთქვა რწმენა, რომ ეს ვიზიტი იქნება დასაწყისი იმ დიდი ურთიერთობისა, რაც საქართველოსა და ამერიკის ერთმორწმუნე ეკლესიებს შორის უნდა დამყარდეს“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1978:40). უნეტარესმა სრულიად ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა თეოდოსიმ აღნიშნა, რომ მისი საქართველოში ვიზიტის უპირველესი მიზანი იყო, რომ გაცნობოდა უძველეს ქრისტიანულ კერას, იმ ქვეყანას (საქართველოს), რომელმაც ერთ-ერთმა პირველმა დაარწია ქრისტიანობის აკვანი მსოფლიოში. უნეტარესმა მიტროპოლიტმა თეოდოსიმ აღნიშნა: „ქრისტიანულ სამყაროში ძნელად მოიძებნება ერი, უფრო დიდად და უფრო ღრმად რომ იყოს შესისხლხორცებული ქრისტიანულ რელიგიას და ჩვენც მოვედით, რათა ვიხილოთ ეს ერი და გავიცნოთ იგი. ჩვენ სულ ახალგაზრდები ვართ, ჩვენი ავტოკეფალია სულ რამდენიმე წელია, რაც დაკანონდა. ჩვენ მოვედით უფროს ძმასთან გამოცდილების, ცოდნის, სიბრძნის მისაღებად და გვჯერა, რომ ეს პირველი ვიზიტი იქნება უფრო დიდი და საფუძვლიანი მომავალი ურთიერთობების მომასწავებელი“ (იქვე :40). ამავე წლის 1 ოქტომბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოსა და ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელი ეკლესიების მამამთავრებმა აღავლინეს საღმრთო ლიტურგია. გაიმართა სხვადასხვა ღონისძიება ამერიკელი ერთმორწმუნე სტუმრების პატივსაცემად. ამერიკის მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაცია 3 ოქტომბერს გაემგზავრა საქართველოდან.

შევნიშნავთ, რომ ამერიკისა და კანადის მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია მიენიჭა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიისგან, 1970 წლის 10 აპრილს. აღნიშნულ ავტოკეფალიას დღემდე არ სცნობს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქო, რომელიც მიიჩნევს, რომ ავტოკეფალიის მინიჭება მხოლოდ მისი პრეროგატივაა და შესაბამისად, რუსეთის ეკლესიას არ გააჩნდა უფლება ავტოკეფალია მიენიჭებინა სხვა ეკლესიისთვის.

აგრეთვე, ამერიკასა და კანადას კონსტანტინეპოლის საპატრიარქო თვლის თავის კანონიკურ ტერიტორიად.

1978 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ პირველი ეპისტოლეთი (საახალწლო) მიმართა ღმრთისაგან მისთვის დადგენილ სამწყსოს, სრულიად საქართველოს: „დიდება და მზეგრძელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას; სარწმუნოების, შრომის, სიყვარულისა და სიკეთის გზით წინ უკვდავებისაკენ, ღვთისმშობლის ხვედრი ჩვენი კურთხეული მიწის შვილებო! „მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი თქვენ ყოველთა თანა! ამინ!“ (I რომ. 16, 24)“ (საქ. ეკლ. კალ. 1978:3-6).

ეპისტოლეების შინაარსს მკაცრად აკონტროლებდა ცენზურის განმახორციელებელი სპეციალური სახელმწიფო ორგანო „მთავლიტი“, რომლის ცენტრი იყო მოსკოვში, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში მოქმედებდა მისი ადგილორივი სტრუქტურები, რომლებიც სრულად აკონტროლებდნენ ბეჭდურ გამოცემებს. აღნიშნული ორგანო რეალურად იყო რეპრესიების ინსტიტუტი. არსებობდა სპეციალური დადგენილება, რომ მისი ნამდვილი ფუნქცია არ უნდა გამჟღავნებულიყო. ყველა ბეჭდურ გამოცემას ჰქონდა „მთავლიტის“ სპეციალური ნომერი.

ამგვარად, შიდა და საგარეო ასპარეზზე იწყებოდა პირველი ნაბიჯები, რომელსაც მომავალი წარმატება უნდა მოეტანა საქართველოს უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. გამოწვევა გახლდათ მრავალი... ჯერ რუსეთის იმპერიალისტური უღლისა და ავტოკეფალიის ხელყოფის იარები არ მორჩენილიყო, როდესაც 1921 წელს საქართველოში დამყარდა საბჭოთა საოკუპაციო მმართველობა, რომლის ინერცია და აბსოლუტური ქმედითობა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში გრძელდებოდა... იმჟამინდელი სახელმწიფო კვლავაც იდეოლოგიურ მტრად აღიქვამდა ეკლესიას.

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მამამთავრობის დასაწყისში, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე არაერთი მწვავე პრობლემა იდგა: ეკლესიის სრული იზოლირება სახელმწიფოსაგან, რამაც ათწლეულების განმავლობაში საზოგადოების ეკლესიასთან გაუცხოვება გამოიწვია; საპატრიარქოს უკიდურესი სიდუხჭირე და ფაქტობრივად არარსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; განათლებულ სასულიერო პირთა ნაკლებობა;

ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების უმნიშვნელოვანესი საკითხი; მხოლოდ ერთადერთი მოქმედი სასულიერო სასწავლებელი - მცხეთის სასულიერო სემინარია და ამ ფონზე სასულიერო განათლების კერების ფაქტობრივი არარსებობა; ეკლესიას არავითარი ბეჭდვითი გამოცემა გააჩნდა, გარდა კალენდრისა; ფიქტიურად მოქმედი ეპარქიები, რაც მღვდელმთავართა სრულ უმრავლესობას იძულებულს ხდიდა, რომ თბილისში ეცხოვრათ და იქვე აღესრულებინათ ღმრთისმსახურება...

საბჭოთა ხელისუფლება ათწლეულების განმავლობაში, ათეისტური და ეკლესიისადმი მტრული სულისკვეთებით ზრდიდა თაობებს. შესაბამისად, ხალხის უმრავლესობა გაუცხოებული იყო ეკლესიასთან და ყოველგვარ ეკლესიურთან. ათეიზმის პროპაგანდა და ურწმუნოებით აღზრდა ჯერ კიდევ საშუალო სკოლის ასაკიდან იწყებოდა და ადამიანებს ბავშვობიდანვე უნერგავდნენ სულისკვეთებას ღმერთის არარსებობის შესახებ.

აღნიშნულის დასტურად მოვიტანთ ოფიციალური ხელისუფლების ცნობილი ათეისტის, პროფესორ თ. ფანჯიკიძის თვალსაზრისს, რა უნდა გაკეთებულიყო ამ მიმართულებით: „სკოლაში ათეისტური მუშაობის წარმართვისას, უნდა გამოვყოთ სამი მიმართულება:

1.ათეისტური რწმენის ჩამოყალიბება სასწავლო პროცესში;

2. კლასგარეშე ათეისტური მუშაობა მოსწავლეებთან;

3. ათეისტური ცოდნის პროპაგანდა მშობლებთან“ (ფანჯიკიძე, 1983:208).

აგრეთვე, ერთ-ერთი ცნობილი ათეისტი, დავით გეგეშიძე აღნიშნავდა: „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე შემდეგი სახის დასკვნები კეთდება: რელიგიებში ასახულია გარკვეული სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობანი. მართლმადიდებლობაში გამოწვეული ცვლილებები თანამედროვეობის თავისებურებებით არის განპირობებული, მაგრამ მიუხედავად ამისა მოდერნიზმი არ შეხებია და არც შეიძლება შეხებოდა რელიგიურ დოგმატიკას, რელიგიის არსს... გამოყენებული უნდა იქნას მოდერნიზმის რელიგიებისათვის დამანგრეველი ძალა... მოდერნიზმი რელიგიური იდეოლოგიის კრიზისული მდგომარეობის გამოხატულებას წარმოადგენს. სწორედ ეს შინაგანი წინააღმდეგობა უნდა იქნას გამოყენებული ათეისტური მუშაობის მიზანდასახული წარმართვის მიღწევისთვის... ასეთ პირობებში საჭიროა გამოაშკარავებული იქნას თეოლოგიაში მეცნიერების და რელიგიის დანათესავების შესაძლებლობის ცდების

მიუღებლობა. უკანასკნელ დროს სათანადო ყურადღება ეთმობა ათეისტური მუშაობის მიზანდასახულ წარმართვას... საბჭოთა ადამიანები წარმატებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. მათთვის უცხოა ყოველგვარი სახის რელიგია. მათ კარგად იციან, რომ როგორადაც არ უნდა იქნას „შეკაზმული“ და „შელამაზებული“ რელიგიური შეხედულებანი, ისინი მხოლოდ ზიანს მოუტანენ საბჭოთა ადამიანებს. ადამიანები უარს ამბობენ რელიგიაზე, მაგრამ ადამიანთა ერთი ნაწილი ჯერ კიდევ იმყოფება რელიგიის გავლენის ქვეშ, რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანებელი და მათი აქტიური წევრები ახალ და ახალ საშუალებებს ხმარობენ, რათა შეინარჩუნონ მრევლი. ამიტომ არის საჭირო მოდერნიზმის პრინციპების გამოვლენა, მისი ანალიზი, მეცნიერულ-ათეისტური მუშაობის ფართო გაშლა და დადებითი შედეგების მიღწევა“ (გეგეშიძე, 1976:101,103-104).

ათეისტური გარემო იყო უმაღლეს სასწავლებლებსა და ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. იწყებოდა უმძიმესი გზა, რომელსაც საბჭოთა ათეისტური მმართველობის მარწუხებში მოქცეული ქართველი ხალხისა და საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიისათვის ქრისტესმიერი შვება უნდა მოეტანა... პირველი ნაბიჯები, სწორედ ამ საუკუნოვანი მისიის აღსრულების მომზადების ეტაპს წარმოადგენდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ეკლესიის ფაქტობრივ უუფლებობაზე ნათლად მეტყველებს უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის წერილები ხელისუფლების ოფიციალური პირებისადმი. აღნიშნულ წერილებში, საქართველოს ეკლესიის მამამთავარი ითხოვს იმგვარი საკითხის გადაწყვეტისათვის ხელისუფლების ნებართვას, როგორიცაა ყველაზე ელემენტარული, საქართველოს ეკლესიის კალენდრის გამოცემა. 1978 წლის 12 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, ზურაბ პატარიძისადმი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წერს: „მოგახსენებთ, რომ საქართველოს ეკლესიის კალენდარი, რომელიც გამოდის ყოველწლიურად 4500-იანი ტირაჟით, რაოდენობრივად ვერ აკმაყოფილებს ჩვენი ეკლესიის მოთხოვნილებას... გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და გასცეთ განკარგულება, რომ მომავალი წლების კალენდრის ტირაჟი გაგვიზარდონ 15 ათასამდე“ (კაცაძე, ნაწ. I, 2016:162).

საბჭოთა კავშირში მოქმედებდა რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რომელიც სრულად აკონტროლებდა საბჭოეთში არსებული ყველა რელიგიური მიმდინარეობის საქმიანობას. თავდაპირველად 1943 წლის 8 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა ეკლესიის საქმეთა საბჭო, რომელიც იწოდებოდა რუსეთის ეკლესიასთან არსებულ საბჭოდ, რითაც ზიანდებოდა საქართველოს ეკლესიის, როგორც ავტოკეფალური საყდრის ავტორიტეტი და ილახებოდა მისი უფლებები. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში სახალხო კომისართა საბჭოსთან დაარსდა ეკლესიის საქმეთა რწმუნებულის აპარატი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა კალე ქადაგიშვილი. აღნიშნული ორგანო ექვემდებარებოდა საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის საბჭოს. საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 22 აგვისტოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მართლმადიდებელი ეკლესიის რწმუნებულის თანამდებობა.

რელიგიის საქმეთა რწმუნებულის უპირველესი მოვალეობა იყო, რომ იგი უნდა ყოფილიყო შუმავალი რგოლი ეკლესიასა და ხელისუფლებას შორის. საერო კანონმდებლობის მიხედვით მას უნდა განეხორციელებინა სრული კონტროლი ეკლესიასა და სასულიერო პირებზე. ფაქტობრივად, ეს იყო ოფიციალური, კანონიერი ორგანო ეკლესიის წინააღმდეგ სამოქმედოდ.

იოსებ სტალინმა პეტრე პირველის დროინდელ ობერპროკორურის ინსტიტუტს სახელი შეუცვალა, მაგრამ იგივე შინაარსი დაუტოვა.

ოდნავ მოგვიანებით, ამავე წლის 1 ნოემბერს საქართველოს ეკლესიის მეთაურის წერილში იგივე პერსონისადმი წარმოდგენილია თხოვნა, სხვადასხვა ტიპისა და სახეობის კალენდრის საჭიროებისათვის საპატრიარქოს გადაცემოდა შესაბამისი ქაღალდი.

1978 წლის ნოემბერში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის, თენგიზ ონოფრიშვილისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „გთხოვთ, დაგვრთოთ ნება, გავხსნათ სახელოსნო საეკლესიო ნივთების დასამზადებლად. რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას, სომეხეთის ეკლესიასა და სხვა რესპუბლიკაში არსებულ რელიგიურ ცენტრებს, უკვე დიდი ხანია მიეცათ უფლება სახელოსნოების გახსნისა, სადაც აწარმოებენ მათთვის საჭირო საეკლესიო ნივთებს“ (იქვე

:163). გარდა ამისა, ეკლესიას უმძიმეს მდგომარეობაში აყენებდა საშემოსავლო დაბეგვრა (შემოსავლის 87%), რაც აისახებოდა სასულიერო პირებისა და მათი ოჯახების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაზე. გარდა სოციალური პრობლემებისა, ასევე იყო საფრთხე სასულიერო პირთა ოჯახების წევრების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფისა.

ზემოთ წარმოდგენილი წერილების ამონარიდებში არსებული თხოვნები ამჟამინდელი გადასახედიდან გაოცებასა და ფრიად გაკვირვებას იწვევს, რისთვის და რა ელემენტარული საკითხების გადაწყვეტისათვის ესაჭიროებოდა ეკლესიას ხელისუფლების ნებართვა. თუ ამგვარ ყოფით საკითხებში სახელმწიფოს გარეშე ვერაფერი გადაწყდებოდა, მაშინ რთული არაა წარმოვიდგინოთ, რა პრობლემური ვითარება იქნებოდა ეკლესიისთვის სხვა, გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტა და აღსრულება.

საქართველოს ეკლესიის მცირერიცხოვანი მრევლი გაუცნობიერებელი იყო საეკლესიო საკითხებში. „პირველ ხანებში პატრიარქის შემმოსველნი ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან მოსული რუსი სტიქაროსნები იყვნენ. უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე, სიონის საპატრიარქო ტაძარში შეკრებილ ხალხს, რომელიც ჯერ მრევლი არ იყო, ასწავლიდა, როგორ უნდა ელოცათ, რომელი ლოცვები უნდა ესწავლათ, როგორ უნდა გადაეწერათ პირჯვარი, რატომ იყო აუცილებელი წირვა-ლოცვაზე ბოლომდე დასწრება, რატომ უნდა დაეცვათ მარხვა, ეთქვათ აღსარება და მიეღოთ წმიდა ზიარება, რატომ იყო ტაძარში საჭირო სიწყნარე წირვა-ლოცვის დროს, რატომ იყო აუცილებელი ტაძარში სალოცავად მოსული ქალისთვის თავსაბურავით ყოფნა...“ (ვარდოსანიძე, 2017:379).

თუმცა, უფლის შეწევნით, დგებოდა ჟამი შენებისა და აღმავლობისა... 1978 წელს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევითა და დიდი ღვაწლით შეძლო გამოეცა ფერადი, ილუსტრირებული ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“. 1978 წლის 3 ნოემბრით დათარიღებულ წერილში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, თენგიზ ონოფრიშვილს ატყობინებდა: „სრულიად საქართველოს საპატრიარქოს მზად აქვს დასაბეჭდად 1978 წლის მაგიდის, კედლისა და ჯიბის კალენდრები. აგრეთვე, მზად არის, 1978 წლის ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“ N1, რომელიც შესწავლილი და მოწონებულია სარედაქციო კოლეგიის მიერ. გთხოვთ, მოგვცეთ

სათანადო შუამდგომლობა, „მთავლიტის“ წინაშე ზემოთ ხსენებული კრებულის გამოსაცემად“ (კაცაძე, ნაწ. I, 2016:164).

“თავდაპირველად განზრახული იყო ჟურნალი ყოველთვიური ყოფილიყო, მაგრამ ხელისუფლების მძაფრი წინააღმდეგობის გამო გადაწყდა ყოველწლიურად ორი ნომრის გამოშვება. ჟურნალს უნდა გაეშუქებინა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია, წმიდა სინოდის სხდომები, თეოლოგიის, მართლმადიდებელ ეკლესიებთან ურთიერთობის საკითხები. ჟურნალს აგრეთვე ჰქონდა რეზიუმეები ინგლისურ და რუსულ ენებზე“ (ვარდოსანიძე, 2017:381).

1978 წელს გამოიცა ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ პირველი ნომერი, რომელშიც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წერდა: „დადგა დრო, როცა საქართველოს უძველეს, მადლმოსილ ეკლესიას მიეცა საშუალება, გამოუშვას თავისი ჟურნალი. ისეთი მდიდარი, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის მქონე, დამოუკიდებელი, სამოციქულო ეკლესია, როგორიც ჩვენია, წარმოუდგენელია ბეჭდვითი ორგანოს გარეშე. ბოლო ათეული წლების განმავლობაში საქართველოში აღარ გამოდიოდა საეკლესიო ჟურნალი, მაგრამ ფიქრი და ზრუნვა მასზე არასდროს შეწყვეტილა. დღეს კი, ვმადლობთ უფალსა ჩვენსა, განმგებელსა და მწყალობელს, რომ გვიკურთხა ამ ოცნების განხორციელება. უპირველესად ყოვლისა, თვით სახელწოდება „ჯვარი ვაზისა“ უკვე მეტყველებს იმაზე, რომ ჟურნალი უმთავრესად შეეხება ჩვენი ეკლესიისა და იმ ერის სულიერ ცხოვრებას, რომელიც ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ეზიარა ქრისტეს მოძღვრებას და რომელსაც ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა უბოძა ჯვარი ვაზისა, როგორც სიმბოლო ძლევისა და სულიერი ამაღლებისა... საქართველოს საპატრიარქო მადლობის გრძნობით მიიღებს ჩვენი მკითხველის შენიშვნებსა და წინადადებებს. მე ღვთისაგან მონიჭებული მადლით ვლოცავ ჩვენს ახალ ჟურნალს და შევსთხოვ უფალს, „ჯვარმა ვაზისამ“ შეასრულოს ის მისია, რომელიც მას ეკისრება“ („ჯვარი ვაზისა“, N1, 1978:4-5).

1978 წელს გამოიცა ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ მეორე ნომერიც, რომელშიც მრავალ პუბლიკაციას შორის პირველი დაიბეჭდა ქუთათელ-გაენათელი და ნიკორწმინდელი ეპისკოპოსის (შემდგომ მიტროპოლიტი) შიოს (ავალიშვილი) სიტყვა, წარმოთქმული 1978 წლის 24 დეკემბერს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, უწმიდესისა და

უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს აღსაყდრების პირველ წლისთავზე. ეპისკოპოსმა შიომ თავის სიტყვაში აღნიშნა: „თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! მე სიხარულით ვასრულებ საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდის დავალებას და მოგმართავთ ამ მოკლე სიტყვით! პირველ ყოვლისა, უნდა დავლოცო ღვთის განგება, მისი მადლი და მოწყალება იმისათვის, რომ მეხსიერება მოგვმადლა ადამიანებს, რათა ჩვენი ახლანდელი და მომავალი ყოველი წამი დავუკავშიროთ წარსულსა და მარადიულობის განუზომელ საოცრებას. ამ მეხსიერების წყალობით, როგორც გუშინდელი დღე, ისე გვიდგას თვალწინ განვლილი წლის 25 დეკემბერი, თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის აღსაყდრების დღე სრულიად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ღვთივკურთხეულ ტახტზე... იცოდა ხალხმა, იცოდა კარგად და შეუცდომლად, რომ ხდებოდა აღსაყდრება დაბრძენებული და სპეტაკი ერისშვილისა, ამიტომ იყო აღტაცებული ყველა... იწვის თქვენი სული და ენერგია ერის სამსახურის სამსხვერპლოზე მიტანილი და შედეგსაც აღწევს!.. თქვენ ქადაგებთ ღვთის სიყვარულს, მშვიდობას, ერის ერთგულებას, მთავრობის ერთგულებას და სასოებას ყოველივე იმის აღსასრულებლად, რისთვისაც სიცოცხლე მოგვანიჭა მრავალმოწყალე და კაცთმოყვარე ღმერთმა“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1978:4-5).

ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ გამოცემა იყო იმჟამად უმნიშვნელოვანესი და თანამედროვე ეპოქისათვის ერთ-ერთი გარდამტეხი ძვრა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში. ცხადი იყო, რომ ძირეული ცვლილებები ეკლესიაში კეთილდღეობის დასადგურების გზაზე, გარდაუვალი ხდებოდა...

მეტად პრობლემური იყო მღვდელმთავართა რაოდენობის სიმწირე საქართველოს ეკლესიაში. მართალია, 1978 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორესა და წმიდა სინოდის იმჟამინდელი წევრების მიერ ექვსი მღვდელმთავარი (მიტროპოლიტი ნიკოლოზი (მახარაძე; 19.02.1978), მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი; 25.02.1978), მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი; 28.07.1978), მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი; 2.08.1978); მიტროპოლიტი კონსტანტინე (მელიქიძე; 29.10.1978), მიტროპოლიტი დავითი (ჭკადუა; 15.12.1978), მიტროპოლიტი ათანასე (სქემმიტროპოლიტი ეფრემი; ჩახვაშვილი; 24.12.1978) იქნა ხელდასხმული, თუმცა, საქართველოს უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის აღორძინებისა და გაძლიერებისათვის

გაცილებით მეტი რაოდენობის მღვდელმთავარი იყო საჭირო, რასაც ოფიციალური ხელისუფლება არ თმობდა... კათოლიკოს-პატრიარქმა, ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, წმიდა სინოდის წევრთა რაოდენობა გაზარდა თორმეტამდე.

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე ცდილობდა საქართველოს ეკლესიის ჩაკეტილი სივრციდან გამოყვანას და ამ მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებას იყენებდა. 1978 წლის 24 ნოემბერს გამოჩენილი ქართველი კინორეჟისორის, რევაზ თაბუკაშვილის მონდომებითა და თაოსნობით, იტალიიდან საქართველოში ჩამოასვენეს 1911 წელს ტრაგიკულად გარდაცვლილი ქართველი მეცნიერი და კათოლიკე მღვდელი მიხეილ თამარაშვილი. 1978 წლის 26 ნოემბერს, ხელოვნების მუზეუმის დარბაზში გამართულ პანაშვიდზე მიბრძანდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც დიდუბის პანთეონში, მიხეილ თამარაშვილის ნეშტის დაკრძალვისას, წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც წარმოაჩინა ისტორიული პარალელები ქართველი ხალხისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის მუდამ ერთად დგომისა და ყოფნა-არსებობის შესახებ.

1979 წლიდან, თბილისის სიონის საპატრიარქო ტაძარში დაბრძანდა მაცხოვრის, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის, წმიდა ნინოსა და ქართველ წმიდათა ქართული იკონოგრაფიით შესრულებული ხატები, რაც იშვიათობა იყო მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში.

აღნიშნული ქმედება ჯერ კიდევ აქტიურად მოქმედი საბჭოთა აგრესიული ათეიზმის ხანაში მეტად სარისკო იყო, თუმცა კათოლიკოს-პატრიარქმა ამ მხრივაც წარმოაჩინა ეროვნულ-სარწმუნოებრივი გამბედაობის საუკეთესო მაგალითი და სრულიად სამართლიანად გაბედა ის, რასაც მანამდე ოცნებაშიც ვერავინ წარმოიდგენდა... ცხადი ხდებოდა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე საბჭოთა ტოტალიტარულ რეჟიმს ერისა და ეკლესიისთვის სასარგებლო, გონივრული ქმედებებითა და ნაბიჯებით უპირისპირდებოდა... ათეისტურ პროგანდაში ჩაძირულ ერს ესაჭიროებოდა ცოცხალი მაგალითი. სწორედ ზემოთ აღნიშნული ქმედებით ცოცხალი მაგალითის მისია აღასრულა უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ.

ოფიციალური ხელისუფლების მხრიდან კი ათეიზმის პროპაგანდა და ღმრთისა და ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა ახალი მეთოდებით გამოიხატებოდა. 1979 წლის 26 აპრილს

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, რომელშიც ცალსახად გაესვა ხაზი ათეისტური აღზრდის გაძლიერებას რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლაში, კომუნისტებისა და კომკავშირლების მოტივაციისა და პასუხისმგებლობის ამაღლების მიზანმიმართულობასა და აუცილებლობას. „როგორც საქართველოს პარტიული აქტივის კრებაზე აღინიშნა: „უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ სრულვყოთ რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები და მეთოდები...“ სხვადასხვა იდეოლოგიურმა დაწესებულებებმა „უნდა მოიფიქრონ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის ათეისტური აღზრდის გაძლიერებისთვის, ჩვენს საზოგადოებაში რელიგიური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის საჭირო ღონისძიებათა კომპლექსი“ (ფანჯიკიძე, 1983:210-211). ამგვარ ვითარებაში, როდესაც ხელისუფლება ოფიციალურად ქრისტიანობასა და ქრისტეს ეკლესიას კვლავ იდეოლოგიურ მტრად მიიჩნევდა, საჭირო იყო მეტად მოზომილი და ამავდროულად ქმედითი ნაბიჯები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქიისა და უშუალოდ კათოლიკოს-პატრიარქის მხრიდან... ცხადი ხდებოდა, რომ მთავრობა თანდათან ხვეწდა თავის პროპაგანდისტულ და მტრულ მეთოდებს ეკლესიის წინააღმდეგ.

1979 წლის 29 ნოემბერს თბილისში მუშაობას შეუდგა ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციის საერთაშორისო კომისიის სხდომები, რომლის თემა იყო „ჩვენი წუთისოფელი, მისი პრობლემები და იმედები ქრისტიანული თვალსაზრისით“. კონფერენციაში მონაწილეობდნენ თექვსმეტი ქვეყნის ორმოცდაერთი წარმომადგენელი, მსოფლიოს ყველა კონტინენტიდან, სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობიდან.

ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციაში, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიიდან მონაწილეობდნენ: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე; ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი); ნიკორწმინდელი და მარგველი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე); სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მესხეთ-ჯავახეთის ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე); დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე, დეკანოზი გურამ შალამბერიძე (ამჟამად

ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი გიორგი); მცხეთის სასულიერო სემინარიის სტუდენტი (შემდგომში დეკანოზი) ზურაბ სირაძე.

საერთაშორისო კომისიის სხდომა გახსნა და კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც აღნიშნა: „დღეს ჩემი გული აღვსილია მრავალი გრძნობით და აზრით. უპირველეს ყოვლისა, მინდა გამოვთქვა დიდი სიხარული და ჩვენი თქვენდამი უღრმესი პატივისცემა. ქსკ-ის საერთაშორისო კომისიის სხდომა ტარდება საქართველოში, სადაც ხალხი, თითქმის ორი ათასი წლის მანძილზე სისხლის ფასად იცავდა ქრისტიანულ რწმენას, თავის კულტურას და ეროვნულ თვითშეგნებას. ჩვენი სამოციქულო ეკლესიის და ჩვენი ხალხის სახელით მოგესალმებით ძვირფას სტუმრებს“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1979:29).

კონფერენციის დახურვის დღეს, 3 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღნიშნა: „საერთაშორისო კომისიის სხდომა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში. ეს სხდომა მით უფრო მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც ასე გამწვავდა საერთაშორისო მდგომარეობა, როდესაც მსოფლიოს ომის საფრთხე ემუქრება. ყოველ ჩვენგანს ესმის, რომ თითოეული ადამიანის სიცოცხლე აუნაზღაურებელი წყალობაა ღვთისა... ჩვენი ერი, ესმოდა რა აუცილებლობა სულიერი სრულყოფის ამ რთული პროცესებისა, მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ეძებდა და დღესაც ეძებს იმ სულიერ ღირებულებებს, რომლებიც განაპირობებენ სულიერ გარდაქმნასა და სრულყოფას. ერთ-ერთი სულიერი ღირებულება, რომელსაც ეძებს ჩვენი ხალხი, არის შინაგანი და გარეგანი მშვიდობა... ჩვენი უძველესი სამოციქულო ეკლესიის სახელით კიდევ ერთხელ მოგესალმებით ჩვენს ძვირფასს სტუმრებს, ჩვენი რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეებსა და მეცნიერებს. ღვთის „წყალობაჲ თქუენ თანა და მშვიდობაჲ და სიყუარული განმრავლდინ! (იუდ. 1,2)“ (კაცაძე, ნაწ. I, 2016:205-206). ქრისტიანთა სამშვიდობო კონფერენციაზე აგრეთვე სიტყვით წარსდგა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ბევრს ფიქრობდა, როგორ მოეხერხებინა ქართველ მეცნიერებთან ათეისტური პოლიტიკის შედეგად ჩატეხილი ხიდის აღდგენა. 1979 წლის 25 ნოემბერს კათოლიკოს-პატრიარქმა დაბადებიდან სამოცდაათი წელი

დეპეშით მიულოცა ცნობილ ქართველ პოეტ-აკადემიკოსს, ირაკლი აბაშიძეს. აღსანიშნავია ცნობილი ქართველი არტისტის, ვერიკო ანჯაფარიძის წერილი, რომლითაც იგი ახალ წელს ულოცავს უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ეკლესიისა და საზოგადოების კვლავ შეკავშირების გზაზე, ერთ-ერთ უმთავრესს, სწორედ ამგვარი ქმედებები წარმოადგენდა, რასაც, საქართველოს ეკლესიის მეთაური, გონივრულად აწარმოებდა თავისი მამამთავრობის როგორც პირველ წლებში, ასევე შემდგომ პერიოდშიც.

საქართველოს ეკლესიისთვის მეტად პოზიტიური და ნაყოფიერი მოვლენა იყო 1978 წლის ზაფხულში საქართველოში ათონის მთის გუბერნატორის, დოქტორ დიმიტრიოს ცამისის ვიზიტი, რომელიც უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის მოწვევით ესტუმრა ჩვენს ქვეყანას. კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნით, ოფიციალურმა ხელისუფლებამ დოქტორი ცამისი მიიწვია ხელნაწერთა ინსტიტუტში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეროვნულ მუზეუმში... ამ ვიზიტის კვალად საქართველოს ეკლესიის მამამთავარს მიეცა შესაძლებლობა, რომ შეხვედროდა ჩვენი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებს, სტუდენტებს...

ამგვარად, მიუხედავად უმძიმესი სახელმწიფოებრივი წნეხისა, ტოტალიტარული კონტროლისა და ჩაკეტილობისა, საზოგადოებასთან ხიდჩატეხილობისა, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულიდან საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მამამთავრობით, მისი დიდი მონდომებითა და გონივრული ქმედებებით, ეტაპობრივად, თუმცა მაინც, გამოდიოდა იმ ზოგადი იზოლაციიდან, რაშიც კომუნისტური მთავრობა, ათწლეულების განმავლობაში ამყოფებდა ეკლესიას. ცხადი ხდებოდა, რომ ათეისტური მმართველობა, მიუხედავად ახალ-ახალი საცეცების ამოქმედებისა, ნელ-ნელა კარგავდა კონტროლს ეკლესიაზე. იწყებოდა გამოწვევებით აღსავსე ახალი ხანა - მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლები, როდესა ახალი მეთოდებით მორიგი პრობლემური გამოწვევები წამოიჭრა საქართველოს ეკლესიის წინაშე და რასაც, კვლავ თავისი ბრძნული ნაბიჯებით, სამღვდელმთავრო ხანისა და პატრიარქობის პირველი წლების გამოცდილებით, სიფრთხილითა და შესაბამისი ზომებით უმკლავდებოდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია

მეორე და მისი მამამთავრული ომოფორის ქვეშ მყოფი ივერიის უძველესი სამოციქულო საყდარი.

1.3. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ისტორიული წინაპირობები და ავტოკეფალური მოძრაობის წარმატებით დაგვირგვინება

მას შემდეგ, რაც 1917 წელს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას წარმოადგენდა ისტორიული ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარების საკითხი. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ერთ-ერთ უპირველეს და უმნიშვნელოვანეს ყურადღებას აქცევდა აღნიშნული პრობლემატური გამოწვევის მოგვარებას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია უნდა ეღიარებინა და ეცნო კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს, რაც გახდებოდა საფუძველი ყოველი ადგილობრივი ეკლესიის მიერ, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის სრულფასოვანი აღიარებისა.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია არის ერთ-ერთი უძველესი სამოციქულო საყდარი ქრისტეს ეკლესიის ადგილობრივ საყდართაგან, რომელიც, საეკლესიო ტრადიციის თანახმად, დაარსებულია წმიდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის მიერ. საქართველოში ქრისტეს რჯული ასევე იქადაგეს წმიდა მოციქულებმა - მატათამ და სვიმეონ კანანელმა, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე განისვენებენ. საქართველოს ეკლესია არის სამოციქულო პატივის მქონე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იწოდება, როგორც ანდრია მოციქულის საყდარზე მყოფი. საეკლესიო ტრადიციით, პირველი საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან, საქართველოში, კერძოდ მცხეთაში განისვენებს მსოფლიო ქრისტიანობის უდიდესი სიწმიდე - მაცხოვრის კვართი.

325 წელს ნიკეაში გამართულ პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებას ესწრებოდა ორი ეპისკოპოსი საქართველოს ისტორიული ტერიტორიიდან. ესენი იყვნენ: ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე და ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნე (დომნუსი). უაღრესი მნიშვნელობისაა ნიკეის კრებაზე ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობა ისტორიული თვალსაზრისით. ფაქტი ბიჭვინთის ეპისკოპოსის მონაწილეობისა პირველ მსოფლიო კრებაზე,

უთუოდ მოწმობს იმ გარემოებას, რომ 325 წლისათვის დასავლეთ საქართველოში, რომლის ერთ-ერთი ეკონომიური და კულტურული ცენტრი იყო ბიჭვინთა, იმდენად ძლიერი ყოფილა ქრისტიანული ორგანიზაცია, რომ მას საეპისკოპოსო კათედრაც მოეპოვებოდა და მისი წარმომადგენელი მსოფლიო კრებაზეც იქნა მიწვეული. ის გარემოება, რომ სტრატოფილე ბერძენი ეპისკოპოსი იყო (თუმცა ეს არსაიდან ჩანს), ოდნავადაც ვერ შეარყევს დასავლეთ საქართველოში 325 წლისათვის ქრისტიანობის არსებობის ფაქტს... ცხადია, რომ ნიკეის საეკლესიო კრებაზე მიწვეული იყვნენ მნიშვნელოვანი საეკლესიო ცენტრების მოძღვარნი. ასე რომ, როდესაც ჩვენ ნიკეის მამათა სიაში ვკითხულობთ, რომ პირველ საეკლესიო კრებას დაესწრნენ ტრაპეზუნტის ეპისკოპოსი დომნუსი და ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილე, ეს იმას ნიშნავს, რომ ტრაპეზუნტი და ბიჭვინთა აერთიანებდნენ მსხვილ საქრისტიანო ორგანიზაციებს. ახლა საკითხვია, ვისი იყო ეს ორგანიზაცია, მაგალითად, ბიჭვინთის ქრისტიანებისა? იყო ეს მხოლოდ და მხოლოდ ბერძენთა ორგანიზაცია თუ საერთოდ ბიჭვინთის მცხოვრებთა ორგანიზაცია?... მეოთხე საუკუნეში ბიჭვინთის ადგილობრივი მოსახლეობა ზიარებული რომ არ ყოფილიყო ქრისტიანულ მოძღვრებას, განა, შესაძლებელი იქნებოდა ნახევარი საუკუნის ან ცოტა მეტის შემდეგ იქ აგებულიყო ადგილობრივი მცხოვრების მოთავეობით ტაძარი, შემკული მოზაიკური წარწერით, რომელშიც ქტიტორად იხსენიება ქართველი წარჩინებული, ვინმე „ორელი“?! ერთი სიტყვით, ჩვენ საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ სტრატოფილე წარმოადგენდა, საერთოდ, ბიჭვინთის მძლავრ ქრისტიანულ ორგანიზაციას და არა მარტო ქრისტიან ბერძნებს. იგივე უნდა ვთქვათ ტრაპეზუნტელი დომნოსის შესახებაც (გეორგიკა, ტ. I, 1961:6-9).

მაშასადამე, პირველ მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ისტორიული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების მღვდელმთავართა მონაწილეობა ნათლად მიუთითებს საქართველოს ხსენებულ ნაწილში ქრისტიანობის სამოციქულო მემკვიდრეობის მძლავრ და ცენტრალიზებულ არსებობას.

მე-2 მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მონაწილეობას იღებდა საქართველოს (იბერიის) ეკლესიის წარმომადგენელი ეპისკოპოსი პანტოფილე (საქ. ეკლ. კალ. 1974:131).

მეოთხე მსოფლიო კრების ხელისმომწერ მღვდელმთავართა შორის მოიხსენიება ატარვე ტრაპეზუნტელი.

რაც შეეხება თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიას - ქართლს, აღნიშნულ მხარეში მეოთხე საუკუნის ოციან წლებში ქრისტეს რჯული იქადაგა წმინდა მოციქულთასწორმა, კაბადოკიელმა ქალწულმა ნინომ, რომელიც ყოვლადწმინდა ღმრთისმშობლის ლოცვა-კურთხევით ჩამოვიდა საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად.

ივერიის ეკლესიამ დაარსებიდან დღემდე წმიდად დაიცვა ქრისტეს ჭეშმარიტი სარწმუნოება. ქრისტეს წმინდა მოციქულების (ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი, მატათა) ქადაგების შედეგად ქრისტეს შობიდან 40-იან წლებში დაარსდა საქართველოს ეკლესია, რომელიც იწოდება სამოციქულოდ, რადგან ქრისტეს მოციქულების მიერ არის დაფუძნებული. IV საუკუნის 20-იან წლებში კი, მოციქულთასწორის წმიდა ნინოს მოღვაწეობის შედეგად საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოება გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად (ტყეშელაშვილი, 2014:20).

ქართული ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის მოპოვებას ძველი ქართული წყაროები უკავშირებს წმიდა მეფე ვახტანგ გორგასალს მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში. არსებობს მოსაზრება, რომ ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ხსენებული ავტოკეფალია არ იყო სრულყოფილი და ქართული ეკლესია, გარკვეულწილად, ინარჩუნებდა იერარქიულ დამოკიდებულებას ანტიოქიის ეკლესიასთან. თუმცა, ხსენებული მოსაზრება, უფრო ბერძნული სამყაროს დამოკიდებულების ანარეკლი უნდა იყოს, ვიდრე რეალობასთან ახლოს მდგომი. ისტორიკოსი ნ. ლომოური აღნიშნავს: „ანტიოქიის საპატრიარქო ცდილობს კვლავ დაიქვემდებაროს ქართული ეკლესია ან ყოველ შემთხვევაში მასზე რაღაც უფლებები შეინარჩუნოს, მაგრამ ეს ცნობები ვერაფრით შეარყევს დებულებას ქართლის ეკლესიის მიერ ავტოკეფალიის V საუკუნის ბოლოს მიღების შესახებ. პირიქით, ეს ცნობები მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ვახტანგის დროს ქართლის ეკლესიის მიერ მიღებული ავტოკეფალია იმდენად კანონიერი და ზუსტად არგუმენტირებული იყო, მიუხედავად ანტიოქიის პატრიარქატის მცდელობისა საეჭვოდ გაეხადა ეს უფლება, იგი ორივეგზის დადასტურდა საეკლესიო კრებების მიერ“ (იქვე :28). მეცნიერთა უმრავლესობის არგუმენტირებული მოსაზრებით, ქართული ეკლესია ავტოკეფალური გახდა მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, 467-488 წლებში. კათოლიკოსის წოდების დაწესებამდე, ქართლის ეკლესიის მეთაური

გახლდათ მთავარეპისკოპოსი. უდავოა, რომ არ იარსებებდა მთავარეპისკოპოსის წოდება, რომ არა ქართლში არსებული საეპისკოპოსოები და მათი მმართველი ეპისკოპოსები. შესაბამისად, ქართული ეკლესია საეკლესიო ადმინისტრაციული მოწყობის მხრივ დაყოფილი გახლდათ ეპარქიებად - საეპისკოპოსოებად.

ქართლის პირველ კათალიკოსად დადგენილი იქნა პეტრე პირველი, რომელსაც ხელი დაასხა ანტიოქიის პატრიარქმა. ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი, ჯუანშერი არ გვაუწყებს ანტიოქიის პატრიარქის სახელს, რომელმაც კათალიკოსი პეტრე აკურთხა, თუმცა გვაუწყებს, რომ კათალიკოსის დადგინება მოხდა მეფე ვახტანგის სპარსეთიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც მეფეს უკვე კეისრის ასული ჰყავდა ცოლად შერთული. ჯუანშერი აღნიშნავს, რომ ქართლის პირველი კათალიკოსი პეტრე ლეონ პირველი იმპერატორის დროს ჩამოიყვანეს, ე.ი. ეს უნდა მომხდარიყო 457-474 წლებში (იქვე :54).

ისტორიული დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული საეკლესიო ცენტრები VI-IX საუკუნეებში, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში იმყოფებოდა. ხსენებული საეკლესიო ცენტრები იყო: მიტროპოლიები, ავტოკეფალური საარქიეპისკოპოსოები, ეპარქიები. მიტროპოლიათა სიაში დასახელებულია ფაზისის სამიტროპოლიტი, ხოლო ავტოკეფალურ საარქიეპისკოპოსოთა ჩამონათვალში შეტანილია: ნიკოფსიისა და სებასტოპოლისის (აბაზგიის) ეპარქია, ლაზის ეპარქია (ცენტრი ფაზისის სამიტროპოლიტო) ოთხი კათედრით (როდოპოლისი, საისენე, (ცაიში), პეტრა, ზიგანევი). მოგვიანებით, დაარსდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო, რომლის დაარსების თარიღის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. იმჟამინდელი ისტორიულ-პოლიტიკური გარემოებების გათვალისწინებით, აფხაზეთის საკათალიკოსო ვერ დაარსდებოდა მეცხრე საუკუნის 80-90-იან წლებამდე. აფხაზეთის კათოლიკოსის შესახებ ჩვენამდე მოღწეულ ცნობებს შორის ყველაზე ძველია „ახალციხური ტყავის სახარება“, რომელიც დათარიღებულია მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებით. წარსულში მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა IX-XI საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს არსებობას, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ეტაპზე მეცნიერთა უმრავლესობა სადაოდ არ მიიჩნევს IX-XIII საუკუნეებში აფხაზეთის საკათალიკოსოს უწყვეტად არსებობას... XI-XIII საუკუნეების მრავალ სიგელსა თუ საისტორიო წყაროში „კათალიკოსნი“ მრავლობითი ფორმით გვხვდება.

შესაბამისად „კათალიკოსნი“-ს მრავლობით რიცხვში მოხსენიებაში უნდა იგულისხმებოდნენ „ქართლისა და აფხაზეთის“ კათალიკოსები“ (იქვე :178-179).

მაშასადამე, საქართველოში, მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევრამდე არსებობდა ორი საკათალიკოსო, მცხეთისა და ბიჭვინთა-გელათის კათედრებით. არსებობს ისტორიული ცნობები ყოვლისა საქართველოსა (მცხეთის) და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათოლიკოს-პატრიარქთა ურთიერთმიმართების შესახებ, თუმცა, აღნიშნული მრავალსაუკუნოვანი და საკმაოდ მრავალმხრივი გარემოება არ წარმოადგენს ჩვენი კვლევის ობიექტს, არამედ გარკვეული მოცემულობის სახით წარმოვადგინეთ საქართველოს ეკლესიის სამოციქულო პატივი და საქართველოში არსებული ორი ავტოკეფალური საკათალიკოსო ტახტის არსებობა, რომლებიც ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო სივრცეში (ასევე ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდგომაც) თანაარსებობდნენ და თანამოქმედებდნენ. ხსენებული ისტორიული ობიექტური მოცემულობა მოგვიანებით, როდესაც საჭირო გახდა რუსთაგან ხელყოფის შემდეგ საქართველოს ეკლესიის აღდგენილი ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარება, სრულიად სამართლიანად წარმოდგენილი იქნა, როგორც ისტორიული საფუძველი და წარსული მრავალსაუკუნოვანი რეალობა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის აღიარების უმნიშვნელოვანესი მისიის აღსრულებისათვის.

უმძიმესი და სავალალო აღმოჩნდა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართული ეკლესიისთვის, მეთვრამეტე საუკუნის მიწურული და მეცხრამეტე საუკუნე... 1783 წლის 24 ივლისს, ჩრდილოეთ კავკასიაში მდებარე გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის ხელი მოეწერა ტრაქტატს, რომელიც ისტორიაში ცნობილია, როგორც „გეორგიევსკის ტრაქტატი“. 1801 წელს რუსეთმა მოახდინა ქართლ-კახეთის ანექსია. რასაკვირველია, იმპერიის დღის წესრიგში დადგა საქართველოს ეკლესიის დაპყრობის საკითხიც. 1810 წლის 3 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე რუსეთში გაიწვიეს (იგი გადასახლებაში აღესრულა 1827 წელს). 1811 წლის 30 ივლისს რუსეთის ეკლესიის სინოდმა სრულიად ანტიკანონიკურად გააუქმა საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია მცხეთის საკათალიკოსო ტახტზე. საქართველოს ეკლესიის სათავეში, რუსეთის იმპერიამ დაადგინა ეგზარქოსი.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, 1795 წლიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) საკათალიკოსოს გამგებელი (საკათალიკოსო ტახტის მოსაყდრე) იყო ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი (წერეთელი), რომელსაც თანადგომას უწევდა გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე (შარვაშიძე).

დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს არსებობამ 1814 წლამდე გასტანა. ამავე წელს რუსეთის იმპერიის დღის წესრიგში ამ უძველესი საკათალიკოსოს გაუქმების საკითხიც დადგა, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. იმპერატორის 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე, 1815 წლის 8 მაისს თბილისში გაიხსნა საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორა.

1820 წელს იმერეთის აჯანყების მოთავეობის ბრალდებით რუსებმა სასტიკი ცემა-გვემით შეიპყრეს ქუთათელი მიტროპოლიტი დოსითეოსი და გაენათელი მიტროპოლიტი ეფთვიმე. ქუთათელმა ტანჯვას ვერ გაუძლო და სურამსა და გორს შორის გზაზე აღესრულა. იგი საიდუმლოდ დაფლეს ანანურის მიდამოებში. გაენათელმა კი ჩააღწია რუსეთამდე. „იმპ. ალექსანდრე პირველმა მოისურვა მისი ნახვა. ჩაიყვანეს პეტერ-ბურღში, იმპერატორმა დიდი ზეიმით და პატივით მიიღო, მაგრამ ამისთვის არ მოერიდა (წმიდა ეფთვიმე გაენათელი - შენ. ავტ.) ემხილებინა საქართველოს ეკლესიისა და ერის თავისუფლების წართმევისა და სამშობლოს დამცველების წამებისათვის, მას უწოდა ახალი ნერონი. ეს იყო მიზეზი, რომ ის გააგზავნეს ალექსანდრე სვირის მონასტერში, ოლონეცკის გუბერნიაში, სადაც განისვენა (1822 წლის 22 აპრილს - შენ. ავტ.) და დასაფლავებულია“ (ჟურნალი „მნათობი“, N 10, 1988:152). მიტროპოლიტი ეფთვიმე 2005 წლის 27 მარტს გადმოასვენეს საქართველოში და ამავე წლის 10 აპრილს, პატივით დაკრძალეს გელათის მონასტერში.

კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ მეორე, მიტროპოლიტები დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გაენათელი საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ წმიდანებად არიან შერაცხულნი.

მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლამ ქართველ სასულიერო იერარქთა და საზოგადო მოღვაწეთა მხრიდან გადამწყვეტ ფაზაში გადაინაცვლა. სამოღვაწეო საჯარო ასპარეზზე გამოვიდნენ: ეპისკოპოსი (შემდგომში

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კირიონი (საძაგლიშვილი), ეპისკოპოსი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ლეონიდე (ოქროპირიძე), ეპისკოპოსი პეტრე (კონჭოშვილი), ეპისკოპოსი (შემდგომში ქუთათელი მიტროპოლიტი) ანტონი (გიორგაძე), ეპისკოპოსი პიროსი (ოქროპირიძე), არქიმანდრიტი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) ამბროსი (ხელაია), არქიმანდრიტი (შემდგომში ქუთათელი მიტროპოლიტი) ნაზარი (ლეჟავა), დეკანოზი (შემდგომში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი) კალისტრატე ცინცაძე და სხვანი. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ქართველი მღვდელმთავრების (ეპისკოპოს კირიონის, ეპისკოპოს ლეონიდეს) და ქართველი მეცნიერების (ნიკო მარის, ალექსანდრე ცაგარელის, ალექსანდრე ხახანაშვილის) მოღვაწეობას, კერძოდ, მათ პოლემიკას რუს სამღვდელოებასთან (ეპისკოპოსებთან, მღვდლებთან) და რუს მეცნიერებათა (ეკლესიის ისტორიისა და საეკლესიო სამართლის ცნობილ მკვლევარებთან) (ბურდული, 2012:5).

1905-1906 წლებში, ქართველი სასულიერო იერარქიისა და საერო მოღვაწეთა სამართლიანი მცდელობანი აღედგინათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, იმჟამად ვერ დასრულდა საქართველოს ეკლესიისთვის სასურველი შედეგით, თუმცა, მკაფიო და ცალსახა განაცხადი იყო საქართველოს ეკლესიის ანტიკანონიკურად ხელყოფილი ავტოკეფალიის აღდგენის გზაზე.

1917 წლის თებერვალში რუსეთში განხორციელდა რევოლუცია. იმპერატორი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა. დასრულდა რუსეთში მონარქიული სახელმწიფო წყობა და რომანოვების დინასტიის მმართველობა. რუსეთს სათავეში ჩაუდგა დროებითი მთავრობა, გიორგი ლვოვის თავმჯდომარეობით. ქართველმა სამღვდელოებამ გონივრულად გამოიყენა არსებული პოლიტიკური ვითარება... ეპისკოპოს ანტონის (გიორგაძე) ინიციატივით 1917 წლის 6 მარტს ფერიცვალების მონასტერში, სადაც იგი ცხოვრობდა, შედგა შეხვედრა, სადაც გადაწყდა 1917 წლის 12 მარტს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში აღსრულებულიყო რუსეთის იმპერიაში მშვიდობისათვის პარაკლისი. დაიგზავნა მოსაწვევები პროვინციებში.

ზღვა ხალხი შეიკრიბა სვეტიცხოველში. 12 საათზე გურია-ოდიშის ეპისკოპოსმა ლეონიდემ წაიკითხა ეპისკოპოს ანტონის მიერ შედგენილი „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის აქტი“... ეპისკოპოსი ანტონი ხელმძღვანელობდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციას, რომელმაც დაძაბული მოლაპარაკებები აწარმოა 1917 წლის ივნის-აგვისტოში პეტერბურგში რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლებასთან საქართველოს ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ და მიაღებინა კიდეც დროებით მთავრობას საგანგებო დოკუმენტი ამ საკითხზე (ვარდოსანიძე, 2010:96).

დაარსდა საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა, რომლის თავმჯდომარედ დადგინდა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე (ოქროპირიძე). ავტოკეფალიის გამოცხადებიდან მესამე დღეს, „1917 წლის 14 მარტს ეპისკოპოსები: ლეონიდე, ანტონი მივიდნენ საქართველოს ეგზარქოს პლატონ როჟდესტვენსკისთან და გამოუცხადეს, რომ მცხეთაში მომხდარი აქტის საფუძველზე იგი გადაყენებულია საქართველოს ეგზარქოსის თანამდებობიდან“ (ვარდოსანიძე, 2014:31). ეგზარქოსყოფილი პლატონი არ თმობდა თავის პოზიციებს და ის მასთან მისულ ქართველ მაღალიერარქებს რუსი ჯარისკაცებითაც კი დაემუქრა... 1917 წლის 27 მარტს საქართველოს ყოფილი საეგზარქოსოს რუსმა სამღვდელოებამ იგი გამოაცხადა ამიერკავკასიის ეგზარქოსად და თბილელ მიტროპოლიტად, თუმცა ამავე წლის 23 აგვისტოს მიტროპოლიტ პლატონს მოუწია საქართველოს დატოვება. საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრის, თბილელი მიტროპოლიტის ლეონიდეს მეთაურობით ეგზარქოსის ყოფილ სასახლეში გადავიდა. მიტროპოლიტმა ლეონიდემ ახედა ცარიელ კედლებს, სადაც წინათ რუსი ეგზარქოსების სურათები ეკიდა და ერთ წამს შეჩერდა. მე ვაცნობე ჩემი განკარგულება ეგზარქოსების სურათების ჩამოხსნის შესახებ. ლეონიდემ პირჯვარი გადაიწერა და წარმოთქა: „აღსრულდა... უფალო შეგვიწყალე და დაგვიფარე!“ (იქვე :39).

ღმერთის წყალობითა და შეწევნით, ქართველი სასულიერო დასისა და საერო მოღვაწეთა უდიდესი ღვაწლითა და მონდომებით ას ექვსწლოვანი წყვეტის შემდგომ აღდგა საქართველოს უძველესი სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ანტიკანონიკურად გაუქმებული ავტოკეფალია. თუმცა, აქვე დადგა უმნიშვნელოვანესი, პრობლემატური საკითხი - საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობა და აღიარება სხვა

ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მიერ. აღნიშნულ პროცესს ხელს უშლიდა რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქია, რომელიც საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას ჯიუტად არ სცნობდა და მას კვლავ რუსეთის ეკლესიის საეგზარქოსოდ განიხილავდა.

სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა ტიხონმა საპროტესტო წერილი გამოუგზავნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ მეორეს. პატრიარქი ტიხონი თავის წერილში მოითხოვდა ქართველი სასულიერო იერარქიის ჩასვლასა და ავტოკეფალიის გამოცხადების „ცოდვის“ შენანებას... აღნიშნულ წერილს, ჯეროვნად უპასუხა საქართველოს მომდევნო კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ თავისი ეპისტოლეთი რუსეთის პატრიარქის მიმართ.

1943 წლის 31 ოქტომბერს რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღადგინა ლიტურგიკულ-კანონიკური ერთობა საქართველოს ეკლესიასთან და სცნო (მეორედ) საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, მისი მამამთავრის საპატრიარქო ღირსება და მეექვსე ადგილი მსოფლიო მართლმადიდებლურ დიპტიხში. ამ მოვლენაში დიდი როლი ითამაშა იოსებ სტალინმა, რომელიც საბჭოთა იმპერიის სახელმწიფო და საეკლესიო ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. სტალინს დიდი სურვილი გააჩნდა, რომ განევითარებინა და რეალურად აემოქმედებინა მოსკოვის, როგორც ე.წ. მესამე რომის სტატუსი, რომლის შესახებ თეორია, დიდი ხანია არსებობდა. სწორედ ეს იყო მოტივი, რომ სტალინის უშუალო მითითებით რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რათა სამომავლოდ გამყარებულიყო ხსენებული თეორია. ასევე რუსეთის ეკლესიის მხრიდან დიპტიქში საქართველოს ეკლესიის მეექვსე ადგილის ცნობა მოხდა მოსკოვის საპატრიარქოს ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც საქართველოს საპატრიარქოზე საუკუნეებით გვიან დაარსდა, ხოლო ამ ეტაპზე იკავებს მეხუთე ადგილს, რომელიც რეალურად საქართველოს ეკლესიას ეკუთვნის.

მიუხედავად რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური აღიარებისა, საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალია მაინც არ იყო საერთაშორისო საეკლესიო სივრცეში სათანადო პატივით აღიარებული. იყო შემთხვევები, როდესაც ავტონომიურადაც კი იხსენიებდნენ საქართველოს

ეკლესიას. 1977 წლიდან, როდესაც საქართველოს ეკლესიის მამამთავრის ტახტზე აღსაყდრდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, დაიწყო აქტიური, სამართლიანი ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საერთაშორისო აღიარებისათვის, რომელიც კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს უნდა ეცნო.

1979 წლის 2-8 მაისს, ყოვლადუწმიდესის მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოსის მიწვევით, კონსტანტინეპოლში (სტამბული) ჩავიდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თანმხლებ დელეგაციასთან ერთად. კონსტანტინეპოლისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურებმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავის მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა: „წარსული საუკუნეების ჟამთა სიავემ დააშორა ჩვენი ორი უძველესი სამოციქულო ეკლესიის ახლო მეგობრობა და შეასუსტა ურთიერთთანამშრომლობის ტრადიციები, მაგრამ დადგა დრო მრავალი საუკუნის შემდეგ ღვთის განგებითა და მოწყალებით ჩვენ ისევ ერთად ვართ და წარსულის გახსენებასთან ერთად ვლოცულობთ ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის. მე და ძველი ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლები დიდ სიხარულს განვიცდით პირადად თქვენთან, თქვენი ეკლესიის წმიდა სინოდსა და სამღვდელოებასთან შეხვედრის გამო...

ჩვენ მოხარული ვიქნებით, თქვენო უწმიდესობავ, გვეწვიოთ საქართველოში, რაც კიდევ უფრო დაახლოვებს ჩვენს უძველეს ეკლესიებს. თქვენი ვიზიტი იქნება მნიშვნელოვანი უძველეს ეკლესიათა ისტორიის მატიანეში“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1979:8).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რამდენჯერმე, სრულიად შეგნებულად ხაზი გაუსვა საქართველოს ეკლესიის უძველესობას. აღნიშნულზე აქცენტირების მიზანი იყო, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს აღექვა უძველესობა საქართველოს ეკლესიისა, რომელიც ავტოკეფალიის ახლა მინიჭებას კი არ ითხოვდა, არამედ მეხუთე საუკუნეში მოპოვებულის აღიარებას მოითხოვდა.

პატრიარქმა დიმიტრიოსმა თავის საპასუხო სიტყვაში აღნიშნა: „პირადად მე და მთელი ჩვენი ხალხი მოხარულნი ვართ თქვენი ჩამობრძანებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში.

თქვენი ჩამობრძანებით გამოწვეულ ჩვენს სიხარულს საზღვარი არ აქვს. თქვენს ჩამობრძანებას და ჩვენს შეხვედრას ვანიჭებთ დიდ მნიშვნელობას ჩვენი ეკლესიების ერთობლივი განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის...

დიდ სიხარულს ვგრძნობთ თქვენთან შეხვედრის გამო. ეს არის საერთი ძმობისა და ერთიანობის აღიარება ქრისტიანულ მართლმადიდებელ ეკლესიათა სამყაროში“ (იქვე :8).

მსოფლიო პატრიარქის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში კეთილმეგობრული და საიმედო გზავნილები გამოიკვეთა, თუმცა კიდევ გრძელი გზა იყო გასასვლელი მიზნის მიღწევამდე - საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარებამდე.

ამ ვიზიტის ფარგლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ერთ-ერთ თავის სიტყვით გამოსვლაში გამოთქვა სამართლიანი უკმაყოფილება იმ ფაქტის გამო, რომ კონსტანტინეპოლის ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიისადმი გამოგზავნილ ოფიციალურ წერილებში სწორად არ იყო მოხსენიებული საქართველოს ეკლესიის მეთაურის წოდება, როგორც კათოლიკოს-პატრიარქი, მაშინ როდესაც სხვა ეკლესიები სწორად იხსენიებდნენ საქართველოს ეკლესიის მამამთავრის ტიტულს. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ერთ-ერთმა მღვდელმთავარმა, ქალკედონის მიტროპოლიტმა მელიტონმა აღნიშნა, რომ იგი ფიქრობდა აღნიშნულ საკითხზე, რომელიც სათანადო ისტორიული დოკუმენტების მოხმობის შემთხვევაში დადებითად გადაწყდებოდა. საქართველოს ეკლესიასთან არსებული საკითხების კურირება დაევალა მიტროპოლიტ დამასკინოსს. აგრეთვე, თბილისში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ შეიქმნა მეცნიერთა კომისია (წევრები: მარიამ ლორთქიფანიძე, ბაბილინა ლომინაძე, ნოდარ ლომოური, ზაზა ალექსიძე და სხვა), რომელსაც უნდა მოეძიებინა სათანადო ისტორიული საბუთები საქართველოს ეკლესიის უძველესი ავტოკეფალიის დასადასტურებლად. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის, ელენე მეტრეველის დახმარებით შესაძლებელი გახდა, რომ გადაღებულიყო ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ყველა იმ დოკუმენტის ასლი, რომელიც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიას შეეხებოდა.

1982 წლის 3 ივლისს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელით წერილები დაუგზავნა მსოფლიოს ავტოკეფალურ

მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურებს. მიმართვაში სრულად იყო წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის ისტორია, თანდართული დოკუმენტებით. მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია: „საჭიროდ მიგვაჩნია, ერთხელ კიდევ შეგახსენოთ საქართველოს ეკლესიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიხში საუკუნეების მანძილზე დასაბუთებულად და გადაწყვეტილად ითვლება, სამწუხაროდ, მსოფლიო საპატრიარქო რატომღაც საკამათოდ ხდის დიპტიხში საქართველოს საპატრიარქოს ადგილს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს ეკლესია დაარსებულია წმიდა მოციქულების - ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ. ის ისტორიული ფაქტი, რომ წმიდა მოციქული სვიმონ კანანელი დაკრძალულია საქართველოში, სოხუმთან ახლოს, თავისთავად მეტყველებს ამაზე... მართალია, საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა, მაგრამ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადება ხდება წმიდა მოციქულთასწორის ნინოს ქადაგების შემდეგ, 326 წელს, როდესაც თვითონ იბერიის მეფე მირიანი აღიარებს ქრისტეს რჯულს. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საქართველოს ეკლესიას სათავეში უდგას მთავარეპისკოპოსი, რომელიც ემორჩილება ანტიოქიის ეკლესიას, ხოლო ვახტანგ გორგასალის მეფობის დროს /446-502 წ.წ./ საქართველოს ეკლესიამ მიიღო ავტოკეფალია 468 წელს ანტიოქიის ეკლესიისგან, ანტიოქიის პატრიარქის პეტრე II დროს. ეს თარიღი აღიარებულია ქართულ საეკლესიო და საერო მეცნიერებაში და შესულია საერთაშორისო საცნობარო ლიტერატურაში... XI საუკუნეში საქართველოს კათოლიკოსს მიენიჭა პატრიარქის წოდება და ამ დროიდან საქართველოს ეკლესიის მესაჭე იწოდება კათოლიკოს-პატრიარქად სრულიად საქართველოსა... ჩვენთვის გაუგებარია, მსოფლიო საპატრიარქოს პოზიცია დიპტიხის საკითხში. ჩვენს საპატრიარქოს მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში არ აქვს მინიჭებული თავისი კუთვნილი VI ადგილი და ამიტომ მართლმადიდებელ ეკლესიათა სხვადასხვა შეკრების დროს ეს საკითხი იწვევს არასასურველ კამათს... საქართველოს საპატრიარქო და ქართველი ხალხი, ეყრდნობა რა თავისი ქრისტიანობის ორიათასწლოვან ისტორიას, უკანონოდ თვლის ეჭვის ქვეშ იქნას დაყენებული საქართველოს ეკლესიის ადგილი დიპტიხში. საქართველოს ეკლესია და მისი წმიდა სინოდი იმედოვნებს, რომ მსოფლიო

საპატრიარქო კიდევ ერთხელ სერიოზულობითა და მთელი პასუხისმგებლობით მიუდგება ამ საკითხს და გადაწყვეტს მას დადებითად, ორივე ეკლესიის საკეთილდღეოდ“ (ს.ს.ს.ა. 10417. ახ.აღწ. გვ.1-7).

ამ მიმართვის პასუხად საქართველოს ეკლესიის ისტორიული, სამართლიანი ინტერესების დაცვის მხარეს დადგა უნეტარესი ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპი და პატრიარქი ნიკოლოზ მეექვსე, რომელმაც 1982 წლის 1 სექტემბერს ეპისტოლეთი მიმართა მსოფლიო პატრიარქს დიმიტრიოსს: „ვწერთ რა თქვენს ღირსეულ ყოვლადუწმიდესობას, გამოვთქვამთ შიშს იმის შესახებ, რომ იბერიის წმიდა ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის დაყენება (კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მოსაზრებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი უნდა გადაეწყვიტა მსოფლიო საეკლესიო კრებას. შენ. ავტ.) გამოიწვევს უთანხმოებებს, როგორც დიორთოდოქსალურ, ასევე დიქრისტიანულ შეკრებებზე, რაც გამოვლინდება სიტყვის სიმწირით ან საერთო უარის თქმით „ერთსულოვნებაზე“ დიალოგებში. ჩვენი სურვილია ამ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო გადაწყვეტილება მივიღოთ მსოფლიო საპატრიარქოსაგან, რამეთუ გვინდა ვირწმუნოთ, რომ არამარტო გააქარწყლებთ და მოხსნით ყველა გულისტკივილსა და ბზარს ძმათა სიყვარულში, არამედ კანონიერად პანორთოდოქსალურ საეკლესიო სინდისს წარმართავთ ისე, რომ კამათის გარეშე ჩადგეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის (ბოკელავაძე, „ქრისტიანობის კვლევები“, 2009:264).“ ალექსანდრიის პატრიარქი ნიკოლოზ მეექვსე კეთილგანწყობილი გახლდათ საქართველოს ეკლესიისა და მისი მამამთავრის მხრიდან და თავისი ძმური სიყვარული ივერიის ეკლესიისადმი დაადასტურა კიდევაც ხსენებული ეპისტოლეთი მსოფლიო პატრიარქის მიმართ.

მხარდაჭერითა და თანადგომით აღსავსე იყო უნეტარესის წმიდა ქალაქ იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის დიოდოროსის საპასუხო წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორესადმი: „ძმური სიყვარულით მივიღეთ ჩვენთვის ძალზე საყვარელი თქვენი უწმიდესობისა და უნეტარესობის წერილი, რომელმაც მოგვაგონა და უკან მოგვახედა ეკლესიური ფაქტებისაკენ, გვიჩვენა უძველესი დროიდანვე დადგენილად სრულიად მართლმადიდებელ ეკლესიათა შორის საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია... დაბეჯითებით მოგახსენებთ, რომ ადგილობრივ

მართლმადიდებელ ეკლესიათა ერთსულოვნებით საქართველოს მოწამეობრივმა, მაგრამ ამავე დროს, დიდებულმა საპატრიარქომ უნდა მიიღოს თავისი შესაბამისი ადგილი კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს დიპტიხში (ვარდოსანიძე, 2017:393-394).“

ორი პრესვიგენული, უძველესი საპატრიარქოს, ალექსანდრიისა და იერუსალიმის და მათი პატრიარქების ესოდენ მაღალი მხარდაჭერა უდავოდ ძალზედ მნიშვნელოვანი იყო საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის მომავალი აღიარებისათვის.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიმართვას, წერილობითი ფორმით დადებითად გამოეხმაურნენ ადგილობრივი ეკლესიების მამამთავრები: მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი, სრულიად ბულგარეთის პატრიარქი მაქსიმე, პრაღისა და ჩეხოსლოვაკიის მიტროპოლიტი დოროთე.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის წერილს უპასუხა მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა: „მივიღე და შესაფერისი ყურადღებით გავეცანით ჩვენი წმიდა სინოდის კრებაზე ჩვენთვის ძალზე საყვარელი და სასურველი თქვენი უნეტარესობის და წმიდა სინოდის ძმურ წერილს, რომელიც შეეხება წმიდა დიპტიხში თქვენი ეკლესიის ადგილს ისტორიული და კანონიერი მონაცემებით. გაცნობებთ, რომ იგი განსახილველად გადაეგზავნა სინოდის საბჭოს“ (იქვე :394).

1984 წლის 20 აგვისტოს, უნეტარესმა მიტროპოლიტმა ვარშავისა და სრულიად პოლონეთისა, ვასილმა წერილი გაუგზავნა ყოვლადუწმიდეს მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსს. უნეტარესი ვასილი აღნიშნავდა, რომ პოლონეთის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის ეპისკოპოსთა კრებამ განიხილა საქართველოს ეკლესიის, მისი ავტოკეფალიისა და დიპტიქში ადგილის საკითხი და ერთხმად დაადგინა:

„1. საქართველოს ეკლესია უნდა ჩაითვალოს სამოციქულო ეკლესიად, რამდენადაც იგი დააფუძნა სიმონ კანანელმა უფრო ადრე, ვიდრე რუსეთის ეკლესია შეიქმნებოდა; მეფე მირიანის განმგებლობის დროს, მოციქულთასწორის წმიდა ნინოს ქადაგების შემდგომ, 326 წ. ქრისტიანობა გამოცხადდა სრულიად საქართველოს სახელმწიფო რელიგიად.

2. 468 წ.-ს საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის ეკლესიისგან მიიღო ავტოკეფალია. ეს ფაქტი მისთვის სასარგებლოდ მეტყველებს, როგორც ავტოკეფალიასთან დაკავშირებით, ისე დიპტიქში მის ადგილზე...“ („ჯვარი ვაზისა“, N3, 1990:35).

1987 წლის აგვისტოში თანმხლებ დელეგაციასთან ერთად მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი ეწვია საქართველოს. მარიამობის დღესასწაულზე, 28 აგვისტოს, თბილისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საპატრიარქო ტაძარში, კონსტანტინეპოლისა და საქართველოს უძველესი ეკლესიების მამამთავრებმა აღავლინეს ერთობლივი საღმრთო ლიტურგია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სიტყვით მიმართა მსოფლიო პატრიარქს და აღნიშნა: „თქვენი ჩამობრძანებით, თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, ჩვენ ვღებულობთ იმ დიდებული წმიდა მამების ლოცვა-კურთხევას, რომელნიც მოღვაწეობდნენ კონსტანტინეპოლის კათედრაზე, ვღებულობთ იმ ბრწყინვალე მოწამეთა ლოცვა-კურთხევას, ქრისტიანობის ისტორია რომ დაამშვენეს. ხოლო ამ წმიდა ტაძარში, იმ მადლმოსილი ქვეყნის სახელით მინდა მოგესალმოთ, სადაც დაცულია კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მოგესალმოთ იმ კურთხეული ერის სახელით, რომელიც არის წილხვედრი ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა, იმ ეკლესიის სახელით, რომელიც დაარსებულია წმიდა მოციქულთა ანდრია პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ; მინდა მოგესალმოთ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის, ჩვენი სამღვდელოებისა და ღვთივკურთხეული ერის სახელით.

ჩვენი უძველესი საპატრიარქოების კავშირს დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოსა და კონსტანტინოპოლის ეკლესიები ხომ ერთი და იმავე მოციქულის, წმიდა ანდრია პირველწოდებულის მიერაა დაარსებული... ამ რვა წლის წინ საქართველოს დელეგაციის სტუმრობამ კონსტანტინეპოლში აღადგინა ჩვენი ეკლესიების ურთიერთობის საუკუნეობრივი ტრადიცია. ახლანდელმა თქვენმა ვიზიტმა კი, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეს კავშირი...“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1987:12).

მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა თავის სიტყვაში აღნიშნა: „ვხარობთ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ტანჯულმა საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კვლავ მოიპოვა თვითმმართველობა. იგი თანაგრძნობასა და სიყვარულს იმსახურებს წმიდა ტრადიციებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად მრავალი განსაცდელის ვაჟკაცურად დათმენისათვის. კეთილგანწყობით შესცქერის მის პრობლემებს მსოფლიო საპატრიარქო და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები...

უნეტარესო, მოვედით თქვენთან, ვითარცა ძმა „სიყვარულითა და სულითა მშვიდობისათა“ (კორინთ. 1. 4,21). მოვედით, რათა გამოვხატოთ სიხარული ქართველი ერის მორწმუნოებით. გვსურს, განვამტკიცოთ ძველი და წმიდა კავშირი, რომელიც არსებობდა ჩვენს ეკლესიებს შორის... მიმაჩნია, რომ ჩვენი ჩამოსვლით განახლდა ჩვენს ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობა და დაიწყო ბრწყინვალე ეტაპი. ჩვენი აქ ყოფნა არ არის უბრალო და ჩვეულებრივი საპასუხო ვიზიტის შედეგი. გაცილებით ადრე არსებობდა ჭეშმარიტი ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებსა და მათ მეთაურებს შორის. დღეს კი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დიდ დღესასწაულზე, ჩვენი თანამწირველობით ამ ურთიერთობამ მწვერვალს მიაღწია“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1987: 14-15). აღნიშნული ვიზიტისას პატრიარქები შეთანხმდნენ, რომ უმოკლეს დროში გადაწყვეტილიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების საკითხი.

1988 წლის თებერვალში საქართველოში ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ხუთი წევრისგან შემდგარი დელეგაცია, მირონის მიტროპოლიტის ქრიზოსტომოსის ხელმძღვანელობით. საქართველოს საპატრიარქოში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან გაიმართა შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მღვდელმთავარნი, ასევე, ქართველი მეცნიერები ნოდარ ლომოური და ზაზა ალექსიძე. აღმოჩნდა, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაციას საქართველოში ჩამოუტანია ტიპიური სიგელები, როგორებიც გაიცემა ავტოკეფალიის მინიჭების ან საპატრიარქო ტიტულის ბოძების ჟამს. ამ სიგელებზე დათანხმებით უგულვებელყოფილი ხდებოდა საქართველოს ეკლესიის მეხუთე საუკუნეში მოპოვებული ავტოკეფალია, ანუ ფაქტობრივად, მთელი თხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიისა. რასაკვირველია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და ქართულმა მხარემ სამართლიანი უარი განაცხადეს ამგვარი ტიპის სიგელების გადმოცემაზე. შეხვედრა უნაყოფო აღმოჩნდა, თუმცა დელეგაციის მეთაურმა, მიტროპოლიტმა ქრიზოსტომოსმა აღუთქვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ უფრო ნათლად და მკაფიოდ დააყენებდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის სინოდის წინაშე საქართველოს ეკლესიის მოთხოვნებს.

1988 წლის მაისში საქართველოში ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დელეგაცია: მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, მიტროპოლიტი დამასკინოსი, წმიდა სინოდის მთავარი მდივანი, არქიმანდრიტი მელიტონი. მათ ჩამოიტანეს სიგელების ახალი ტექსტი, რომელშიც იყო ცვლილებები, თუმცა არა ბოლომდე დამაკმაყოფილებელი იმისა, რასაც საქართველოს ეკლესია მოითხოვდა...

1990 წლის 7 იანვარს, ქრისტეს შობის დღესასწაულზე, თბილისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს საზეიმო საღმრთო ლიტურგიაზე თანამსახურებდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მღვდელმთავარი, მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, რომელმაც წირვის დასასრულს სრულიად საქართველოს განუცხადა, რომ კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქომ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მისი საპატრიარქო ტიტული და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიიწვია ისტორიულ კონსტანტინეპოლში აღიარების სიგელთა გადასაცემად.

მეორე დღეს, 8 იანვარს, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გაეცნო სიგელის ტექსტს, მასში ნავლად „ვაღიარებ“ და „ვცნობ“, ყველგან ჩაწერილი იყო „ვამტკიცებ“ და „ვაცხადებ“, აგრეთვე, სიგელის ტექსტის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას წმიდა მირონი უნდა წამოეღო კონსტანტინეპოლის ეკლესიიდან.

ამ საკითხებზე გაგრძელდა კამათი. მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი დათანხმდა ტერმინების შეცვლას და საკუთარი ხელით ჩაასწორა, თუმცა მირონის საკითხზე განაცხადა, რომ ეს მის ძალებსა და კომპეტენციას აღემატებოდა, თან დასძინა, რომ მირონის წამოღების შესახებ სიგელში არსებული ჩანაწერი არავითარი ვალდებულების წინაშე აყენებდა საქართველოს ეკლესიას, მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი არც მოითხოვსო ამ მუხლის შესრულებას, რაზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა: „საქართველოში არსებული ისტორიული საბუთების მიხედვით, მირონი უკვე VIII საუკუნიდან იხარშება. არსებობს ჰიპოთეზები, რომლებიც კიდევ უფრო ადრეულ ეპოქაში გადასწევენ ამ თარიღს. მე მჯერა თქვენიც და მისი ყოვლადუწმიდესობის დიმიტრიოს პირველისაც. ეჭვიც არ მეპარება თქვენს სიტყვებში, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ არც მე და არც დიმიტრიოს I და საერთოდ, არცერთი ჩვენგანი

უკვდავი არაა. მე არ ვიცი, რა ბედი ეწევა ან როგორ დადგება ეს საკითხი მას შემდეგ, როცა ჩვენ აღარ ვიქნებით. მე შთამომავლობას ვერ დავუტოვებ საკამათო საკითხს. ვინ მაპატიებს, საუკუნეების წინათ მოპოვებული უფლება დღეს ერთი ხელის მოწერით რომ გავაუქმო?!“ („ჯვარი ვაზისა“, N2, 1987:20). პატრიარქი წამოდგა... კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენელი, მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, მეორე დილით ისე წავიდა მოსკოვში, რომ საბოლოო ვარიანტი ჯერ კიდევ ვერ შეთანხმდა. ამავე დღეს, გვიან ღამით, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარემ, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა დარეკა მოსკოვში და გადასცა მიტროპოლიტ ქრიზოსტომოსს მირონის საკითხის გადამწყვეტი საქართველოს ეკლესიისთვის სასურველი მუხლის ვარიანტი და თუ აღნიშნულს დათანხმდებოდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმიდა სინოდი, მაშინ მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი გამოაგზავნიდა დეპეშას საქართველოში და 1990 წლის 4 მარტს, კონსტანტინეპოლში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს საზეიმო ვითარებაში გადაეცემოდა სათანადო დოკუმენტები.

მოვიდა დეპეშა... საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია ორი კვირით ადრე შეუდგა სამზადისს, კონსტანტინეპოლში - ამჟამინდელ სტამბულში გასამგზავრებლად. საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციაში შედიოდნენ: უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე - დელეგაციის ხელმძღვანელი; საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, მაღალყოვლადუსამღვდელოესი ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი; მაღალყოვლადუსამღვდელოესი ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი (შემდგომ მიტროპოლიტი) კალისტრატე, თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის რექტორი, პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ამჟამად რუსთველი მიტროპოლიტი იოანე), სიონის საკათედრო ტაძრის მთავარდიაკონი (ამჟამად დეკანოზი) ამირან ამირანაშვილი, საქართველოს საპატრიარქოს ბერძნული ენის თარჯიმანი თამარ მესხი, საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა მდივანი, ბორის გაგუა.

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია 1 მარტს გაემგზავრა თბილისიდან მოსკოვში, საიდანაც 3 მარტს გაფრინდა ბერლინში და ამავე დღის საღამოს სტამბულში, სადაც აეროპორტში საქართველოს საპატრიარქოს დელეგაციას დახვდნენ კონსტანტინეპოლის

საპატრიარქოს წარმომადგენლები: ქალკედონის მიტროპოლიტი (ამჟამინდელი მსოფლიო პატრიარქი) ბართლომეოსი, პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი, წმიდა სინოდის მდივანი არქიმანდრიტი მელიტონი, პროფესორი სტავრიდისი და სხვა სასულიერო პირები.

აეროპორტიდან საქართველოს ეკლესიის დელეგაცია წაიყვანეს პირდაპირ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს რეზიდენციაში, სადაც საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მის თანხმლებ დელეგაციას შეეგება მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოსი. შესრულდა პარაკლისი, რომლის შემდგომ კონსტანტინეპოლის ეკლესიის წმიდა სინოდის მდივანმა, არქიმანდრიტმა მელიტონმა წაიკითხა ორი სიგელის ტექსტები: 1. საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელი; 2. საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდური განჩინება. მსოფლიო საპატრიარქომ ოფიციალურად, დოკუმენტური სახით სცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტული.

1990 წლის 4 მარტს, დიდი მარხვის პირველ კვირას, მართლმადიდებლობის ზეიმზე, ფანარის წმიდა გიორგის სახელობის საპატრიარქო ტაძარში ერთობლივი საღმრთო ლიტურგია აღავლინეს კონსტანტინეპოლისა და საქართველოს უძველესი, საპატრიარქო ეკლესიების მამამთავრებმა - ყოვლადუწმიდესმა მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა და უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. მათ თანამსახურებდნენ კონსტანტინეპოლის ეკლესიის მღვდელმთავარნი, რომლებმაც ხელი მოაწერეს ზემოთ ხსენებულ ორ დოკუმენტს და საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარნი: ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი და ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი (შემდგომში მიტროპოლიტი) კალისტრატე, აგრეთვე სხვა სასულიერო პირები. მსოფლიო პატრიარქმა დიმიტრიოსმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს გადასცა ორი ისტორიული სიგელი - ტომოსი.

საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების სიგელში აღნიშნულია: „...ასეთივეა კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია,

რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაციაც...

სინოდის გადაწყვეტილებითა და სული წმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზმებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ (იგულისხმება ანტიოქიის პატრიარქი, ცნობილი კანონისტი, თეოდორე ბალსამონი. შენ. ავტ.), რომელიც წერს: „...ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა უფალი პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა“... (ჯაფარიძე, 2017:732-733).“

საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურისათვის საპატრიარქო ტიტულის ცნობისა და ბოძების საპატრიარქო და სინოდურ განჩინებაში აღნიშნულია: „...საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურსა და დამოუკიდებელს, მართლმადიდებელ ეკლესიათა სისტემაში შემავალსა და თვითმმართველს, მიეცეს ძმური თანხმობა და აღიარება ჩვენი უწმიდესი კონსტანტინოპოლის ეკლესიისგან მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული - „მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოისა... (იქვე :735).“

მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ გაზეთმა „კომუნისტმა“ პირველ გვერდზე დაბეჭდა ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ: „ღირსშესანიშნავი მოვლენა - ცნეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიისა (დამოუკიდებლობის) და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსების ცნობის საზეიმო ცერემონია გაიმართა კვირას კონსტანტინოპოლის მსოფლიო საეკლესიო საპატრიარქოს რეზიდენციაში. ოფიციალური გადაწყვეტილება ამის შესახებ მიიღეს ამა წლის 23 იანვარს კონსტანტინეპოლის მსოფლიო ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომაზე. 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, ქართული ეკლესიის მეთაურს საზეიმო ვითარებაში გადასცეს შესაბამისი საეკლესიო

სიგელები. იმავე დღეს სტამბოლის ბერძნული ეკლესიის ტაძარში გაიმართა წირვა ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის გამო, რომელზეც კონსტანტინეპოლის მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა დიმიტრიოს პირველმა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორე ეპისტოლეებით მიმართეს მორწმუნეთ...

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის ცნობას ფართოდ აშუქებს თურქეთის პრესა. ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ამ მოვლენისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს დაესწრნენ სტამბოლში მცხოვრები მრავალი მართლმადიდებელი ბერძენი, აგრეთვე საბერძნეთიდან ჩამოსულებიც. ზეიმში მონაწილეობდა სსრ კავშირის გენერალური კონსული სტამბოლში გ. ა. პავლუშინი“ („კომუნისტი“, N 55, 1990:1).

უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: „15 წლის განმავლობაში ვაწარმოებდით მოლაპარაკებას კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან ამ საკითხზე. ორი ეკლესიის ძმურმა ურთიერთობამ და ურთიერთგაგებამ კეთილი ნაყოფი გამოიღო. ეს შესანიშნავი მოვლენა საფუძველს უყრის მართლმადიდებელ ეკლესიათა შემდგომ დაახლოებასა და თანამშრომლობას. რელიგიურ მოღვაწეებს შეუძლიათ და კიდევაც უნდა გააკეთონ ბევრი რამ სხვადასხვა ხალხსა და რელიგიას შორის სიმშვიდისა და ურთიერთგაგების დამყარებისათვის“ („მადლი“, N3, 1994:1).

მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსს, კონსტანტინეპოლში (სტამბული), საპატრიარქო რეზიდენციაში შეხვდნენ ქართველი ჟურნალისტები ზურაბ გრძელიშვილი და თამაზ გენძეხაძე, რომლებიც ამგვარად აღწერენ მსოფლიო პატრიარქთან სტუმრობას: „...აი, იღება შიდა კარი და ჩვენთან გამოდის კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოს 75 წლის მეთაური. იგი მოგვესალმა და გულთბილად მოიგონა აქ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ყოფნის ამბავი. მოიწონა რეზიდენციაში ქართველი ჟურნალისტების ისტორიაში პირველი ვიზიტი. მოკლე საუბრის შემდეგ დიმიტრიოს პირველმა წაიკითხა თავისი განცხადების ტექსტი: „მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსების ცნობა, - აღნიშნულია მასში, - ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა იმასთან ერთად, რომ იგი

გახდა ესოდენ ძველი და პატივსაცემი ეკლესიის ღირსების ნიშანი, ამავე დროს მოწმობს, რომ ქართული ეკლესია თავის წვლილს შეიტანს მსოფლიოს ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის მჭიდრო ერთიანობისა და თანამშრომლობის საქმეში, რაც კიდევ უფრო საჭიროა ჩვენს დღეებში, ვიდრე უწინ.

ბუნებრივია ჩვენთვის ძალზე საყვარელი ქართული ეკლესიის სიხარული ამ პატივის გამო, მაგრამ ამ მოვლენასთან დაკავშირებით არანაკლებ სიხარულს განიცდის ჩვენი მთავარი ეკლესიაც. ავტოკეფალიისა და საპატრიარქო ღირსების ცნობა, ამავე დროს თავაზიანი ქართველი ხალხისადმი ჩვენი პატივისცემის გამოხატულებაა, რომელიც ინარჩუნებს თავისი მამაცი წინაპრების სარწმუნოების ერთგულებას. მთელი ისტორიის მანძილზე ეს ხალხი იბრძოდა იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა თავისი სარწმუნოება, იჩენდა ამ დროს მამაცობას, მოთმინებასა და გამჭრიახობას, როცა სიძნელეებს აწყდებოდა. ყოველივე ამას ვიწონებთ.

ვუსურვებთ ყველას, ვინც მოისმენს ან წაიკითხავს ამ ეპისტოლეს, სიხარულით აღენიშნოს მოახლოებული აღდგომა. დაე, სიხარული, კურთხევა, ნათელი და მშვიდობა ჩვენი იესოს აღდგომის გამო ყოველთვის იყოს მათთან და მათს ოჯახებთან!“

დარბაზობის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წუთში იწყებოდა წმიდა სინოდის სხდომა...“ („კომუნისტი“, N 80, 1990:4).

საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ტიტულის ცნობა და აღიარება წარმოადგენს შეუფასებელ და განუზომელი მნიშვნელობის მოვლენას ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიის მრავალსაუკუნოვან მატიანეში.

საქართველოს ეკლესია და საპატრიარქო პატივი სამარადჟამოდ აღიარებულია მსოფლიო საპატრიარქოს მიერ და აგრეთვე, მარადჟამს გარანტირებული და ხელშეუხებელია.

ცნობილია, რომ 2019 წლის 5 იანვარს ყოვლადუწმიდესმა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მღვდელმთავრებმა ხელი მოაწერეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსს, რომელიც მეორე დღეს, 6 იანვარს გადაეცა კიევისა და სრულიად უკრაინის უნეტარეს მიტროპოლიტს ეპიფანეს.

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსს შევადარე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის (!) ტომოსი და საქართველოს ეკლესიის მეთაურის

საპატრიარქო ტიტულის ცნობის სინოდურ განჩინება. კიდევ ერთგზის წარმოჩინდა, თუ რაოდენ უდიდესია მნიშვნელობა, ისტორია და სამოციქულო მემკვიდრეობა საქართველოს უძველესი ეკლესიისა. უპირველესად, ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს ერთი ფრაზა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის ტომოსში, სადაც კონსტანტინეპოლის ეკლესია წერს: "ვცნობთ მას (საქართველოს ეკლესიას. შენ. ავტ.), როგორც ჩვენს სულიერ დას...", ხოლო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსში, კონსტანტინეპოლის ეკლესია წერს: "ჩვენ ვცნობთ და ვაცხადებთ უკრაინის ტერიტორიაზე ჩამოყალიბებულ ავტოკეფალურ ეკლესიას ჩვენს სულიერ ასულად..." კონსტანტინეპოლის ეკლესია თავის სულიერ დად, ე.ი. თანასწორად სცნობს საქართველოს ეკლესიას, ხოლო უკრაინის ეკლესიას აცხადებს სულიერ ასულად.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის ტომოსში ჩაწერილია: "ასეთივეა კავკასიის კურთხეულ მიწაზე, ამჟამად საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში შემავალი წმიდა და მართლმადიდებელი ეკლესია, რომელმაც უძველესი დროიდან მიიღო თვითმმართველი და თავისუფალი განმგებლობა და შესაბამისად, საეკლესიო მმართველობითი ორგანიზაცია... სინოდის გადაწყვეტილებითა და სული წმიდით განათლებულნი ვაცხადებთ საქართველოს უწმიდეს ეკლესიას იმავე თვითმმართველი სტრუქტურითა და ორგანიზმებით, რაც უძველესი დროიდან გააჩნდა და რაც დამოწმებულია აგრეთვე ბალსამონის მიერ, რომელიც წერს: "ამბობენ, რომ დღეთა მათ შინა უწმიდესისა პატრიარქისა ღვთაებრივი ქალაქისა დიდისა ანტიოქიისა პეტრესი, გამოტანილ იქნა სინოდური დადგენილება, რომ იქმნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა", ხოლო უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის ტომოსში ჩაწერილია: "იქმნას ამიერიდან კანონიკურად ავტოკეფალური, დამოუკიდებელი და თვითმმართველი", ე.ი. კონსტანტინეპოლის ეკლესია სცნობს და აღიარებს საქართველოს ეკლესიის უძველესი დროიდან არსებულ ავტოკეფალიას, ხოლო უკრაინის ეკლესია ამიერიდან, ანუ ახლა გახდა ავტოკეფალური.

საქართველოს ეკლესიის მეთაურთან მიმართებაში, კონსტანტინეპოლის ეკლესია წერს: "საქართველოს უწმიდეს მართლმადიდებელ ეკლესიას, ვითარცა ავტოკეფალურსა და დამოუკიდებელს, მართლმადიდებელ ეკლესიათა სისტემაში შემავალსა და თვითმმართველს,

მიეცეს ძმური თანხმობა და აღიარება ჩვენი უწმიდესი კონსტანტინეპოლის ეკლესიისგან მასზედ, რომ საქართველოს უწმიდესი ეკლესია პატივდებულ იქნეს საპატრიარქო ღირსებითა და ადგილით, როგორც ადრიდანვე იხსენიებოდა უძველეს ქრონიკებსა და სხვა საეკლესიო წყაროებში მისი ტიტული - "მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა და კათოლიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოჲსა", ხოლო უკრაინის ეკლესიის მეთაურთან მიმართებაში, კონსტანტინეპოლის ეკლესია წერს: "ეყოლება რა პირველიერარქი საეკლესიო საქმეებში და აღიარებული ყოველთაგან კანონიკური წინამძღოლი, რომელსაც ექნება ტიტული „უნეტარესი მიტროპოლიტი კიევისა და სრულიად უკრაინისა“... ჩვენ გადავცემთ მას პრივილეგიებსა და ყველა სუვერენულ უფლებას, რომელიც ეკუთვნის ავტოკეფალურ საეკლესიო მმართველობას", ე.ი. კონსტანტინეპოლის ეკლესია ძმურად აღიარებს და სცნობს საქართველოს ეკლესიის მეთაურის ადრიდანვე არსებულ საპატრიარქო ღირსებას და არ ჰკადრებს თავად (კონსტანტინეპოლი. შენ. ავტ.) ახლა რაიმე უფლების გადაცემას მას (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. შენ. ავტ.).

წარმოდგენილი შედარება არ მოგვიხდენია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის დამცრობილად წარმოსაჩენად და არც ეჭვი შეგვაქვს მის სრულყოფილებაში, არამედ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობის ტომოსისა და უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსის შედარების ფონზე, ნათელია, თუ რას ნიშნავს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მიერ ცნობა და აღიარება უძველესი, საუკუნეთა განმავლობაში არსებული ავტოკეფალური ეკლესიის, მისი მეთაურის საპატრიარქო პატივისა და უკვე არსებული უფლებების და მეორე მხრივ, რას ნიშნავს, დაარსება ახალი ეკლესიისა, მისთვის ავტოკეფალიის მინიჭება და მისი მეთაურისთვის უფლებების ამჟამად გადაცემის.

პირველ თავში მიმოვიხილეთ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა საბჭოთა არსებობის უკანასკნელ წლებში, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებსა და ოთხმოციანი წლების დამდეგს, თუ რა ურთულესი ათეისტური ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა ეკლესია და მისი იერარქია. წარმოვადგინეთ ის სირთულეები, რაც ახლდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის არჩევასა და აღსაყრდრებას და მიმოვიხილეთ მისი მამამთავრობის პირველი ხანის გამოწვევები და პრობლემები. განვიხილეთ საქართველოს

ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ისტორიული წინაპირობები, მრავალსაუკუნოვანი ქართული ავტოკეფალიის ღირსებანი და გზა მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისა და მისი მეთაურის საპატრიარქო ღირსების აღიარებისკენ, ამ მიზნის წარმატებით დაგვირგვინება.

თავი II. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დრამატული მოვლენები XX საუკუნის 80-90-იან წლებში

2.1. მღვდელმთავართა საქმეები

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის რთული გამოწვევებით აღსავსე აღმოჩნდა მეოცე საუკუნის ოთხმოც-ოთხმოცდაათიანი წლები. გარდა გარე სივრციდან წამოჭრილი გამოწვევებისა, აგრეთვე, საეკლესიო შიდა სივრცეში თავი იჩინა მეტად პრობლემატურმა და გახმაურებულმა საკითხებმა, რაც უპირველესად გამოხატა რამდენიმე მღვდელმთავარსა და სხვა სასულიერო პირებთან მიმართებაში წამოჭრილმა საჭირბოროტო საკითხებმა. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ სამღვდელმთავრო ხარისხიდან განიკვეთა ზოგიერთი მღვდელმთავარი, დაიხვრიტა ერთი სასულიერო პირი, რომელიც კომუნისტური ხელისუფლების მიერ დახვრეტილი უკანასკნელი ქართველი სასულიერო პირი აღმოჩნდა. ოთხმოცდაათიან წლებში ე.წ. მხედრიონი ფიზიკურად გაუსწორდა ერთ-ერთ სასულიერო პირსა და ა.შ.

პირველი სერიოზული გამოწვევა იყო მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) განკვეთა სასულიერო ხარისხიდან. მიტროპოლიტ გაიოზის წინააღმდეგ პირველი სერიოზული შეტევა დაიწყო 1974 წლიდან, როდესაც იმჟამად დისიდენტი ზვიად გამსახურდია თავის თანამოაზრეებთან ერთად მათ მიერ მომზადებულ არალეგალურ თვითგამოცემებში („ოქროს საწმისი, „საქართველოს მოამბე“), ბეჭდავდა საქართველოს ეკლესიის იმჟამინდელი მდგომარეობის შესახებ ვრცელ წერილებს, რომლებშიც მწვავედ აკრიტიკებდა მიტროპოლიტ გაიოზს და მძიმე ბრალდებებს უყენებდა მას...

1978 წლის 25 მაისს საეკლესიო ქონების მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს მიტროპოლიტი გაიოზი, ხოლო 1979 წლის 27 მარტს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ საჯარო სხდომაზე მას გამოუტანა გამამტყუნებელი განაჩენი, რომლის მიხედვით მიტროპოლიტ გაიოზს მიესაჯა თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების სრული კონფისკაციით, მაგრამ მიტროპოლიტ გაიოზის განკვეთა საქართველოს ეკლესიის წმიდა

სინოდის მიერ მოხდა 1980 წლის 12 იანვარს. აღსანიშნავია, რომ 1978 წლის 27 ივლისს წმიდა სინოდმა იმსჯელა მიტროპოლიტ გაიოზის შესახებ, რომლის მიხედვით მას ჩამოართვა ურბნისის ეპარქიის მმართველობა და გამოიყვანა წმიდა სინოდის შემადგენლობიდან, თუმცა იმხანად მას შეუნარჩუნდა მღვდელმთავრის ხარისხი და მიტროპოლიტის წოდება. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 1980 წლის 12 იანვრის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „1980 წლის 12 იანვარს უწმიდესის და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის თავმჯდომარეობით შედგა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა. მოისმინეს: კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მოხსენება იმის შესახებ, რომ საქართველოს წმიდა სინოდის ყველა წევრისგან წმ. სინოდში შემოვიდა წერილობითი თხოვნა, რათა საქართველოს ეკლესიისა და ერის წინაშე დანაშაულებათა გამო მიტროპოლიტი გაიოზი განკვეთილ იქნას ყოველგვარი სამღვდელო ხარისხიდან და ბერობიდან...“ („ჯვარი ვაზისა“, N1, 1980:50). ოქმში ხუთ პუნქტად არის წარმოდგენილი წმიდა სინოდის მიერ დანაშაულებად მიჩნეული მიტროპოლიტ გაიოზის ქმედებები და აგრეთვე, მისთვის თავისუფლების აღკვეთა თხუთმეტი წლის ვადით, სასამართლოს მიერ. წმიდა სინოდმა განაჩინა: „მიტროპოლიტი გაიოზი (ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი) განკვეთილ იქნას ყოველგვარი სამღვდელო ხარისხიდან და ბერობიდან სამუდამოდ, როგორც ყოვლადმიუღებელი პიროვნება საეკლესიო სამსახურისთვის... ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი რჩება ერისკაცად და ეძლევა უფლება, მონანიების შემთხვევაში, მიიღოს წმიდა ზიარება...“ (იქვე :51).

მიტროპოლიტ გაიოზის განკვეთა სამღვდელმთავრო ხარისხიდან მოხდა საბჭოთა სასამართლოს განაჩენის საფუძველზე, რომელშიც ვკითხულობთ: „ბ.ტ. კერატიშვილის სასულიერო სამსახური მიმდინარეობდა საპატრიარქოში, სიონისა და სვეტიცხოვლის ტაძრებში, ქვაშვეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში. თავისი მაღალი სასულიერო წოდებისა და მდგომარეობის გამოყენებით, სამართალში მიცემულს ხელი მიუწვდებოდა ტაძრებსა და ეკლესიებში მოთავსებულ საეკლესიო თუ საერო მნიშვნელობის ფასეულობაზე. ამასთანავე იგი სარგებლობდა რა ეკლესიაში არსებული აბსოლუტური უკონტროლობით სახელმწიფო ქონების დაცვის საკითხში, სისტემატურად იტაცებდა მათ. სახელდობრ, 1972 წლის აპრილის თვეში კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის გარდაცვალების შემდეგ საპატრიარქოდან გაიტაცა

შემდეგი საეკლესიო დანიშნულების ნივთები...“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.357, ფურც.5). აქ ჩამოთვლილია ოცდათორმეტი სახეობის ხატები, ჯვრები და სხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთები. აგრეთვე, სასამართლოს თქმით, მიტროპოლიტმა გაიოზმა თბილისის სიონის საკათედრო ტაძრიდან გაიტაცა ოცდარვა დასახელების ნივთი. „1975 წლის 12 სექტემბერს სამართალში მიცემულმა შიომღვიმის მონასტრიდან გადაიტანა სვეტიცხოვლის ტაძარში და სასულიერო სემინარიაში მონასტრის კუთვნილ ხატებთან ერთად საეკლესიო მნიშვნელობის მქონე სხვადასხვა ნივთები, სიდანაც შემდეგ გაიტაცა...“ (იქვე :ფურც.9) და სასამართლო ჩამოთვლის მითვისებულ ნივთებს. აგრეთვე, საუბარია, რომ სამართალში მიცემულმა საეკლესიო ქონება გაიტაცა მცხეთის სასულიერო სემინარიიდან. „როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, 1972 წლამდე მას არ გააჩნდა არავითარი ქონება, ხოლო ამავე წლის აპრილის თვიდან მისი თვიური შემოსავალი არ აღემატებოდა მაქსიმუმ 1.500 (ათას ხუთას) მანეთს“ (იქვე :ფურც.13).

„სასამართლო სხდომაზე ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილმა თავი ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ და აჩვენა, რომ მას არ გაუტაცებია საპატრიარქოდან, სიონის, ქვაშვეთის და სვეტიცხოვლის ეკლესიიდან, სემინარიიდან, დედათა და შიომღვიმის მონასტრიდან საეკლესიო მნიშვნელობის მქონე ნივთები, არამედ ნაწილი თვითონ შეიძინა, ხოლო ნაწილი კი აჩუქეს სხვადასხვა პირებმა“ (იქვე :ფურც.13). მიტროპოლიტ გაიოზის თქმით, ის ნივთები, რომელსაც მას ედავებოდა სასამართლო, სხვადასხვა დროს საჩუქრების სახით გადასცეს: კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ, კათოლიკოს-პატრიარქმა დავით მეხუთემ, არქიმანდრიტმა ევაგრემ (დიასამიძე), დეკანოზმა ვიქტორ შალამბერიძემ, პროტოპრესვიტერმა პახუმი ობოლაძემ და სხვებმა. აგრეთვე, ნაწილი ნივთებისა, თავად შეიძინა. „სასამართლო კოლეგიამ შეისწავლა რა საქმეში არსებული მასალები, მიაჩნია კერატიშვილის ბრალი დადასტურებულად“ (იქვე: ფურც.17). მიტროპოლიტ გაიოზს ედავებოდნენ საპატრიარქოდან წიგნების გატაცებასა და მითვისებას, რის შესახებაც სასამართლო აღნიშნავს: „აწ განსვენებულ კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატე ცინცაძის შვილმა წინასწარ გამოძიებაში აჩვენა, რომ მამის სიკვდილის შემდეგ ეკლესიას გადაეცა პატრიარქის კუთვნილი ყველა საეკლესიო და სამეცნიერო წიგნები. ერთხელ აწგანსვენებულ კათოლიკოს-პატრიარქმა დავით V გულისტკივილით შესჩივლა მას, რომ გაიოზ კერატიშვილმა ყუთებით წაიღო წიგნები

კალისტრატეს ბიბლიოთეკიდანო... ბ.ტ. კერატიშვილს რომ ჰქონდა მიდრეკილება სხვისი წიგნების გატაცებისაკენ, ეს ნათლადაა გამოხატული მოწმე გ.პ.ს. ჩვენებითაც, რომელმაც დასძინა, რომ ერთხელ საუბარში ეფრემ II-მ უთხრა: „შენც მეორე კერატიშვილი გამიხდი, რა წიგნებსაც წაიღებს, უკან აღარ მიბრუნებს“ (იქვე :ფურც.27). „ამრიგად, სასამართლო კოლეგიას დადგენილად მიაჩნია, რომ ბ. ტ. კერატიშვილმა, როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიტროპოლიტმა, სარგებლობდა რა თავისი მაღალი სასულიერო მდგომარეობით, 1972 წლის აპრილიდან 1978 წლის მაისამდე, საქართველოს საპატრიარქოდან, სიონის, სვეტიცხოვლისა და ქვაშვეთის ტაძრებიდან, მცხეთის სასულიერო სემინარიიდან, სამთავროს დედათა და შიო მღვიმის მონასტრიდან გაიტაცა საეკლესიო ნივთების სახით, განსაკუთრებით დიდი ოდენობის 100 045 მანეთის ღირებულების სახელმწიფო ქონება, რაც ამოღებული იქნა მისი ბინიდან.

1978 წლის 25 მაისს ბ.ტ. კერატიშვილი შეეცადა სავალუტო ოპერაციის წესების დარღვევით მოქ. თ-სთვის მიეყიდა ტიხვინის ღვთისმშობლის ხატიდან ამოღებული 3 ცალი ზურმუხტის ქვა, წონით 22,94 კარატი, ღირებული 17 950 მანეთად, რა დროსაც დაკავებულ იქნა მილიციის მუშაკების მიერ. იმავე დღეს გაიჩხრიკა მისი ბინა და საწოლში, ბალიშის ქვეშ, აღმოჩნდა „ვალტერის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, სამი მჭიდი, 20 ცალი ვაზნით, რასაც იგი ინახავდა სათანადო ნებართვის გარეშე.

სასამართლო კოლეგიას მიაჩნია, რომ სამართალში მიცემულ ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილს სწორად აქვს წარდგენილი ბრალდება...“ (იქვე :ფურც.35-36). აღნიშნული ფრაზებიდან გამომდინარე, მიტროპოლიტი გაიოზი საქართველოს ეკლესიას ძარცვავდა სრულიად საქართველოს სამი კათოლიკოს-პატრიარქის (ეფრემ მეორე, დავით მეხუთე, ილია მეორე) მამამთავრობისას და ერთ პირს ექვსი წლის განმავლობაში ფაქტობრივად გაუძარცვავს მთელი საქართველოს ეკლესია... წარმოდგენილი ფაქტი, თან ჩაწერილი ათეისტური საერო სასამართლოს მიერ, მეტად საეჭვო გახლავთ...

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, 1979 წლის 27 მარტის განაჩენით დაადგინა: „ბიძინა ტიტიკოს ძე კერატიშვილი ცნობილი იქნეს დამნაშავედ და მიესაჯოს: საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 238 მუხლის პირველი ნაწილით 5 (ხუთი) წლით თავისუფლების აღკვეთა, სისხლის სამართლის კოდექსის

17, 89 მუხლის პირველი ნაწილით 8 (რვა) წლით თავისუფლების აღკვეთა და 96/I მუხლით 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, სასჯელი გადაიფაროს და საბოლოოდ დატოვოს 15 (თხუთმეტი) წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით. პატრიმრობაში ყოფნა ჩაეთვალოს 1978 წლის 25 მაისიდან" (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.357, ფურც. 38-39).

1977 წლის 23 დეკემბერს, საქართველოს ეკლესიის მეთორმეტე კრებაზე, რომელმაც მიტროპოლიტი ილია აირჩია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად, სწორედ მიტროპოლიტმა გაიოზმა წაიკითხა კრების დეკლარაცია და პირველმა მოაწერა ხელი. მიტროპოლიტი გაიოზი გახლდათ ღრმად განსწავლული პიროვნება. „სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი კაცი დააკლდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას... მიტროპოლიტ გაიოზს დარჩა ბევრი გამოქვეყნებული შრომა..." (ვარდოსანიძე, 2010:225-226).

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში ავტოკეფალიის აღდგენის (1917 წლის ძვ.სტ. 12 მარტი) შემდეგ პირველად მოხდა მღვდელმთავრის განკვეთა. ეს მიტროპოლიტი გაიოზი იყო.

მოგვიანებით, 2011 წელს, მიტროპოლიტყოფილმა გაიოზმა, გაზეთ „ასავალ-დასავალში" გამოაქვეყნა ღია წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორესადმი. წერილში მიტროპოლიტყოფილი უფლის ფერისცვალების დიდებულ დღესასწაულს ულოცავს საქართველოს ეკლესიის მეთაურს და ამგვარად მიმართავს: „ნება გვიბოძეთ, თქვენო უწმიდესობავ, მოგილოცოთ უფლისა, ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ფერისცვალების დამდეგი დღესასწაული!.. დღეგრძელგყოთ უფალმან და განგამტკიცოთ და განგაძლიეროთ დიდსა მას მსახურებასა თქვენსა შინა!.. მხოლოდ გულთამხილვმა ღმერთმან უწყის ის დიდი სულიერი ტანჯვა და მწუხარება, რაც მე საეკლესიო ხარისხსა და ღვთისმსახურებას დაკლებულმა გადავიტანე მთელი მქენჯნის სინდისი და ტკივილს მიმძაფრებს ისიც, რომ პირადად თქვენ, ვითარცა საჭეთმპყრობელს საქართველოს ეკლესიისას და ღვთივკურთხეული ერის სულიერ მამას, ცნობილი მიზეზების გამო, უღმრთოთაგან მე ცოცხლად დამარხულმან, პყრობილობასა და დევნილობაში მყოფმა,

უსახლ-კაროდ შთენილმა, მშიერ-მწყურვალმა, დაწიხლულმა და შეურაცხყოფილმან - ვერანაირი სამსახური ვერ გაგიწიეთ, ვერ გედექით გვერდში ისე, როგორც გეკადრებოდათ და ომოფორის ქვეშე მყოფი ვერ დავიხარჯე თქვენთან თანამოსაგრეობით, ბოლშევიზმის მონობაში ღონემიხდილი საქართველოს უძველესი ეკლესიის აღდგენა-აღორძინების საღვთო საქმეში!.. თქვენ და მეღა შემოვრჩით, უწმიდესო, გასული საუკუნიდან, სულკურთხეული ეფრემ მეორის ხელით მღვდელმთავრად ხელდასხმულნი, რაც, მიუხედავად ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობისა, მე პირადად, პირდაპირ მავალდებულებს, ვეკრძალო დედაეკლესიის წარსულს, მის წესსა და კანონს და მისი უკეთესი მომავლისათვის მლოცველმან, თქვენ, ვითარცა მის თავს და მადლმოსილ მაკურთხეველს, ჩვენი ამქვეყნიური ცხოვრების მწუხრზე, თქვენმა უმრწემესმან ძმამან და აწ უკვე მხცოვანმა ყოფილმა თანამწირველმან, ერთ-ერთმა აღმსაყდრებელმან თქვენი უწმიდესობისა კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე და იესო ქრისტეს სისხლსა და ხორცს თქვენთან ერთად მრავალგზის ზიარებულმან - გამოგიცხადოთ ჩემი უდიდესი პატივისცემა, თანადგომა, თანაგრძნობა და სიყვარული. ქრისტე არს ჩვენს შორის! ამინ! გვაკურთხენ, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო!“ („ასავალ-დასავალი“, N 33, 2011:3)“.

2015 წლის შემოდგომაზე მიტროპოლიტყოფილმა გაიოზმა გაზეთ „ასავალ-დასავალში“ (N40-43) გამოაქვეყნა ვრცელი წერილი „შეთქმულება პატრიარქის წინააღმდეგ ჩაიშალა“, რომელშიც აღწერა თავს გადახდენილი ცნობილი მოვლენები და მისეული შეფასება შესთავაზა ისტორიასა და შთამომავლობას. იგი გარდაიცვალა 2016 წლის 19 მარტს გულზე გადატანილი ქირურგიული ოპერაციის შედეგად. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, განსვენებული დაასვენეს თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის კომპლექსში არსებულ წმიდა წინასწარმეტყველის ილია თეზბიტელის სახელობის ტაძარში, სადაც სამძიმარზე მიბრძანდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე წმიდა სინოდის წევრებთან ერთად. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ გარდაცვალებიდან მეორე დღეს, საკვირაო წირვისას, დიდ შესვლაზე, განსვენებული მოიხსენია, როგორც მიტროპოლიტი (არა მიტროპოლიტყოფილი). აგრეთვე, მიტროპოლიტ გაიოზად მოიხსენია იგი ამავე წირვაზე ჭიათურისა და საჩხერის მიტროპოლიტმა დანიელმა, მიცვალებულთა კვერექსის

ასამაღლებელში. კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 2016 წლის 22 მარტს მიტროპოლიტი გაიოზი დაიკრძალა საგარეჯოს რაიონში, ნინოწმინდის საკათედრო ტაძრის გალავანში. საფლავის ქვაზე წერია - მიტროპოლიტი გაიოზი (კერატიშვილი).

რთული და პრობლემატური იყო საქართველოს ეკლესიის უახლეს ისტორიაში ეპისკოპოს ილარიონის (სამხარაძე) ანტიეკლესიური ქმედებანი.

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ სინოდის შემადგენლობიდან (ფსიქიური პრობლემების მიზეზით) გამოყვანილი ეპისკოპოსი ილარიონი 1984 წლის მარტში ორ წერილობით განცხადებას გზავნის თბილისის ფსიქიატრიული-ნერვოლოგიური საავადმყოფოდან, სადაც იგი მკურნალობას გადიოდა. 1984 წლის 15 მარტს, ეპისკოპოსმა ილარიონმა განცხადება გაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, დიმიტრი ქართველიშვილს. მეორე დღეს, 1984 წლის 16 მარტს, ეპისკოპოსმა ილარიონმა განცხადება გაგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის სახელზე, რომელშიც იგი საკუთარ თავს უწოდებს „სასიკვდილო სარეცელზე, საგიჟეთის ჯოჯოხეთში მყოფს.“ ორივე წერილში, ეპისკოპოსი ილარიონი საუბრობს თავისი ბიოგრაფიისა და განვლილი ცხოვრების შესახებ და თავს მიიჩნევს შექმნილი მდგომარეობის მსხვერპლად. 1984 წლის 29 აგვისტოს აღნიშნული განცხადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ო. ჩერქეზიამ გადაუგზავნა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს ა. წიკლაურს და დაავალა, რომ გაერკვია ვითარება და შედეგი ეცნობებინა მინისტრთა საბჭოსთვის. თავის მხრივ, რელიგიის საქმეთა რწმუნებულმა საქართველოს საპატრიარქოს მიმართა განმარტებისათვის, რაზეც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, გრიგოლ მშვიდობაძემ, 1984 წლის 5 სექტემბერს წერილობითი ფორმით რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს გაუგზავნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის 1978 წლის 27 ივლისის სხდომის ოქმიდან ამონაწერი, სადაც აღნიშნულია, რომ ეპისკოპოსი ილარიონი ფსიქიკური ავადმყოფობის გამო მღვდელმთავრის ხარისხის შენარჩუნებით განთავისუფლდა ბოდბის ეპარქიის მმართველობიდან და აგრეთვე, გამოყვანილია წმიდა სინოდის შემადგენლობიდან. წმიდა სინოდმა მიიჩნია, რომ ეპისკოპოს ილარიონისათვის აუცილებელი იყო მკურნალობა.

1984 წლის 7 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ მოწოდებული წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე, რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა გაუგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს წერილობითი ახსნა-განმარტება, რომ ეპისკოპოსი ილარიონი არის ფსიქიურად დაავადებული, რაზეც ეპისკოპოს ილარიონის მიერ სამკურნალო დაწესებულებიდან გამოგზავნილი ორი განცხადების საფუძველზე აღძრული საქმის წარმოება შეწყდა.

ეპისკოპოსი ილარიონი ერთ-ერთ თავის წერილში, რომელიც დათარიღებულია 1985 წლის 10 მარტით, საკუთარ თავს ადარებს იოსებ სტალინს და ამგვარად წერს: „მე და იოსებს შორის ზოგიერთი რამ საერთო ასეთია: ა. იოსები დაიბადა 21 დეკემბერს, ქართლში, სახელდობრ გორში. მეც დავიბადე 21 ნოემბერს, ქართლში, სახელდობრ თბილისში. ბ. იოსებმა დაამთავრა სასულიერო სემინარია, სახელდობრ გორში. მეც დავამთავრე სასულიერო სემინარია, სახელდობრ მცხეთაში. გ. იოსები იყო სკკპ წევრი და მისი გენერალური მდივანი. მეც ვიყავი სკკპ წევრი და ამჟამად ვარ ქრისტეან-სოციალისტ საერთაშორისო პარტიის გენერალური მდივანი. ასე, რომ მე დძეია დღევანდელი იოსები ვარ“ (მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი).

აგრეთვე, ეპისკოპოსი ილარიონი 1984 წელს დაწერილ თავის ერთ-ერთ წერილში იმჟამად პატიმრობაში მყოფი მიტროპოლიტყოფილი გაიოზისადმი (კერატიშვილი) წერს: „ა. ან მე არა ვარ უფალი იესუ ქრისტე ივერიელი ღმერთკაცი, მაგრამ მსურს კი რომ ვიყო იგი. მაშინ, იესუ ჩემშია ნებსით. ბ. ან მე ვარ უფალი იესუ ქრისტე ივერიელი ღმერთკაცი და აღვიარებ ამას. მაშინ, იესუსა და ჩემს შორის ზეციერი მამა არს ყოველთაი. გ. ან მე ვარ უფალი იესუ ქრისტე ივერიელი ღმერთკაცი, მაგრამ არა მსურს ვიყო იგი. მაშინ, იესუში მე ვარ უნებლიეთ. და რამეთუ მე ამოვირჩიე „ა“ და „გ“ შორის არსებული სამეუფეო „ბ“ გზა: მე ვარ უფალი იესუ ქრისტე ივერიელი ღმერთკაცი და აღვიარებ ამას. მაშინ, იესუსა და ჩემს შორის ზეციური მამა არს ყოველთაი... მღვდელმთავარი ილარიონ სამხარაძე ანუ იგივე: უფალი იესუ ქრისტე ივერიელი ღმერთკაცი; ანუ იგივე ამჟამად დძეია ივერიელი“ (მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი). წარმოდგენილი ამონარიდების მიხედვით არ არის რთული მისახვედრი, თუ როგორი იყო ეპისკოპოს ილარიონის ფსიქიური მდგომარეობა.

უფრო ადრე კი, 1978 წლის 3 იანვარს, კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს არჩევითა და აღსაყდრებით ძლიერ გულმწყრალმა ეპისკოპოსმა ილარიონმა, თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის ტაძარში წირვისას შეკრებილ მრევლს სეფისკვერები დაუშინა, იმის გამო, რომ თუ რატომ სურდათ უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორეს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევა...

სიცოცხლის ბოლო წლებში ეპისკოპოსი ილარიონი იმყოფებოდა მდუმარებაში, სოფ. ფავნისში, თუმცა შემდეგ მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა სექტანტურად მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი. ეპისკოპოსი ილარიონი თაყვანს სცემდა როგორც წმინდანებს - იოსებ სტალინს, უინსტონ ჩერჩილს, ფრანკლინ რუზველტს და მათი „ხატიც“ კი შეაქმნევინა. ის ჩნდებოდა ხოლმე თავის მომხრეებთან ერთად სხვადასხვა ადგილზე, ისინი ასრულებდნენ უცნაურ სიმღერებს, სახოტბო ლექსებსა და ა.შ.

ეპისკოპოსი ილარიონი გარდაიცვალა 2016 წლის 5 დეკემბერს. მისი პანაშვიდები გაიმართა თბილისის ყოვლადწმიდა სამების სახელობის (პატარა) ტაძარში, სადაც სამძიმარზე მიბრძანდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომლის ლოცვა-კურთხევით მეუფე ილარიონი დაიკრძალა მცხეთის წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის გალავანში.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიის უახლეს ისტორიაში ერთ-ერთი გამოწვევა იყო მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი) ანტიეკლესიური ქმედებები და წინააღმდეგობანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი.

მიტროპოლიტი შიო (ერისკაცობაში ვარლამ აპოლონის ძე ავალიშვილი) დაიბადა 1909 წლის 17 სექტემბერს, შორაპნის მაზრის სოფელ ხორითში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი მუშაობდა სხვადასხვა საერო სამსახურში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1975-1977 წლებში მორჩილება გაიარა ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში. 1978 წლის 23 აპრილს აღიკვეცა ბერად და ეწოდა შიო. ამავე წლის 27 აპრილს ხელდასხმული იქნა იეროდიაკვნად, 22 ივლისს - მღვდელმონაზვნად. 1978 წლის 28 ივლისს მას ხელი დაასხეს ეპისკოპოსად და დაადგინეს მაწყვერელ-ნიკორწმინდელ მღვდელმთავრად და კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსად. 1978 წლის 14 დეკემბერს ეპისკოპოს შიოს მიენიჭა მთავარეპისკოპოსის წოდება და დადგინდა ქუთათელ-გაენათელ მღვდელმთავრად. შემდეგ

მას მიენიჭა მიტროპოლიტის წოდება. 1981 წლის 9 სექტემბერს, მიტროპოლიტი შიო გადაყვანილი იქნა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიის მმართველად, რამაც მისი განაწყენება გამოიწვია. მან პირდაპირი ბრძოლა დაიწყო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს წინააღმდეგ, რომელმაც ასე უხვად უბოძა საეკლესიო უმაღლესი ხარისხი.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 1982 წლის 10 დეკემბრის სხდომაზე მიტროპოლიტმა შიომ, ეპისკოპოსმა ამბროსიმ (ქათამაძე) და ეპისკოპოსმა ქრისტეფორემ (წამალაიძე) გააკეთეს ოფიციალური განცხადება და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე დაადანაშაულეს ერთპიროვნულ მმართველობაში. აგრეთვე, განმცხადებლებმა მოითხოვეს ზოგიერთი სასულიერო იერარქის განკვეთა. მართალია, სამივე მღვდელმთავარმა წმიდა სინოდის 1983 წლის 11 ოქტომბრის სხდომაზე ითხოვა პატიება, მაგრამ სულ მალე გაავრცელეს წერილი, რომელშიც წერდნენ: „თქვენს მოსაზრებას, რომ ეკლესიის საიდუმლონი არ უნდა გავიდეს ეკლესიის გარეთ, ჩვენ არ ვიზიარებთ, იმიტომ რომ გარდა ქრისტიანული დოგმატიზმით დაწესებული შვიდი საიდუმლოისა, ეკლესიაში სხვა საიდუმლო არ არსებობს და არც უნდა არსებობდეს... პატრიარქობა პატივია ღვთაებრივი, რომლის ბადალი არ არსებობს ცისქვეშეთში...

მღვდელმთავრებს დაგვიწყეს საჩივრების წერა, აგვავსეს საყვედურებით, რომ ვითმენთ ამ საშინელებას და ხმას არ ვიღებთ. ავწონ-დავწონეთ შექმნილი ვითარება ხუთმა მღვდელმთავარმა, დავწერეთ თხოვნა თქვენს სახელზე და მოგართვით 1982 წლის 10 დეკემბერს. ჩვენ თქვენთვის არ გვიკადრებია რაიმე ულტიმატუმის წამოყენება, არამედ გთხოვეთ მოცემული საკითხის განხილვა საქართველოს საეკლესიო დებულების მეცხრამეტე მუხლის თანახმად. იმ დღიდან თქვენი გული და გონება აღივსო ჩვენდამი მტრობითა და სიძულვილით და შეუდექით ამ მტრობისა და სიძულვილის პრაქტიკულ განხორციელებას“ (ვარდოსანიძე, 2011:147-150).

აღნიშნული წერილი საკმაოდ ვრცელია და იგი აღსავსეა მრავალი ბრალდებით კათოლიკოს-პატრიარქისადმი, რომელსაც წერილის ავტორები ბრალს სდებდნენ საქართველოს ეკლესიაში არსებული კრიზისის გაღრმავებაში, ქართველ ხალხსა და ეკლესიის ჭეშმარიტ კეთილდღეობასთან დაპირისპირებაში, ეკლესიის პირადი განდიდებისა და პირადი

კეთილდღეობისათვის ზრუნვის წყაროდ გადაქცევაში. „ვინაიდან ამის მიზეზი თქვენ ბრძანდებით მხოლოდ და მხოლოდ და თუ დიდი საქმე და მომავალი მსხვერპლს მოითხოვს, სამართლიანი უნდა იყოს მსხვერპლის შეწირვა და სად ვნახოთ სამართალი ღვთისაგან ნაკურთხი იმაზე მეტი, რომ თქვენმა დიდებამ უნდა დატოვოს ტახტი იგი, რომელიც თქვენ არასოდეს გეკუთვნოდათ“ (იქვე :155).

მიტროპოლიტ შიოსა და მისი თანამოაზრე მღვდელმთავრების მიერ შედგენილი წერილების საპასუხოდ დაიწერა წერილი, რომელშიც დაგმობილი იყო მეამბოხე მღვდელმთავართა ქმედებები და ხაზგასმული გახლდათ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დიდი დამსახურება და ღვაწლი...

უნდა აღინიშნოს ის სამწუხარო გარემოება, რომ მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ჯერ კიდევ ათეისტური საბჭოური ქმედებები მთელი სიმძლავრით კვლავ მიმდინარეობდა ეკლესიის წინააღმდეგ. ამ დროს საჭირო იყო ეკლესიაში კონსოლიდაცია, ერთობა და ერთობლივი მოქმედება და არა დაპირისპირება. სამწუხაროდ, მიტროპოლიტმა შიომ და მისმა თანამოაზრე მღვდელმთავრებმა ვერ ან არ აღიქვეს შექმნილი პოლიტიკური ვითარების სიმწვავე, რომელიც ეკლესიას მრავალ საშიშროებას უქადდა და ამგვარ ვითარებაში, არა დაპირისპირება, არამედ ერთსულოვნება იყო საჭირო...

მოგვიანებით, 1986 წლის 24 ივნისს, წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით მიტროპოლიტ შიოს ანტიეკლესიური საქმიანობისთვის ჩამოერთვა ეპარქია და გაშვებულ იქნა პენსიაზე. თუმცა, მანამდე, ზემოთ აღნიშნულმა დაპირისპირებამ გამოიწვია ორი მღვდელმთავრისა და კიდევ ერთი სასულიერო პირის განკვეთა.

მეტად სამწუხარო მოვლენასა და გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეოცე საუკუნის ოთმხოციანი წლების ყოფა-ცხოვრებაში 1983 წელს ორი მღვდელმთავრის - ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნიკოლოზისა (მახარაძე) და ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის იოანეს (ანანიაშვილი) განკვეთა მღვდელმთავრობიდან. მათ წინააღმდეგ ბრძოლა, სწორედ მიტროპოლიტმა შიომ დაიწყო, თავის წერილებში, სადაც იგი აკრიტიკებდა ხსენებულ ორ მღვდელმთავარს, ბრალს სდებდა მათ სოდომურ ცოდვებში და მოითხოვდა მათ განკვეთას. 1981 წლის დასაწყისში მას (შენ: იგულისხმება მეუფე ნიკოლოზი (მახარაძე). ავტ.) მიეცა მიტროპოლიტობა. ცხუმ-აფხაზეთის

მღვდელმთავრობისას, მიტროპოლიტ ნიკოლოზსა და რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან აფხაზეთის ასსრ-ში ლაგვილავას შორის მოხდა დაპირისპირება, რის გამოც 1981 წლის 9 სექტემბერს იგი გადაყვანილ იქნა ქუთათელ-გაენათელად, რამაც ყოფილი ქუთათელის - მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი) განრისხება გამოიწვია. მან ჯერ უარი განაცხადა ბათუმ-შემოქმედის ეპარქიაში გადასვლაზე, შემდეგ კი დაიწყო საჩივრების წერა საერო ხელისუფლებაში... წერილებში განსაკუთრებით მძაფრად აკრიტიკებდა მიტროპოლიტ ნიკოლოზს (ვარდოსანიძე, 2017:565).

მეუფე შიო ქუთაის-გაენათის კათედრაზე შეცვალა ეპისკოპოსმა ნიკოლოზმა (მახარაძე). იგი 1983 წლამდე განაგებდა ამ ეპარქიას. მისი საქმიანობა არა თუ გამოკვეთილად აღსანიშნავი მოვლენებით არ გამოირჩეოდა, არამედ სკანდალურ შემთხვევაშიც კი აღმოჩნდა გარეული და მღვდელმთავრული მოღვაწეობა ეკლესიიდან განკვეთით დაასრულა (მჭედლიძე, კეზევაძე, 2008:473-474).

2009 წელს დაიწერა ნარკვევი „აჯანყება ეკლესიის წინააღმდეგ 1982-83 წლებში“, რომელშიც ვკითხულობთ: „კრემლი სსრკ რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის მეშვეობით ცხადია არაპირდაპირ, მაგრამ ითხოვდა, რომ საქართველოს საეკლესიო ხელისუფლებისაგან გახუმაურებლად ჩამოეშორებინათ მიტროპოლიტი ნიკოლოზი, რათა შემდეგ მათ საშუალება ჰქონოდათ მისი დასჯისა „მცდარი“ და „ანტისაბჭოთა დანაშაულის გამო“. ეს ზეწოლა გრძელდებოდა საკმაოდ დიდხანს, ალბათ ერთი წელი. უწმიდესმა კი ეს არ ინება. მან, რადგანაც ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა აფხაზეთის რელიგიურ საქმეთა რწმუნებული, გადაწყვიტა განერიდებინა მიტროპოლიტი ნიკოლოზი აფხაზეთიდან. მართლაც /მიტროპოლიტი/ ნიკოლოზი გათავისუფლდა აფხაზეთის ეპარქიიდან და მთელი თავისი რეგალიებით დაინიშნა ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტად, ანუ ქუთაისისა და გელათის ეპარქიის მმართველად. ამ გადაყვანამ კრემლი არ დააკმაყოფილა, მაგრამ, საუბედუროდ, ძლიერ გააღიზიანა იქამდე ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი შიო, რომელიც მისთვის სრულიად მოულოდნელად გაათავისუფლეს კათედრიდან და მის ადგილას კი დანიშნეს მიტროპოლიტი ნიკოლოზი. მიტროპოლიტი შიო - 76 წლის მოხუცი კაცი, იმჟამად ის-ის იყო დაამთავრა ქუთაისში საეპარქიო სახლის რემონტი და ელოდა, რომ დანარჩენ ცხოვრებას მყუდროდ გაატარებდა იქ. ის კი გაათავისუფლეს და ბათუმის ეპარქიაში

გადაიყვანეს. მისთვის უცნობი იყო მიტროპოლიტ ნიკოლოზის ზემოთაღწერილი ამბები, ისევე როგორც, სხვა ყველასათვის, რადგან ყველაფერი დაფარული იყო და იცოდა მხოლოდ რელიგიის საბჭოსა და საპატრიარქოს ძალზე მაღალმა ფენამ. მიტროპოლიტ შიოს მაშინვე ჩააგონეს, რომ მისი ქუთაისიდან გაძევების მიზეზი იყო პატრიარქის გარემოცვა, რომ პატრიარქი სუსტია, სჯერა მისი გარემოცვისა და მათ თავიანთი ენებით შეაჯავრეს პატრიარქს შიო. /მიტროპოლიტი/ შიო ძლიერ გაბოროტებული იყო. მან დაიწყო ფიქრი იმისა, თუ ვინ იყო პატრიარქის უახლოესი გარემოცვა, ვისაც ის უსმენდა. ცხადია, იმჟამად ასეთად მიჩნეული იყო ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე და კიდევ რამდენიმე პირი.

პატრიარქის იმჟამინდელი გარემოცვით უკმაყოფილო იყო, ასევე რელიგიური საქმეთა საბჭო, მთავრობის ათეისტური ორგანო, რომელიც ასევე თვლიდა, რომ /მიტროპოლიტ/ ნიკოლოზს სინოდში მხარს უჭერდა ძლიერი ფრთა, რადგანაც, როგორც აღვნიშნეთ უწმიდესმა არ ინება მიტროპოლიტ ნიკოლოზის ჩამოქვეითება, პირიქით, გადაიყვანა საქართველოს ეკლესიის ღირსებათა და ასევე ფინანსური შემოსავლებით პირველი რანგის კათედრაზე - ქუთაის გაენათის ეპარქიის მმართველად. ესეც გარკვეულწილად დაბრალდა უწმიდესის გარემოცვას. ეს ხდებოდა უწმიდესის ტახტზე აბრძანებიდან სულ რამდენი წლის შემდეგ, 1982-83 წლებში“ (ლომაძე, გელაშვილი, 2009:4-5).

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მიტროპოლიტი შიო განაწყენებული იყო ასევე მისი ქორეპისკოპოსობიდან გათავისუფლების გამო, რომლის შესახებ ზემოთ აღნიშნულ წერილში ვკითხულობთ: „/მიტროპოლიტი/ შიო ნაწყენი იყო არა მხოლოდ მისი ქუთაისის ეპარქიიდან განთავისუფლების და მის ნაცვლად /მიტროპოლიტ/ ნიკოლოზის დანიშვნის გამო, არამედ უფრო მეტად მისი ქორეპისკოპოსობიდან განთავისუფლების გამო. თვითონვე წერს საბოლოო წერილში, თუ ვინ აყენებდა საკითხს მისი განთავისუფლების შესახებ - ეს იყო შემდეგში ცნობილი დისიდენტი და საზოგადო მოღვაწე, ზურაბ ჭავჭავაძე, რომელიც იმ წლებში იყო პატრიარქის რეფერენტი. მასთან დაკავშირებით /მიტროპოლიტი/ შიო წერს პატრიარქს: „1979 წლის მაისის თვეში „რეფერენტის“ ზურაბ ჭავჭავაძის მიერ მოტანილი ცრუინფორმაციის შედეგად, ქორეპისკოპოსობიდან გაათავისუფლეთ შიო ავალიშვილი მაშინ, როცა მისი საპატრიარქოში მუშაობა საჭირო იყო ეკლესიისა და პირადად თქვენთვისაც.“

/მიტროპოლიტი/ შიო ავალიშვილი ქორეპისკოპოსობის დროს ფაქტიურად აკონტროლებდა საპატრიარქოს სამეურნეო-საფინანსო საქმიანობას. მის ხელში აღმოჩნდა მილიონობით მანეთის განკარგვა. მალევე ძლიერი ეჭვი აღძრა მისმა საქმიანობამ, ეჭვქვეშ დადგა მისი საფინანსო რეპუტაცია. ზურაბ ჭავჭავაძეს ევალებოდა და კიდევაც მიჰყვა ამ საქმეს და შესაბამისი არქივიდან მოიპოვა ცნობა, რომ შიო სინადვილეში იყო ყოფილი პატიმარი, რომელსაც ორჯერ, საერთო ჯამში 30 წელი ჰქონდა მისჯილი საფინანსო მაქინატორობის გამო.

თავის მიმართვებში /მიტროპოლიტი/ შიო წუხდა საპატრიარქოს სამეურნეო-საფინანსო საქმეების უწესრიგობის შესახებ, მაგრამ საპატრიარქოს ფინანსები ხომ მის ხელში იყო სულ რამდენიმე თვით ადრე, მაგრამ არ ენდნენ და ამ საქმეებს ჩამოაცილეს. /მიტროპოლიტი/ შიო, როგორც თვითონ ყვებოდა, ცხოვრობდა შუა აზიის ციხე-კოლონიებში, მხოლოდ ღრმა სიბერის დროს, 70 წლის ასაკში მივიდა ის ეკლესიაში, ჯერ კიდევ ძვალმსხვილი და ენერგიული“ (იქვე: 7-8).

1982 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის წმიდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა ქუთაის-გაენათის ეპარქიის მორწმუნეთა ღია კრება, რომელსაც დაახლოებით სამასამდე ადამიანი დაესწრო. კრებას აგრეთვე ესწრებოდნენ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს წარმომადგენლები: თ. ნიქაბაძე და გ. ზაქარია. კრების თავმჯდომარე გახლდათ თევდორე კაკაურიძე, ხოლო მდივანი - ნუნუ ბრეგაძე. კრების ოქმში ვკითხულობთ: „კრების დასაწყისში მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა კრებას გააცნო ცილისმწამებლური წერილების შინაარსი ძირფესვიანად და მოუწოდა მათ, განესაჯათ ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტისა და სამღვდელოების მორალური ყოფის საკითხი, მოუწოდა მათ გულწრფელობისაკენ და გულახდილობისაკენ, რადგან დღეს საქართველოს ეკლესიაში შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს საკითხისადმი ობიექტურ და რეალურ მიდგომას“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.11).

ხსენებულ წერილთა ავტორები იყვნენ მიტროპოლიტი შიო (ავალიშვილი) და ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), რომლებიც უმძიმეს მორალურ-ზნეობრივ ბრალდებას უყენებდნენ მიტროპოლიტ ნიკოლოზს.

კრებაზე პირველი სიტყვით გამოვიდა კრების თავმჯდომარე თევდორე კაკაურიძე, რომელმაც განაცხადა: „მეუფე ნიკოლოზი ჩვენი ქალაქის მკვიდრია, არის შესანიშნავი მლოცველი და მგალობელი... მან ჩვენთან გააძლიერა ლოცვები არა მარტო საკათედრო ტაძარში, არამედ ეპარქიაში შემავალ ეკლესიებშიც. ის ეკლესიის ყოველგვარ შემოსავალს აგროვებს ტაძრის რემონტისათვის, რაზეც აქამდე არცერთ მიტროპოლიტს არ უფიქრია... ჩვენ მლოცველები ვიყავით სალოცავათ მეუფე იოვანეს ეპარქიაში. იქ დაგვხვდა ეპისკოპოსი ქათამაძე (გულისხმება ნიკორწმიდელი ეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე). შენ. ავტ.) და გვთხოვა, შეგვედგინა ოცეული და წავსულიყავით მეუფე ნიკოლოზის წინააღმდეგ. მე ეს ვაცნობე მეუფე ნიკოლოზს. მან დაფიქრებით მითხრა, ილოცეთ, იქნებ გონს მოვიდესო... ეს ყველაფერი უსაფუძვლოა. ჩვენ ყველა დარწმუნებული ვართ მის (იგულისხმება მიტროპოლიტი ნიკოლოზი. შენ. ავტ.) პატიოსნებაში. მას მხოლოდ ადამიანური ღირსებები ალამაზებს. მე ქუთაისის მორწმუნეთა სახელით მოვითხოვ, განიკვეთონ ცილისმწამებელი ეპისკოპოსები“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.11-12).

კრებაზე სიტყვით წარსდგა საქართველოს საპატრიარქოს დამსახურებული მედავითნე ნათელა მურუსიძე, რომელმაც თქვა, რომ ქუთაისის აღმასკომში მისი სახელით შევიდა ცილისმწამებლური წერილი ქუთაის-გაენათის მიტროპოლიტისა და ამ ეპარქიის სამღვდელოების წინააღმდეგ. ნ. მურუსიძემ განაცხადა, რომ ეს წერილი იყო ანონიმური და მის სახელს ამოფარებული, რაზეც მან სათანადო ახსნა-განმარტება მისცა ქუთაისის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს. გამომსვლელმა აღნიშნა: „მეუფე ნიკოლოზს ვიცნობ ბავშვობიდან, ერში ხუტა მახარაძეს... მრავალი ეპისკოპოსის დროს მომიხდა ეკლესიაში მსახურება, მაგრამ ასეთი ეპისკოპოსი ჩვენ არ გვყოლია. ამ საქციელს და ცილისწამებას ჩადის ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი ქათამაძე, რომელსაც სურდა მოწამეთის მონასტერი ჩაეგდო ხელში, ხოლო ბათუმელ მიტროპოლიტ შიოს - დაბრუნდეს ქუთაისის ეპარქიაში. მე, როგორც საქართველოს დამსახურებული მედავითნე, მოვითხოვ, რომ ყველა დავდგეთ მის (იგულისხმება მიტროპოლიტი ნიკოლოზი. შენ. ავტ.) გვერდით და მუდამ ბრწყინავდეს, როგორც ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნიკოლოზი ჩვენს ეპარქიაში“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.N531, ფურც.12). კრებაზე სიტყვით გამოვიდა არაერთი მორწმუნე. „რამდენადაც ვიცი ეპისკოპოს ქათამაძეს სურდა მოწამეთის მონასტრის ხელში ჩაგდება, რათა გაეზარდა

მისი ეკონომიური შემოსავალი, მაგრამ ვერ მიიღო მან მონასტერი და ამის შემდეგ გადავიდა აშკარა ბრძოლაზე. ისტორიულად, მოწამეთა ეკუთვნის ქუთაის-გაენათის ეპარქიას და ქუთაისის მრევლი არ დაუშვებს მოწამეთის მონასტრის გადაცემას ქათამაძეზე... პატრიარქის ბრძანებით, მიტროპოლიტმა ნიკოლოზმა ეპისკოპოს ქათამაძეს დაუნიშნა მოწამეთის მონასტრიდან ყოველ თვეში ხუთასი მანეთი... ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი მეუფე ნიკოლოზი წმინდაა. ვგმობთ ქათამაძის პოლიტიკას! ეკლესიისთვის სიწმინდეა საჭირო და არა ფული“, - განაცხადა კრების ერთ-ერთმა მონაწილემ, ალმა ჩაბაკაურმა (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.13-14). „ვიტყვი, რომ მეუფე ნიკოლოზი არის ჩვენი ეკლესიის სიმდიდრე. მისი გამოსვლა, მისი ქადაგება ყველას გვათვითცნობიერებს. მე მოვითხოვ, რომ არავითარი წერილები! დავირაზმოთ და წავიდეთ პატრიარქთან. ეს ჩირქის ცხებაა ყველასთვის... დაგმობილ იქნან ცილისმწამებლები! (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.14-15)“, - განაცხადა აგრეთვე კრების ერთ-ერთმა მონაწილემ ეთერი ჩიკვაიძემ. კრებაზე სიტყვით გამოვიდა ქუთაისის არქიელის გორის წმიდა გიორგის სახელობის ტაძრის მედავითნე კაკო შალამბერიძე, რომელმაც აღნიშნა: „მე ვიტყვი, რომ ეს არის ცილისწამება და წერილები ყალბია. ხელს ვაწერ, რომ ეს ეპარქია უნდა ჩაიგდოს ხელში ეპისკოპოსმა ქათამაძემ და მიტროპოლიტმა შიომ... ჩვენ მოვითხოვთ, ჩვენ მეუფე ნიკოლოზს რომ დასწამეს ცილი, იქნან ისინი დასჯილნი“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.16).“

აღნიშნულ კრებაზე, მოწამეთას წმიდა დიდმოწამეთა დავითისა და კონსტანტინეს (მხეიძეები) სახელობის მონასტრის მედავითნემ, გიორგი ბურჯანაძემ განაცხადა: „ძალიან ვაფასებ ჩვენს მეუფეს. მე მოვითხოვ შეწყდეს ცილისმწამებლური წერილების წერა დაისაჯნონ დამნაშავეები“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს. 531, ფურც.17).

ქუთაისის მწვანეყვავილას წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძრის მედავითნემ, ანიკო ჩიქოვანმა აღნიშნა: „მე მადლობას ვუხდი უფალს, რომ ასეთი საუკეთესო მეუფე მოუვლინა ჩვენს ქუთაისს. ასეთი წერილები ჩვენი სირცხვილია. მე მოვითხოვ, რომ დაგმობილი იქნას ბოროტმოქმედები“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.N531, ფურც.18).

კრებაზე ერთ-ერთმა სიტყვით გამომსვლელმა, მარგალიტა თვალოძემ, მკაცრად გააკრიტიკა წერილების ავტორები, ბრალი დასდო მათ ანგარებაში და დასძინა: „მე მოვითხოვ, დასჯილ იქნან ცილისმწამებლები“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.19).

აღსანიშნავია, რომ ქუთაის-გაენათის ეპარქიის მორწმუნეთა ღია კრებაზე სიტყვით წარსდგნენ ასევე ქუთაის-გაენათის ეპარქიის სასულიერო პირები - დეკანოზი ინდისი ნუცუბიძე და დეკანოზი რევაზ მოსეშვილი. „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ამინ. თქვენ ყველამ იცით, რომ არცერთი მოწინავე მღვდელმთავარი არ ყოფილა, რომ არ დაეწერათ მასზე... ასეთი ცილისწამება მთელი ქუთაისის თავის მოჭრაა. ეს ხომ სიბინძურეა, ეს ხომ სიგლახეა, ეს არის შეურაცხყოფა. მეუფეო, აქ ვართ სამღვდელოება! აქ ვართ ყველა! უფალი თქვენთან არის!“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.14), - განაცხადა დეკანოზმა ინდისი ნუცუბიძემ. დეკანოზმა რევაზ მოსეშვილმა, კრებაზე თავის გამოსვლაში აღნიშნა: „თქვენ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რა ბრწყინვალებითაა შემოსილი საქართველოს ეკლესიის ისტორია... დღესაც ჩვენი ერის საჭეთმპყრობლად დაინიშნა მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია მეორე და მისი თანამოაზრე ყოველთვის იყო და არის ჩვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა მიტროპოლიტი ნიკოლოზი... ყველამ გულში ჩაიხედეთ, ყველამ მოიყარეთ ღვთის წინაშე მუხლი და მადლიერებისა და პატიოსნების გონებით ღმერთს შევღადადოთ, რომ ღირსი გაგვხადა ვიყოთ შვილები სიწმიდით მოსილი პატრიარქისა და იმერეთის მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და ამ მადლის შემდეგ თავი იჩინა ასეთმა უმსგავსოებამ, რომელიც არ შემიძლია გამოვთქვა იმ ბინძური სიტყვებით, რაც წარმოთქვეს ეშმაკის მსახურთა. ეს ხომ ისტორიის დამახინჯებაა! რა პასუხს აძლევთ მომავალ თაობას, რომელიც იმედის თვალით შემოგვცქერის ჩვენ?! არ შეიძლება დავუშვათ ეს! ბოლო მოეღოს განდიდების მანიით შეპყრობილთა თავხედურ საქციელს. ღმერთი დაიცავს მის ერთგულ შვილებს” (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.15).

კრების ოქმში წარმოდგენილია ასევე სხვა გამომსვლელთა მიერ წარმოთქმული სიტყვები. ყოველი გამომსვლელის, როგორც სასულიერო, ისე საერო პირის სიტყვებიდან ნათლად სჩანს რომ ისინი ერთსულოვნად უჭერდნენ მხარს ქუთათელ-გაენათელ მიტროპოლიტ ნიკოლოზს, გმობდნენ საბრალდებო წერილების ავტორთა ქმედებასა და მათ დასჯას მოითხოვდნენ. კრებამ მიიღო დადგენილება: „1. ეთხოვოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, აღკვეთოს ცილისმწამებელთა ჯგუფის მოქმედება, რადგან ქუთაის-გაენათის ეპარქიის მრევლი არ იზიარებას ამ ცილისმწამებლური წერილების შინაარსს.

2. ეთხოვოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეუწყვიტოს ხელფასის მიცემა ქუთაის-გაენათის ეპარქიიდან ეპისკოპოს ქათამაძეს და დაავალოს მასვე დაუბრუნოს მის მიერ გატაცებული ფული, 2500 (ორი ათას ხუთასი) მანეთი ქუთაისის წმ. გიორგის ეკლესიას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე აღიძრება სასამართლოში.

3. მორწმუნეებმა გამოსთქვეს აზრი, ქუთაის-გაენათის ეპარქიიდან გაიგზავნოს მორწმუნეთა ჯგუფი საქართველოს საპატრიარქოში, კათალიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან შესახვედრად“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.531, ფურც.20).

დადგენილებას ხელს აწერენ კრების თავმჯდომარე თევდორე კაკაურიძე და მდივანი, ნუნუ ბრეგაძე, აგრეთვე კრების მონაწილე მორწმუნეები.

კრების დადგენილება იყო ერთსულოვანი და მათ თავიანთი მოთხოვნებიც წამოაყენეს. თუმცა, მიუხედავად აღნიშნული კრებისა და მისი დადგენილებისა, საერო ხელისუფლების ზეწოლით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იძულებული გახდა და 1983 წლის 3 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ, მიტროპოლიტი ნიკოლოზი განიკვეთა სამღვდელმთავრო ხარისხიდან და დაყვანილი იქნა ბერობამდე.

მიტროპოლიტყოფილი ნიკოლოზი, თავისი მდგომარეობის გამო, წერილებს წერდა საერო მთავრობის სახელზე. 1985 წლის 16 მაისს ერთ-ერთი ასეთი წერილი მან მისწერა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ ნიკოლოზის ძე წიკლაურს. „პატ. ანზორ ნიკოლოზის ძევ, ვიმყოფები რა უდანაშაულოდ შეურაცხყოფილი და დასჯილი, მე, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი, მოგმართავთ თქვენ ყურადღებისა და გადაუდებელი დახმარებისათვის. 1983 წლის 3 ოქტომბერს ქართული ეკლესიის სინოდმა, სრულიად უსაფუძვლოდ დაეყრდნო რა მიტროპოლიტ შ. ავალიშვილისა და ეპისკოპოს ა. ქათამაძის მიერ შეთხზულ ბოროტ მონაჭორს, რაიმე რეალური საბუთისა, ან მამტკიცებელი ფაქტის გარეშე, ჩამომართვა მიტროპოლიტის ხარისხი და ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველობა... უხეშად დაირღვა საეკლესიო კანონმდებლობა...“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.521, ფურც.4).

მიტროპოლიტყოფილი ნიკოლოზი თავის წერილში რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულისადმი ჩამოთვლის იმ საეკლესიო კანონებს, რომლის მიხედვითაც, მისი აზრით, მისდამი გამოტანილი განაჩენი უსაფუძვლო და უკანონოა. „სინოდის უცვლელი თავმჯდომარე ბრძანდება კათოლიკოს-პატრიარქი. ზემოთ ხსენებულ სინოდის სხდომას კი ხელმძღვანელობდა მიტრ. შიო ავალიშვილი. მან წამოაყენა ბრალდება, მანვე განიხილა საკითხი და მანვე მიიღო გადაწყვეტილება... საჭიროდ ვთვლი მოგახსენოთ, რომ მრავალი წელი პატიოსნად და კეთილსინდისიერად ვასრულებდი ეკლესიის მიერ დაკისრებულ მოვალეობასა და ვალდებულებას. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო ჩემო მოღვაწეობა ეკლესიის საგარეო საქმეთა საკითხში... არასოდეს არ მიმიღია ჩემს მოღვაწეობაში შენიშვნა, ან საყვედური ზემდგომი ორგანოებისგან. ჩემი მოღვაწეობით კმაყოფილი ბრძანდებოდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რისი დამადასტურებელი ფაქტია ჩემი მაღალი საეკლესიო წოდება და მრავალი საეკლესიო ჯილდო და მადლობა... მე გახლდით პირველი ოფიციალური საეკლესიო პირი, ვინც აღადგინა ურთიერთობა რომის კათოლიკურ ეკლესიასთან და ვინც ჩვენი დიდი მამულიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის შემდეგ, მიიღო ოფიციალურად რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ... ბოროტმა ძალებმა მოინდომეს ჩემი სახელის საერთოდ ეკლესიის ისტორიიდან ამოშლა, მაგრამ დაავიწყდათ მთავარი, რომ ჩემი სახელი, როგორც მღვდელმთავრისა და საერთოდ, საეკლესიო მოღვაწისა, ფიქსირებულია და მოხსენებული მთელი ამ წლების მანძილზე საეკლესიო დოკუმენტებსა და მასალებში და ისტორია თავისას აღნიშნავს... მე იძულებული გავხდი მიმემართა მართლმსაჯულებისათვის... რწმუნებულის მოადგილის, რ. ტატიშვილის რჩევითა და მითითებით და რაც მთავარია დაპირებით, რომ ჩემი აღდგენა მოხდებოდა უმოკლეს ვადაში და აჯობებდა საქმე მოგვარებულიყო სასამართლოს გარეშე... მე შევწყვიტე საქმე. გადის დრო და ახლა უფრო მეტად დავრწმუნდი, რომ მე აღმოვჩნდი მოტყუებული. თითქმის ორი წელი გავა მალე და საქმეს კი დასასრული არ უჩანს... არაფერი შემრჩა ხელში.

უმორჩილესად გთხოვთ, მიიტანოთ გულთან ჩემი გასაჭირი. მე განადგურებული ვარ, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად. ვარ 53 წლისა. ჩემს ასაკში არც ისე ადვილია ხელახლა ცხოვრების დაწყება...“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.521, ფურც.6-9), - აღნიშნავდა მიტროპოლიტყოფილი ნიკოლოზი.

1986 წლის 15 სექტემბერს მღვდელმთავარყოფილმა ნიკოლოზმა წერილი გაუგზავნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს. წერილში მიტროპოლიტყოფილი წერს: „ვიმყოფები რა უდანაშაულოდ დასჯილი და შეურაცხოფილი და რაც მთავარია, ვერ მივაღწიე სამართალს ვერც ეკლესიაში და ვერც ერში, მე, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავარი, მოგმართავთ თქვენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ყურადღებისა და დახმარებისათვის. მართალია, ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან, მაგრამ ჩემი გადაწყვეტილება მომემართა თქვენთვის დახმარებისათვის, განაპირობა თქვენმა უდიდესმა პატრიოტულმა მოღვაწეობამ და მამობრივმა დამოკიდებულებამ ჩვენი რესპუბლიკისა და მისი ყოველი მშრომელის მიმართ, იმ უდიდესმა ძვრებმა, რაც ხდება ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში...

1983 წლის 3 ოქტომბერს ქართული ეკლესიის სინოდმა, სრულიად უსაფუძვლოდ, დაეყრდნო რა მიტრ. ავალიშვილისა და ეპ. ქათამაძის (რომელთაც ჩემს მიმართ ჰქონდათ შური და მტრობა) ბოროტ მონაჭორს, რომელთაც ცილი დამწამეს სოდომურ ცოდვაში, რაიმე რეალური საბუთისა ან მამტკიცებელი ფაქტის გარეშე, ჩამომართვა მიტროპოლიტის ხარისხი და ქუთაის-გაენათის ეპარქიის მმართველობა, ასევე გამანთავისუფლა საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობისაგან... უმორჩილესად გთხოვთ, მიიტანოთ გულთან ჩემი გასაჭირი. მე განადგურებული ვარ, როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად. ეკლესიიდან გაძევებული, ფაქტიურად აღმოვჩნდი ქუჩაში, უსახლკარო, მატერიალური სახრების გარეშე. შევეკედლე დას, რომელიც პირველი ჯგუფის ინვალიდია, შეპყრობილია მძიმე დაავადებით და ჰყავს მცირეწლოვანი შვილები... ჩემს ასაკში არც ისე ადვილია ცხოვრების თავიდან დაწყება.

გთხოვთ, მისცეთ მითითება ეკლესიის საქმეთა რწმუნებულს, ობიექტურად მიუდგნენ ჩემი ეკლესიაში დაბრუნების საკითხს...“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.553, ფურც.18,20).

1986 წლის 26 ნოემბერს მიტროპოლიტყოფილმა ნიკოლოზმა აგრეთვე წერილით მიმართა საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ოთარ ჩერქეზიას. წერილში მღვდელმთავარყოფილი წერს: „მოგმართავთ თხოვნით და გაწუხებთ, გართმევთ თქვენთვის ესოდენ საჭირო დროს, მაგრამ სხვა გამოსავალი ნამდვილად არ მაქვს. ამავე დროს მწამს

თქვენი გულისხმიერებისა და ყურადღების, რომ ჩემს თხოვნას არ დასტოვებთ სათანადო რეაგირების გარეშე. მე გახლავართ საეკლესიო პირი, საქართველოს ეკლესიის მიტროპოლიტი, 1983 წლის 3 ოქტომბრამდე მეკავა ქუთაის-გაენათის ეპარქიის საეპისკოპოსო კათედრა და იმავე დროს ვხელმძღვანელობდი საქართველოს ეკლესიის საგარეო საქმეთა განყოფილებას...

1983 წლის 3 ოქტომბრის სინოდის გადაწყვეტილებით, ჩამომართვეს სამღვდელმთავრო ხარისხი, გამანთავისუფლეს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარის მოვალეობისგან... ჩემი აღდგენის საკითხი ჭიანურდება... მრავალჯერ მივმართე ეკლესიის საქმეთა რწმუნებულს საქ. სსრ-ში, თხოვნით, აღმოეჩინათ სათანადო დახმარება, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

გთხოვთ თქვენ, ჩვენი რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელს, აღმომიჩინოთ საჭირო დახმარება და მიიღოთ სათანადო ზომები“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.553, გვ. 14-15). აღნიშნულ წერილში ო. ჩერქეზიასადმი მიტროპოლიტყოფილი ნიკოლოზი აღნიშნავს, რომ იგი არ ესწრებოდა წმიდა სინოდის 1983 წლის 3 ოქტომბრის სხდომას, რომელზეც იგი განკვეთეს მღვდელმთავრის ხარისხიდან.

მღვდელმთავარყოფილის მიერ საერო კომუნისტური მთავრობის უმაღლესი თანამდებობის პირებისადმი მიწერილი საჩივრები სამწუხარო გამოწვევას წარმოადგენდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, რადგან საერო ხელისუფლებას, რომელსაც ფაქტობრივად მტრული დამოკიდებულება გააჩნდა მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, კიდევ მეტად უძლიერებდა საბაბს, რათა კვლავ უხეშად და საეკლესიო კანონმდებლობისათვის მიუღებელი წესებით ჩარეულიყო ეკლესიის საშინაო საქმეებში. სამწუხაროდ, მიტროპოლიტყოფილიც ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე, რათა თავი შეეკავებინა თავისი მშობლიური ეკლესიისათვის არ ეჩივლა ათეისტურ მთავრობაში, თუმცა, განკვეთილი პირის სუბიექტური წუხილი ფარავდა აღნიშნულ აღქმას... მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მიტროპოლიტყოფილ ნიკოლოზის მიმართ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინება უცვლელი დარჩა...

1986 წლის 3 დეკემბერს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაურმა წერილობითი სახით აცნობა მღვდელმთავარყოფილ ნიკოლოზ მახარაძეს: „საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოში და ჩვენთან შემოსულ თქვენს განცხადებებზე მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენის თაობაზე გაცნობებთ, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის წევრთა უმრავლესობა წინააღმდეგია თქვენი მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენისა, ხოლო რწმუნებულის აპარატი, არსებული კანონმდებლობის მიხედვით, არ არის უფლებამოსილი ხსენებულ საკითხზე მიიღოს გადაწყვეტილება“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.553, ფურც.21).

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი კვლავ მიუბრუნდა ბერ ნიკოლოზის (ბერ იოანე ანანიაშვილთან ერთად) საკითხსა და განიხილა მისი თხოვნა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენის შესახებ, რაზეც წმიდა სინოდმა განაჩინა: „წმიდა სინოდმა ბერი ნიკოლოზის (მახარაძე) და ბერი იოანეს (ანანიაშვილი) მოსმენის შემდეგ განაჩინა, უარი ეთქვათ მათ სამღვდელმთავრო ხარისხში აღდგენაზე” (ვაშაყმაძე, 2011:72-73).

მღვდელმთავარყოფილმა ნიკოლოზ მახარაძემ გადაიტანა ინფარქტი და ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუწია მკურნალობა. მედავითნეობდა ზედაზნის მონასტერსა და თბილისში, ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზ საკვირველთმოქმედის სახელობის ტაძარში. გარდაიცვალა 2008 წლის 5 ივლისს. დაიკრძალა ამავე წლის 8 ივლისს, ჩუღურეთის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის გალავანში. 1998 წლის 4 სექტემბერს მიტროპოლიტყოფილს ანდერძი შეუდგენია, რომელშიც წერს: „უფალს შევსთხოვ შეუნდოს ყველას, ვინც მიმტრო და არ გამიტანა ცხოვრებაში. ვისაც ჩემი კეთილშობილებისა შურდა, მეტი მე არაფერი გამაჩნდა. მთელი ჩემი სიცოცხლე პირნათლად ვემსახურე ღმერთს და ადამიანებს. მადლობელი ვარ უფლის, რომ ჩამინერგა ჩემი ხალხის, ჩემი ქართული ეკლესიისა და სამშობლოს უდიდესი სიყვარული და თუ ცხოვრებამ არ გამიმართლა, ბედნიერი ვარ, რომ ღვთის სიყვარული ყველა სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა. ადამიანებმა სწორედ ეს ვერ წამართვეს, რადგანაც უფალსაც ძლიერ ვუყვარდი და ვებრალებოდი. ღმერთო, დამიმკვიდრე სასუფეველი! მხოლოდ უფლის და ჩემი ხალხის სიყვარულმა გამაძლებინა ამქვეყნად. ვლოცავ წმ. ნიკოლოზის ტაძრის სამღვდელოებას, მრევლს და შევსთხოვ უფალს, არავის მოაკლოს მადლი და წყალობა“ (ვარდოსანიძე, 2010:239).

ასევე, 1983 წელს საქართველოს ეკლესიის წიაღში მოხდა მეორე მღვდელმთავრის განკვეთა. ეს გახლდათ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე, რომელიც 1982 წელს დაპატიმრებული იქნა. 1982 15 დეკემბერს ცხაკაიას (ამჟამად სენაკი) სახალხო სასამართლოს განაჩენით, მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით. საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ კი იგი განიკვეთა მღვდელმთავრის ხარისხიდან და დარჩა ბერად. მიტროპოლიტყოფილ ნიკოლოზის მსგავსად, ისიც წერდა წერილებს საერო მთავრობის სახელზე...

მას შემდეგ, რაც მთავარეპისკოპოსყოფილი იოანე გამოვიდა საპყრობილედან, მის ყოფილ სამწყსოს - ჭყონდიდის ეპარქიის მორწმუნეებს სურდათ, რათა მეუფე იოანეს კვლავ აღესრულებინა მღვდელმოქმედება და ამ მიზნით, გარკვეული უთანხმოებებიც წამოიჭრა ხსენებულ ეპარქიაში იმხანად მოღვაწე სასულიერო პირთა და მრევლის წევრებს შორის. აღნიშნულის შესახებ თვითონ მთავარეპისკოპოსყოფილი იოანე წერს განცხადების ფორმის წერილებს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაურისა და რწმუნებულის მოადგილეს რატი ტატიშვილს. რწმუნებულისადმი გაგზავნილ განცხადებაში მღვდელმთავარყოფილი იოანე წერს: „მოგმართავთ ახსნა-განმარტების მოხსენებით მასზედ, რათა არ შეგექმნათ არასწორი წარმოდგენა ჩემზედ, მიზეზად მორწმუნეთა თხოვნა-განცხადებებით მიმართვებისას საერო თუ სასულიერო წარმომადგენლებისადმი, რომლითაც ითხოვენ ჩემს დაბრუნებას თავიანთ სამრევლოებში მღვდელმსახურად. ამასზედ მოგახსენებთ შემდეგს: მე არავის არ ვაქეზებ ასეთი განცხადებების საწერად, არც ვინმეს ვასწავლი მათგან გაძევებას მათთან დანიშნულის სასულიერო პირებისას. ბუნებრივია, რომ მიხარია მორწმუნეთა სიყვარული და პატივისცემა ჩემს მიმართ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვერიდები რა ისეთ მოქმედებას, რაც სამართლიანად და უსამართლოდ გააღიზიანებს სხვას და გამოიწვევს გასათვალისწინებელი რაიმე არასასურველ შედეგს... რაც შეეხება მას, რომ მორწმუნე საზოგადოებებს არ უყვართ მათთან დანიშნული ესა თუ ის ზოგიერთი სასულიერო პირი, ამაში მე არ მიმიძღვის ბრალი... მე მათ საქმეში არ ვერევი, შესაბამისი რწმუნებულების გარეშე. გთხოვთ, ნუ უცბად ირწმუნებთ რაიმე საწინააღმდეგო ინფორმაციას ჩემს შესახებ. უკეთუ ასეთ ცნობას ადგილი ექნება, გთხოვთ, ჩემგან მოითხოვოთ პასუხი ჭეშმარიტების დასადგენად“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.521 ფურც.11).

რწმუნებულის მოადგილისადმი გაგზავნილ განცხადებაში მღვდელმთავარყოფილი იოანე წერს: „მე არავის არ ვაქეზებ ცენტრის მიერ დანიშნულ სასულიერო პირთა გაძევებისათვის ჭყონდიდის ეპარქიისა ამა თუ იმ ეკლესიიდან. უკეთუ ზოგიერთ სასულიერო პირსა და მორწმუნე საზოგადოებას შორის არის არაჯანსაღი დამოკიდებულება, ამაზე მოგახსენებთ, რომ თურმე, ასეთი დამოკიდებულება ყოფილა მათ შორის არა მარტო ამჟამად, არამედ ჩემ სახლშიც დაბრუნებამდე ბევრად ადრე, მაშინ, როდესაც მე ნამდვილად არ გამაჩნდა არავითარი საშუალება მორწმუნეებთან ურთიერთობისა. გარწმუნებთ, რომ მიზეზი მათ შორის არაჯანსაღი ურთიერთობისა ჩემთან არაა საძიებელი, ეს არ არის ჩემი ბრალი... რა თქმა უნდა, გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ ყოველ ადამიანს გაუხარდება, როდესაც მის დასაცავად ვინმე შეაშველებს ხმას. მეც მიხარია, რომ უბრალო მორწმუნე ხალხი განიცდის ჩემს ასეთ მდგომარეობას, მაგრამ ამის მიუხედავად, მე ვცდილობ შევიკავო თავი ისეთი მოქმედებისაგან, რაც სამართლიანად თუ უსამართლოდ გააღიზიანებს სხვას... ამიტომაცაა, რომ მიუხედავად ზუგდიდელ მორწმუნეთა მრავალგზისი წერილობითი და სიტყვიერი თხოვნისა და მომართვისა, რათა მათთან ვიმოღვაწევო, მაინც ვიკავებ თავს ასეთი მოქმედებისაგან... არამცთუ არ ვასრულებ მათ თხოვნას, არამედ სტუმრადაც კი არ ჩავდივარ ზუგდიდში ცალკეულ მორწმუნეებთან, რომლებიც ძლიერ მთხოვენ, ვეწვიო მათ.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ვარ თავისუფალი პიროვნება და არავის არ აქვს უფლება შემიზღუდოს ჩემი პიროვნული თავისუფლება კანონიერების ფარგლებში, მე თავად ვიზღუდავ ამ უფლებას და თითქმის გამუდმებით ვარ ჩემს საცხოვრებელ სახლში.

მიუხედავად ყოველივესი, მე შორს ვარ გაბოროტებისგან. მუდამ ვეცდები, ჩემი მოქმედება იყოს მხოლოდ ეკლესიური და იმავე ჟამს მოქმედი საბჭოთა კანონების ჩემს მიერ მტკიცე დაცვით.

გთხოვთ, ნუ ყურად იღებთ არასწორ ინფორმაციას და ყოველი საეჭვო ინფორმაციის შემთხვევაში, ჭეშმარიტების დასადგენად ჩემგან მოითხოვოთ პასუხი” (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.521 ფურც.12-13).

ორივე განცხადება დაწერილი არის 1985 წლის 25 ნოემბერს, მენჯში და ორივეზე განმცხადებელი ხელს აწერს, როგორც იოანე, ჭყონდიდელყოფილი, ანანიაშვილი.

თეკლათის მონასტრის ისტორიის მკვლევარი, პაატა ქურდოვანიძე წერს: „აღსაყდრებიდან შედარებით მცირე დროის მიუხედავად, ენერგიული საეკლესიო და ერისკაცური მოღვაწეობის გამო, ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი იოანე (ანანიაშვილი), კომუნისტური მმართველობის დასალიერის გამორჩეული მოღვაწე გახდა. ეპარქიალური სასულიერო ცხოვრების გამოღვიძება მთავრობას რა თქმა უნდა, არ დაემალებოდა და ეკლესიებში გაორმაგდა სათანადო ორგანოების დავალებით მიგზავნილ მოყურადეთა რაოდენობა. მართალია, ისინი მომრავლებულ მრევლში არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ სავსებით კმაროდნენ იმისათვის, რომ ხელისუფლება დავწრილებით ყოფილიყო ინფორმირებული ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსის ნაფიქრევ-ნააზრევში. „დანოსები“ „დანოსებს“ მისდევდა...

/მთავარეპისკოპოსი იოანე/ რაიონების ადგილობრივ ხელმძღვანელებთან კარგი, ადამიანური ურთიერთობისა თუ მისთვის დამახასიათებელი უბოროტობისა და კეთილშობილების გამო, მოსალოდნელ საშიშროებას ვერ გრძნობდა და მომავალს იმედით შეჰყურებდა. სჯეროდა, რომ ახალი თაობის კომუნისტებს ღვთისმსახურთა დევნა არ სურდათ და არასოდეს გაიმეორებდნენ იმ ბოროტებას, მათ იდეოლოგიურ წინამორბედთ მორწმუნეთა წინააღმდეგ რომ ჰქონდათ ჩადენილი...

უნებურად იკვეთება ყველაზე მტკივნეული კითხვა: რა იყო იოანე ანანიაშვილის განკვეთისა და დაპატიმრების მიზეზი, რა მოხდა სინამდვილეში?! ამისათვის კი აუცილებელია, კარგად ვიცნობდეთ იმ ეპოქის ყოველდღიური ცხოვრების რეალობას, გამოწვლილვით უნდა გაანალიზდეს მომხდარი...

მმართველობის უკანასკნელ ათწლეულში საბჭოთა ხელისუფლება, გრძნობდა რა სოციალისტური სისტემის გარდაუვალი კრახის მოახლოებას, გარეგნულად არაფერს იმჩნევდა და სიმშვიდეს ინარჩუნებდა. იშვიათად თუ გამოიჩენდა ძველებურ აგრესიას... ქვეყნის ეკონომიკის მოახლოებული კრახი რომ გადაევადებინა, გაათმაგებული ენერგიით აწყობდა იდეოლოგიური სახის ათასგვარ ღონისძიებას. მომეტებული ძალისხმევით ფხიზლობდა ცენზურაც... ყველაფერი კრემლიდან მოწოდებული საზომით უნდა გაზომილიყო და ვინც კი, ნებით თუ უნებლიედ, ამ სცენარიდან ამოვარდებოდა, სასტიკად ისჯებოდა... ვფიქრობთ, სწორედ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო უმთავრესი მიზეზი იმისა, რაც იოანე ანანიაშვილს შეემთხვა... მტკივნეულია იმის აღიარებაც, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს წმიდა სინოდის

წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარში არ ედგა ახლადარჩეულ მწყემსმთავარს და რბილად რომ ვთქვათ, სკეპტიკურადაც უყურებდა მის ყოველ ახალ წამოწყებას...

ჩემს ხელთაა მეუფე იოანეს მიერ 1982 წლის დეკემბერში დაწერილი „შეთქმულება ქართველი ერისა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ“ - უმნიშვნელოვანესი ისტორიული დოკუმენტი, ამსახველი იმ წლების მწარე რეალობისა. მასზე ერთი თვალის გადავლებაც საკმარისია, რომ აღიქვა, თუ რა ძალისხმევა სჭირდებოდა ერის სულიერ მამას, რათა არსებული წინააღმდეგობები გადაელახა და ეკლესიური ცხოვრება აეღორძინებინა. იოანე ანანიაშვილი ილია მეორის უერთგულესი პიროვნება იყო და სიცოცხლის ბოლომდე ასეთად დარჩა. იგი იმ კრების ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარე გახლდათ, რომელმაც საქართველოს ეკლესიის ახალი პატრიარქი აირჩია. გამორიცხული არ არის, რომ მისდამი მიყენებული გულისტკივილი, კათალიკოსის მოწინააღმდეგე დასის ხელშეწყობითაც მომხდარიყო...

მეუფის დამ, ქალბატონმა მზიამ, ერთი შემთხვევის შესახებ მომითხრო: „ოთხმოციანი წლების დასაწყისში შვეიცარიაში მყოფი ქართული ეკლესიის დელეგაციის წევრი მეუფე დაბრუნებულზე ლამის დააპატიმრეს თურმე მოსკოვის აეროპორტში. სახელმწიფო უშიშროების სამსახური განაწყენებულა იმ ურთიერთობებით, რომელიც ჭყ/ონდიდელ/მთ/ავარ/ეპისკოპოსსა და უცხოეთში მცხოვრებ ქართველობას შორის ჩამოყალიბებულა. ამ მოგზაურობის ჟამს მისადმი გამორჩეული სიყვარული და პატივისცემა გამოუხატავთ ქართველ ემიგრანტებს და სამახსოვრო საჩუქრებიც ბლომად გამოუტნევიათ. რა თქმა უნდა, ყველაფერი მოსკოვში დარჩა...“ (ეტყობა მაშინ უშიშროება ღია სკანდალს მოერიდა და პასუხის მოთხოვნა სხვა დროისთვის გადადო). ასე იყო თუ ისე, იოანე ანანიაშვილი 1982 წელს ყველასთვის მოულოდნელად, საბჭოთა საპყრობილის კარს მიღმა აღმოჩნდა... არ ვიცი, ვინ როგორ დამეთანხმება, მაგრამ, მე პირადად, ის სამყარო ადამიანის ღირსებისადმი ყველაზე მგრძნობიარედ მიმაჩნია. წლების შემდგომ იმხანობას პატიმრობაში მყოფ რამდენიმე პირსა ვარ შენახვედრი და გასაუბრებისას თითოეულ მათგანს გამორჩეულად აღუნიშნავს, თუ როგორი პატივისცემით ეკიდებოდნენ მსჯავრდებულნი მას... ჩვენ მოგვიანებით გავიცანით ერთმანეთი. ცხოვრების მძიმე ხვედრს შეგუებული, იგი უკვე განმარტოებით ცხოვრობდა მენჯში, მთავარანგელოზთა მთის ძირას აგებულ სახლში და საკუთარი ხელით კლდეში

გამოკვეთილ სამლოცველოში ვედრიდა უფალს...“ (პ. ქურდოვანიძე, „ცხოვრება და გზა, განვლილი მეუფე იოანესი“, პაატა ქურდოვანიძის პირადი არქივი).

1990-იანი წლებიდან მთავარეპისკოპოსყოფილი იოანე უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორესა და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სახელზე წერდა წერილებს და ითხოვდა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენას...

1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი კვლავ მიუბრუნდა ბერ იოანეს (ბერ ნიკოლოზ მახარაძესთან ერთად) საკითხსა და განიხილა მისი თხოვნა მღვდელმთავრის ხარისხში აღდგენის შესახებ, რაზეც წმიდა სინოდმა განაჩინა: „წმიდა სინოდმა ბერი ნიკოლოზის (მახარაძე) და ბერი იოანეს (ანანიაშვილი) მოსმენის შემდეგ განაჩინა, უარი ეთქვათ მათ სამღვდელმთავრო ხარისხში აღდგენაზე“ (ვაშაყმაძე, 2011:72-73).

მღვდელმთავარყოფილი იოანე უკანასკნელ ხანებში ხშირად ავადმყოფობდა. მისი და, მზია ანანიაშვილი იგონებს: „სენმა 1998 წლის გაზაფხულიდან დარია ხელი. თითქოსდა ჯანმრთელი კაცი იყო. არაფერს უჩიოდა, მაგრამ ერთი უბრალო გაციება დიდი გართულებების საფანელი შეიქნა. ბოლოს ურთულესი ნეიროქირურგიული ოპერაციაც დასჭირდა. ცოცხალი თავით არ სურდა სენაკიდან წასვლა, თითქოსდა გრძნობდა, რომ ეს მისი ბოლო მგზავრობა იყო... სულიერი მოძღვრის, ჯიხეთის მონასტრის წინამძღვრის, მამა ანდრიას ნახვა მოისურვა და გამომგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე ჩააბარა უკანასკნელი აღსარება. ზიარების შემდგომ უკეთ შეიქმნა, მაგრამ მცირე ხნით... ნარკოზიდან გამოსვლისთანავე, პირველი, რაც მოიმოქმედა, მკერდის ჯვარი მოიძია. ერთ დილას მკურნალ ექიმს განუცხადა: „კომუნისტებმა ყველაფერი წამართვეს, ქ-ნ მანანა, გონებაღა შემრჩა... არა, სიკვდილის არ მეშინია, მაგრამ იმდენი შრომა მრჩება დაუსრულებელი, არ ეგების მათი შუა გზაზე მიტოვება“ (პ. ქურდოვანიძე, „ცხოვრება და გზა, განვლილი მეუფე იოანესი“, პაატა ქურდოვანიძის პირადი არქივიდან). იგი მღვდელმთავრის ხარისხის აღდგენის გარეშე გარდაიცვალა 1998 წლის 31 ივლისს და დაიკრძალა მცხეთის სამთავროს წმიდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის გალავანში.

საინტერესოა ჭყონდიდელი და ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსის იოანეს 1981 წლის 6 სექტემბრით დათარიღებული წერილი სრულიად საქართველოს-კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესადმი, რომელშიც მეუფე იოანე საქართველოს ეკლესიის მეთაურს აცნობებს მესტიაში თავისი მოგზაურობის შესახებ: „...სანამ დავბინავდებოდით, მაშინ ვამჯობინე რაიონის ხელმძღვანელობის ნახვა, მაგრამ I მდივანი წასულიო, გვითხრეს, ამ საღამოს ან ხვალ დილით მოვაო; II მდივანი მცირედ ნასვამიაო, სტუმრები ჰყავსო; თავმჯდომარეც არ იმყოფებაო რაიონში, მისი I მოადგილე რაიონშიაო გასული. ვნახე ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც თბილისში გადაუყვანიათ და ახლა საბუთებს აბარებდა II მოადგილეს. ვნახე მასთან ერთად სხვა და სხვა პირნი, რომლებიც რაიაღმასკომში მსახურობენ და რომელთა სახელები და თანამდებობანი აღარ მახსოვს. ვისაუბრეთ. ყველასათვის მოულოდნელი იყო ჩემი რეგისტრაციის ცნობის ნახვა, სადაც მიწერია, რომ მე ვარ ჭყონდიდელი და ასევე ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი. მანამდე ადგილობრივ ხელისუფლებაში შემუშავებული იყო აზრი, რომ სვანეთს არ ჰყავს ეპისკოპოსი, მღვდელი და არც უნდა ჰყავდეს. მღვდლის თითოეულ გამოჩენას მოჰყვებოდა ხოლმე მკაცრი ღონისძიებები: მღვდელს სოფლის საბჭოში იბარებდნენ, იძულებით უკანვე აბრუნებდნენ, თითქმის აძევებდნენ. ვინც მღვდელს ისტუმრებდა, იმ ოჯახს შეავიწროებდნენ, ბიუროს სხდომაზე განიხილავდნენ ა.შ. ახლა კი, როდესაც წაიკითხეს ცნობა, საოცრად გაუკვირდათ, ხედავთ, მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს ჩვენი მთავარეპისკოპოსიაო?! აღმითქვეს კეთილი მასპინძლობა და მისურვეს კარგი შთაბეჭდილების მიღება...

ვეცდები ამ ეპარქიის დარჩენილი ორი რაიონიც მოვინახულო - ცაგერისა და ლენტეხისა. ჩემთვის ყველაზე დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს მანქანის უყოლობა...“ (ს.ს.ს.ა. ახ. აღწ. 5344, გვ.2; გვ. 10).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებისადმი გაგზავნილ ცნობაში რელიგიის საქმეთა რწმუნებული ანზორ წიკლაური წერდა: „კრიმინალური და დამნაშავე პირების ქართულ ეკლესიაში თარეშის ფაქტი ამჟამად არ შეიმჩნევა. ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა 1978-1980 წლებში ყოფილი მიტროპოლიტი გაიოზ კერატიშვილის მხრიდან, მაგრამ იგი მხილებულ იქნა 1978 წელს და შესაფერისადაც დაისაჯა სინოდის გადაწყვეტილებით.

1982 წელს მამათმავლობისათვის ეკლესიიდან განდევნილი იქნა 2 მაღალი წოდების მღვდელმსახური, მიტროპოლიტი მახარაძე და ეპისკოპოსი ანანიაშვილი, ხოლო მათგან I (ანანიაშვილი) მიცემული იქნა სისხლის სამართლის პასუხისგებაში“ (ს.ს.ს.ა. 7720, ახ.აღწ. გვ.18). რწმუნებული შეცდომით უთითებს მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და მთავარეპისკოპოს იოანეს განკვეთის წელს. ისინი განიკვეთნენ 1983 წელს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდს აგრეთვე, მოუწია მღვდელმთავრის ხარისხიდან განეკვეთა ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე), რომელსაც 1992 წელს წმიდა სინოდმა ჩამოართვა ეპარქიის მმართველობა, ხოლო 1998 წლის განჩინებით განკვეთა ხარისხიდან. აღსანიშნავია, რომ მთავარეპისკოპოს ამბროსის წინააღმდეგ არაერთი საჩივარი იწერებოდა წლების განმავლობაში, მის მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ, როგორც სასულიერო დასიდან, ისე მრევლის რიგითი წევრები და ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები. არსებობს 1981 წლის 20 აგვისტოთი დათარიღებული წერილი, რომლის ავტორია ვინმე კ. კობახიძე, რომელიც მთელ რიგ ბრალდებებს აყენებს მეუფე ამბროსის წინააღმდეგ მის მიერ ნიკორწმინდის ტაძარში მოღვაწეობისას ჩადენილი გადაცდომების შესახებ. ამ წერილზე რეაგირებისათვის ამავე წლის 24 აგვისტოს რელიგიის საქმეთა რწმუნებულის მოადგილემ, ი. რურუამ მისწერა ამბროლაურის რაიონის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, ი. დარახველიძეს, რომ განეხილათ წერილში წარმოდგენილი ფაქტები და პასუხი ეცნობებინათ განმცხადებლისა და რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატისთვის.

კიდევ უფრო ადრე, 1968 წელს, ჯერ კიდევ ერისკაცი ალექსანდრე ქათამაძე აქტიურ მონაწილეობას იღებდა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის (სიდამონიძე) წინააღმდეგ განხორციელებულ ამბოხებაში, რომლის სათავეში იმყოფებოდა ბეჯით (ბენედიქტე) ჯალაღონია (შემდგომში მღვდელმონაზონი ალექსი).

1968 წლის 12 ივნისს სვეტიცხოვლის ტაძარში გაიმართა ცრუ კრება, რომელმაც „განაჩინა“ ბეჯით ჯალაღონიას „ეპისკოპოსად“ „კურთხევა“, ე.წ. მცხეთა-წილკნის ეპარქიის შექმნა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის წინამძღვრობიდან გადაყენება. მათი აზრით, ბეჯით ჯალაღონიას

საეპისკოპოსო ქიროტონია უნდა მიეღო ბოდბეში, მოციქულთასწორ წმიდა ნინო ქართველთა განმანათლებლისგან. ამავე წლის 27 ივლისს ბოდბეში ჩავიდა ბეჯით ჯალაღონია არქიმანდრიტ პართენის (აფციაური), ალექსანდრე ქათამაძის, ნინო იორამაშვილისა და სხვა პირების თანხლებით, სადაც ვითომ წმიდა ნინომ ბენედიქტე ჯალაღონია აკურთხა ეპისკოპოსად და ეს უკანასკნელი წმინდა ნინოს საფლავიდან გამოვიდა სამღვდელმთავრო შესამოსლით. „ეპისკოპოს“ ბენედიქტეს მიერ ალექსანდრე ქათამაძე ჯერ „ხელდასხმული-იქნა“ „დიაკვნად“, შემდეგ - „მღვდელმონაზვნად“. მათ უკანონოდ დაიკავეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარი და შეწყვიტეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის მოხსენიება. ბენედიქტე ჯალაღონია საკუთარ თავს უწოდებდა „საპატრიარქო-კვართსაუფლო ტაძრის წინამძღვარსა და მცხეთა-წილკნის ეპისკოპოსს“ (ვარდოსანიძე, 2017:328). საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ოფიციალურად აცნობა საერო ხელისუფლებას შექმნილი ვითარების შესახებ. მეამბოხეებს მოეთხოვათ სვეტიცხოვლის დატოვება, რაც მათ არ შეასრულეს, ამიტომ ისინი გამოაძევეს. ამ მოვლენებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი სწორედ ალექსანდრე ქათამაძეს ეჭირა.

1969 წლის კალენდარზე მას ჩანაწერი გაუკეთებია, სადაც აღწერს ამავე წლის 20 ნოემბერს, ქუთაისში საკუთარ თავს გადახდენილ ამბავს, როდესაც იგი მილიციას უნდა დაეკავებინა მწვანეყვავილას წმიდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარში ლოცვის ხელშეშლის ბრალდებით, თუმცა იმჟამად ქუთაისში მყოფმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ გადაარჩინა დაპატიმრებას. ალექსანდრე ქათამაძე წერს: „მილიციის უფროსმა თქვა, ქათამაძე აქ უნდა დარჩეს, საქმეა გასარკვევიო, მაგრამ ეფრემმა არ დაანება ჩემი თავი. ერთად წავედით სასტუმრო „ქუთაისში“, ვივახშმეთ, დავილოცეთ. კათალიკოსის მძღოლმა სახლამდე მიმაცილა. მეორე დღეს ვიყავი წირვაზე. პატრიარქმა შემომთავაზა თბილისში წამოსვლა... ვიფიქრე და ერთი თვის შემდეგ წავედი, ვნახე პატრიარქი, ვისაუბრეთ. მითხრა, შენ საკითხს სინოდზე განვიხილავთ და გამოგიძახებო. ესეც დაამატა, იმ შენ მეგობარ პირწავარდნილ ათეისტ ჯალაღონიაზე არაფერი მითხრაო. ვიცდი, დღეს 5 იანვარია. 1968 წლის საეკლესიო რევოლუციონერი, იღუმენი იაკობ ტყიბულელი“ (ალექსანდრე ქათამაძე) (ვარდოსანიძე, 2011:213).

1970 წლის 23 თებერვალს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის სახელზე დაწერილ მონანიების წერილში ალექსანდრე ქათამაძე წერს: „1968 წლის ივლისში ეკლესიაში მოვახდინეთ განხეთქილება, რომელშიც ვმონაწილეობდი... ვსცოდე ღვთისა და მამის წინაშე. გთხოვთ, შემინდოთ დიდი ცოდვის საუკუნო ტანჯვა, დამიბრუნოთ ქრისტიანობა, მიკურთხოთ გვირგვინი და მიმიღოთ ეკლესიაში დაბალ სამსახურზე, რომელსაც თქვენი მოწყალება ინებებს. შემინდეთ ყოველივე და მიმიღეთ მტირალი, თქვენს წინაშე რომ არავითარი კავშირი ვიქონიო ეკლესიიდან განკვეთილ პირებთან“ (იქვე :110). ალექსანდრე ქათამაძემ მიიღო შენდობა და 1971 წელს მას ხელი დაასხეს დიაკვნად, 1973 წელს - მღვდლად, 1979 წელს - ეპისკოპოსად.

1986 წლის 11 აპრილს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილემ წერილით მიმართა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაურს. „გეგზავნებათ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე შემოსული ანონიმური წერილი ნიკორწმინდის ეპარქიის ეპისკოპოსის ამბროსი ქათამაძის მიმართ კანონსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ.

გთხოვთ, გულდასმით შეისწავლოთ წერილში ასახული საკითხები და მიიღოთ კანონით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სასულიერო პირის დანაშაულებრივ საქმიანობაში მხილების მიზნით.

ამასთანავე, გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ გვაცნობოთ წერილობით 1986 წლის 25 აპრილისთვის.

დანართი: განცხადება - 2 ფურცლად“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.553 ფურც.11).

ანონიმურ წერილში წარმოდგენილია მთელი რიგი ბრალდებებისა, რომელთაც ავტორი ბრალად უყენებს ეპისკოპოს ამბროსის. რასაკვირველია, ანონიმურ წერილში არსებული ბრალდებები ვერ გამოდგება უტყუარ მტკიცებულებად და შესაძლოა მიკერძოებულიც კი იყოს... თუმცა, ჩვენ მიერ აღნიშნული სხვადასხვა დროს დაწერილი ორი წერილის შინაარსი ცხად-ჰყოფს, რომ ფაქტია განკვეთამდე წლებით ადრე ეპისკოპოს ამბროსისადმი პრობლემატური დამოკიდებულება გააჩნდა საზოგადოებას. ადამიანები საჩივრებს

გზავნიდნენ საერო ხელისუფლებაში, რაც ამ უკანასკნელის სათანადო ორგანოების დაინტერესებას იწვევდა ეპისკოპოს ამბროსის მიმართ.

აგრეთვე, მეტად მწვავე იყო ქუთაის-გაენათის ეპარქიის მორწმუნეების დამოკიდებულება მეუფე ამბროსისადმი. 1982 წლის 17 დეკემბერს ქუთაისის წმიდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში გამართულ მრევლის კრებაზე თითქმის ყველა გამომსვლელი მწვავე კრიტიკით იხსენიებდა ნიკორწმინდელ ეპისკოპოს ამბროსის და ბრალს სდებდა მას ბათუმ-შემოქმედელ მიტროპოლიტ შიოსთან (ავალიშვილი) ერთად ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტის ნიკოლოზის (მახარაძე) წინააღმდეგ აგორებულ ცილისმწამებლურ კამპანიაში. თავის მხრივ, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, საერო მთავრობისადმი გაგზავნილ წერილებში უმწვავესად აკრიტიკებდა ეპისკოპოს ამბროსის და სწორედ მას მიიჩნევდა თავისი სამღვდელმთავრო ხარისხიდან განკვეთის ერთ-ერთ მთავარ მოთავედ. ეპისკოპოს ამბროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც კი გახლდათ აღძრული, ზოგიერთ პირთა მიერ შესაბამის უწყებებში ჩივილის შედეგად მისგან (ეპისკოპოს ამბროსისგან) მომდინარე ცილისწამებათა გამო.

1990 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ეპისკოპოს ამბროსის მთავარეპისკოპოსის წოდება მიანიჭა. მთავარეპისკოპოსი ამბროსი აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში და დაუახლოვდა მის ლიდერებს. იგი აცხადებდა, რომ იყო სულიერი მოძღვარი ეროვნულ-განმათავისუფლებული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის და შემდგომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასი. 1991-1992 წლებში საქართველოში დატრიალებული სამოქალაქო ომისას მთავარეპისკოპოსი ამბროსი ცალსახად მხარს უჭერდა საქართველოს კანონიერ ხელისუფლებასა და პრეზიდენტ გამსახურდიას, რომელთა ძალისხმიერი მეთოდებით დამხობის შემდეგ მეუფე ამბროსი 1992 წლის იანვარში იძულებული გახდა საქართველო დაეტოვებინა. 1994 წლის თებერვალში, ქ. გროზნოში, მთავარეპისკოპოსმა ამბროსიმ, მღვდელ კონსტანტინე კოღუაშვილთან ერთად აღასრულა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას წესის აგება.

1992-2005 წლებში მეუფე ამბროსი იმყოფებოდა რუსეთში, სადაც სამწუხაროდ, იგი შეუერთდა რუსეთში არსებულ ერთ-ერთ სქიზმატურ დაჯგუფებას, „ისტინის მართლმადიდებელ ეკლესიას“, რომლის მეთაურად და „მოსკოვისა და სრულიად რუსეთის

მიტროპოლიტად“ აირჩიეს. 1992 წლის 12 მაისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა მთავარეპისკოპოსი ამბროსი გაათავისუფლა ნიკორწმინდის ეპარქიის მმართველობიდან, გამოიყვანა წმიდა სინოდის შემადგენლობიდან და აუკრძალა მღვდელმოქმედება.

1998 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი კვლავ დაუბრუნდა მთავარეპისკოპოს ამბროსის საკითხის განხილვას. წმიდა სინოდმა განაჩინა: „წმიდა სინოდმა მოისმინა ინფორმაცია მთავარეპისკოპოს ამბროსი ქათამაძის ანტიკანონიკური მოქმედების შესახებ, რომელმაც 1992 წლის იანვარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის ნებართვის გარეშე დატოვა ნიკორწმინდის ეპარქია, წავიდა რუსეთში და ეწეოდა ანტიეკლესიურ საქმიანობას...

თავი გამოაცხადა კრუტიცკელ მიტროპოლიტად და მიუხედავად ამისა, რომ საეკლესიო-კანონიკური სასჯელის ქვეშაა, კარგა ხანია ასრულებს მღვდელმოქმედებას.

ამასთან წმიდა სინოდმა განაჩინა: მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე ჩადენილ უმძიმეს დანაშაულთა გამო, თანახმად მოციქულთა 28 და 35, ანტიოქიის 3, 13 და 17, კონსტანტინეპოლის მე-2 კანონებისა, მთავარეპისკოპოსი ამბროსი (ქათამაძე) სრულიად განიკვეთოს სასულიერო წოდებიდან, ჩამოერთვას მას ბერობის ხარისხი და დაყვანილ იქნას ერისკაცობამდე.

უკეთუ აღნიშნული პიროვნება (ალექსანდრე ქათამაძე) არ მოინანიებს საკუთარ დანაშაულს, იგი სრულიად განიკვეთება მართლმადიდებელი ეკლესიიდან და გადაეცემა ანათემას.

მის თანამზრახველს - მღვდელ ნოდარ ქათამაძეს აეკრძალოს მღვდელმოქმედება“ (ვაშაყმაძე, 2011:85).

წმიდა სინოდს მოუწია რადიკალური ზომის გატარება მთავარეპისკოპოს ამბროსის მიმართ და იგი განკვეთა სასულიერო პირობიდან, თუმცა, სამწუხაროდ, მღვდელმთავარყოფილი მაინც ეწეოდა ანტიკანონიკურ, ცრუმღვდელმსახურებას რუსეთში.

2003 წელს მომხდარი ე.წ. ვარდების რევოლუციის შედეგად, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, 2005 წლის თებერვალში, მთავარეპისკოპოსყოფილი ამბროსი დაბრუნდა საქართველოში. მან წერილით მიმართა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორესა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებს. აღნიშნულ წერილში მღვდელმთავარყოფილი საინტერესოდ აღწერს საკუთარ თავს გადახდენილი უმძიმეს მოვლენებს, როდესაც იგი იდევნებოდა გამსახურდიას შემდეგ მოსული ხელისუფლებისგან, საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების მხარდაჭერის გამო, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში. მეუფეყოფილი ამბროსი წერდა: „უმორჩილესად გთხოვთ, თქვენო უწმიდესობავ და თქვენო მაღალო მეუფებავ, მე ხომ მოწყვეტილი ვიყავი საქართველოს დედაეკლესიის წიაღს ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო და არ მქონდა შესაძლებლობა, მემსახურა მისთვის, ვინაიდან და რადგანაც, ყოველგვარ სწავლების მშვენიერ ჩვევებს მაყურებლად ჰყავთ მარადისობა და ბერისა და ერის სულიერი მარადისობის სადავეები თქვენ და თქვენდამი რწმუნებულ წმიდა სინოდის წევრებს არგუნა უკიდეგანო სამყაროს უზენაესმა შემოქმედმა... წინადაგიგებთ რა ჩემს უმდაბლეს თხოვნას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი ის უმძიმესი მდგომარეობა და პირობები ამ 13 წლის მანძილზე, რომელშიაც აღმოვჩნდი მთელი წლების განმავლობაში, შვილებით. გულწრფელად ვინანიებ და ვიგლოვ პრეზიდენტის მხარდაჭერის გარდა ყოველივეს, რამეთუ წმიდა პეტრე მოციქულმა, უფლის პირველმა მოწაფემ, რომელმაც უფალი იესო ქრისტეს სასწაულებით თავისი თვალით იხილა და უთხრა უფალს: „უკეთუ ყველამ უარგყოს, მე არა გაგცე შენ!“ და მან უარყო მოძღვარი თვისი ჯვარცმული და წამებული და მრავალმოწყალე მაცხოვარმა წმიდა პეტრეს დაუბრუნა თავისი ყოფილი მოციქულობა.

დიდად გახარებული ვარ უფლის დიდი მოწყალებით, რამეთუ მეღირსა დედასამშობლოში დაბრუნება, სულიერი მამის ლოცვა-კურთხევა და ძმათა შორის წმიდა ლოცვის აღვლენა ღვთისადმი. ვითარცა უძღები შვილი გთხოვთ, დამაბრუნოთ დედაეკლესიის სავანეში და აღმადგინოთ ჩემს ყოფილ მთავარეპისკოპოსის ხარისხში დედაეკლესიის ერთიანობით, რამეთუ ბრძანებს წმიდა მოციქული იოანე: „დაიცევი ესენი სახელითა შენითა, რათა იყვნენ ერთ, როგორც ჩვენ“ (იოანე, 17.11). „ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, ითხოვდით და მოგეცეთ თქვენ, ირეკდეთ და განგეღოთ“ (მათე 1.7; ლუკა 11.9) (ვარდოსანიძე, 2010:270-271).

მღვდელმთავარყოფილი ამბროსი კიდევ ერთ თავის თხოვნითი შინაარსის წერილში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისადმი წერდა: „გთხოვთ, მიიღოთ

მხედველობაში ჩემი ტანჯული და წამებული გზა, რომლისთვისაც უზომო მადლობა ჯვარცმულ იესო ქრისტეს, ყოვლადწმიდა სამებას და განიხილოთ ჩემი საქმე სინოდის უახლოეს სხდომაზე, რომ დამიბრუნდეს მღვდელმთავრის ხარისხი და ეპარქია. წინასწარ გიხდით დიდ მადლობას!“ (იქვე :271).

2005 წლის 27 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა იმსჯელა მღვდელმთავარყოფილ ამბროსის საკითხის შესახებ და განაჩინა: „წმიდა სინოდმა მოისმინა ყოფილი ნიკორწმინდელი მღვდელმთავრის ამბროსი ქათამაძის თხოვნა შეწყალების შესახებ და განუჩინა სინანული საბერო მოწესის მდგომარეობაში და დაენიშნა სათანადო პენსია“ (საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი).

2008 წლის 27 ნოემბერს მეუფე ამბროსი გარდაცვლილი იპოვეს თავის ბინაში. განსვენებული დაასვენეს ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის კომპლექსში არსებული წმიდა ილია წინასწარმეტყველის სახელობის ტაძარში. დაკრძალეს ამავე წლის 2 დეკემბერს, შიო მღვიმის მონასტრის გალავანში.

„ბრალმდებლებიცა და ბრალდებულებიც დაისაჯნენ. ჩამოართვეს საეპისკოპოსო ხარისხები. /მთავარეპისკოპოსი/ ამბროსი ქათამაძე განაშორეს საეკლესიო იერარქიას, ასევე დაემართა და განაშორეს საეკლესიო მმართველობას მიტროპოლიტი შიო, ისევე, როგორც ცოტა ადრე მიტროპოლიტი ნიკოლოზი და მთავარეპისკოპოსი იოანე. ყველანი ამჟამად გარდაცვლილნი არიან, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სიკვდილის წინა წლებში ბევრმა შეუნდო ერთმანეთს, მრავალმა შენდობა ითხოვა. ვინც მოასწრო, განაცხადა, რომ შეცდომა დაუშვა, ბოროტ ძალებს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ყველანი ისინი მოქმედი მღვდელმთავრებისგან ითხოვდნენ კურთხევას, ყველა ქრისტიანულად დაიკრძალა, შენდობილნი და გაპატიოსნებულნი. უცოდველი არავინაა, თუ კი ინანიებს - შენდობაცაა შესაძლებელი დიდი გულისტკივილის მიუხედავად. არ შეენდობათ მხოლოდ მოუნანიებელ ცილისმწამებლებს, ეკლესიის მამათა მდევნელებს, რომელნიც გაუცნობიერებლად არღვევენ ათ მცნებათაგან ერთ-ერთს - „არა ცილი სწამო“. „შური არს მწუხარება სხვისსა სიკეთესა ზედა“ (ლომაძე, გელაშვილი, 2009:21).

საქართველოს ეკლესიის უახლეს ისტორიაში სამწუხარო და პრობლემატური საკითხი იყო ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძე) თავს გადახდენილი მოვლენები. მეუფე ქრისტეფორე

1979 წლის 19 აგვისტოდან გახლდათ მღვდელმთავარი. იგი სხვადასხვა დროს განაგებდა მესხეთ-ჯავახეთის, ნიკორწმინდის, მარგვეთის, აგარაკ-წალკის, ურბნისისა და რუისის, ბოლნისისა და დმანისის ეპარქიებს. ეპისკოპოსი ქრისტეფორე აქტიურად იყო ჩართული მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების საქართველოს ეროვნულ მოძრაობაში. რუის-ურბნისის ეპარქიაში მოღვაწეობისას, მოხდა დაპირისპირება მღვდელმთავარსა და ეპარქიის სამწყსოს შორის. ამ ფაქტის გამო, 1995 წლის 31 ივლისს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა გაფრთხილება მისცა ეპისკოპოს ქრისტეფორეს, გაათავისუფლა იგი ურბნისისა და რუისის ეპარქიის მმართველობიდან და დაადგინა ბოლნისისა და დმანისის ეპისკოპოსად. პრობლემები ამით არ ამოიწურა... 1995 წლის 17 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა ეპისკოპოსი ქრისტეფორე გამოიყვანა სინოდის შემადგენლობიდან, ჩამოართვა ეპარქიის მმართველობა და აუკრძალა მღვდელმოქმედება „წმიდა მართლმადიდებელი ეკლესიის კანონების სისტემური დარღვევის გამო, წმიდა სინოდის მიერ გამოცხადებული უკანასკნელი გაფრთხილების უგულებელყოფისათვის, ეპარქიის უნებართვოდ მიტოვებისათვის და საქართველოდან უცხოეთში თვითნებურად გამგზავრებისათვის“ (ვარდოსანიძე, 2010:274).

2000 წლის 14 დეკემბერს წმიდა სინოდმა კვლავ განიხილა ეპისკოპოს ქრისტეფორეს საკითხი, მისი წერილის საფუძველზე და კვლავ მღვდელმოქმედების აკრძალვაში დატოვა იგი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის მიერ გამოცემულ საიუბილეო გამოცემაში „საიუბილეო 2017 წელი“ ვკითხულობთ: „დიდი წმინდა მარხვის დაწყების წინ, შენდობას კვირას, 40 წელია, კათოლიკოს-პატრიარქი (შენ: იგულისხმება უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. ავტ.) მთელი ერის წინაშე წარმოთქვამს საჯარო აღსარებას, სადაც ასახელებს თავის ცოდვებს, შეცდომებს, უძლურებას და მრევლისგან, ქართველი ხალხისგან ითხოვს შენდობას. ეს მონანიება არ არის ფორმალური, რადგანაც დიდ საქმეებს, სამწუხაროდ, დიდი შეცდომებიც ახლავს. იგი დღემდე განიცდის და პირად უძლურებად აღიქვამს 40 წლის განმავლობაში მომხდარ ყველა იმ შემთხვევას, როდესაც მას არ ეყო ძალა წინ აღსდგომოდა ბოროტებას; განიცდის, რომ მოუწია სასულიერო პირების განკვეთა, რომელთა შორის იყვნენ: მეუფე

ნიკოლოზ მახარაძე, მეუფე იოანე ანანიაშვილი, მეუფე შიო ავალიშვილი, მეუფე ამბროსი ქათამაძე და სხვ“ (საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, „საიუბილეო 2017 წელი“, 2017:46-47).

2.1. მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) სასამართლო

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ტრაგიკულ ფურცელს წარმოადგენს მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) საქმე. მამა თეოდორე აღმოჩნდა საქართველოს ეკლესიის უკანასკნელი სასულიერო პირი, რომელიც დახვრიტა საბჭოთა ხელისუფლებამ.

მღვდელმონაზონ თეოდორეს ბრალად წაუყენეს ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმეში მონაწილეობა. 1983 წლის 18 ნოემბერს შვიდმა ქართველმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ: გეგა კობახიძემ, დავით მიქაბერიძემ, სოსო წერეთელმა, კახა ივერიელმა, პაატა ივერიელმა, გია ტაბიძემ და თინა ფეტვიაშვილმა თბილისის აეროპორტიდან სცადეს თვითმფრინავის გატაცება, რომელსაც უნდა შეესრულებინა რეისი თბილისი-ბათუმი. ახალგაზრდების მიზანი იყო, რომ აღნიშნული თვითმფრინავის საშუალებით დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი და გადასულიყვნენ თურქეთში, ანუ საბჭოთა კავშირის შემდეგ არსებულ უახლოეს ქვეყანაში, საიდანაც თავისუფლად შესძლებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში წასვლას. მიზეზი გახლდათ პროტესტი არსებული რეჟიმისა და მისგან მომდინარე ყოფა-ცხოვრებისადმი. სავარაუდოა, რომ საბჭოთა უშიშროებამ, რომელსაც ნამდვილად არ გამოეპარებოდა ზემოთ ხსენებული ახალგაზრდების ეს განზრახვა, უწყოდა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, თუმცა, ისინი ბოლომდე მიუშვა ჩანაფიქრის აღსასრულებლად. მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. პილოტმა თვითმფრინავი კვლავ თბილისის აეროპორტში დასვა. უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოყვანილმა სპეციალური დანიშნულების რაზმმა გატაცებულ თვითმფრინავს ცეცხლი გაუხსნა. დაიჭრა თერთმეტი მგზავრი. თვითმფრინავის გატაცების მცდელობის შედეგად დაიღუპა რვა პირი: ორი პილოტი და ბორტგამცილებელი, გამტაცებლები - გია ტაბიძე სპეც. რაზმისგან გახსნილი ცეცხლის შედეგად გარდაიცვალა, ყელში დაიჭრა და მოგვიანებით სისხლისგან დაიცალა სოსო

წერეთელი, ხოლო დავით ბაქრაძემ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, როგორც კი თვითმფრინავი კვლავ თბილისის აეროპორტში დაეშვა.

გატაცების ფაქტში, მთელ ამ ტრაგიკულ მოვლენებში, არსად ფიგურირებს მღვდელ-მონაზონი თეოდორე (ჩიხლაძე). მისი არავითარი კვალი იკვეთება, თვითმფრინავში ყოფნაზე ხომ საუბარი საერთოდ ზედმეტია!

საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ცდილობდა, რომ საერთაშორისო არენაზე აეცილებინა მომხდარით გამოწვეული სირცხვილი და დაეფარა რეალობა, რომლის მიხედვით, შვიდმა ახალგაზრდამ არსებული წყობილების წინააღმდეგ პროტესტი ამგვარი უკიდურესი ფორმით გამოხატა. ამისათვის საჭირო იყო ისეთი პირის მოძებნა, ვისაც დაბრალდებოდა მომხდარის ორგანიზება და ახალგაზრდების მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანა. ასეთ პირს საბჭოთა ხელმძღვანელობა თვითმფრინავის გატაცების მცდელობის დღიდანვე ეძებდა, თუმცა მხოლოდ 1984 წლის 2 თებერვალს იპოვნეს და დააკავეს პიროვნება, ვისაც დაბრალდა დანაშაულის იდეური და ფაქტობრივი მომზადება. სწორედ ეს აღმოჩნდა მღვდელ-მონაზონი თეოდორე, რომელიც დააპატიმრეს თავის სახლში, თბილისში, წითელი პარტიზანების ქ. N 19. ბინა 3.

მამა თეოდორეს დაკავების შემდეგ თვითმფრინავის გატაცების მცდელობის საქმეს ეწოდა „საქმე N 201 ჩიხლაძე თ.ვ. და სხვები.“ მეტად უცნაურია საქმის სათაურში მხოლოდ მამა თეოდორეს გვარის გამოყოფა და დანარჩენების ზოგადი სახით, როგორც „სხვები“, მოხსენიება იმ ფონზე, რომ მამა თეოდორე დანაშაულის ჩადენისას საერთოდ არ ფიგურირებდა, თუმცა გასაგებია განზრახვა საბჭოთა მთავრობისა, რომ დანაშაულის ორგანიზება და ახალგაზრდების მომზადება დაბრალებოდა სასულიერო პირს, ეკლესიის წარმომადგენელს. საქმის ამგვარად შეთხვზა ორმაგად მომგებიანი გახლდათ იმჟამინდელი ხელისუფლებისათვის: 1. ასაკით უფროსმა პირმა წააქეზა ახალგაზრდები და რეალურად ისინი არ იყვნენ უკმაყოფილონი არსებული წყობილების მიმართ; 2. წამქეზებელი და ორგანიზატორი იყო სასულიერო პირი, რითაც მთავრობას ეძლეოდა მორიგი დიდი შესაძლებლობა მოეხდინა ეკლესიის დისკრედიტაცია და საეკლესიო პირი წარმოეჩინა, როგორც ახალგაზრდების გზიდან ამცდენი.

მღვდელმონაზონი თეოდორე (ერისკაცობაში თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძე) დაიბადა 1951 წლის 30 ივნისს, ქ. თბილისში. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ანტიკომუნისტური აზროვნებით, რაც მოზრდილ ასაკში მის ანტისაბჭოურ მსოფლმხედველობაში გამოიხატა. მან ერთ-ერთი დაკითხვისას განაცხადა: „მე კარჩაკეტილ ცხოვრებას ვეწეოდი თხუთმეტი წლის ასაკიდან, მე გული მქონდა აცრუებული ჩვენს ხელისუფლებაზე, რადგან ჯერ ერთ რაღაცას იტყვიან და ამტკიცებენ და შემდეგ იმის საწინააღმდეგოს ამბობენ. ეს გარემოებები ჩემზე ზეგავლენას ახდენდა“ (პაიჭაძე, 2013:9).

ფაქტია, რომ მამა თეოდორე ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვერ ეგუებოდა საბჭოურ რეჟიმს, მის ყალბ იდეებსა და ქმედებებს, თუმცა დანაშაულების ნიშნები არასდროს იკვეთებოდა მისი ცხოვრების წესში.

სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: „სამართალში მიცემული თეიმურაზ ვლადიმერის ძე ჩიხლაძემ, მართლმადიდებლური ეკლესიის ყოფილმა მსახურმა (იგი არ იყო ყოფილი მღვდელმსახური. შენ. ავტ.), რომელსაც მოუწესრიგებელი ჰქონდა პირადი ოჯახური ცხოვრება, იმყოფებოდა რელიგიური ბანგისა და საზღვარგარეთის ანტისაბჭოთა რადიოსადგურების გადაცემების გავლენის ქვეშ, 1979 წლიდან განიზრახა არაკანონიერი გზით წასულიყო საბჭოთა კავშირიდან პირთა ჯგუფთან ერთად და ამ მიზნით შეუდგა თანამხრახველთა ძებნას.

ასეთი პირების შერჩევისა და მათზე ზემოქმედებისთვის იყენებდა ასევე ეკლესიასაც. სწორედ აქ დაამყარა თ.ვ. ჩიხლაძემ კავშირი იოსებ კონსტანტინეს ძე წერეთელსა და დავით რაჟდენის ძე მიქაბერიძესთან, რომლებიც თავად იყვნენ დასავლეთში ცხოვრების პირობების თაყვანისმცემლები. დადიოდნენ სიონის ეკლესიაში, ხვდებოდნენ თ.ვ. ჩიხლაძეს თავდაპირველად, როგოც ღვთისმსახურს. ამ უკანასკნელმა კი განაგრძო ი.კ წერეთელზე და დ.რ. მიქაბერიძეზე ზემოქმედება რელიგიურ შეხედულებათა და ანტისაბჭოთა განწყობილების, რწმენის გაღრმავება...

თ.ვ. ჩიხლაძემ 1981 წლისთვის ნება დართო ჯგუფში გაერთიანებულიყვნენ ჯერ კობახიძე გერმანე მიხეილის ძე (ზაფხულში), ხოლო მოგვიანებით (შემოდგომაზე) - კახა ვაჟას ძე ივერიელი; შემდეგში კი პაატა ვაჟას ძე ივერიელი, ფეტვიაშვილი თინათინ ვლადიმერის ასული, გრიგოლ თეიმურაზის ძე ტაბიძე.

თ.ვ. ჩიხლაძის ჯგუფმა მყარი ბანდიტური ორგანიზაციის სახე მიიღო, თავისი დამახასიათებელი ყველა (მათ შორის შეიარაღებული) ნიშნით“ (იქვე :18-19).

აღნიშნული ჩანაწერიდან ნათელია, თუ რა მიმართულებით მიჰყავდა საქმის მსვლელობა ათეისტურ ხელისუფლებას, რომელიც დანაშაულში მონაწილე ახალგაზრდებისათვის, ზემოქმედების მომხდენად და მათთან კავშირის დამამყარებლად ასახელებდა ეკლესიას. სწორედ ეს იყო უპირველესი მოტივი მამა თეოდორეს დაკავებისა. ეკლესია კიდევ ერთხელ უნდა წარმოჩენილიყო, როგორც დანაშაულებრივი ინსტიტუცია, რომელიც მტერია სახელმწიფოსი და ზოგადად ხალხისა, ამზადებს და ორგანიზებას უწევს დანაშაულებრივ ჯგუფებს.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგს თანდათან იგრძნობოდა თავისუფლების სიო, ნელი ტემპით, თუმცა, მაინც მიმდინარეობდა სასიკეთო ძვრები საზოგადოების აზროვნებაში, მსოფლმხედველობასა და მიდგომებში, რაც მოიცავდა ეკლესიისადმი დამოკიდებულების ცვლილების ელემენტებსაც. ხელისუფლება, რომელიც ცალსახად გმობდა ღმერთსა და მის ეკლესიას და ამით ამყარებდა თავის აბსოლუტურ, იდეოლოგიურ ძალაუფლებას ხალხზე, თავის მხრივ, არ დაუშვებდა, რომ ადამიანთა გონებაში ეკლესიისადმი ხელოვნურად შექმნილი ცრუ, ყალბი სტერეოტიპები დამსხვრეულიყო და ადამიანებს რეალურად აღექვათ ეკლესიის მისია და დანიშნულება.

ერთ-ერთი დაკითხვისას მღვდელმონაზონმა თეოდორემ განაცხადა: „სახარებას გეფიცებით, ყველაფერს ჭეშმარიტებას მოგახსენებთ... საქმეში ე.ი. საბრალდებო დასკვნის თანახმად, ბრალი მედება მასში, რომ 1979 წელს გავიცანი დათო მიქაბერიძე და სოსო წერეთელი. მე სოსო წერეთელი გავიცანი 1978 წელს და იგი ასრულებდა კერძო დიაკვნის სამსახურს, ოფიციალურად იგი ასრულებდა ღვთისმსახურის მოვალეობას. იყო მოწოდება, რომ საქართველოში აღდგენილიყო სამონასტრო ცხოვრება. ჩვენ გვქონდა ოფიციალურად დავალებული შეგვედგინა მსურველთა სია, შედგომოდა საეკლესიო სამსახურს, აღკვეცილიყო ბერად და მთელი ცხოვრება გაეტარებინა მონასტერში. ეს დავალება ჰქონდათ მიცემული სხვა პირებსაც. მე შევუდექი ამ დავალების შესრულებას, სოსო წერეთელთან ერთად... ჩვენ დავალებული გვქონდა საზღვარგარეთ მყოფი ქართული მამაკაცთა მონასტრების მონაწილეობის მიღებაში. ჭეშმარიტი ქრისტიანი არ უნდა ეკუთვნოდეს თავის თავს...

მე, სოსო წერეთელმა და თემურ თევზაძემ შევქმენით „ქრისტიანული მრწამსის შემსწავლელი საზოგადოება“ ჭეშმარიტების შეცნობისა და სახარების შესწავლის მიზნით. სოსო წერეთელი იყო ძალიან სათნო და ნიჭიერი, ერთგული თავისი სამშობლოსა და ხალხისა. ჩვენ დავიწყეთ სახარების შესწავლა თავიდან ბოლომდე. როდესაც მივადექით ერთ-ერთ თავს, სახარება გვასწავლის, რომ „თუ გდევნიან, გაერიდეთ ამ ქალაქებსა და ხალხსო“ და თუ გდევნიან ჩვენი ქვეყნიდან, უნდა წახვიდე კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თუ კაპიტალისტურიდან გდევნიან, მაშინ უნდა წამოხვიდე სოციალისტურ საზოგადოებაში. სოსომ მითხრა, უნდა წავიდეთ აქედანო. მე ვუთხარი, თუ წავალთ, უნდა წავიდეთ იერუსალიმში, ხოლო მე მიწვეული ვიყავი იმ ქვეყანაში. მე ამ დროს ვიყავი ბერად აღკვეცილი...

ერთ-ერთი მთავარი იყო შეერთო ებრაელი ეროვნების ქალი და ამ გზით წასულიყო, ან ვინმე საზღვარგარეთელ ქალიშვილთან მოეწერა ხელი. მეც მინდოდა წასვლა, მაგრამ რელიგიური გზით. სოსოს ვურჩიე, რომ შეერთო ცოლი, რომლის საშუალებითაც წავიდოდა ჩვენგან. მე დავიწყე მუშაობა ჯიხეთის მონასტერში, გურიაში და ამასთან დაკავშირებით მე სოსო აღარ მინახია...

სოსო წერეთელმა, თემო თევზაძემ და დავით მიქაბერიძემ გამოთქვეს სურვილი, ერთად გვემოღვაწევა იერუსალიმის ეკლესიაში. საჭირო იყო შეგვესწავლა სახარება. სახარების შესასწავლად ვიკრიბებოდით ჩემთან სახლში ანდა ისინიც იკრიბებოდნენ სახლში...

თევზაძემ მოიყვანა კახა ივერიელი ჩემთან სახლში. აღმოჩნდა, რომ იგი იყო კეთილი ახალგაზრდა, პატრიოტი თავისი ქვეყნისა. ჩემთან საუბრის დროს შევიტყვე, რომ და საფუძვლიანად დამისაბუთა, უცხოეთიდან ჩამოსული ახალგაზრდები ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისადმი ეგრეთ წოდებული სოციალისტური სისტემისა. იქ სწავლობდნენ კომუნისტი ლიდერის შვილები და მათ უთქვამთ, ჩვენს ქვეყანაში როდესაც დავბრუნდებით, მამაჩვენებს მოვკლავთ კომუნისტური გზით რომ აპირებენ ცხოვრების წაყვანას ხალხშიო. ზანგებს უთქვამთ, სიტყვა „რასიზმი“ რა არის, აქ გავიგეთ, ჩვენთან შედარებით მონები ხართო. მე ვუპასუხე, რა სამწუხაროა-მეთქი. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ წავსულიყავით „პირუტყვული“ ქვეყნიდან საზღვარგარეთ, „თავისუფალ სამყაროში“. კახა ივერიელმა თქვა, ღმერთი არ მწამსო. მე ვუთხარი კახას, რომ შეესწავლა

სახარება და მოიპოვებდა სულის სიმშვიდეს, იქ ყველა კითხვაზე ნახავდა პასუხს. მე დავუწყე მას სახარების ანბანის სწავლა. კახას შევხვდი ჩემთან სახლში ათჯერ. ჩვენ გვქონდა რელიგიაზე საუბარი. გამოითქვა აზრი, დასავლეთში იყო თავისუფლება. ითქვა, რომ ლუმუმბას სახელობის ინსტიტუტში იყო საშუალება უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით და აქვე მითხრა, რომ იქ სწავლობს ჩემი ძმა, პაატა ივერიელი.

რამდენიმე თვის შემდეგ შევხვდი ჩემთან სახლში პაატა ივერიელს... მე დავინტერესდი მისი პოლიტიკური მრწამსით. იგი რელიგიის მიმართ იყო მწყრალად და არ იყო რელიგიის მიმდევარი. გადავწყვიტე მისთვის მექადაგა რელიგია, რომ გამხდარიყო ღვთის შვილი...

მე წინააღმდეგი ვიყავი გერმანე კობახიძეს ურთიერთობა რომ ჰქონოდა ჩვენთან. მე ვიცნობდი მას ქართული ფილმიდან „ლაზარე“, მაგრამ იგი ძალიან პატარა მეგონა... სულ შევხვედრივარ ოთხი-ხუთჯერ.

თინათინ ფეტვიაშვილს შევხვდი სამჯერ, მასთან რაიმე საუბარი არ მქონია“ (იქვე :19-21).

მამა თეოდორეს მიერ მიცემული წარმოდგენილი ჩვენება არანაირად შეიცავს დანაშაულების რაიმე ელემენტსაც კი, არამედ იგი, როგორც ქრისტეს მსახური და მართლმადიდებელი სასულიერო პირი, ინტერესდებოდა ახალგზრდების აღმსარებლობითა და ცდილობდა, რომ მათთვის შეემეცნებინა სახარებისეული სიბრძნე და სწავლებანი.

მღვდელმონაზონი თეოდორე აღნიშნავდა, რომ მან მხოლოდ ლეგალურად ურჩია ახალგაზრდებს საბჭოთა კავშირის დატოვება, ან რელიგიური გზით ან ქორწინებით უცხოელ გოგონაზე. დაკავებულმა სასულიერო პირმა დაკითხვისას განაცხადა: „მე არავისთვის მირჩევია თვითმფრინავის გატაცება, ხალხის მოკვლა, შეიარაღებული თავდასხმა და ასე შემდეგ... მე რომ გამეგო, მათ იარაღი ჰქონდათ, მე აუცილებლად ჩამოვართმევდი და ალბათ, სადმე მიწაში ჩავმარხავდი... როდესაც მე სოხუმში ვიმყოფებოდი, მაშინ მოხდა მათ მიერ თვითმფრინავის გატაცების მცდელობა... მე ქორწილში დამპატიჟეს, მაგრამ ვერ ჩამოვედი. ამ დროს ვიყავი სოხუმში, მე შემოვუთვალე მათ, რომ ჩემი სახელით მისულიყვნენ სიონში და ჯვარს დაწერდნენ. მათი გასვლის შესახებ მე არაფერი ვიცოდი...“ (იქვე :22-23).

დაკითხვის ეს ნაწილიც კი აღსავსეა მართლმადიდებელი მღვდლის მოვალეობის პირნათლად აღსრულების მოტივითა და სათანადო ქმედებებით. ბუნებრივია, ახალგაზრდებისათვის იარაღის აღმოჩენის შემთხვევაში მამა თეოდორე, როგორც სულიერი

მოძღვარი, ვერ გათქვამდა ამ ფაქტს, რამეთუ ეს პირდაპირ აღსარების გაცემის ტოლფასი იქნებოდა, რაც შებღალავდა მისი, როგორც მღვდლის ხარისხის მქონე პიროვნების სიწმიდესა და ღირსებას. ბუნებრივია, ათეისტურ ხელისუფლებას არ აინტერესებდა და არც ესმოდა სასულიერო პირის, როგორც სულიერი მოძღვრის დანიშნულებისა და მისიის შესახებ. ისინი მხოლოდ ხისტი და მათ მიერ შექმნილი უსამართლო კანონებით უდგებოდნენ საქმეს და მითუმეტეს, როდესაც ეს შეეხებოდა ეკლესიასა და კონკრეტულ სასულიერო პირს.

თვითმფრინავის გატაცებამდე, არც თუ მცირე დროით ადრე ახალგაზრდებმა გაწყვიტეს კავშირი მამა თეოდორესთან ვინაიდან, მოძღვარი მათ მოუწოდებდა ქრისტიანული მცნებებით ცხოვრებისა და კანონის ფარგლებში მოქმედებისაკენ. სასულიერო პირსა და ახალგაზრდებს შორის კავშირის გაწყვეტის შესახებ თვით სასამართლომაც კი ჩაწერა განაჩენში: „1983 წლის ნოემბრის დასაწყისიდან 18 ნოემბრამდე (თვითმფრინავზე თავდასხმის შემდეგ) ბანდიტური ჯგუფის წევრები ღებულობენ ცალმხრივ გადაწყვეტილებას და რამდენიმე თავყრილობას აწყობენ თ.ვ. ჩიხლაძის მონაწილეობის გარეშე...

...ბანდიტური ჯგუფის წევრებმა თავისი ინიციატივით მიიღეს ზემოხსენებული გადაწყვეტილება იმ მოტივებით, რომ ამ პერიოდისათვის რაღაც საყოფაცხოვრებო საკითხებთან დაკავშირებით განაწყენდნენ ჩიხლაძეზე და გარდა ამისა, აღარ უნდოდათ ყოფილიყვნენ ჩიხლაძის გავლენის ქვეშ, საზღვარგარეთ გასვლის შემდეგაც მათ სურდათ დამოუკიდებლად ეცხოვრათ...

1983 წლის 15 და 16 ნოემბერს დაბა წყნეთში, დ.რ. მიქაბერიძის მშობლების აგარაკზე იკრიბებიან ბანდის წევრები: ი.კ. წერეთელი, დ.რ. მიქაბერიძე, კ.ვ. ივერიელი, პ.ვ. ივერიელი, გ.თ. ტაბიძე, გ.მ. კობახიძე, სადაც ბანდიტური ჯგუფის ხელმძღვანელის როლი თავის თავზე აიღო კ.ვ. ივერიელმა“ (იქვე :24).

სრულიად ნათელი იყო, რომ თვით სასამართლომაც კი უწყოდა და დაადასტურა, რომ მღვდელმონაზონ თეოდორეს არავითარი ორგანიზება გაუწევია თვითმფრინავის გატაცებისათვის და მას არ მოუმზადებია ეს საქმე.

მამა თეოდორემ სასამართლოს განუცხადა, რომ მას თავისმა რელიგიურმა მრწამსმა უკარნახა, რომ ყველას დანაშაული აეღო საკუთარ თავზე, ანუ მოძღვარმა მკაცრად დაიცვა და დაიმარხა აღსარების საიდუმლო, თუმცა საბჭოთა სასამართლოსთვის ეს არაფერს ნიშნავდა.

თვით სასამართლომაც კი დაადასტურა თავის განაჩენში, რომ მამა თეოდორე აღიარებით ჩვენებებს აძლევდა, რათა შეემსუბუქებინა დამნაშავეების მდგომარეობა, ანუ სასამართლოსთვისაც კი ცხადი იყო, რომ სასულიერო პირი თავგანწირვის გზას დაადგა და მოყვასის გადასარჩენად მზად იყო ამქვეყნიური სიცოცხლე დაეთმო და გაეწირა.

მღვდელმონაზონმა თეოდორემ უკანასკნელი სიტყვით მიმართა სასამართლოს: „უფალო, მომეცი ძალა, ვილაპარაკო სიმართლე... სიტყვითა შენითა და არა სიტყვითა ჩემითა და თუ ღირსი ვარ, დამიცავი... უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ მე, როგორც მსჯავრდებული, აქ არ უნდა ვიყო, არცერთ ქვეყანაში უდანაშაულო ადამიანს არ სჯიან, მით უფრო - არ ხვრეტენ. თქვენ იცით, რომ მე ღვთისმსახური ვარ და სწორედ ამის გამო მასამართლებთ... ვიცი, რომ აქ დამსწრე საზოგადოების ოთხმოც პროცენტს ვეზიზღები, როგორც მღვდელი და ჩემს ჩვენებას სიგიჟედ მიიჩნევს... მე არაფერს ვთხოულობ, თავს დამნაშავედ არ ვგრძნობ...

თავს დამნაშავედ არაფერში ვცნობ... თუ თქვენ სიცოცხლეს შემინარჩუნებთ, სახლში მაქვს ერთი ძველი ქართული რუკა, სადაც აღნიშნულია საქართველოს ყველა ტაძარი და მონასტერი... სადაც ხელს დამიდებთ, მთლად გადაკარგულ მთებშიც რომ იყოს, წავალ და იქ განვლევ ჩემს გატანჯულ ცხოვრებას... და თუ მაინც მომკლავთ და ამ ხალხს ჩემი სიკვდილით რამე ეშველება, მზად ვარ, სიამოვნებით მივიღო თქვენი განაჩენი... ოთხ კაცს რატომ ხვრეტთ, მე დამხვრიტეთ, მე არაფერში გამოგადგებით, ამათ კი სიცოცხლე შეუნარჩუნეთ, ამათ მაინც გამოიყენებთ... ეს კია, რომ ჩვენი საქმე დიდად გახმაურდა და ასე ადვილად ჩემი მოკვლა კარგს არაფერს მოგიტანთ...“ (იქვე :27-28).

ეს უკანასკნელი სიტყვა სასამართლოზე ჩაიწერა მამა თეოდორეს დედამ, რის გამო მას დარბაზი დაატოვებინეს და სწორედ ამიტომ სიტყვა მხოლოდ სანახევროდ არის ჩაწერილი.

1984 წლის 13 აგვისტოს უსამართლოდ დადანაშაულებულ მღვდელმონაზონ თეოდორეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა მიუსაჯეს, პირადი ქონების კონფისკაციით.

ცოცხლად გადარჩენილი გამტაცებლებიდან მხოლოდ ერთს - თინა ფეტვიაშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თოთხმეტი წლის ვადით, ხოლო დანარჩენებს, სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა.

სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანიდან მეორე დღესვე, 1984 წლის 14 აგვისტოს, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილი გაუგზავნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, პავლე გილაშვილს: „დიდად პატივცემულო პავლე გიორგის ძევ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით მოგმართავთ მოკრძალებული თხოვნით თქვენ და პრეზიდიუმის წევრებს, შეიწყალოთ და შეუცვალოთ სასჯელი სიცოცხლის შენარჩუნებით დამნაშავეთ, რომელნიც დაკავშირებულნი არიან თვითმფრინავის გატაცების მცდელობასთან“ (კაცაძე, ნაწ. I, 2016:352).

1984 წლის 17 აგვისტოს მსაჯვრდებულებს პირადად ჩაბარდათ მათ წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენის ასლები და განემარტათ, რომ კანონის შესაბამისად გააჩნდათ უფლება შვიდი დღის ვადაში აღეძრათ შუამდგომლობა შეწყალების შესახებ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე.

1984 წლის 22 აგვისტოს მღვდელმონაზონმა თეოდორემ (ერისკაცობაში თეიმურაზ ჩიხლაძე), კახა და პაატა ივერიელებმა დაწერეს შეწყალების შესახებ შუამდგომლობები, რომლებიც ამავე დღეს გადაეგზავნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

1984 წლის 21 აგვისტოს რესპუბლიკის პროკურატურამ (რესპუბლიკის პროკურორის, ანზორ ბარაბაძის ხელმოწერით) და უმაღლესმა სასამართლომ (უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის აკაკი კარანაძის ხელმოწერით) პრეზიდიუმს წარუდგინეს დასკვნები, რომ გამოტანილი განაჩენი კანონიერი იყო და შეწყალების საფუძველი არ არსებობდა.

1984 წლის 20 აგვისტოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნული საქმის შესახებ სათანადო დასკვნა გამოითხოვა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან (სუკი). კანონით არ იყო გათვალისწინებული ამგვარი დასკვნის გაცემა, თუმცა, სუკის თავმჯდომარემ, ალექსი ინაურმა, თავის უფლებამოსილებაზე გადაჭარბებით, მეორე დღეს, 21 აგვისტოს, მხოლოდ ერთწინადადებიანი წერილი გაუგზავნა პრეზიდიუმს, რომ სუკი წინააღმდეგი იყო მსჯავრდებულთა შეწყალებისა.

მეტად საგულისხმო გარემოებაა, რომ რესპუბლიკის პროკურატურამ, უმაღლესმა სასამართლომ და სუკმა მანამ წარუდგინეს დასკვნები უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს, სანამ თავად მსჯავრდებულები დაწერდნენ შუამდგომლობებს შეწყალების შესახებ.

1984 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ტელევიზიის ეთერში გავიდა გადაცემა „ბანდიტები“, სადაც ასახული იყო თვითმფრინავის გამტაცებელთა შესახებ, ხოლო მეორე დღეს, 1984 წლის 24 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელმაც განიხილა მსჯავრდებულთა შეწყალების საკითხი. აღნიშნული სხდომის ჩასატარებლად საგანგებოდ გამოიძახეს შვებულებიდან პრეზიდიუმის თავმჯდომარე პავლე გილაშვილი.

პრეზიდიუმის სხდომამდე გაიმართა პატიების საკითხთა კომისიის სხდომა, სადაც ერთხმად უარყვეს მსჯავრდებულთა თხოვნა, რომელიც არსებითად არც განხილულა. სხდომას, რომელსაც თავმჯდომარეობდა პავლე გილაშვილი, აგრეთვე ესწრებოდნენ წევრები: ვიქტორია სირაძე, თამარ ლაშქარაშვილი, ანზორ ბარაბაძე, აკაკი კარანაძე, გურამ გვეტაძე, ვლადიმერ კაზმინი, ზურაბ რატიანი.

პატიების საკითხთა კომისიის სხდომის დასრულების შემდეგ გაიმართა პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ზემოთ აღნიშნული პირების გარდა, აგრეთვე ესწრებოდნენ: ვალერიან კობახიძე, გივი აბზიანიძე, ავლიპ ზურაბაშვილი, ივლიანე თოდუა, თამარ კაბულოვა, ზინაიდა კვაჭაძე, მედეა მეზვრიშვილი, ბორის სარალიძე, ანატოლი სახაცკი, ოთარ პატიაშვილი.

ანატოლი სახაცკიმ განაცხადა: „რატომ დაედო ნანა ვარსემაშვილს მსუბუქი სასჯელი?! ისიც ხომ ერთ-ერთი დამნაშავეთაგანია, ვინაიდან ხელი შეუწყო ბანდიტების თვითმფრინავში შემოწმების გარეშე შესვლას“ („თავისუფალი საქართველო“, N2, 1991:4).

სხდომაზე სიტყვით წარსდგა ივლიანე თოდუა: „აღშფოთებული ვარ იმ ფაქტით, რომ ბანდიტების შეწყალებაზე თხოვნას ხელი მოაწერეს რესპუბლიკის ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა, ვის გამოსვლებსაც ვუკრავდი ტაშს და ვისი კეთილდღეობისთვისაც საბჭოთა მთავრობას არაფერი არ დაუშურებია. პრეზიდიუმის სხდომაზე წასვლისას თვითმფრინავში სამოცდაათი მგზავრი მსჯელობდა გუშინდელ ტელეგადაცემაზე და ისინი მოწონებით შეხვდნენ ბანდიტებისათვის სასჯელის უმაღლესი ზომის შეფარდებას“ (იქვე :4).

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე მედეა მეზვრიშვილი, რომელმაც განაცხადა: „ვიწონებ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას ბანდიტების მიმართ. ახლა მოვდივარ მასწავლებელთა კონფერენციიდან და იქ დამსწრე ცხრაასმა მასწავლებელმა გამომატანა თქვენთან თხოვნა განაჩენის ძალაში დატოვების შესახებ. საჭიროდ მიმაჩნია, ვინც ჯერ არს შეამოწმოს, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ პირის მღვდლად კურთხევა. მაგალითად, ჩვენს რაიონში ასეთად უწინ ნასამართლევი და არასაიმედო პიროვნება აკურთხეს. რელიგიის სამოსელში იქნებ ბევრია ჩიხლაძისთანა გახვეული და არავინ იცის ხვალ ვის დააწევს უბედურებას. რესპუბლიკის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი ეკლესიაში დადის და ჯვრებიც ჰკიდიათ გულზე. დროა ვინმემ სერიოზულად მიხედოს ამ საქმეს“ (იქვე :4).

ეკლესიისა და სასულიერო პირთა მიმართ თავისი ანტიპატია ვერ დაფარა მედეა მეზვრიშვილმა, რომელსაც, როგორც სჩანს, ძალიან აწუხებდა ეკლესიისაკენ ახალგაზრდობის მობრუნება. აღნიშნული გამოსვლის ავტორი არის ტიპიური სახე მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების საბჭოთა მოხელეებისა, რომლებსაც ძლიერ აწუხებდათ ეკლესიისადმი ახალგაზრდობის ნდობის ამაღლება და სწორედ, ეს იყო მთავარი ფაქტორი მღვდელ-მონაზონ თეოდორეს, როგორც ახალგაზრდობის გზიდან ამცდენის დასჯისა, რათა საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ, უარყოფითი სახით წარმოეჩინათ ეკლესია და სასულიერო პირები.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში დეპუტატ ვიქტორ დომუხოვსკის თაოსნობით შეიქმნა ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმის შემსწავლელი სადეპუტატო კომისია, რომელმაც დაადგინა მრავალი გარემოება და მათ შორის: ივლიანე თოდუას მიერ ნათქვამი, რომ მან იმგზავრა თვითმფრინავით, სადაც სამოცდაათი მგზავრი მსჯელობდა წინა დღით გასული გადაცემის შესახებ არ შეესაბამება რეალობას, რადგან თვითმფრინავში (იაკ-40), რომლითაც იგი მგზავრობდა, მხოლოდ ორმოც ადამიანამდე ეტევა; აგრეთვე, მედეა მეზვრიშვილის მიერ წარმოთქმული, რომ ცხრაასმა მასწავლებელმა გამოატანა თხოვნა პრეზიდიუმის წინაშე, ასევე არ შეესაბამება რეალობას, რადგან დარბაზში, სადაც ჩატარდა ხსენებული კონფერენცია, ორას ადამიანზე მეტი არ ეტევა. ესეც მორიგი დადასტურებაა სიყალბეზე აგებული საბჭოური სისასტიკისა და ცილისმწამებლობის...

პრეზიდიუმის სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ზინაიდა კვაჭაძე: „ვიწონებ სასამართლოს განაჩენს. მინდა შევეხო იმ კოლექტივებს, სადაც ბანდიტები მუშაობდნენ. ჩვენ აქ განვიხილეთ ინტელიგენციის წარმომადგენელთა წერილი მათი პატიების თაობაზე. ისინი მართალნი არ არიან. აღნიშნავენ მხოლოდ გამამართლებელ მოტივებს და მათ ბანდიტურ ქმედებაზე არაფერს არ ამბობენ. ეს არ არის ობიექტური შეფასება. როდესაც მშობელი წერს ასე, მას ეპატიება, მაგრამ ინტელიგენციას სწორი განსჯის უნარი უნდა ჰქონდეს. თბილისის პარტიის საქალაქო კომიტეტმა განიხილა ეს ინციდენტი და ვთვლი სხვა კოლექტივებმა მაღალ დონეზე უნდა იმსჯელონ ამ საკითხზე“ (იქვე :4).

მსჯავრდებულთა შეწყალების შესახებ შედგა სათანადო თხოვნის წერილი, რომელსაც ხელი მოაწერეს ინტელიგენციის წარმომადგენლებმა, სხვადასხვა სფეროდან, თუმცა, ხელისუფლებამ მათზე მოახდინა ზეწოლა და მრავალმა მათგანმა გააუქმა ხელმოწერა და საპირისპირო ხასიათის წერილებიც კი დაწერეს.

1991 წლის იანვარში გაზეთ „თავისუფალ საქართველოში“ დაიბეჭდა მარიკა აბაიშვილისა და თამარ ებრალიძის წერილი „არაფერია საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა“. წერილი ეძღვნება ე.წ. თვითმფრინავის ბიჭების საქმეს. სტატიაში გამოკვეთილია აღნიშნულ საქმეში საქართველოს კომუნისტური პარტიის ცკ-ს პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის მკვეთრად უარყოფითი როლი. წერილში ვკითხულობთ: „როგორც ვხედავთ, ყველა ოფიციალურ დოკუმენტში საქართველოს სსრ ტერიტორიაზე არსებული ინსტანციებიდან ფიგურირებს მხოლოდ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რესპუბლიკის პროკურატურა, უმაღლესი საბჭო და სუკი. სად არის ამ დროს ჩვენი მესაჭე - პარტია? კომისიის (ვ. დომუხოვსკის თაოსნობით შექმნილი სადეპუტატო კომისია. შენ. ავტ.) დასკვნაში ვკითხულობთ: „ტოტალიტარიზმის პირობებში აღზრდილი და გაწვრთნილი ფუნქციონერები ერთგულად იცავენ „ფირმის საიდუმლოებას“, არ ამხელენ პარტოკრატიის მაფიოზურ მეთოდებსა და ბინძურ საქმიანობას“.

მისი სახელი, ჩვეულებრივ, არ იხსენიება. ფუნქციონერთა წრეში მიღებულია, რომ ეწოდოს პირველი, უფრო დაახლოებულნი და ამ სიახლოვის სხვათათვის გამჟღავნების მსურველნი პირდაპირ სახელით მოიხსენიებენ - ედუარდი. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სსრ-ში პირველ კაცად ყოფნის პერიოდში მან საკმაოდ ხმაშეწყობილი

ორკესტრი შექმნა. თუმცაღა, ეს მხოლოდ მისი პირადი ღირსება არ არის - ტოტალიტარიზმი და კომუნიზმი საერთოდ ხმაშეწყობილობით გამოირჩევა, ტკბილხმოვანებითაც.

თვითმფრინავის საქმეშიც ორკესტრის ჟღერადობას, მის რითმსა და ტემპს დირიჟორი განსაზღვრავდა - ედუარდ შევარდნაძე.

კარგად აწყობილ ორკესტრში თავისი კუთვნილი ადგილი ქართულმა ინტელიგენციამაც დაიჭირა, მისმა ელიტამ. ეს ის წლებია, როდესაც ერთ-ერთ წვეულებაზე ისმება ცნობილი კინორეჟისორის სადღეგრძელო, როგორც მიწიერი ღმერთისა, ხოლო ციურ ღმერთთან (შეგვინდე უფალო) მის შუამავლად ედუარდ შევარდნაძე მოიხსენიება...

ამ დროს კი რა ხდება ჩვენთან 1984 წლის აგვისტოს თვეში? დადიან ვიღაც მოხალისეები მთელ საქართველოში და ცნობილი ადამიანების ხელმოწერებს აგროვებენ შეწყალების თხოვნაზე. თემურ ჩიხლაძისთვის (იგულისხმება მღვდელ-მონაზონი თეოდორე. შენ. ავტ.), გეგა კობახიძისა და ძმები ივერიელებისთვის სიცოცხლის შენარჩუნება უნდათ! მართალია, ხელისმომწერთაგან ყველა თანაბარი ხალისით არ ირჯება, მაგრამ პირველი ხელისმოწერა იმდენად ავტორიტეტულია, რომ უხალისოებსაც ხალისს გვრის და გამბედაობას მატებს, თანაც ლოკალური გმირობის შანსიც ეძლევათ.

რაღაც იმედი გამოჩნდა. განწყობილება ზეაწეულია, ინტელიგენციის ასეთი დარაზმულობა (თუმცა, ვერ ვიტყვით ერთსულოვნებას) ხომ პირველად არის ჩვენში. არ შეიძლება ამან შედეგი არ გამოიღოს.

აი, ამ დროს, 1984 წლის 23 აგვისტოს საქართველოს ტელევიზია აწყობს გადაცემას „ბანდიტები“. ჩვენ პატარები არა ვართ, ნურავინ ეცდება ვინმეს დარწმუნებას, რომ ამ უსუსურმა პასკვილმა „თვალები აუხილა“... ეს ტყუილი გარჯა იქნება. ამ გადაცემამ სხვა როლი ითამაშა, ის დირიჟორის ჯოხის მოქნევას ჰგავდა. ინტელიგენციის ელიტა მიხვდა, რომ მცდარი ნოტი აიღო. და ამ დროს დაიწყო ახალი კამპანია - შეწყალების თხოვნის გადამთქმელთა სიების შედგენა. დაფაცურდნენ ფუნქციონერები...“ (იქვე :5).

დაიწერა ახალი წერილები, რომლებშიც შეწყალების შუამდგომლობაზე ხელმომწერ პიროვნებათა უმრავლესობამ უარყო საკუთარი თხოვნა... აღსანიშნავია, რომ ყველა ეს წერილი დაიწერა 1984 წლის 23 აგვისტოს გასული ტელეგადაცემის შემდეგ. ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „საოცარია, რომ საბჭოთა სკოლა და უმაღლეს სასწავლებელ დამთავრებული

ახალგაზრდები მოჰყვნენ ბნელი და ბოროტი პიროვნების - მღვდლის გავლენის ქვეშ და ჩაიდინეს ეს უმსგავსო დანაშაული, არ დაინდეს სრულიად უდანაშაულო ადამიანთა სიცოცხლე...“ (იქვე :5). სამწუხაროდ, ხელისუფლების ოფიციალურ კურსს ეკლესიისა და სასულიერო პირთა წინააღმდეგ, რიგითი მოქალაქეებიც კი ზუსტად მიჰყვებოდნენ...

შეწყალების თხოვნაზე ხელისმომწერ ოცდაშვიდი არქიტექტორიდან ოცდასამმა გააუქმა კოლექტიური წერილით საკუთარი თხოვნა... დაშინებისა და ტერორის საფუძველზე, ფაქტობრივად, მთხოვნელთა უმრავლესობამ უკან წაიღო თავისი შუამდგომლობა.

1984 წლის 11 სექტემბერს მსჯავრდებულმა შეწყალების თხოვნა დაწერეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი, თუმცა ოთხი დღით ადრე, 1984 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ვიქტორია სირაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს გაუგზავნა წერილი: „მოგახსენებთ, რომ განვიხილეთ დახვრეტმისჯილ პატიმართა თხოვნა შეწყალების შუამდგომლობაზე. საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო ექვსი ათასზე მეტი კოლექტიური და ინდივიდუალური წერილი და ტელეგრამები... მოითხოვენ მსჯავრდებულთა მკაცრად დასჯას და გამოტანილ სასჯელს უცხადებენ სოლიდარობას. ეს მომართვები დაწერილია მშრომელი კოლექტივების, მოწინავე მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების და შემოქმედი მეცნიერი ინტელიგენციის მიერ. ამასთან ერთად იყო კოლექტიური წერილები მსჯავრდებულთა მშობლების თხოვნით, ხელმოწერილი რესპუბლიკის მეცნიერებისა და მოღვაწეთა ჯგუფის მიერ, რომლებიც თანხმობას გამოხატავენ განაჩენზე, მაგრამ შუამდგომლობენ შეწყალებაზე. თუმცა, ყველა წერილზე ხელმომწერმა მიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს განცხადებით, რომ სწორი ინფორმაციის მიღების შემდეგ შეიცვალეს აზრი და უარყოფენ შუამდგომლობას და ითხოვენ განაჩენის ძალაში დატოვებას“ (იქვე: 4).

სამწუხაროდ, საბჭოთა ხელისუფლებამ არ შეისმინა კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის თხოვნა და არც იმ მცირერიცხოვანი ადამიანებისა, რომლებმაც მიუხედავად ტერორისა და დაშინებისა, არ უარყვეს თავიანთი თხოვნა მსჯავრდებულთა შეწყალების თაობაზე... ოფიციალური ცნობით, 1984 წლის 3 ოქტომბერს, თექვსმეტ საათსა და ოცდაათ წუთზე მამა თეოდორე დახვრიტეს.

მღვდელმონაზონ თეოდორეს ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, არქიმანდრიტი ნიკოლოზი (ღლონტი) იხსენებს: „მამა თეოდორეს ჩემი ერისკაცობის დროიდან ვიცნობდი. იგი გამორჩეული სასულიერო პირი იყო თანამედროვეთა შორის, თავისი განათლებით. მან თითქმის ზეპირად იცოდა ახალი აღთქმა. გარდა ამისა, ფლობდა რუსულ და ინგლისურ ენებს, წერდა პიესებს და მუსიკალურ ნაწარმოებებს.

იმ პერიოდში და შემდეგაც, როცა მე მონოზვნად აღვიკვეცე და მღვდელ-მონოზვნად მაკურთხეს, დროის უმეტეს ნაწილს ერთად ვატარებდით. როგორც მეგობრობიდან გამომდინარე, ისე საეკლესიო საქმეებთან დაკავშირებით. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ მისი დაკავების შემდეგ მეც დამაკავეს და დამკითხეს სუკ-ში.

მამა თეოდორეზე უსასრულოდ შემიძლია ვისაუბრო, მის სიკეთესა და მოსაგრეობაზე. გამორჩეულად ლოცვის მოყვარეს ხშირად უყვარდა განმარტოება და უფალთან საუბარი. მე ჩემს ცხოვრებაში იშვიათად შევხვედრივარ მსგავსი ბავშვური სიკეთის, გულუბრყვილობისა და გულწრფელობის ადამიანს. უსაზღვროდ საოცარი და უძიროდ კეთილი იყო მისი თვალები, რომელშიც ყოველივე ეს აშკარად და დაუფარავად იკითხებოდა. წმიდა წერილიც ხომ ამას გვასწავლის: „სანთელი გუამისა არს თუალი, უკეთუ თუალი შენი განმარტებულ იყოს, ყოველი გუამი შენი ნათელ იყოს“ (მათე 6; 22)...

უმთავრესი კი, რაც მამა თეოდორესთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო არის ის, რომ მან რამდენიმე წლით ადრე იცოდა თავისი აღსასრულის შესახებ.

ერთხელ, ბეთანიის მამათა მონასტერში ყოფნისას, როცა სულიერ საკითხებზე ვსაუბრობდით, მან განგვიცხადა: „თქვენ ცხონებისთვის აირჩიეთ ნათლისმცემლის გზა, თქვენ სასუფეველში შეხვალთ სარწმუნოების დაცვით, ხოლო მე გარდავიცვლები ოცდაცამეტი წლის ასაკში და „ხმაურით და გრიალით“ შევალ უფლის სამყოფელში.

მართლაც ოცდაცამეტი წლის, ქრისტეს ასაკში დადგა მისი აღსასრული, რასაც მართლაც დიდი ხმაური მოჰყვა. მჯერა ღვთის კაცთმოყვარეობისა, რომელიც ისე მიიღებდა მის სულს საუკუნოდ სანეტაროდ, როგორც საქართველოს ტოტალიტარული რეჟიმის დროს ეკლესიისა და ერისათვის ურწმუნოთაგან მოკლული მსხვერპლისა“ (პაიჭაძე 2013:14)

ფაქტია, რომ მღვდელმონაზონ თეოდორეს მიმართ, საბჭოეთის სისხლიანმა რეჟიმმა აღასრულა ის ჩანაფიქრი, რაც თავდაპირველად, საქმის წარმოების ჩანასახშივე განიზრახა...

გამოტანილი განაჩენი იმდენად უსუსური და უარგუმენტოა და მეტიც, თავადვე ადასტურებს მამა თეოდორეს უდანაშაულობასა და თავგანწირვას მოყვასისადმი, რომ ვერავითარ კრიტიკას უძლებს და იგი წარმოადგენს ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს კომუნისტური მმართველობის სიყალბის, ცილისმწამებლობის, კაცთმოძულეობისა და ზოგადად დანაშაულებრიობის.

სასამართლო პროცესი მხოლოდ ცინიზმით აღსავსე ფორმალობა იყო და არავითარი რეალური განხილვა არ მომხდარა არსებული საქმისა. განაჩენი თავიდანვე გამოტანილი იყო, 1984 წლის 13 აგვისტოს კი, მხოლოდ გააჟღერეს და სხვა არაფერი. არც ის არის გამორიცხული, რომ მამა თეოდორე იმაზე გაცილებით ადრე დახვრიტეს, ვიდრე ოფიციალური რიცხვი მიუთითებს...

2011 წელს გაზეთ „ასავალ-დასავალში“, ჟურნალისტმა ჯაბა ხუბუამ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „სამწუხაროდ და საუბედუროდ, ქართულმა დედაეკლესიამ საბჭოთა რეჟიმისაგან ვერ დაიცვა კიდევ ერთი სასულიერო პირი - მამა თეოდორე ჩიხლაძე, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ, 1983 წელს (მამა თეოდორე დახვრიტეს 1984 წელს. შენ. ავტ.) „თვითმფრინავის ბიჭებთან“ ერთად დახვრიტეს.

სხვათაშორის, გავრცელებული ინფორმაციით, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, მაშინ, საბჭოთა ხელისუფლებას გაუგზავნა წერილი მღვდელი ჩიხლაძისა და „თვითმფრინავის ბიჭების“ შეწყალების თხოვნით, მაგრამ იმ უღმერთობისა და უკუღმართობის ხანაში, პატრიარქის თხოვნა არავინ შეისმინა“ („ასავალ-დასავალი“, 2011, N31:6).

პირუთვნელი ისტორიის შეფასებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ალბათ, უფრო მეტი კონკრეტიკა, შემართება და ცალსახა მოთხოვნის ხმა უნდა გაჟღერებულიყო და იქნებ, არ დამდგარიყო ამგვარი შედეგი, რაც დადგა... უშუალოდ უნდა ყოფილიყო მეტი აქცენტი გაკეთებული უდანაშაულო მღვდელმონაზონის გათავისუფლებისათვის... თუმცა, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ დროისათვის, ეკლესია და მისი იერარქია ძალზედ უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და დიდი იყო ზეწოლა ხელისუფლების მხრიდან...

მღვდელმონაზონი თეოდორე (ჩიხლაძე) იყო უკანასკნელი დახვრეტილი ქართველი სასულიერო პირი, რომლითაც დასრულდა ის სიკვდილის ქრონიკები, რასაც ათეისტური

წყობილება, გასაბჭოებიდანვე, უმოწყალოდ აწარმოებდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირთა წინააღმდეგ. მრავალი მაღალიერარქი თუ მღვდელმსახური შეეწირა საბჭოეთის ვერაგულ პოლიტიკას, რომელმაც მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრის დამდეგსაც კი გამოაჩინა თავისი სისასტიკე და კვლავ, ცილისმწამებლური და არარეალური ბრალდებით, ამქვეყნიურ სიცოცხლეს გამოასალმა კიდევ ერთი სასულიერო პირი - მამა თეოდორე.

ამ თავში წარმოვადგინეთ ჩვენს მიერ საკვლევად აღებული პერიოდის საქართველოს ეკლესიის ისტორიაში მომხდარი დრამატული მოვლენები, კერძოდ: მიტროპოლიტ გაიოზის, მიტროპოლიტ ნიკოლოზის, მთავარეპისკოპოს იოანესა და მთავარეპისკოპოს ამბროსის სამღვდელმთავრო ხარისხიდან განკვეთა, ეპისკოპოს ილარიონისა და მიტროპოლიტ შიოს წმიდა სინოდის შემადგენლობიდან გამოყვანა, ეპისკოპოს ქრისტეფორესთვის მღვდელმოქმედების აკრძალვა და წმიდა სინოდის შემადგენლობიდან გამოყვანა. აგრეთვე, განვიხილეთ მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) ცრუ ბრალდებით დაკავება და დაპატიმრება. ამ თავში წარმოდგენილია მრავალრიცხოვნი საარქივო მასალა, რომელთა უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში.

თავი III. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის მარწუხები და საქართველოს ეკლესია

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში ფუნქციონირებდა პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება, რომლის წინაშე ანგარიშვალდებულები იყვნენ ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელები, ანუ ქალაქკომებისა და რაიკომების მდივნები, აღმასკომის თავმჯდომარეები, ათეისტური მუშაობის გაწევის მხრივ და საგანგებოდ მოახსენებდნენ კპ ცკ-ს ხსენებულ განყოფილებას მათდამი რწმუნებულ ქალაქებსა და რაიონებში ათეისტური პროპაგანდისა და ქმედებების თვალსაზრისით სათანადოდ გატარებული ღონისძიებების შესახებ. ადგილებზე გადამზადებული და გამოყოფილი იყვნენ ლექტორები, რომლებიც მართავდნენ ლექციებს ათეიზმის შესახებ და ცდილობდნენ მოსახლეობაში სრულიად აღმოეფხვრათ ღმერთის რწმენა, ეკლესიისადმი სიყვარული...

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო სამმართველოში, კერძოდ საქართველოს კპ ცკ პარტარქივში, დაცულია დოკუმენტური მასალები, წერილები, მოხსენენები, სადაც ადგილობრივი საქალაქო და რაიონული ხელისუფლებების ხელმძღვანელები საქართველოს კპ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას მოახსენებენ გაწეული ათეისტური მუშაობის შესახებ. იმისათვის, რომ თვალსაჩინო იყოს მათი იმდროინდელი საქმიანობის შინაარსი, წარმოვადგენთ ამონარიდების სახით რამდენიმე მათგანს.

1982 წლის 18 იანვარს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს, ჟ. შარტავას მოხსენებას უგზავნის საქართველოს კპ ხაშურის რაიკომის მდივანი ლ. დათიაშვილი (მის ნაცვლად ხელს აწერს: ე. გელაშვილი). დოკუმენტის სათაურია: „საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიკომის შტატგარეშე ლექტორთა ჯგუფის მიერ 1981 წელს გაწეული მუშაობის შესახებ“, რომელშიც ვკითხულობთ: „კიდევ უფრო გაუმჯობესდა მშრომელთა შორის ათეისტური პროპაგანდა. ათეისტური თემატიკით ლექციას კითხულობს 9 ლექტორი, რომელთა მიერ 1981 წელს 50 ლექცია იქნა წაკითხული... ლექციურ პროპაგანდაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი ეკავა ახალგაზრდობის შრომის, ხალხთა მეგობრობის, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის, ათეისტური აღზრდის

საკითხებს... ლექციურ მუშაობას დიდად შეუწყობს ხელს, თუ რაიონში ჩატარდება პრაქტიკულ-თეორიული კონფერენცია ათეისტური პროპაგანდის გაძლიერების თაობაზე. სასურველია, აგრეთვე, ლექტორებისთვის პერიოდულად მოეწყოს გადაცემები ტელევიზიით, ლექციური პროპაგანდის საკვანძო პრობლემებზე“ (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა. ფ.14, ა.123, ს.305, გვ.95, 97, 99).

1982 წლის 19 იანვარს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებას მოხსენებას უგზავნის საქართველოს კპ ახმეტის რაიკომის მდივანი: ვ. ბატიაშვილი (მის ნაცვლად ხელს აწერს: ვლ. შიომღვდლიშვილი). წერილში ვკითხულობთ: „ათეისტური მუშაობის შემდგომი სრულყოფის მიზნით ჩატარდა იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა რაიონული შეკრება, შემუშავდა რეკომენდაცია, რაც გახდა არამარტო ათეისტ ლექტორთა, არამედ პროპაგანდისტთა მუშაობის ძირითადი ორიენტირი ამ სფეროში. გააქტიურდა ათეისტური აღზრდის სახალხო უნივერსიტეტის მუშაობა. გასული წლის აპრილში მოეწყო ათეისტური პროპაგანდის კვირეული. მარტო ამ გზით, რაიონის შრომით კოლექტივში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში წაკითხული იქნა 241 ლექცია, ჩატარდა თეორიულ-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „რელიგია და თანამედროვეობა“ (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა. ფ.14, ა.123, ს.305, გვ.112).

1982 წლის 19 იანვარს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს, ჟ. შარტავას მოხსენებით-საანგარიშო წერილს უგზავნის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი, ჯ. ბლიაძე. წერილში ვკითხულობთ: „ლექტორთა მიერ 1981 წლის განმავლობაში შრომით კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილების მიხედვით ჩატარებულია ლექციები თემებზე: „თანამედროვე იდეოლოგიური ბრძოლა და რელიგია“, „რელიგიის რეაქციული და ანტისაზოგადოებრივი არსი“ (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა. ფ.14, ა.123, ს.305, გვ.117).

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში მოქმედებდა დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის კომისია, რომლის ერთ-ერთ ცნობაში, სათაურით: „აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაის, ჩხოროწყუს, ხობისა და წალენჯიხის რაიონებში ხალხმრავალი ქელეხებისა და ქორწილების

წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ“, ვკითხულობთ: „ამ მიმართულებით (იგულისხმება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის ნოემბრის დადგენილება, „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ“. შენიშვნა - ავტ.), გარკვეული მუშაობა აქვთ გაწეული აბაშის, გეგეჭკორის, ცხაკაის, ჩხოროწყუს, ხობისა და წალენჯიხის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, რომელთა საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დადგენილების შემდეგ ფართოდ გაიშალა ბრძოლა ცხოვრებაში ფეხმოკიდებული სხვადასხვა სახის ნეგატიური მოვლენების, ძველი რელიგიური დღესასწაულების /“ამაღლება“, „გიორგობა“, „მარიამობა“/ აღმოფხვრისათვის” (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა. ფ.14, ა.124, ს.448, გვ.184). დოკუმენტი დათარიღებულია 1983 წლის სავარაუდოდ 8 აპრილით (გარკვევით არ იკითხება. შენ. ავტ.). ამავე დოკუმენტში აღწერილია, რომ ზემოთხსენებული კომისია აქტიურად ეწინააღმდეგება მიცვალებულთა მოხსენიების ქრისტიანულ წესებს, როგორიცაა გარდაცვალებიდან ორმოცი დღე, მიცვალებულთა მოხსენიების დღეები, ანუ საკურთხობა და ა.შ.

წარმოდგენილი მასალები ნათლად წარმოაჩენს, რომ საბჭოთა ხელისუფლება არ ღალატობდა თავის ჩვეულ ათეისტურ კურსსა და კვლავ მიმდინარეობდა მიზანმიმართული, სახელმწიფო დონეზე არსებული ბრძოლა ეკლესიის წინააღმდეგ.

საბჭოთა ხელისუფლება პრობლემებს ქმნიდა ტაძრების გახსნისა და ამოქმედებისათვის. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ დებულებაში ვკითხულობთ: „მუხლი 5. რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისათვის, მისი დამფუძნებელნი არანაკლებ 20 კაცის შემადგენლობით, შუამდგომლობას რელიგიური საზოგადოების რეგისტრაციისა და სამლოცველო შენობის (ეკლესიის) გახსნის შესახებ გზავნიან მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მორწმუნეთაგან მიღებულ შუამდგომლობას თავისი დასკვნით გაუგზავნის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს. მუხლი 22. კულტის შესრულებისათვის აუცილებელი ქონება, რომელიც ხელშეკრულებით

გადაცემულია რელიგიურ საზოგადოებაში შემავალ მორწმუნეთათვის, ასევე, მათ მიერ ახლად შეძენილი ან კულტის საჭიროებისათვის შეწირული ქონება ნაციონალიზებულია. იგი აღირიცხება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში და მორწმუნეთა სარგებლობაშია. მუხლი 24. სამლოცველო შენობები და საკულტო ქონება რელიგიურ საზოგადოებაში შემავალ მორწმუნეთა სარგებლობაში გადაიცემა იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წესის შესაბამისად, რომელსაც რელიგიური საზოგადოება დაუდებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოსა აღმასრულებელი კომიტეტის სრულუფლებიან წარმომადგენელს“ (საქ.ეკლე.კალ. 1979, 1979:28,30-31).

მიუხედავად ამისა, მთავრობა ცდილობდა, რომ დაეხურა იმჟამად, ჯერ კიდევ მოქმედი ტაძრები და მონასტრები. ოფიციოზს განზრახული ჰქონდა, რომ დახურულიყო ლანჩხუთის რაიონში მოქმედი ჯიხეთის მონასტერი, რომლის სრულად დახურვასაც, იმჟამინდელი კანონმდებლობა კრძალავდა, თუმცა, ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობდა, შეევიწროვებინა ჯიხეთის მონასტერი და ახალმისულებს საშუალება არ მისცემოდათ იქ დარჩენისა და მონაზვნად აღკვეცისა.

1980 წლის 3 დეკემბერს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატის მოადგილე ი. რურუა მოხსენებით ბარათს უგზავნის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგეს, ვ. ქარუმიძეს, სხვადასხვა რაიონში არსებული ეკლესიების გაუხსნელობის შემთხვევაში წარმოშობილი კონფლიქტების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია: „როგორც რელიგიის საქმეთა საკავშირო საბჭოშიც დაგვიდასტურეს, ლანჩხუთის რაიონში არსებული ჯიხეთის დედათა მონასტრის გაუქმების საკითხის დასმა, ვიდრე იქ ცხოვრობს ერთი მონაზონი, კანონმდებლობის დარღვევა იქნებოდა. ეს გარემოება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებს სულაც არ ართმევს უფლებას, შეამოწმონ მონასტერში თავშეფარებულთა ვინაობა და საეჭვო პირთა მიმართ მიიღონ ნებადართული ღონისძიებები, სათანადო ორგანოების ნებართვის გარეშე არ დაუშვან სამონასტრო კომპლექსში რაიმე სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების ჩატარება“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.391).

ამავე დოკუმენტში განხილულია მორწმუნეთა თხოვნები ზუგდიდიდან, ზუგდიდის რ-ნ სოფ. ცაიშიდან და აბასთუმნიდან, ხსენებულ ადგილებში ტაძრების გახსნის შესახებ და ნათლად სჩანს, რომ ხელისუფლება ეძებდა ალტერნატიულ გზებს, როგორმე გადაეთქმევინებინათ მორწმუნეებისთვის მათი ეს სურვილი, ან რაიმე სხვა ფორმა მოეძებნათ ტაძრების არგასახსნელად, იბარებდნენ ხელის მომწერებს, ემუქრებოდნენ...

1980 წელს საჩხერელმა მორწმუნეებმა შეადგინეს და სხვადასხვა ინსტანციებში გაგზავნეს თერთმეტი კოლექტიური განცხადება საჩხერეში ტაძრის გახსნის მიზნით, რამაც ხელისუფლების აღშფოთება გამოიწვია. ზემოთხსენებულ წერილში რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატის მოადგილე, ი. რურუა წერს, აღნიშნული ფაქტის შესახებ: „ამასთან ისინი (საჩხერელი მორწმუნენი. შენ. ავტ.) გამოირჩევიან რელიგიური ფანატიზმითაც. ამაში გარკვეული როლი მიუძღვის ეპისკოპოს ქრისტეფორეს (წამალაიძეს). მორწმუნეთა კანონსაწინააღმდეგო წაქეზებისათვის, ეპისკოპოსი თავის დროზე გამოვიძახეთ და გავაფრთხილეთ კიდეც, შემდეგ კი, იძულებული გავხდით კატეგორიულად გვეთქვა საჩხერეში აღარ ჩავიდეს, თუ კი, იქ ეკლესია ოფიციალურად არ იქნება გახსნილი.

მორწმუნეთა გაღიზიანება ნაწილობრივ იმითაც აღმოჩნდა განპირობებული, რომ რაიონის ყოფილმა ხელმძღვანელობამ ბოლომდე არ გაითვალისწინა ჩვენი რჩევა, საჯაროდ დაუშვეს მორწმუნეთა შეურაცხმყოფელი უხეშობა. ამის გამო, მორწმუნეთა მრავალმხრივი ჯგუფი, რამდენჯერმე მივიდა რწმუნებულის აპარატში, ბოლოს კი, მთავრობის სასახლის სადარბაზოსაც მიადგა დემონსტრაციულად, ისიც უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობის დროს“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.391). სამწუხაროდ, აღნიშნული მცდელობა ვერ დასრულდა მორწმუნეთათვის სასარგებლოდ და მათ მხოლოდ, ტაძარში მღვდელმსახურის გარეშე ლოცვის შესაძლებლობა მიეცათ. „საჩხერელი მორწმუნენი მხოლოდ მას შემდეგ დაშოშმინდნენ, რაც სასაფლაოს ტერიტორიაზე არსებულ ეკლესიას ბოქლომი ახსნეს და მათ კვლავ მიეცათ შესაძლებლობა მღვდელმსახურის გარეშე ილოცონ და დაანთონ სანთელი“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.391), - წერდა ი. რურუა, ზემოთხსენებულ წერილში.

წარმოდგენილი მასალები ცხად-ჰყოფს, რომ 1980 წლისათვისაც კი, საბჭოთა ხელისუფლება გააფთრებით ებრძოდა ეკლესიას და ეპისკოპოსს უკრძალავდნენ მისდამი

რწმუნებულ ეპარქიაში ყოფნასა და მწყემსმთავრული მოვალეობის აღსრულებას, თან ულტიმატუმსაც უყენებდნენ.

1980 წელს საინგილოს ქართველი მოსახლეობის მორწმუნეთა ჯგუფმა ითხოვა კახის რაიონში მდებარე „წმ. ალავერდის“ ქართული ტაძრის გახსნა. აღნიშნულ ჯგუფს სათავეში ედგა საინგილოს მკვიდრი, მღვდელი მოსე ოთარიშვილი. აზერბაიჯანის რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის პასუხიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ტაძარი გადაეცა რაიაღმასკომის კულტურის განყოფილებას, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გასახსნელად.

1981 წლის 5 თებერვალს ბორჯომში მცხოვრებმა მორწმუნეებმა დაწერეს თხოვნა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის გ. მაისურაძის სახელზე. მორწმუნეებმა ითხოვეს ბორჯომში, წმიდა მარინეს ტაძრის გახსნა, რომელიც „ამჟამად არის ცარიელი და თავისუფალი. რაც შესაკეთებელი და გასარემონტებელია, მორწმუნეები შეაკეთებენ შეგროვილი სახსრებით (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.427, ფურც.3)“, -აღნიშნულია წერილში, რომელსაც ხელს აწერს ოცდაორი განმცხადებელი.

ამავე წლის 2 მარტს, რწმუნებული გ. მაისურაძე, აღნიშნულ წერილს უგზავნის ბორჯომის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, გ. კურტანიძეს, რომელიც თავის მხრივ, ამავე წლის 17 მარტს, რწმუნებულსა და განმცხადებლებს წერილობით აცნობებს: „გაცნობებთ, რომ შენობა, რომელსაც თქვენ ეკლესიის გახსნისათვის ითხოვთ, არის ავარიული. შეწირული ფულით მისი აღდგენა და ეკლესიის გახსნა არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. ზემოაღნიშნული შენობის, როგორ კულტურული ძეგლის აღდგენა გათვალისწინებული იქნება რაისაბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების მიერ“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.427, ფურც. 5).

1981 წლის 7 აგვისტოს, თელავის მკვიდრი, მარო ახალკაციშვილი წერილობით განცხადებას უგზავნის უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. „როგორც თქვენთვის ცნობილია, 1980 წელს, ჩემი საკუთარი ინიციატივითა და თანხებით შევაკეთე თელავის დედა ღვთისმშობლის ეკლესია /პირველი მაისის ქუჩა/. ამ უბნის მცხოვრებთა დიდი სურვილია, აღნიშნული ეკლესია გადაიქცეს მოქმედად. ამის შესახებ ვის არ მივმართე, მაგრამ საქმეს არ ეშველა. ყველგან ოფიციალურ მიმართვას თხოულობენ, რომელიც გაამართლებს ამ აზრის სისწორეს.

მე, ჩემი დანაზოგიდან კიდევ მაქვს თანხა, რომ ბოლომდე მივიყვანო ეკლესიის კეთილმოწყობის საქმე. გთხოვთ, დახმარებას! ამასთან ერთად, გთხოვთ, თავად ინახულოთ აღნიშნული ეკლესია, რომელიც შიგნით მთლიანად მოხატულია და უდიდეს ისტორიულ საგანძურს წარმოადგენს. მაშინ, კიდევ უფრო გაიმარჯვებს სურვილი, აღნიშნული ეკლესია კვლავ ამოქმედდეს და ჩადგეს სამშობლოს სიყვარულის სამსახურში (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.427, ფურც.13)“, - წერს ქ. თელავიდან მარო ახალკაციშვილი.

ამ პროცესების პარალელურად გრძელდებოდა ეკლესიის წინააღმდეგ მიზანმიმართული ბრძოლა... ოფიციალური საერო ხელისუფლება აწყობდა თავდასხმებს მონასტრებზე, კონკრეტულ სასულიერო პირებზე და დაშინების გზით აიძულებდა მათ, რომ შეეწყვიტათ ან მორიდებოდნენ ღვთისმსახურებას. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა განხორციელდა 1982 წლის 6 იანვარს, ქრისტეს შობის წინა დღეს, შიომღვიმის მონასტერზე, ამავე მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) წინააღმდეგ. აღნიშნული თავდასხმის შესახებ, არქიმანდრიტმა იოაკიმემ საკმაოდ ვრცელი წერილი მისწერა უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს; სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სს რესპუბლიკაში, გივი მაისურაძეს; საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს, ოთარ თაქთაქიშვილს; ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსს, ირაკლი ციციშვილს; საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრს, გურამ გვეტაძეს. წერილში არქიმანდრიტი იოაკიმე აღწერს მის წინააღმდეგ რამდენიმე მისთვის უცხო პირის მიერ განხორციელებულ თავდასხმას: „მიმდინარე წლის (1982 წ. შენ. ავტ.) 6 იანვარი იყო, შობის წინა დღე. უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ბრძანებით, შიომღვიმის მონასტრისაკენ გავემგზავრე სალოცავად. დღის 3 საათზე მონასტრის გალავანს მივადექით... ფეხით გავუყევი ტაძრისაკენ გზას. შორი-ახლოს ახალგაზრდა კაცი დავინახე, ასე ოცდაშვიდი-ოცდარვა წლისა. მან შემამჩნია თუ არა, მონასტრისაკენ გაიქცა. ეს ამბავი ცუდად მენიშნა. მძიმე ჩანთისაგან ხელი გავითავისუფლე და აჩქარებული ნაბიჯით გამოვუდექი. ახალგაზრდა მხედველობის არიდან დავკარგე. ეკლესიას მივადექი. დავინახე დაახლოებით ორმოცდაათი წლის მამაკაცი, რომელიც თავქუდმოგლეჯილი შევარდა ეკლესიაში და იქვე, კარებთან

შეჩერდა. გამოჩნდა ზემოხსენებული ახალგაზრდა, მიირბინა ეკლესიაში მყოფ კაცთან, რომელმაც მას რაღაც საგანი გადასცა და ისევ გაქრა. ხანში შესული კაცი დაიხარა, ამოიღო ყუთიდან ფულის დასტა და ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ ამავე ყუთიდან სანთლის კონა აიღო, გამოვიდა ეკლესიიდან და კარები ბოქლომით დაკეტა. მამაკაცს მივუახლოვდი და მივესალმე. სალამზე ასე მიპასუხა:

- რა რჯულის ხარ, ვინ ხარ?! რუსი ხარ?!

- შე დალოცვილო, რამ შეგაშინა, ჩემი დანახვისთანავე ეკლესია რომ დაკეტე?! მე ამ მონასტრის წინამძღვარი ვარ. ესეც რომ არა, ხომ ხედავ, რომ მღვდელი ვარ.

- მე არ ვიცი, მღვდელი ხარ თუ ვინ ხარ! - იყო პასუხი.

მე უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს N166 ბრძანება ვაჩვენე, რომელშიც წერია, რომ მე, არქიმანდრიტი იოაკიმე ასათიანი, დანიშნული ვარ შიომღვიმის მონასტრის წინამძღვრად. პატრიარქის ხსენებაზე უფრო გაბრაზდა უწმაწური სიტყვებით მოიხსენია იგი. ჩვენს გარშემო ეკლესიის ეზოში მყოფი რამდენიმე ადამიანი მოგროვდა. მათ შენიშვნა მისცეს ჩემთან მოსაუბრეს, შეახსენეს, რომ მე მღვდელი ვიყავი, ეკლესიაში შესვლა მინდოდა და ამის ყოველგვარი უფლება მქონდა. უცხო ხალხის დაჟინებული თხოვნით, როგორც იქნა, კარი გააღო.

ეკლესიაში შევედი და წესისამებრ მივესალმე ხატებს. ცოტა ხნის შემდეგ გამოვედი და ჩანთის მოსატანად წავედი. ტაძრის ეზოში მყოფი გარეშე ხალხი უკვე წასულიყო. ეკლესიაში დავბრუნდი, ის კაცი ჩამომჯდარიყო და სიგარეტს აბოლებდა. მის გარდა იქ დამხვდა ზემოხსენებული ოცდაშვიდი-ოცდარვა წლის ახალგაზრდა, ვიღაც თავის ტოლ ვაჟთან ერთად. იყო აგრეთვე ორმოცდაათიოდე წლის კაცი, რომელსაც პირველად ვხედავდი. ჩემი აზრით, საქმე ორ მამა-შვილთან მქონდა.

უფროსები მონასტრის დარაჯებად ასაღებდნენ თავს. მთელს მონასტერში ვიყავით ხუთნი - მე და ორი მამა-შვილი. მე მივედი სიგარეტის მწეველთან და ვთხოვე, ეკლესიაში სიგარეტის მოწევა არ შეიძლება და თუ შეიძლება ჩააქრეთ-მეთქი. მან არც აცია და არც აცხელა და პირდაპირ შემაგინა. მივხვდი, რომ საქმე წარმართთან მქონდა. ისევ ტკბილი სიტყვებით შევეცადე საქმის გამოსწორებას. ცოტა ვესაუბრე ზრდილობისა და სიწმიდის თემაზე. ამ დროს მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა, მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი, - როგორმე შემეწყვეტინებინა

სიგარეტის წევა ეკლესიაში. მან მომისმინა და კიდევ ერთი „სიბრძნე“ გადმოაფრქვია, - „მე სიგარეტი ცოლ-შვილს მირჩევნიაო“, - თან მომიახლოვდა და ეკლესიიდან გაგდება დამიპირა. მე წინააღმდეგობა გავუწიე. ოთხივე გარს შემომეხვია, ორმა ხელები დამიკავა, მესამე ქვემოდან ჩამაფრინდა ანაფორაში და ცდილობდა ჩემს წაქცევას, მეოთხ შორი-ახლოს იდგა. როგორც იქნა, დავუსხლტი ხელიდან და გავექეცი. ანაფორა დამეხა. რამდენიმე მეტრის მოშორებით ეკლესიის კუთხეში შევჩერდი. ახლა ოთხივე წამოვიდა ჩემსკენ. პაპიროსის მწეველმა ჯიბიდან დანა ამოიღო. „გადი, თორემ მოგკლავ!“, - დაიღრიალა მან და დანა მომიღერა. ძარღვებში სისხლი გამეყინა. „ღმერთო ჩემო, რა ხდება?! - გავიფიქრე გულში, - ნუთუ ხორცშესხმულ სატანასთან მაქვს საქმე?! სიკვდილი?! მერე რისთვის, ვისთვის?!..

უცებ გონს მოვედი. უფლის შეწევნით დანასაც გავუსხლტი. ამაზე მთლად გაცოფდა. „თოფს მოვიტანო“, - დამემუქრა და ეკლესიიდან გავიდა. სამივე მას გაჰყვა. წამით შემობრუნდა, დაავლო ხელი ჩემს ჩანთას და გარეთ გაისროლა. ჩანთაში წმიდა მირონი, საზიარებელი ღვინო, საცეცხლური, სეფისკვერები, ხატები და საეკლესიო წიგნები მქონდა.

კარი მოჯახუნდა. გარედან ბოქლომი დაადეს. ოთხივემ დამიწყო უშვერი სიტყვებით გინება. მაგინებდნენ და მემუქრებოდნენ. გაოგნებული ვიდექი 15-20 წუთის განმავლობაში. ბოქლომმა ისევ გაიჩხაკუნა. კარი გაიღო, ჩემი ჩანთა და დამტვრეული ნივთები შემომიყარეს. კარი ისევ ბოქლომით ჩამიკეტეს და წავიდნენ. ეკლესიაში მოვნახე ფიცარი და კარს ურდულივით გავუკეთე, ე. ი. შიგნიდან ჩავკეტე. აკანკალებული ხელით პირჯვარი გამოვისახე. დავჯექი, ცოტა სული მოვითქვი იმ სიბნელეში როგორც შემეძლო, მივალაგე იქაურობა. თავი მოვუყარე ჩემს დამტვრეულ ნივთებს, დავიწყე ლოცვა.

დაახლოებით 5 საათზე ვიღაცამ კარის გაღება სცადა. ბოქლომი კი გახსნა, მაგრამ ჩემს ურდულს ვერაფერი მოუხერხა. დაიწყო კარზე ბრახუნი და გინება. ვიცანი, ისინი იყვნენ, ოღონდ ამჯერად სამნი მოსულიყვნენ. უშვერი სიტყვებით მაგინებდნენ, ისევ მემუქრებოდნენ. კარი რა თქმა უნდა, არ გავაღე. გინებით და ყვირილით რომ დაიღალნენ, თავი დამანებეს. თხუთმეტ-ოც წუთში ზუსტად იგივე განმეორდა. ხმა არ გამიცია, წავიდნენ.

გათენდა. პირველის ნახევრამდე ჩემი საყვარელი ეკლესია საპყრობილის მაგივრობას მიწევდა. მციოდა, მწყუროდა, მშიოდა და მიჭირდა გაძლება. პირველის ნახევარზე რაღაც ხმები შემომესმა, ავტეხე ყვირილი, შველას ვითხოვდი. კართან მოვიდა ვინმე სამხედრო,

როგორც თვითონ მითხრა, ავიაციის მაიორი, რომელიც ცოლ-შვილთან ერთად ამოსულიყო შიომღვიმის მონასტერში. შველა ვთხოვე. კეთილშობილი ადამიანი აღმოჩნდა. მკითხა, თუ რით შემეძლო დახმარება. შევევედრე, თბილისში ჩასულიყო და საპატრიარქოში ეამბნა ყველაფერი. ოფიცერი საკუთარი მანქანით გზას გაუდგა, ცოლ-შვილი კი აქ დატოვა. ნახევარ საათში ისევ მომესმა ხმაური. ისევ მოვუხმე საშველად. კართად მოვიდა მამაკაცი, როგორც შემდეგ გამოირკვა, დემურ ბობოხიძე. მანაც აღმითქვა დახმარება. ვთხოვე, მცხეთაში ჩასულიყო, სვეტიცხოვლის მოძღვრები ენახა და ამბავი ჩაეტანა. დემურიც საკუთარი მანქანით იყო. ის გზას გაუდგა.

მალე საპატრიარქოს მძღოლი ფარნაოზ მონასელიძეც მოვიდა, რომელმაც წინა დღეს მონასტერში ამომიყვანა. მან ბევრი იწვალა, მაგრამ კარი ვერ გააღო.

როგორც შემდეგ გაირკვა, დემურ ბობოხიძე მცხეთაში ჩასვლის შემდეგ, მცხეთის მუზეუმის დირექტორთან, ვალერიან მამუკელაშვილთან მიუგზავნიათ. დემურს მისთვის ყველაფერი უამბნია. მამუკელაშვილს აუღია ფურცელი, ავტოკალამი და შიომღვიმის დარაჯის სახელზე მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი წერილი დაუწერია: „აწი კმარა და გაუშვი“. აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული!

მამუკელაშვილს ამ წერილთან ერთად დემურისთვის მიუცია იმ ბოქლომის გასაღებიც, რომლითაც მე ვიყავი დამწყვდეული. დემური ჩავიდა ძეგვში, იქ მონახა დარაჯი და წამოიყვანა ჩემთან.

მე კარი გამიღეს. მონასტრის ეზოში უკვე მრავლად მოეყარა ხალხს თავი, ყველას აინტერესებდა ეკლესიაში ჩაკეტილი მღვდლის ნახვა. როგორც იტყვიან, ფაქტი ჯიუტია.

ვინ იყვნენ ეს წარმართები, რომლებიც შიომღვიმის მონასტრის დარაჯებად ასაღებდნენ თავს?! საქმე იმაშია, რომ მათ მონასტრის მოსამსახურეების არაფერი ეტყობოდათ. შიომღვიმის მონასტერში მისვლისთანავე თვალში გეცემათ უსუფთაობა, ქაოსი, ეკლესიის ეზოში უზარმაზარი ნასუქი ღორები არხეინად გრძნობენ თავს, აჭუჭყიანებენ იქაურობას. ამ ვაიდარაჯებმა შიომღვიმის წმიდა სავანე შემოსავლისა და ფულის წყაროდ გადააქციეს, უშვებენ ისეთ გარყვნილებასა და ზნედაცემულობას, როგორიც არის მეძავი ქალ-ვაჟის მიღება მონასტრის საცხოვრებელ ოთახებში გარკვეული თანხის ფასად.

ვის მიერ დამზადებულ სანთელს ყიდიან ეკლესიაში, რა უფლებით?! ვისი ჯიბე სქელდება ამ უკანონო წარმოებითა და ვაჭრობით?! - ეს საკითხები გამოძიებას საჭიროებენ.

გასარკვევია ისიც, რა ინტერესები ამოძრავებდა მამუკელაშვილს. როგორც წერილის ტექსტიდან ირკვევა, ის ყოფილა მთელი ამ სამარცხვინო „ოპერაციის“ სულის ჩამდგმელი. შეეფერება კი სამეცნიერო დაწესებულების დირექტორს, რომელიც განათლებული და კულტურული ადამიანი უნდა იყოს, თავისი გულგრილობითა და შეუწყნარებლობით ნება დართოს თავის თანამშრომლებს ერთი დღე-ღამე დაამწყვდიონ უდანაშაულო კაცი /ისიც სად, წმიდა სავანეში?/... ეს ოცდაოთხი საათი დაუვიწყარია ჩემთვის: მე თვალებში შევხედე სიკვდილს, მივიღე უდიდესი მორალური და ფსიქოლოგიური ტრავმა. ამაზე მეტყველებს ჩემი დახეული ანაფორა, ჩემი დაფლეთილი წიგნები და დამტვრეული საეკლესიო ნივთები; ამას დაადასტურებენ ამ ამბის მომსწრე ადამიანები... ჩემი მხრივ, მე ყველაფერი გავაკეთე, რათა მათთან უსიამოვნება და კონფლიქტი ამეცდინა. რა თემაზე არ ველაპარაკე, - ხან სამშობლო ვუხსენე, ხან ეკლესია, არც ზრდილობასა და ადამიანებს შორის დამოკიდებულების ეთიკურ ნორმებზე დამვიწყებია საუბარი, მაგრამ ამაოდ, ამ ვაიქართველებში არაფერი აღმოჩნდა წმიდა...“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.464 ფურც.3-7).

ჩვენ მიზანმიმართულად ვრცლად წარმოვადგინეთ არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) წერილი, მხოლოდ მცირედი შემოკლებით, რათა ნათლად წარმოჩინდეს, თუ რა ურთულესი გამოწვევების წინაშე იმყოფებოდნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია და მისი მსახურნი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში... შიომღვიმის სამონასტრო კომპლექსი ოფიციალურად ითვლებოდა N18 პროფტექსასწავლებლის საბაზო დაწესებულებად.

ხელისუფლება კიდევ უფრო მეტად ართულებდა ვითარებას შიომღვიმის მონასტერთან მიმართებაში და ყოველმხრივ ხელს უშლიდა აღნიშნულ მონასტერში ღმრთისმსახურების აღსრულებას. ამ ფაქტის შესახებ მოგვითხრობს შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტ იოაკიმეს 1982 წლის 17 მაისით დათარიღებული წერილი სკკპ ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, ედუარდ შევარდნაძის სახელზე. წერილის ასლი ასევე გაეგზავნა სსრკ მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, გივი მაისურაძეს. არქიმანდრიტი იოაკიმე წერს: „შიომღვიმის

მონასტრის წართმევა საქართველოს საპატრიარქოსათვის არის უხეში დარღვევა სსრკ კონსტიტუციისა და საკულტო კანონმდებლობისა, კერძოდ საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 16 მარტის ბრძანებულებით დამტკიცებულები დებულებისა საქართველოს სსრ-ში რელიგიურ გაერთიანებათა მოქმედების შესახებ (N 558-IX).

ამ დებულების 32-ე მუხლი გვამცნობს: „მორწმუნეთა სარგებლობაში მყოფი საკულტო შენობის გადაცემა სხვა დანიშნულებისათვის (სამლოცველო შენობის დახურვა) დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ სსრკ მინისტრთა საბჭოს წარდგინებით...

შიომღვიმის მონასტრის გაუქმების შესახებ კი, არ არსებობს გადაწყვეტილება სსრკ მინისტრთა საბჭოს რელიგიის საქმეთა საბჭოსი. ზემოთხსენებულ შემთხვევაში, როგორც აღვნიშნე, უხეშად დარღვეულია როგორც სსრ კავშირის კონსტიტუცია, ასევე ქვეყანაში მოქმედი საკულტო ნაგებობა, ვინაიდან მონასტრის გაუქმებას არავინ დასწრებია და არც წერილობითი საბუთით უცნობებიათ ეს ამბავი ამ რელიგიური გაერთიანების წარომადგენელთათვის, კერძოდ, ამ მონასტრის წინამძღვრისათვის.

მოვითხოვ კანონიერების აღდგენას და შიომღვიმის მონასტრის კვლავ დაბრუნებას საქართველოს საპატრიარქოსათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მე მივმართავ საკავშირო ინსტანციებს და ფართო საზოგადოებას“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.N464. ფურც.1-2).

1921 წლის 15 აპრილის რევკომის დადგენილებით, საქართველოს ეკლესიას ჩამოერთვა იურიდიული პირის სტატუსი. აქედან მოყოლებული 1990 წლამდე ყველა ეკლესია-მონასტერი ითვლებოდა სახელმწიფო საკუთრებად და მათზე პასუხისმგებელი იყო ძეგლთა დაცვის საზოგადოება.

საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა იმდენად უუფლებო იყო საბჭოეთის პირობებში, რომ ეკლესიის იერარქიას არ გააჩნდა უფლება მოეწვია უცხოელი სტუმარი რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთა შეთანხმების გარეშე, რომელიც თავის მხრივ, გადაწყვეტდა, ნება დაერთო თუ არა ეკლესიისთვის კონკრეტული სტუმრის ვიზიტისთვის. ასევე, რწმუნებულის ნებართვის გარეშე დაუშვებელი იყო მღვდელმთავრის თუ სხვა სასულიერო პირების ხელდასხმა. აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოვადგენთ ერთ საარქივო დოკუმენტს (წერილს), რომელსაც მარგვეთის ეპისკოპოსი ქრისტეფორე (წამალაიძე) უგზავნის რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, გივი მაისურაძეს და სთხოვს

მას, რომ უცხოელი სტუმრის მოწვევის ნება დართოს. „1983 წლის 25-30 სექტემბერს ვიმყოფებოდი სასომხეთში მიწვეული, ეჩმიაძინში წმინდა მირონის ხარშვის ცერემონიალზე და ვაზგენ პირველის დაბადების 75 წლისთავთან დაკავშირებულ იუბილეზე. აქ გავიცანი სტუმრად ჩამოსული ვენის უნივერსიტეტის კათოლიკური თეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, აღმოსავლეთის ეკლესიათა ისტორიის პროფესორი ქრისტეფორე სუტნერი.

მან სურვილი გამოთქვა, დაათვალიეროს საქართველო და მთხოვა, მოწვევის შემთხვევაში მისთვის სასურველია მოწვეულ იქნეს 1984 წლის 16-დან 30 აპრილამდე (აღდგომაზე). წინააღმდეგ შემთხვევაში, 1984 წლის აგვისტოს თვეში.

გთხოვთ, დაგვრთოთ ნება მის მოწვევაზე საქართველოს საპატრიარქოში (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.493, ფურც. 21)“, - წერს ეპისკოპოსი ქრისტეფორე თავის წერილში, რომელიც დათარიღებულია 1983 წლის 29 ნოემბრით.

აღნიშნული წერილის მეორე გვერდს აქვს შემდეგი წარწერები: „7/ XII - 83 წ. რატი „ივანოვიჩმა“ /ტატიშვილი/ თქვა, რომ შეიძლება მოწვევა. 8/XII მე გადავეცი ქრისტეფორეს, რომ შეიძლება მოწვევა“; „7/III – 84 წ. რ. ი. ესაუბრა ქრისტეფორეს და თქვა, რომ აღდგომისათვის შეიძლება სტუმრის მიღება“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.493, ფურც.21ა).

უცხოეთიდან სტუმრის მოწვევის ელემენტარული საკითხის გადაჭრა თუ დამოუკიდებლად არ შეეძლო ეკლესიას და ამისათვის საგანგებო შეთანხმება გახლდათ საჭირო და სავალდებულო ხელისუფლებასთან, მაშინ რთული წარმოსადგენი არაა, სხვა მხრივ, რა უუფლებო იქნებოდა ეკლესიის მდგომარეობა.

რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული ფაქტობრივად ითხოვდა სრულ კონტროლს საეკლესიო პირთა საქმიანობის თითოეულ არეალზე და საფუძვლად მიიჩნევდა იმჟამად საბჭოთა კავშირში არსებულ კანონმდებლობას რელიგიურ გაერთიანებათა შესახებ, რომლის მიხედვით, სასულიერო პირებს, მხოლოდ და მხოლოდ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მეშვეობით გააჩნდათ უფლება, კონტაქტი ჰქონოდათ საერო ხელისუფლებასთან.

1986 წლის 21 ნოემბერს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სსრ რესპუბლიკაში, ანზორ წიკლაურმა წერილი მისწერა უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. წერილში რწმუნებული წერდა: „ჩვენს

ხელთ არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია, თქვენი ყურადღება მივაპყროთ რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებზე... მხედველობაში გვაქვს შემთხვევები, როცა სასულიერო პირები და საპატრიარქოს თანამშრომლები რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით, წერილობით თუ სიტყვიერად მიმართავენ რესპუბლიკის ხელმძღვანელ, საზოგადოებრივ თუ სამეურნეო ინსტანციებს მიღება“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1. ს.552, ფურც.2).

რელიგიის საქმეთა რწმუნებული ცდილობდა, რომ პირდაპირ ჩარეულიყო ისეთ უმნიშვნელო და წვრილმან საქმეებში, როგორიცაა კონკრეტულ ტაძრებში მესანთლეების, დამლაგებლებისა და სხვა მოსამსახურეების დანიშვნა, სასულიერო პირებს ტენდეციურად ადანაშაულებდა ანგარებაში... ყურადღებას ამახვილებდა ტაძრებისათვის, მორწმუნე მრევლის მხრიდან გაკეთებული სხვადასხვა სახის შეწირულობის კონტროლზე. აგრეთვე, რწმუნებულის აპარატი მკაცრად აკრიტიკებდა სასულიერო პირთა თავისუფალ გადაადგილებასა და ღვთისმსახურების აღსრულებას ე.წ. არარეგისტრირებულ ტაძრებში.

რელიგიის საქმეთა რწმუნებული, თავის ზემოთაღნიშნულ წერილში, პირდაპირ მოთხოვნებს უყენებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს:„ბოლო ხანებში შეინიშნება ისეთი ფაქტები, როცა არარეგისტრირებულ და არამოქმედ ეკლესიებში სახალხო და სასულიერო დღესასწაულებზე იგზავნებიან მღვდელმსახურები და რიგითი მღვდლები, იქ რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების მიზნით, რაც ცხადია, უანგაროდ არ ხდება. არის აგრეთვე შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ეკლესიაში ვაწყდებით კულტის მსახურებს, რომელთაც მიღებული წესისამებრ არა აქვთ აპარატის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ცნობა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის აპარატს საჭიროდ მიაჩნია, რათა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქომ აღნიშნულ დარღვევათა უახლოეს ვადებში აღმოსაფხვრელად გაატაროს შემდეგი სახის ღონისძიებანი:

1. აეკრძალოთ ეკლესიათა მღვდელმსახურებსა და საპატრიარქოს თანამშრომლებს, უშუალოდ მიმართონ რესპუბლიკისა თუ საკავშირო ინსტანციებს და აწარმოონ მათთან მიმოწერა რწმუნებულის აპარატის გვერდის ავლით.

2. შეიზღუდოს მღვდლების სხვადასხვა ეკლესიებში გადაყვან-გადმოყვანა, თუ ეს განსაკუთრებული აუცილებლობით არ იქნება გათვალისწინებული. კულტის მსახურთა სამუშაო ადგილის შეცვლას საფუძვლად დაედოს, როგორც ეს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული, რელიგიური საზოგადოების მიერ ოფიციალურად აღძრული მოთხოვნა ამა თუ იმ კულტის მსახურზე.

3. მკაცრად აეკრძალოს ყველა რიგით მღვდელმსახურს, თუ ეკლესიის წინამძღვარს, რელიგიური საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასა და საორგანიზაციო საკითხებში ჩარევა და მათი საეკლესიო მოღვაწეობა შემოიფარგლოს იმ რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების შესრულებით, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კანონმდებლობით.

4. მოგვარდეს საეკლესიო პირებზე და რელიგიურ საზოგადოებებზე სესხად გაცემული თანხის უმოკლეს ვადებში საპატრიარქოსათვის დაბრუნების საკითხი.

5. გადაისინჯოს ეპისკოპოს ამბროსისათვის (ქათამაძე), მოწამეთას დავითისა და კონსტანტინეს ეკლესიიდან ყოველთვიურად ფულის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხი.

6. მკაცრად იქნან გაფრთხილებული ყველა მღვდელმთავრები და სხვა კულტის მსახურნი, რათა შეწყდეს არამოქმედ და არარეგისტრირებულ ეკლესიებში სახალხო თუ საეკლესიო დღესასწაულებში მათი მონაწილეობის პრაქტიკა.

7. დაევალოს ყველა ეპარქიის მმართველს, არ დაუშვას ეკლესიაში არცერთი მღვდელმსახური, რომელსაც არ ექნება რწმუნებულის აპარატის მიერ გაცემული სარეგისტრაციო ცნობა.

8. დაევალოს მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორს, მეტი ყურადღება დაუთმოს რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის სწავლებას სემინარიის მსმენელთა შორის (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1. ს.552, ფურც. 4-5).“

წარმოდგენილი მოთხოვნები და წერილის სამეტყველო ტონი პირდაპირ და დაუფარავად მიუთითებს, რომ ხელისუფლება კვლავ განაგრძობდა ეკლესიის წინააღმდეგ აღებულ თავის ჩვეულ კურსს, რათა სრული კონტროლი დაემყარებინა ეკლესიასა და იქ მიმდინარე პროცესებზე. თავის მხრივ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და წმიდა სინოდის წევრები ყოველ მხრივ ცდილობდნენ, რომ გონივრულად შუალედური პასუხებითა

და გადაწყვეტილებებით ხელისუფლებასთან და ამ შემთხვევაში რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან მიმართებაში გადაედგათ იმგვარი ნაბიჯები, რომელიც რეალურად იქნებოდა შედარებით დადებითი შედეგის მომტანი იმჟამინდელ პირობებში მყოფი ეკლესიისთვის.

სწორედ ამგვარი მოსაზრებებით რწმუნებულის ზემოთ წარმოდგენილ წერილზე საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიიდან გაიგზავნა საპასუხო წერილები.

1986 წლის 1 დეკემბერს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილი მისწერა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, ანზორ წიკლაურს. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა წერდა: „ღრმად პატივცემულო ანზორ ნიკოლოზის ძევ, 1986 წლის 21 ნოემბრით დათარიღებული თქვენი წერილის (N200) პასუხად გაცნობებთ, რომ საპატრიარქოში იყვნენ გამოძახებულნი წმიდა სინოდის წევრები. განვიხილეთ თქვენი წერილი. მღვდელმთავრებს მიეთითათ იმ ნაკლოვანებებზე, რომელსაც ადგილი აქვს მათ მუშაობაში. დაევალათ გააფრთხილონ სამღვდელოება, რომ შემდეგში არ განმეორდეს რელიგიური კულტების შესახებ საბჭოთა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები. ასევე, სათანადო მითითებები მიეცათ საქართველოს საპატრიარქოს თანამშრომლებს“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1. ს.552, ფურც.1).

1986 წლის 24 დეკემბერს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, ანზორ წიკლაურს, წერილი აგრეთვე გაუგზავნა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრმა, ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსმა ანანიამ (ჯაფარიძე): „ღრმად პატივცემულო ბატონო ანზორ, თქვენი 21 ნოემბრის მიმართვა საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქისადმი არის დიდმნიშვნელოვანი, უაღრესად საჭირო და დროული დოკუმენტი, რომელმაც, თუ ის გონივრულად იქნება გამოყენებული, ზღვარი უნდა დაუდოს აღნიშნული დარღვევების კვლავ გაგრძელებას.

მიმართვის ასლი მივიღე საპატრიარქოდან და ვფიქრობ, მასში ჩამოთვლილი ღონისძიებების გატარება მართლაც და რომ „განამტკიცებს ქართული ეკლესიის შინაგან ერთობას“, როგორც იქაა აღნიშნული. დოკუმენტი დიდად სასარგებლოცაა ეკლესიისთვის და მისასლმებელი უნდა იყოს ყველა ღვთისმსახურისათვის, ამიტომაც ნება მიბოძეთ, გამოვთქვა

ჩემი კმაყოფილება და მადლიერება. ღმერთმა ინებოს თქვენი მრავალჟამიერი დღეგრძელობა! მრავალ ახალ წელს დაესწარით!“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1. ს.552, ფურც 6).

ცხადია, წარმოდგენილი წერილები არ ასახავს საქართველოს ეკლესიის მაღალიერარქიის რეალურ დამოკიდებულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი და კერძოდ, რელიგიის საბჭოთა რწმუნებულის აპარატთან მიმართებაში, არამედ წერილების ამგვარი პათოსი ნაკარნახევი იყო ეკლესიის იმჟამინდელი მეტად უუფლებო, უსუსური და ღონემიხდილი მდგომარეობით. გასაბჭოებისთანავე კომუნისტური მმართველობა ეკლესიის საწინააღმდეგო ქმედებებს აქტიურად აწარმოებდა, რამაც, ბუნებრივია, ეკლესიის იერარქიას წლების განმავლობაში გამოაცალა ძალა ათეისტური მთავრობის საწინააღმდეგოდ. საჭირო იყო ძალების მოკრება და სწორედ ამ მიზნით, ხსენებულ ეტაპზე, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება და წარმოება, რომლის მიხედვით, ეკლესია შიგნიდან უნდა გაძლიერებულიყო და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა გარე მტრული ძალებისადმი წინააღმდეგობის გაწევა. სხვაგვარი ხისტი მოქმედება, ისევ ეკლესიას დააზიანებდა და მის ისედაც ნეგატიურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებდა. ხელისუფლების წარმომადგენლებს, არ უნდა მისცემოდათ არავითარი საბაბი, რომ კიდევ უფრო გაეძლიერებინათ ეკლესიის წინააღმდეგ შეტევა. შესაბამისად, დიპლომატიური ქმედებები ეკლესიის მაღალიერარქიის მხრიდან იყო ერთადერთი გონივრული გამოსავალი. სწორედ, ამ მიზნით დაიწერა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის მიმართ ეს ორი წერილი , რომელიც ჩვენ მიერ იქნა წარმოდგენილი.

ხშირი იყო პროვოკაციული თავდასხმები ეკლესია-მონასტრებზე. ერთ-ერთი ასეთი თავდასხმა მოხდა 1986 წლის 24 დეკემბერს, როდესაც ღამის ორ საათზე, ალავერდის საკათედრო ტაძრის ოცეულის თავმჯდომარემ სამ კაციანი ჯგუფი თავზე დააყენა ამავე ტაძრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი), რომელსაც მოსთხოვეს თანხა ორი ათასი მანეთის რაოდენობით. ტაძრის დარაჯებმა გამოიჩინეს სათანადო გულისხმიერება და თავდამსხმელები დროულად დააკავეს.

აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეებს ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ. ალავერდის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა, როგორც მართლმადიდებელმა ღმრთისმსახურმა, გამოიჩინა სულგრძელება და მიმტევებლობა და დაკავებულთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება მოითხოვა. საქმის პროკურორმა უარი

განაცხადა იმ მოტივით, რომ ეს მათთვის პირველი შემთხვევა არ ყოფილა, არამედ მესამედ დასხმიან თავს ალავერდის მონასტერს, რასაც ადასტურებდა ადგილობრივი ხელისუფლება, თუმცა წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოაკიმეს დაჟინებული თხოვნით, ისინი მაინც გაათავისუფლეს. ხალხის მოთხოვნის საფუძველზე კი ოცეულის თავმჯდომარე გათავისუფლდა ალავერდის მონასტრიდან.

ეკლესიასა და მის მსახურებს თითქოს, ხელისუფლებისგან ზეწოლა აკლდათ, სამწუხაროდ რიგითი მოქალაქეები და თვით ტაძრის ოცეულის თავმჯდომარეც კი ხელმძღვანელობდა თავდასხმას ტაძრის წინამძღვარზე. პრობლემებს პრობლემები, გამოწვევებს გამოწვევები ემატებოდა...

მას შემდეგ, რაც საქართველოს ოკუპაცია განხორციელდა, საეკლესიო განძეულობა, უძველესი და ისტორიული ხატები, ჯვრები, სახარებები და საეკლესიო დანიშნულების სხვა ძვირფასი ნივთები, აგრეთვე წმიდა ნაწილები გამოტანილი იქნა ტაძრებიდან და მონასტრებიდან. სამწუხაროდ, ათეისტებმა ბევრი ისტორიული სიწმიდე გაანადგურეს. არაერთი შემთხვევა იყო, როდესაც ცეცხლში დაწვეს ხატები, ჯვრები, წმიდა ნაწილები... სამწუხაროდ, იმჟამად, ადამიანთაგან არავის შეეძლო მათი შეჩერება. ანტირელიგიური კამპანიის პირობებში, არაერთი სიძველე განადგურდა. თუმცა, რაც ბოლშევიკთა მსახვრალ და შემმუსვრელ ხელს გადაურჩა სიწმიდეები და საუკუნეებგამოვლილი საეკლესიო დანიშნულების ნივთები ხელისუფლებამ გადაიტანა მუზეუმებსა და საცავებში. რასაკვირველია, თავდაპირველად და შემდგომ, საბჭოეთის არსებობის ათწლეულთა მანძილზე, არავითარი შესაძლებლობა არსებობდა ეკლესიას დაბრუნებოდა თავისი კუთვნილი სიწმიდეები და ქონება. მხოლოდ 1987 წელს უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილობითი თხოვნით მიმართა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ანზორ წიკლაურს. წერილში, რომელიც დათარიღებულია 1987 წლის 16 ივნისით, ვკითხულობთ: „მოგეხსენებათ, რევოლუციის შემდგომ წლებში ტაძრებიდან წაღებულ იქნა მრავალი საეკლესიო ნივთი: ხატები, ჯვრები, გარდამოხსნები, საცეცხლურები, სამღვდელო შესამოსელი, ბარძიმ-ფეშხუმი... რომელნიც ამჟამად მუზეუმებშია დაცული, მაგრამ მრავალი მათგანი არ

წარმოადგენს ისტორიულ და სამუზეუმო ღირებულებას, ამიტომაც წლების მანძილზე ისინი საწყობებში ინახება. ამავე დროს ეკლესიებში გვაკლია ამგვარი საეკლესიო ნივთები.

გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმისა და საქართველოს ისტორიული მუზეუმის დირექციების წინაშე, რათა მათთვის გამოუყენებელი საეკლესიო ნივთები გადმოსცენ საქართველოს საპატრიარქოს“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1. ს.572, ფურც. 6).

ჩვენი აზრით, წარმოდგენილ წერილში კათოლიკოს-პატრიარქი, ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად მიუთითებს, რომ საეკლესიო ქონებიდან მრავალი ექსპონატი არ წარმოადგენს ისტორიულ და სამუზეუმო ღირსებულებას. იქნებ, ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ამ მოსაზრებას შეძლებისდაგვარად გაემარტივებინა და მთავრობას შედარებით იოლად დაეთმო მიტაცებული საეკლესიო სიწმიდენი, რომლებიც რეალურად ნამდვილად გახლდათ ისტორიული ღირებულებისა. თუმცა, უკეთუ კათოლიკოს-პატრიარქი გაამახვილებდა ყურადღებას, ხსენებულ სიწმიდეთა დიდ ისტორიულ მნიშვნელობაზე, მაშინ შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურები თუ სხვა დაწესებულებები, ნამდვილად არ დათმობდნენ მოთხოვნილ საგანძურს.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 1987 წლის 16 ივნისით დათარიღებული წერილის მიმართვის საფუძველზე, ამავე წლის 22 ივნისს, რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა, ა. წიკლაურმა სათანადო შუამდგომლობით მიმართა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრს, ვალერი ასათიანს. წერილში აღნიშნულია: „როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვატყობინებს, საქართველოს ისტორიის მუზეუმში ინახება რევოლუციის შემდგომ წლებში ტაძრებიდან გატანილი სხვადასხვა საეკლესიო ნივთები... მრავალი მათგანი არ წარმოადგენს ისტორიულ და სამუზეუმო ღირებულებას, ამიტომ ისინი წლების მანძილზე საწყობებში ინახება.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მოგვმართა თხოვნით, ვიშუამდგომლოთ თქვენს წინაშე, რათა მუზეუმისათვის გამოუყენებელი ზემოდხსენებული საეკლესიო ნივთები გადაეცეს საქართველოს საპატრიარქოს.

გთხოვთ თქვენს მითითებას საქართველოს ისტორიის მუზეუმის ხელმძღვანელობისადმი, თუ მათთან ინახება მუზეუმისათვის გამოუყენებელი საეკლესიო ნივთები, გადასცენ ისინი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.572, ფურც 5).

თავის მხრივ, 1987 წლის 13 აგვისტოს, კულტურის სამინისტრომ აცნობა რწმუნებულ ანზორ წიკლაურს, რომ მისი თხოვნის შესახებ ეცნობა საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს და საკითხი შესწავლის პროცესში იყო. საქართველოს კულტურის სამინისტრო იუწყებოდა, რომ საქართველოს ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი ეკუთვნოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემას. აქედან გამომდინარე, წამოჭრილ საკითხზე უპრიანი და მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს მიემართა სწორედ მეცნიერებათა აკადემიისათვის. კულტურის სამინისტროდან გამოგზავნილ წერილს ხელს აწერს მინისტრის მოადგილე დ. ლომთაძე.

კულტურის სამინისტროს რეკომენდაციის გათვალისწინებით, 1987 წლის 17 აგვისტოს რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა წერილი გაუგზავნა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს ა. თავხელიძეს. წერილი იდენტური ტექსტისა და შინაარსის გახლავთ, რაც 1987 წლის 22 ივნისს გაეგზავნა რწმუნებულის მიერ კულტურის მინისტრს.

მეცნიერებათა აკადემიამ მიმართა აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, რომლის დირექტორმა, პროფესორმა ლ. ჭილაშვილმა, 1987 წლის 24 აგვისტოს, წერილი მისწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანს, აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს. სამწუხაროდ, აღძრულ თხოვნას, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა უარით უპასუხა: „მუზეუმები საერთოდ შემგროვებლობით მუშაობას ეწევიან არა მხოლოდ ექსპოზიციის მოსაწყობად. ექსპოზიციაში ამ მასალების მხოლოდ 10-12 % გამოიფინება. დანარჩენი ინახება საწყობებში კი არა - ფონდსაცავებში... ამ მასალაზე მეცნიერულ მუშაობას ეწევიან არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის და უცხოეთის უამრავ დაწესებულებათა მეცნიერები, დაინტერესებულნი სხვადასხვა საკითხებით... ჩვენს ფონდებში დაცული მასალები ასახავს ხალხის ცხოვრების ყველა მხარეს, მათ შორის საეკლესიო მსახურებასაც. ამდენად, მუზეუმში არ არსებობს გამოუყენებელი ექსპონატები.

ზემოთხსენებულის გამო, მუზეუმს არ მიაჩნია მიზანშეწონილად აღნიშნული მასალების გადაცემა“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.572, ფურც. 2).

ხსენებული წერილის შინაარსი ცხადყოფს, რომ საბჭოეთმა თავისი არსებობის ათწლეულთა მანძილზე აღზარდა ათეისტურად მოაზროვნე მეცნიერები, რომლებიც, სამწუხაროდ, არავითარ შემხებლობაში იმყოფებოდნენ სარწმუნეობრივ აზროვნებასთან და ვერანაირად აღიქვამდნენ ხატებს, ჯვრებსა და სხვა საეკლესიო დანიშნულების ნივთებს, როგორც საკრალურსა და სიწმიდეს, არამედ ცალსახად განიხილავდნენ მათ, როგორც სამუზეუმო ექსპონატებს ისევე, როგორც ტაძრები და მონასტრები, ათეისტურად მოაზროვნე მეცნიერთათვის მხოლოდ კულტურულ ძეგლებად აღიქმებოდა და არა, უპირველეს ყოვლისა, ღმერთის სახლებად. ესეც ერთ-ერთი მწვავე გამოძახილია იმისა, თუ კომუნისტურმა მმართველობამ, როგორ შეიტანა და განავითარა ღმერთისა და ეკლესიის საწინააღმდეგო აზროვნება ადამიანთა ცნობიერებაში. რასაკვირველია, მეტად რთული იყო საუბარი და ახსნა ამგვარი მიდგომების მეცნიერებთან, რაც დადასტურდა კიდევაც სამწუხარო უარყოფითი პასუხით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის 1987 წლის 16 ივნისის თხოვნაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, ანზორ წიკლაურს, 1987 წლის 14 სექტემბერს აკადემიკოსმა ანდრია აფაქიძემ წერილობითი სახით აცნობა, რომ „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არ აღმოჩნდა საეკლესიო ნივთები, რომლებიც არ წარმოადგენს ისტორიულ და სამუზეუმო ღირებულებას“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.572. ფურც.1). ამავე წერილზე დატანილია 1987 წლის 22 სექემბრით დათარიღებული ხელით შესრულებული მინაწერი: „გაეცნო კათოლიკოს-პატრიარქს.“

მთელი ამ საქმის წარმოების შინაარსი, წერილობითი მიმართვები თუ გადამისამართებები, რომელიც სამ თვეზე მეტი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა, წარმოაჩენს, თუ რა სახის ჩაკეტილი და ამავდროულად მოუქნელი სისტემა გახლდათ საბჭოთა ბიუროკრატია. აგრეთვე, ხელოვნური გართულებები მიზანმიმართულად წამოიჭრებოდა საქმის გაჭიანურების მიზნით, რაც საბოლოო ჯამში მიზნად ისახავდა ეკლესიის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც მიღებულ იქნა კიდევაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ პასუხი უარყოფითი აღმოჩნდა და ეკლესიისთვის ნამდვილად სამწუხარო იყო, საისტორიო თვალსაზრისით, მთელი ეს საქმე თავისი შინაარსით, ნამდვილად ღირებულია იმ გარემოების გასააზრებლად, რომ საქართველოს ეკლესია ისევ მძიმე და პრობლემატური გამოწვევების წინაშე იდგა, მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულსაც კი.

მოსახლეობის მხრიდანაც არაჯეროვანი დამოკიდებულება ეკლესიისადმი ხშირად იჩენდა თავს, რაც ვლინდებოდა ტაძრებზე თავდასხმასა და გაძარცვაში, ეკლესია-მონასტერთა მიმართ არასანათადო, არასაპატიო მოპყრობაში და ა.შ. ბუნებრივია, ადამიანებს, რომლებიც საბჭოთა ათეისტური პროპაგანდით აღიზარდნენ სკოლასა და ოჯახში, არ გააჩნდათ პატივისცემა და მოწიწება ეკლესიისადმი. ერთ-ერთი ამგვარი ფაქტი დაფიქსირდა ბოდბის მონასტრის გაძარცვისას, რომლის შესახებ უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილი გაუგზავნა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს ანზორ წიკლაურს. წერილში ნათქვამია: „ამ ორი-სამი წლის წინ სიღნაღის რ-ნის ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიიდან უცნობი პირების მიერ წაღებული იქნა ეკლესიის კუთვნილი სამი ხატი: მთავარანგელოზი მიქაელისა და ორი ღვთისმშობლისა. ამჟამად ეს ხატები არის სიღნაღის რ-ნის მილიციაში.

გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რომ ეს ხატები დაუბრუნდეს ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიას“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.N592, ფურც.2).

სამწუხაროდ, ეკლესიას არ გააჩნდა უფლება, რათა მონასტრიდან ნაძარცვი ქონების დაბრუნებისათვის პირდაპირ მიემართა შესაბამისი ძალოვანი სტრუქტურებისთვის, ეს მხოლოდ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის საშუალებით უნდა განხორციელებულიყო. წერილს აქვს რწმუნებულის მინაწერი: „ამხ. რ/ატი/ ტატიშვილს. თუ საჭიროდ მიიჩნევთ ჩაერიეთ და მოაგვარეთ. 22.01.1988“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს. 592, ფურც.2). თავის მხრივ, ეს მინაწერი წარმოაჩენს, რომ რწმუნებული სათანადოდ არ ეკიდებოდა ეკლესიისთვის საჭირბოროტო საკითხებს და მხოლოდ გულგრილი, ფორმალური ქმედებებით შემოიფარგლებოდა.

ეკლესიას დაშორებული და ამგვარად აღზრდილი ადამიანები ტაძრებისა და მონასტრების ეზოებში თუ მათ სიახლოვეს არ ერიდებოდნენ უმსგავსო, უზნეო და ცოდვისმიერ ქმედებებს. უმოქმედო ეკლესია-მონასტრები ღრეობისა და დროს ტარების ადგილებად გადაექციათ

მავანთ. მართალია, მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს, ეტაპობრივად დაიწყო და მიმდინარეობდა ადმინისტრაციული წესით დახურული ტაძრებისა და მონასტრების გადაცემა ეკლესიისთვის და ხსენებული საყდრების გახსნა და ამოქმედება, თუმცა, საწყის ეტაპზე, მოსახლეობა ვერ ითავისებდა ამ გარემოებას და არად დაგიდევდათ, რომ უკვე კონკრეტული ტაძრები მოქმედი იყო და ღმრთისმსახურება აღევლინებოდა. სწორედ, ასეთი არასახარბიელო მდგომარეობდა სუფევდა მარტვილის საკათედრო ტაძარში, რომლის შესახებ გვაუწყებს 1988 წელს, ამავე ტაძრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) წერილი რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულისადმი: „კვირა საღამოს გავეშურე მარტვილში, სამი დღე დავყავი იქ... თქვენ რომ შემპირდით, აღმასკომში დავრეკავო, არავითარი გამოხმაურება არ მოჰყოლია. იქ კვლავინდებურად არავინ იწუხებს თავს. დღის მეორე ნახევრიდან იწყება ათასგვარი უმსგავსოება, იბილწება რწმენა, ეკლესია; მონასტრის წმინდა ტერიტორიაზე თავს იყრიან ლოთები, მრუშები, კარტის მოთამაშენი. ბოდიშს გიხდით ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ნამდვილი „თათრული ბაირამი“ დილამდე გრძელდება - აურზაური და აყალ-მაყალი. ამ უკეთურებას გულგრილად უცქერის ადგილობრივი ხელისუფლება. აღმასკომი ამბობს, რესტორანი დიდ მოგებას იძლევაო, იმას კი აღარ დაგიდევთ, რომ იბილწება და ნადგურდება ეროვნული განძი. თუ საჭირო იქნა, ყოველივე ზემოთქმულს დაადასტურებს ადგილობრივი მოსახლეობა. იქაური საზოგადოება გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისათვის ამზადებს წერილს მარტვილის საკათედრო ტაძრის აბუჩად აგდების შესახებ“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.592, ფურც.6).

ერთი შეხედვით, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის მეტად მარტივი მიზეზი იყო - რესტორანი, რომელიც მთავრობის წარმომადგენლების თქმით, კარგ მოგებას იძლეოდა, თუმცა, რეალური კუთხით, რაოდენ მძიმე იყო ეს ყოველივე ეკლესიისა და კონკრეტული ღმრთისმსახურისთვის, რომელიც ამგვარ, არასაპატიო მდგომარეობაში მყოფ ტაძარში მოღვაწეობდა და უყურებდა ირგვლივ გამეფებულ უმსგავსოებას. ბუნებრივია, იგი ვერ დარჩებოდა გულგრილი, რაც მას დანაშაულადაც კი შეერაცხებოდა. სწორედ, სრულიად სამართლიანი გულისტკივილთაა დაწერილი ზემოთ წარმოდგენილი წერილი რელიგიის საქმეთა რწმუნებულისადმი, რომელმაც თავის მხრივ, რეაგირებისათვის, წერილობითი ფორმით მიმართა გეგეჭკორის (ამჟამად მარტვილი; შენ. ავტ.) დეპუტატთა რაისაბჭოს

აღმასკომის თავმჯდომარეს, შ. ფაილოძეს. რწმუნებული ანზორ წიკლაური წერდა: „...ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აღნიშნული ტაძრის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს რესტორანი, სადაც ხშირად ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევებს და უმსგავსო მოქმედებას, რაც დაუშვებელია, როგორც ეთიკური თვალსაზრისით, ისევე ტაძრის ფუნქციონირების პირობებში. ამავე დროს, ტაძარი არის ისტორიის, კულტურისა და არქიტექტურის ძეგლი და ამიტომაც, მის ტერიტორიაზე რესტორნის არსებობა არ არის გამართლებული.

მიზანშეწონილად და აუცილებლად მიგვაჩნია რესტორნის გაუქმება ან მისი სხვა შესაფერის ადგილზე გადატანა (თუ კი ასეთი აუცილებლობას წარმოადგენს).

გთხოვთ, გაითვალისწინოთ ზემოდაღნიშნული, მიიღოთ გადაწყვეტილება და შედეგი გვაცნობოთ“ (უ. ი. ც. ა. ფ.1880, ა.1, ს.592, ფურც. 7).

ჩვენთვის უცნობია, რწმუნებულის მიერ გაგზავნილ წერილში წამოყენებულ მოთხოვნას რა პასუხი მოჰყვა ადრესატის მხრიდან, თუმცა, ცნობილია, რომ ხსენებული რესტორანი კიდევ რამდენიმე წლის მანძილზე განაგრძობდა ფუნქციონირებას. ცხადია, ოფიციალურ პირებს არავინ დასჯიდა ეკლესიის საწინააღმდეგო ქმედებებისთვის, არამედ პირუკუ, ისინი რეალურად წახალისებულნიც კი იყვნენ ღმრთისმსახურთა და მორწმუნეთა წინააღმდეგ საქმიანობისათვის.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო ადმინისტრაციულად დახურული ტაძრებისა და მონასტრების გადაცემა საქართველოს ეკლესიისთვის. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობდა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული და მისი აპარატი. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც ამ მხრივაც ჭირვეულობას იჩენდა რწმუნებული და მიზანმიმართულად აჭიანურებდა, ან სულაც არ აგვარებდა ზოგიერთი ისტორიული ტაძრის ეკლესიისთვის დაბრუნების საქმეს. ამ შემთხვევაში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი იძულებული ხდებოდა, რომ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის გვერდის ავლით, პირდაპირ მიემართა ხელისუფლების პირველი პირებისათვის. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა საქართველოს ეკლესიისათვის თბილისის მეტეხის ტაძრის დაბრუნების საკითხი. საქმე ჭიანურდებოდა და არ უჩანდა დროის მოკლე მონაკვეთში დასრულების პირი. ამ მიზეზით, 1988 წლის 5 მარტს, უწმიდესმა

და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილით მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ჯუმბერ პატიაშვილს:

„დიდად პატივცემულო ბატონო ჯუმბერ,

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდისა და პირადად ჩემი სახელით გულითად მადლობას მოგახსენებთ ჩვენი ეკლესიისათვის მეტად მნიშვნელოვანი საკითხების დადებითად გადაწყვეტაში საქართველოს მთავრობისა და პირადად თქვენი თანადგომისათვის. თქვენი კეთილი დამოკიდებულება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ კვლავ მოგმართოთ მოკრძალებული თხოვნით.

თბილისის მეტეხის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, საუკუნეების მანძილზე იყო და არის ჩვენი ხალხის სათაყვანებელი ადგილი. ტაძარში დაკრძალული წმიდა დიდმოწამე შუშანიკი; ეს არის ადგილი წმიდა აბო თბილელის წამებისა; ეს არის ის კურთხეული მიწა, სადაც ჯალალ-ედ-დინის შემოსევის დროს, ასი ათასმა ქართველმა თავი დასდო ერისა და სარწმუნოებისათვის.

თვითონ ტაძარიც მოწამეა. მრავალჯერ განადგურებულა იგი მტერთაგან. ოქტომბრის რევოლუციამდე აქ ციხე იყო, დღეს კი ახალგაზრდული თეატრია.

მეტეხის ტაძრის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის დაბრუნების შესახებ, მე რამდენჯერმე მივმართე თხოვნით რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში, ბატონ ანზორ წიკლაურს. მორწმუნეებმაც არაერთხელ მიმართეს რაიონის აღმასკომს, რომ ტაძარი მათთვის გადაეცათ და იქ წირვა-ლოცვა აღმდგარიყო, მაგრამ ჯერჯერობით თხოვნას დადებითი შედეგი არ მოჰყოლია.

გთხოვთ, დიდად პატივცემულო ბატონო ჯუმბერ, დაგვეხმაროთ, რომ მეტეხის ტაძარი მოქმედი გახდეს“ (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა, ფ.14, ა.129, ს.149, გვ.102-103).

წარმოდგენილ წერილზე დატანილია ჯუმბერ პატიაშვილის მიერ ხელით მიწერილი რეზოლუცია: „ამხ. გ. ნ. ენუქიძეს; ამხ. ვ. მ. სირაძეს, გთხოვთ, განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება. ჯ. პატიაშვილი 5.III.1988“ (იქვე).

1988 წლის 27 აპრილს, აღნიშნული წერილის საპასუხოდ, საქართველოს კპ ცკ პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ლექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ტრისტან

ლაბარტყავამ, წერილობითი სახით პასუხი აცნობა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს, გ. ენუქიძეს: „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის /პირველი/ მდივნის, ამხ. ჯ.ი. პატიაშვილის სახელზე გამოგზავნილ წერილში თხოულობდა თბილისის მეტეხის ტაძრის გადაცემის შესახებ. მათ განკარგულებაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 31 მარტის ოქმი N5 დადგენილებით, რეგისტრაციაში გაატარა და გადასცა ქ. თბილისის 26 კომისრების სახელობის რაიონში მდებარე მეტეხის ტაძარი მათ სარგებლობაში.

გთხოვთ, განცხადება ჩამოწეროთ!“ (შსს ა. საქ. კპ ცკ პ/ა. ფ.14, ა.129, ს.149, გვ.101.).

აღნიშნულ წერილზე დატანილია გ. ენუქიძის მიერ შესრულებული წარწერა: „საქმეში. გ. ენუქიძე 28.04.1988“ (იქვე).

საბჭოთა ეპოქა თავის დასასრულს უახლოვდებოდა... ამ მხრივ სასიკეთო ძვრები შეინიშნებოდა ეკლესიისთვის. მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მიწურულს ცხადი იყო, რომ ოფიციალური ხელისუფლება მთლიანად საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებასა და გადარჩენაზე იყო ორიენტირებული და უკვე ეკლესიის წინააღმდეგ აქტიურად სამოქმედოდ აღარ ეცალა, არამედ საჭირო იყო ეკლესიისადმი დამოკიდებულების გადახედვა და ურთიერთობის ნორმალიზება, რაც პირველ რიგში, ახალი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე მყოფ საბჭოთა სახელმწიფოს ესაჭიროებოდა, რადგან ძველებური მიდგომები და ათეისტური კურსი დრომოჭმული გახდა.

ამ თავში განვიხილეთ საბჭოთა ხელისუფლების მიერ შექმნილი მარწუხები საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ, ჩვენს მიერ საკვლევად აღებული პერიოდის განმავლობაში. წარმოდგენილია სხვადასხვა არქივიდან მასალები, რომელთა უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. აღნიშნული მასალებიდან დეტალურად ირკვევა, თუ რა ურთულეს წინააღმდეგობებსა და ბარიერებს აწყდებოდნენ საქართველოს ეკლესია და სასულიერო პირები ოფიციალური ხელისუფლებისგან საეკლესიო ცხოვრებისა და მოქმედების სხვადასხვა მიმართულებით.

თავი IV. გარდამავალი პერიოდი, საბჭოეთის რღვევა და საქართველოს ეკლესია

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ნათლად გამოიკვეთა, რომ საბჭოთა იმპერია ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდიოდა. კომუნისტური მმართველობა თავისი არსებობის უკანასკნელ წლებს ითვლიდა... 1985 წლის 11 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად დაინიშნა მიხეილ გორბაჩოვი. მის მმართველობასთან არის დაკავშირებული ე.წ. პერესტროიკა ანუ გარდაქმნა, რომელიც გულისხმობდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნას, ურთიერთობების ნორმალიზებას დასავლეთის ქვეყნებთან, აგრეთვე სახელმწიფოს შიგნით დემოკრატიული რეფორმების გატარებას, ასევე ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის ურთიერთობის დადებითი კუთხით გადახედვას... დაიწყო ადმინისტრაციულად დახურული ტაძრებისა და მონასტრების მასობრივი დაბრუნება ეკლესიისთვის, მათი გახსნა და ამოქმედება. 1988 წელს გაიხსნა საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავანე, გელათის მონასტერი, რომელიც 1923 წლიდან დახურა სახელმწიფომ და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფილიალად იყო გადაკეთებული. აღდგენის შემდგომ პირველი წირვა აღესრულა 1988 წლის 21 სექტემბერს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის დიდებულ დღესასწაულზე. პირველ წირვას ამგვარად გამოეხმაურა საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტისა და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ბეჭდვითი ორგანო, გაზეთი „ქუთაისი“: „ზედა სვანეთში, სოფელ მაცხვარისის კვირიკეს ტაძარში, რომელიც 1140 წელს არის აშენებული, შესასვლელთან კვირიკე იღუმენს კედელზე წაუწერია: „ვინც ჩემს შემდგომ ამა ეკლესიასა იღუმენი იყოს, კვამლისაგან შეიკრძალოს ხატული, რომე ფერი არ დააკლოს“. ჩვენი ღირსეული წინაპრის, კვირიკე იღუმენის ეს გაფრთხილება გაგვახსენდა, როდესაც გუშინ გელათში, სადღესასწაულო წირვის შემდეგ ანთებული სანთლები ვნახეთ. წინაპრის ხმა აწმყოსა და მომავლის გაფრთხილებად ჩაგვესმა. გელათის უძველეს ფრესკებსა და მისი ღვთისმშობლის მოზაიკას კვამლით საფრთხე არ უნდა დაემუქროს, რათა მათ „ფერი არ დააკლოს“ („ქუთაისი“, N182, 1988:1). რასაკვირველია, კომუნისტურ მთავრობას რეალურად აღელვებდა არა გელათის ფრესკების

მდგომარეობა, არამედ ის, რომ გელათის მონასტერი კვლავ ამოქმედდა და აღარ იყო ოფიციალური ხელისუფლების გამგებლობაში.

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის სასულიერო აკადემიის დაარსება. ცნობილია, 1963 წელს, თუ რა ურთულესი პროცესების გადატანა მოუხდა უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეფრემ მეორეს, რათა მცხეთაში გაეხსნა ორწლიანი სამოძღვრო კურსები, რომელიც ორ წელიწადში სასულიერო სემინარიად გარდაიქმნა. შემდეგ კი თბილისის სასულიერო აკადემია დაარსდა.

„ამა წლის 1 ოქტომბერს საზეიმოდ იხსნება თბილისის სასულიერო აკადემია. გთხოვთ, მობრძანდეთ სიონის საკათედრო ტაძარში 11 საათზე. პატივისცემითა და ლოცვა-კურთხევით, ილია მეორე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 27 სექტემბერი, 1988 წელი“ (კაცაძე, ნაწ. II, 2017:107). ამავე წლის 8 ოქტომბრიდან თბილისის სასულიერო აკადემიაში დაიწყო პირველი ახალი სასწავლო წელი. მცხეთიდან გადმოვიდა სასულიერო სემინარია და ამიერიდან გახდა ერთი სასწავლებელი.

თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიულოცეს მსოფლიოს ადგილობრივ ეკლესიათა მამამთავრებმა: მსოფლიო პატრიარქმა და კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა დიმიტრიოსმა, ალექსანდრიისა და სრულიად აფრიკის პაპმა და პატრიარქმა პართენიოსმა, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქმა დიოდოროსმა, სრულიად რუსეთის პატრიარქმა პიმენმა, სრულიად რუმინეთის პატრიარქმა თეოქტისტემ, სრულიად ბულგარეთის პატრიარქმა მაქსიმემ, სრულიად კვიპროსის მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა, სრულიად ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტმა დოროთემ. აგრეთვე, თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიულოცეს ქართული საზოგადოების ღვაწლმოსილმა წარმომადგენლებმა.

ოფიციალური ხელისუფლება კვლავ არ ღალატობდა თავის ჩვეულ კურსს და ხელოვნურად უქმნიდა პრობლემებს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიას. იმხანად, სასულიერო პირები სახელმწიფოსგან იბეგრებოდნენ მეთვრამეტე მუხლით, ხოლო ხელისუფლებამ აგრეთვე ამ მუხლით ბეგარა დააკისრა თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის იმ პედაგოგებსაც, რომელნიც სასულიერო პირნი გახლდნენ და ლექციებს

კითხულობდნენ ხსენებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში. აღნიშნულთან დაკავშირებით, 1988 წლის 14 ნოემბერს, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს ანზორ წიკლაურს გაუგზავნა წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „...სასულიერო პირნი სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში საერო პირთა მსგავსად კითხულობენ ლექციებს და არ ასრულებენ არავითარ მღვდელმოქმედებას. ამიტომაც, გთხოვთ, გვიშუამდომლოთ ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ ისინი აკადემიაში და სემინარიაში დაიბეგრონ ისევე, როგორც საერო პირნი“ (ს.ს.ს.ა. ახ. აღწ. N7720. გვ.3). თუმცა, საერო ხელისუფლებამ არ შეისმინა კათოლიკოს-პატრიარქის თხოვნა. მაგ: თუ პედაგოგს თბილისის სასულიერო აკადემიაში ხელფასი ჰქონდა 200 მანეთი, ხელზე იღებდა 26 მანეთს.

საქართველოს საპატრიარქოს ისტორიული რეზიდენცია, რომელშიც ჯერ საქართველოს ეგზარქოსები, ხოლო ავტოკეფალიის აღდგენის შემდგომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქები კირიონი, ლეონიდე და ამბროსი მოღვაწეობდნენ, ჯერ კიდევ სახელმწიფოს კუთვნილებაში იყო 1923 წლიდან. ჯერ კიდევ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე თხოვდა ოფიციალურ ხელისუფლებას, რომ საქართველოს ეკლესიისთვის დაებრუნებინათ საპატრიარქო რეზიდენცია. კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემი წერდა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს დ. შალუტაშვილს: „ჯერ კიდევ 1960 წელს ვითხოვდით, საპატრიარქოს დაბრუნებოდა ის შენობა, სადაც დღეს რესპუბლიკის მილიციის სამმართველოა... თუ ეს ვერ მოხერხდება, გთხოვთ, ნება დაგვრთოთ, ვაკის ან საბურთალოს ტერიტორიაზე გამოგვეყოს ადგილი ორსართულიანი საპატრიარქო რეზიდენციისთვის“ (ვარდოსანიძე, 2017:314). მთავრობა არც ძველ რეზიდენციას აბრუნებდა, ხოლო თბილისში ახლის აგებაზე უარს აცხადებდა. შალუტაშვილის განმარტებით, ადგილი ახალი საპატრიარქო რეზიდენციისთვის შეიძლებოდა გამოყოფილიყო მცხეთის მიმდებარე ტერიტორიაზე... საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნება ვერ მოხერხდა ვერც კათოლიკოს-პატრიარქ დავით მეხუთის მამამთავრობისას.

აღნიშნულთან დაკავშირებით, 1984 წლის 2 თებერვალს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილით გაუგზავნა რელიგიის საქმეთა რწმუნებულს, გივი მაისურაძეს, რომელშიც ვკითხულობთ: „როგორც მოგეხსენებათ, წლების მანძილზე ვერ

გადაწყდა საქართველოს საპატრიარქოს შენობის საკითხი. ამიტომ გადავწყვიტეთ ამ საქმის დროულად გადაწყვეტისთვის ერთხელ კიდევ მიგვემართა წერილით სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცკ პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს სსრ კ.პ. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძისათვის“ (ს.ს.ს.ა. ახ.აღწ. 1988. გვ.1).

საქართველოს საპატრიარქოს რეზიდენციის ხვედრი კვლავ გაურკვეველი რჩებოდა... 1988 წლის 17 ოქტომბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიმართა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს: „თქვენთვის ცნობილია, რომ საქართველოს საპატრიარქოს ძველ რეზიდენციაში (ერეკლე II-ის მოედანი N1), რომელშიც გათვალისწინებულია ეკლესიის სპეციფიკა და რომელიც რევოლუციის შემდგომ წლებში ჩამოგვართვეს, ამჟამად ენათმეცნიერებისა და ქართული ხელოვნების ინსტიტუტებია განთავსებული.

გთხოვთ, დაგვეხმაროთ, რომ აღნიშნული ინსტიტუტები გადმოიყვანოთ ლესელიძის ქ. N36-ში მდებარე შენობაში, ხოლო ჩვენ გადმოგვეცეს ძველი საპატრიარქო რეზიდენცია. ჩვენ მზად ვართ, ინსტიტუტთა ანგარიშზე გადასვლის ხარჯებისთვის გადავრიცხოთ 100 000 მანეთი...“ (კაცაძე, ნაწ. II, 2017:114).

ჯუმბერ პატიაშვილი ისე წავიდა თანამდებობიდან, რომ საპატრიარქოს ისტორიული რეზიდენციის დაბრუნება საქართველოს ეკლესიისთვის არ განხორციელდა. აღნიშნული თხოვნით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, 1989 წლის 7 აპრილს, მიმართა გივი გუმბარიძეს - საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს. საქართველოს ეკლესიის მეთაური წერდა, რომ საქართველოს ეკლესიაში ჩამოდიოდა საერთაშორისო რანგის მრავალი სტუმარი, ხოლო საქართველოს საპატრიარქოს არ გააჩნდა შესაბამისი შენობა, რაც ქმნიდა პრობლემებს. შესაბამისად, დროულად უნდა გადაწყვეტილიყო საპატრიარქოს რეზიდენციის საკითხი.

1989 წლის 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შემდეგ, 1989 წლის 7 ივნისს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნოდარ ჭითანავამ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით, საქართველოს საპატრიარქოს დაუბრუნდა თავისი რეზიდენციის ისტორიული შენობა. განკარგულებაში ვკითხულობთ: „მიღებულ იქნეს სსრ კავშირის მინისტრთა

საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულის საქართველო სს რესპუბლიკაში წინადადება და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს ყოფილი საეგზარქოსოს შენობა“ (იქვე :158).

აღდგა ისტორიული სამართლიანობა და სამოცდაშვიდი წლის შემდეგ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაუბრუნეს თავისი კუთვნილი ისტორიული საპატრიარქო რეზიდენცია, რომელიც ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ დალუქა 1922 წლის 23 ივლისს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის (ხელაია) მამამთავრობისას. ამავე წლის 6 ივლისს შედგენილ აქტში ვკითხულობთ: „მე, ქვემორე ხელის მომწერმა, ნ. გოგიშვილმა, ქ. თბილისის აღმასკომის მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზორმა საბინაო განყოფილების გამგე დ. დოლიძისა და სახლების სამმართველოს თანამშრომლის ა. გალამიანის თანდასწრებით გავხსენით კათოლიკოს ამბროსის კუთვნილი სალარო, სადაც აღმოჩნდა შემდეგი ნივთები: ვერცხლი, ჯვრები, ყელსაკიდი, პანაღიები, რაც წონით 1 გირვანქა და 83 მისხალია“ (ვარდოსანიძე, 2017:158-159). 1923 წლიდან კი საპატრიარქო რეზიდენცია ოფიციალურად იყო ჩამორთმეული საქართველოს ეკლესიისთვის. კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსის შემდეგ, რიგით მეშვიდე კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს დროს მოხერხდა საპატრიარქო რეზიდენციის დაბრუნება, სადაც საქართველოს საპატრიარქომ დაიწყო სრულფასოვანი საქმიანობა და მოღვაწეობა.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა, ბუნებრივია გულგრილი ვერ დატოვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და სხვა სასულიერო პირები. ხსენებულ ტრაგიკულ ღამეს, ადგილზე იმყოფებოდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც იხსენებს, რომ დარბევის დაწყებისას, მას უთხრეს, რომ მთავრობის სახლში იწვევდნენ, თუმცა მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ განაცხადა, რომ თავად ხელისუფლება ჩამოსულიყო ხალხთან და იგი არ შევიდა მთავრობის სახლში.

ძალიან მწვავე გამოხმაურება მოჰყვა 9 აპრილის ტრაგედიას ქართველი სასულიერო პირების მხრიდან. არქიმანდრიტმა იოაკიმემ (ასათიანი) წერილით მიმართა საქართველოს სსრ კომპარტიის ცკ-ს პირველ მდივანს ჯუმბერ პატიაშვილს: „თქვენ, საქართველოს სსრ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, საშინელი ეროვნული და საკაცობრიო ცოდვის

ჩამდენი ბრძანდებით, რადგან არ არსებობს ქვეყნის უზენაესი მესვეურისთვის უფრო მძიმე დანაშაული, ვიდრე კაციჭამია დაქირავებული ურდოების ძალით, თანამემამულეთა უმოწყალო დახოცვა! ვინაიდან, არ არსებობს უფრო დიდი ცოდვა კაცისათვის, ვიდრე უსუსურ ბავშვთა, ქალთა და მოხუცთა უმანკო სისხლში ხელის დაბანვა. ეს ყოველივე თქვენი ნებით იტვირთეთ, რითაც საუკუნო განაჩენი გამოუტანეთ თქვენს თავს!

1989 წლის 9 აპრილმა - ქართველ პატრიოტთა ნიჩბებით სვრის სისხლიანმა დღემ, სამუდამოდ დაგიმკვიდრათ თქვენ ჩვენი ერის ისტორიაში სამარცხცინო ჯალათის სახელი“ (ს.ს.ს.ა. ახ.აღწ. 2547. გვ.11).

არქიმანდრიტმა იოაკიმემ, აგრეთვე მიმართა 9 აპრილის მონაწილე ქართველ მამულიშვილებს და გაამხნევა ისინი: „ყველა მამულიშვილს! განსაკუთრებით კი საღმრთო საქმისათვის, სამშობლოსათვის თავგანწირულ ახალგაზრდებს

საყვარელნო შვილნო! თქვენ მოგმართავთ, ვინც შეასრულა თავისი უზენაესი მოვალეობა, ისე, როგორც ასრულებდნენ მას წმინდა მამები. თქვენ უკვე დაგადგათ უფალმა თავისი ნათელი გვირგვინი, რადგან სახარება გვასწავლის, რომ ღვთის გარეშე ერთი ღერი თმაც არ ვარდება. თქვენი თავდადებაც უფლისგან არის. თქვენი წმინდა სისხლი შეერთო ღვთივკურთხეულ ქართველ მოწამეთა სისხლს, რომელიც უმაღლესი და უზენაესი მიზნისათვის იღვრებოდა. გჯეროდეთ, რომ სიკეთე ბოროტებაზე უფრო ძლევამოსილია! ქართულ ეკლესიას დიდი სულიერი ძალა აქვს და მაღალი მოვალეობა აკისრია.

მე, ასაკოვანი კაცი, თაყვანს ვცემ თქვენს დიდბუნებოვნებას, თქვენს გვერდით ვდგავარ და სიხარულით შევწირავ თავს უფალს, ერსა და მამულს. გამაგრდით, შვილებო! შეგეწიოთ ზეციური ძალა, დედა ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ, ცხრა დასმა ანგელოზთამან დაგლოცოთ! წმინდა მამები იყვნენ თქვენი თანამდგომნი! წმინდა დედებმა აღგამაღლონ ნებითა ღვთისაითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევა დედის ძუძუსავით გაამოთ უფალმა! ამინ!“ (იქვე :14).

აღნიშნული ორი წერილი, ქართველი არქიმანდრიტის ავტორობით, წარმოადგენს მეტად მნიშვნელოვან დადასტურებს, თუ როგორ მტკიცე მხარდაჭერასა და თანადგომას უცხადებდა საქართველოს ეკლესია ქართულ ეროვნულ მოძრაობასა და ასევე ამხელდა ოფიციალური ხელისუფლების უმაღლეს პირებს. ასევე, ეს არის ერთ-ერთი დადასტურება, რომ 9 აპრილის

მოვლენებმა მნიშვნელოვანი ძვრები შეიტანა ქართული ცნობიერების შეცვლაში, მეტი გამბედაობა შესძინა ქართულ საზოგადოებას, როგორც სასულიეროთ, ისე საეროთ.

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიის გამოძახილი აისახა მთავარეპისკოპოსყოფილ იოანეს (ანანიაშვილი) წერილში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „მაკურთხეთ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ! სულის სიღრმემდე შეძრული ვარ ჩვენი ეკლესიის შვილების ბარბაროსულად დახოცვის გამო... მოყვასთდამი სიყვარულმა არ მომასვენა და დავწერე აქ დართული ლოცვა-შესხმა-სავედრებელი ახალმოწამე ქართველთდამი და ოხითა, კონდაკი და სადიდებელი.

ისინი წმიდა მოწამენი არიან და ეს ცხადზე უცხადესია. მათ საგანგებო აღიარება არა სჭირდებათ... მე ასე მწამს და ასევე, მწამს, რომ თქვენს უწმიდესობასაც ასე სწამს სულის სიღრმეში...

ეს ლოცვა-საგალობელნი რამოდენიმა ცალად მაქვს გადაწერილი და ქრისტესმიერ მოყვასთ უკვე ვურჩიე, რომ მათაც ასე ილოცონ.

უკეთუ უფალი შრომას მიკურთხევს, ვაპირებ სამომავლოდ დაწერას ამ წმიდა საყოველწლო დღესასწაულისათვის, ანუ 9/IV-სთვის ახ.სტ. მწუხრისა და ცისკრის საგალობლებს და დაუჯდომელს (აკათისტოს). თქვენი მორჩილი + იოანე, ჭყ. ყოფ. ანანიაშვილი. დედაქალაქი. 16/IV 1989 წ“ (ს. ს. ს. ა. ახ.აღწ. 2547. გვ. 163-164).

1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი მოვლენებიდან ზუსტად ექვსი თვის თავზე, ამავე წლის 9 ოქტომბერს, ათონის წმინდა მთიდან, საქართველოში ჩამობრძანდა ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის კანონიკური ასლი. მანამდე, 1989 წლის 23 სექტემბერს, ათონის მთიდან გამოიგზავნა წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესადმი: „უწმიდესო ყოველთა ქართველთა კათოლიკოს-პატრიარქო ილია

მოკრძალებით ვეამბორები თქვენს მარჯვენას.

გულწრფელი სიხარულით გწერთ ამ სიტყვებს, ახლა, როცა წმიდა ხატის ასლი, უკვე თქვენს ხელთ იქნება. ჩემი სიხარული ორმაგია, რამეთუ მე ამ ფაქტს მივიჩნევ, ვითარცა საჩუქარს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისაგან, ჩემი ათი წლის მოთმინებისა და

სიყვარულისთვის (ღმერთმა იცის სიდიდე ჩემი სიყვარულისა თქვენი ხალხის მიმართ). მჯერა, რომ ეს ჩემი ათი წლის (1979-1989) ბერული ცხოვრების ჯილდოა და ამიტომ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი მხურვალე მილოცვები...

გისურვებთ, რომ ღირსეული იყოს საფარველი და დარაჯი საქართველოს დიდ განსაცდელებში.

ჩემი სიხარული კიდევ უფრო დიდია იმის გამო, რომ წელს, პირველი წელია, როცა მე ხელს ვაწერ, ვითარცა ივერიის წმიდა მონასტრის საძმოს წევრი.

ქრისტესმიერი სიყვარულით, ბერი გერასიმე“ (ს. ს. ს. ა. ახ.აღწ. 10106 გვ.11. წერილის თარგმანი შეასრულა თამარ მესხმა, 1989 წლის 25 ნოემბერს).

ხატი დაბრძანებულია თბილისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის საპატრიარქო ტაძარში.

კომუნისტური იდეოლოგიის მსხვრევის ფონზე, ხელისუფლების ეკლესიისადმი მიდგომა, აშკარა სასიკეთო ცვლილებებს განიცდიდა არა მხოლოდ ცენტრალური მთავრობის დონეზე, არამედ ქალაქებსა და სოფლებში. ხდებოდა გარკვეული ხელშეწყობა ტაძრების კეთილმოწყობისათვის. მაგ: 1989 წლის ოქტომბერში, ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ქუთაისის საფიჩხიის მოედანზე მდებარე მაცხოვრის ამაღლების სახელობის ტაძრისათვის ტერიტორიის გამოყოფისა და სათავსოების მშენებლობისათვის გაიცა ნებართვა, ამავე ტაძრის ოცეულის თავმჯდომარის, ლუბა ხუციშვილის სახელზე. ხსენებული ტაძრის მიმდებარედ განთავსებული იყო ბაზარი. აღმასკომმა გადაწყვიტა: „ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომის 13.10.1988 წლის N 23.46.780 გადაწყვეტილება და ბაზრის ფილიალის ტერიტორიაზე არსებული ლაბორატორიის სათავსო რეკონსტრუქციისა და მიშენებით გადაკეთდეს ამაღლების ეკლესიის სამეურნეო სათავსოდ... ამაღლების ეკლესიის ტერიტორია განისაზღვროს თანდართული სქემის მიხედვით... დაევალოს ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გამოყენებისა და რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საწარმოო კომბინატი საპროექტო ჯგუფს, ამაღლების ეკლესიის სარესტავრაციო სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა და ეზოს კეთილმოწყობის პროექტის დამუშავება...“ (ქ.ც.ს.ა. ფ.149, ა.1 ს. 5822, ფურც.161). ამაღლების ტაძარში, საბჭოთა ხელისუფლებას სხვადასხვა დროს მოწყობილი

ჰქონდა, ჯერ მარილის საწყობი, ხოლო მოგვიანებით ბიბლიოთეკა. ახლა კი, თავად ოფიციალური ხელისუფლება ეხმარებოდა ტაძრის ოცეულსა და მის თავმჯდომარე, რათა ტაძარი და მისი კუთვნილი მიმდებარე ტერიტორია სათანადოდ მოწყობილიყო.

1990 წლის 22 აპრილს საქართველოს მინისტრთა საბჭომ გამოსცა დადგენილება: „რესპუბლიკის საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მოქალაქეთა გაერთიანებების, მორწმუნეთა ფართო საზოგადოებრიობის მოთხოვნების გათვალისწინებით და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოსთან შეთანხმებით, გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიების საქმეთა აპარატი ყველა თავისი ფუნქციით... რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოს საპატრიარქოს ყველა საკულტო ნაგებობა და მათი უძრავ-მოძრავი ქონება გამოცხადდეს ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საკუთრებად“ (ს. ს. ს. ა. ახ.აღწ. 16420. გვ.1). დადგენილებას ხელს აწერენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან თავმჯდომარე, ნ. ჭითანავა და მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე, ა. პაიჭაძე. აღნიშნული ორგანოს გაუქმებით, ეკლესიას ძალიან დიდი წინაღობე და ბარიერი მოეხსნა. რელიგიის საქმეთა რწმუნებულის აპარატის გარეშე, ეკლესიას მკაცრად აკრძალული ჰქონდა ხელისუფლების ნებისმიერ შტოსთან პირდაპირი სახით კონტაქტი, ახლა კი სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა დადებითისაკენ.

მას შემდეგ, რაც 1988 წელს გაიხსნა თბილისის სასულიერო აკადემია, 1990 წლის სექტემბერში დაიძრა საკითხი გელათის სასულიერო აკადემიის აღდგენის შესახებ, რომელიც 1106 წელს დაარსდა წმიდა კეთილმსახური მეფის დავით აღმაშენებლის თაოსნობით და მნიშვნელოვანი მისია შეასრულა ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, გელათის აკადემიის შესახებ ბრძანებს: „გელათის აკადემია იყო ის ცენტრი, სადაც იხვეწებოდა და მუშავდებოდა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზროვნება და ტერმინოლოგია; აქ ითარგმნებოდა არა მარტო ცნობილ ღვთისმეტყველთა და ფილოსოფოსთა ნაშრომები, არამედ ანტიკური ფილოსოფიის რჩეული ნიმუშებიც, იწერებოდა ორიგინალური შრომები“ (კაცაძე, ნაწ. II, 2017:109).

1990 წლის 8 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიიღო ქუთათელ-გაენათელი მთავარეპისკოპოსი (შემდგომ მიტროპოლიტი) კალისტრატე და საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი თეიმურაზ შაშიაშვილი. შეხვედრისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ეთხოვა, რომ მონაწილეობა მიეღო ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ცერემონიალში, რასაც კათოლიკოს-პატრიარქი დათანხმდა. ამავე შეხვედრაზე გაჟღერდა, რომ უკანასკნელი ქართველი მონარქი, იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, უნდა გადმოესვენებინათ სამშობლოში...

1990 წლის 17 სექტემბერს ქ. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოიტანა გადაწყვეტილება „ქუთაის-გაენათ-ლეჩხუმ-ცაგერ-სვანეთის ეპარქიაში გელათის სასულიერო აკადემიის გახსნის შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია: „...ამ რამდენიმე ხნის წინათ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან ქალაქის ხელმძღვანელების თხოვნით მოწყობილი შეხვედრისას აღინიშნა, რომ მიმდინარე ეტაპზე რელიგია ასრულებს ერის გამთლიანების ფუნქციას... საქალაქო საბჭოს აღმასკომს ქუთაისის კულტურული ცხოვრების აღორძინების, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ქუთაისის ტრადიციული ადგილის დამკვიდრებისა და ისტორიული სამართლიანობის აღდგენის გზაზე ერთ-ერთ მთავარ ნიშანსვეტად გელათის სასულიერო აკადემიის გახსნა მიაჩნია.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას ქალაქის ინტელიგენციის, მოსახლეობის, ახალგაზრდობის წარმომადგენლების და ქუთაის-გაენათ-ლეჩხუმ-ცაგერ-სვანეთის საეპარქიოს წინადადება გელათში სასულიერო აკადემიის გახსნის თაობაზე.
2. ეთხოვოს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს განიხილოს გელათში სასულიერო აკადემიის გახსნის საკითხი.
3. ეთხოვოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აღმოუჩინოს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბოს აღმასკომს საჭირო მხარდაჭერა გელათში სასულიერო აკადემიის გახსნის საკითხში.

აღმასკომის თავმჯდომარე: თ. შაშიაშვილი; აღმასკომის საქმეთა მმართველი: ს. კურტანიძე“ (ქ. ც. ს. ა. ფ.149, ა.1 ს.5892, ფურც.12-13).

აღნიშნული დოკუმენტი ნათელი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ მკვეთრად შეიცვალა ეკლესიისადმი ჯერ კიდევ სახელმწიფოს სათავეში მყოფი კომუნისტური ხელისუფლების დამოკიდებულება. თუ ათწლეულთა განმავლობაში, საბჭოეთი ხურავდა და ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს, ახლა უკვე საბჭოთა ხელისუფლება, თავად სთხოვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომ აღდგენილიყო გელათის სასულიერო აკადემია. მართალია, ამ დროს, უკვე მომხდარია 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები და ეროვნული მოძრაობაც მომძლავრებულია, თუმცა, ჯერ ისევ კომუნისტური ხელისუფლება ინარჩუნებდა მართვის სადავეებს.

1990 წლის 20 სექტემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მონაწილეობა მიიღო და სიტყვით წარსდგა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ცერემონიალში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უსახსოვრა ბიბლია და ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატი.

1990 წლის 21 სექტემბერს, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გამოსცა ბრძანება N 439: „საქართველოში სასულიერო განათლების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის თანახმად გელათის მონასტერში აღდგეს გელათის აკადემია, სადაც მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე ვაჟები 30 წლამდე ასაკისანი და აკადემიის რექტორად დაინიშნოს მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა ქუთათელ-გენათელი მთავარეპისკოპოსი კალისტრატე (მარგალიტაშვილი)“ (ქუთაის-გაენათის ეპარქიის არქივი). ამავე დღეს, ღვთისმშობლობის დღესასწაულზე, გელათის მონასტერში, საზეიმო საღმრთო ლიტურგია აღავლინა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, რომელსაც თანამსახურებდნენ: ქუთათელ-გაენათელ-ცაგერ-ლეჩხუმ-სვანეთის მთავარეპისკოპოსი (შემდგომ მიტროპოლიტი) კალისტრატე, ნიკორწმინდელი მთავარეპისკოპოსი ამბროსი, ურბნელი ეპისკოპოსი (ამჟამად ცურტაველი მიტროპოლიტი) ვახტანგი, ჭყონდიდელი ეპისკოპოსი (ამჟამად ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი) გიორგი. კათოლიკოს-პატრიარქმა, გელათის მონასტერში აკურთხა გელათის

სასულიერო აკადემიის აღდგენა. დღის ბოლოს ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გაიმართა ქუთაისის საზოგადოების შეხვედრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია მეორესთან.

მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, ამგვარად დალოცა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება და გელათის სასულიერო აკადემიის აღდგენა: „ღვთივკურთხეულნო ივერნო! გილოცავთ ქუთაისის უნივერსიტეტის დაარსებას! ხვალ, ღვთისმშობლობას გველოდება ახალი სიხარული - რვაასი წლის დუმილის შემდეგ გაიხსნება გელათის სასულიერო აკადემია.

მეცნიერების ორივე კერა, ვფიქრობთ, გააღრმავებს ჩვენს ერში ცოდნასა და რწმენას, დანერგავს ჩვენს ხალხში სიყვარულს, ურთიერთთანადგომას და მომავლის იმედს.

ღმერთმა დალოცოს ქუთაისის უნივერსიტეტი, გელათის აკადემია და სრულიად საქართველო“ („ქუთაისი“, N 181, 1990:1).

გელათის სასულიერო აკადემიის აღდგენა, დიდი და ისტორიული მოვლენა არის საქართველოს ეკლესიის მატეანეში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მისიის აღსრულებისათვის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან ერთად, დიდი ღვაწლი გასწია ქუთათელ-გაენათელმა მთავარეპისკოპოსმა (შემდგომ მიტროპოლიტი) კალისტრატემ, რომელიც აღდგენის შემდგომ გელათის სასულიერო აკადემიის პირველ რექტორად დაინიშნა და იგი ამ თანამდებობაზე რჩებოდა 2010 წლის 19 თებერვლამდე. 1990 წლის 27 სექტემბერს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ ხსენებული ისტორიული მოვლენისა და აგრეთვა სხვა ღირსშესანიშნავი გარემოებების აღსანიშნავად „სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საჩუქრად გადაეცეს ქუთაისელი მხატვრის ჯავა ჭეიშვილის მხატვრული ნამუშევარი „გელათი“ - ღირებული 3450 მანეთად“ (ქ. ც. ს. ა. ფ.149, ა.1, ს. 5897, ფურც.21).

1990 წელს ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა, ეკლესიისთვის სასარგებლო სხვა გადაწყვეტილებებიც მიიღო. მაგ: „გაერთიანებული საქართველოს სატახტო ქალაქად ქუთაისის გამოცხადების 1000 წლისთავის აღნიშვნის მზადებასთან დაკავშირებით ბაგრატის ტაძარზე და მოწამეთის მონასტრის კომპლექსის ისტორიულ ნაგებობებზე და ძეგლებზე 1990 წელს შესასრულებელი აღდგენა-

გამაგრებითი სამუშაოების შესახებ“ (ქ. ც. ს. ა. ფ.149, ა.1 ს.5871 ფურც.263), „ქუთაის-გაენათის ეპარქიის /მმართველის/ კალისტრატეს და ქალაქის ისტორიული ნაწილის კონსერვაციის გამოყენებისა და რესტავრაცია-რეკონსტრუქციის საწარმოო კომბინატის თხოვნის შესახებ ყოფილი მე-18 საშუალო სკოლის ძველი ისტორიული შენობის მათ კუთვნილებაში გადაცემის თაობაზე“ (ქ. ც. ს. ა. ფ.149, ა.1, ს.5912 ფურც.171).

1990 წლის 28 სექტემბერს საქართველოს საპატრიარქოში, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ეს იყო პირველი შემთხვევა საბჭოთა კავშირის არსებობის მანძილზე, რომ საქართველოს სსრ ხელმძღვანელი პირი ეწვია საქართველოს საპატრიარქოს. უნდა შევნიშნოთ ის გარემოება, რომ გ. გუმბარიძეს, მორალურად უჭირდა ამ დროს, რადგან იგი უკვე სახელგატეხილი პარტიის ლიდერი იყო. გაიმართა საუბარი სახელმწიფოსა და ეკლესიის მომავალი ურთიერთთანამშრობლობის ირგვლივ. აღნიშნული შეხვედრის შესახებ, ინფორმაციაში, გაზეთი კომუნისტი წერდა: „თხუთმეტი საუკუნის ისტორია აქვს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ერთგულად ემსახურებოდა ხალხის ინტერესებს, იყო მისი სულიერი მოძღვარი, ხელს უწყობდა ურთიერთგაგების განმტკიცებას, საერთო ეროვნულ ინტერესებისათვის ბრძოლაში გაერთიანებას. ეკლესია ხალხში ამკვიდრებდა კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და სამართლიანობის პროგრესულ იდეებს. იყო ცოდნის გამავრცელებელი, აშენებდა შესანიშნავ ანსამბლებს, რომლებიც დღესაც აღაფრთოვანებენ ადამიანებს... გივი გუმბარიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას მუდამ დიდი ავტორიტეტი და პატივისცემა ჰქონდა მოხვეჭილი მთელ მსოფლიოში. მან უდიდესი, ფასდაუდებელი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერ განვითარებაში. ეკლესიის ეს მისია განსაკუთრებით ვლინდება დღეს საქართველოს რთულ და საკმაოდ არასტაბილურ პოლიტიკურ ვითარებაში, როცა რესპუბლიკა ადგას თავისი სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკური და ეკონომიკური სურენიტეტის აღდგენის გზას, სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ძალისხმევა დაეხმარება მრავალი საჭირბოროტო საკითხის უსწრაფეს გადაწყვეტას. მას ხელს შეუწყობს კანონი, რომელიც ამჟამად მზადდება საქართველოში და ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობას ახალ საფეხურზე აიყვანს“ („კომუნისტი“, N225, 1990:1). არათუ მეოცე

საუკუნეში მოღვაწე კათოლიკოს-პატრიარქების მამამთავრობებისას, არამედ რამდენიმე წლით ადრეც კი, წარმოუდგენელი იყო, ამგვარი რადიკალური ცვლილება საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულებისა ეკლესიისადმი.

საქართველოში, როგორც სახელმწიფოებრივ-ეროვნული, ისე საეკლესიო თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობისა გახლდათ უკანასკნელი ქართველი მონარქის, იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სამშობლოში გადმოსვენება, რომელშიც ერთმანეთის მხარდამხარ იდგა ერი და ბერი. 1990 წლის 17 სექტემბერს ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მოისმინა აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგის, დოცენტ პეტრე ვაჭრიძის ინფორმაცია იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებასთან დაკავშირებით: აღვნიშნავ, რომ ვესწრებოდი იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ნეშტის სამშობლოში გადმოსასვენებლად შექმნილი რესპუბლიკური კომისიის სხდომას. გამოითქვა აზრი, რომ სოლომონ მეორე დასაფლავებულიყო სვეტიცხოვლის ტაძარში. ამ აზრს მხარი დაუჭირა კომისიის წევრთა უმრავლესობამ. პროფესორმა ლევან სანიკიძემ განაცხადა, რომ სოლომონ მეორე დასაფლავებული უნდა იქნას გელათში. ასეთივე აზრი გამოვთქვი მეც... განვაცხადე, რომ ამ კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო ქუთაისის წარმომადგენელი. კომისიის გადაწყვეტილებით, შემადგენლობაში შეყვანილი იქნენ ქუთაის-გაენათის ეპისკოპოსი (იმჟამად იგი მთავარეპისკოპოსი იყო) კალისტრატე და მე - საქართველოს ისტორიის კათედრის გამგე, დოცენტი პეტრე ვაჭრიძე. აღმასკომის წინაშე შემოვდივარ წინადადებით, შეიქმნას საქალაქო კომისია, სოლომონ მეორის ნეშტის ქუთაისიდან გელათში გადასვენების და იქ დასაფლავების ორგანიზაციის მიზნით...“ (ქ. ც. ს. ა. ფ.149, ა.1, ს.5892, ფურც.8-9). 1990 წლის ნოემბერში, მეფე სოლომონ მეორე გადმოსვენდა სამშობლოში. თბილისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის საპატრიარქო ტაძარში, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღნიშნა: „მეფე სოლომონ II-ის ნეშტის გადმოსვენება არ არის უბრალო ფაქტი. მე ვფიქრობ, რომ მას ღვთისგან ბოძებული დიდი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. საქართველოს უკანასკნელი მეფის დაბრუნებით, ჩვენ ქვეყანასაც დაუბრუნდება ღვთის მადლი. ამინ“ (ტყეშელაშვილი, 2016:105). მეფის ნეშტი ჯერ დაასვენეს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, საიდანაც 22

ნოემბერს გადაასვენეს ქუთაისში. 24 ნოემბერს სამეფო პატივით დაიკრძალა გელათის მონასტრის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე გარდამავალი პერიოდი საქართველოს ეკლესიისთვის გამორჩეული გახლდათ ერთ-ერთი იმ მთავარი გარემოებით, რომ სრულიად საქართველოში, მასობრივად იხსნებოდა, ათეისტური ხელისუფლების მიერ, ათწლეულთა განმავლობაში ადმინისტრაციული წესით დახურული ტაძრები და მონასტრები. 1986 წლის 22 ივლისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილი გაუგავნა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულს, ანზორ წიკლაურს, რომელშიც საქართველოს ეკლესიის მეთაური აღნიშნავდა, რომ მის სახელზე მორწმუნე ქრისტიანებისაგან იგზავნებოდა მრავალი წერილი, სადაც ისინი თხოულობენ ეკლესიების გახსნას. კათოლიკოს-პატრიარქის აღნიშნულ მიმართვაში მოთხოვნილია ტაძრების ამოქმედება: ბათუმში, სამცხე-ჯავახეთში, დმანისში, ყაზბეგში, დუშეთში, ლეჩხუმსა და სვანეთში.

1986-1987 წლებიდან დაიწყო დახურული ტაძრების დაბრუნება საქართველოს ეკლესიისთვის. სქემა ასეთი იყო: შეიქმნებოდა მორწმუნეთა რელიგიური გაერთიანება, ე.წ. ოცეული, რომელიც გატარდებოდა რეგისტრაციაში, რომლის შესახებ ცნობას გასცემდა რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებული და მიმართავდა კონკრეტული ქალაქისა თუ რაიონის ხელმძღვანელობას. ცნობილია, რომ საქართველო მდიდარია ისტორიულად ფასეული ტაძრებითა და მონასტრებით. აღნიშნულ შემთხვევაში, ქალაქისა თუ რაიონის ხელმძღვანელობასა და რელიგიურ გაერთიანებას შორის გაფორმდებოდა ხელშეკრულება, რათა ხელისუფლების სათანადო უწყების ნებართვის გარეშე, ტაძარზე არავითარი სამშენებლო და სარესტავრაციო სამუშაოები განხორციელდებულიყო. მომდევნო ეტაპზე, რწმუნებული გაუგზავნიდა წერილობით ცნობას ადგილობრივ ხელისუფლებას, რომ მორწმუნეებს გადაეცათ შესაბამისი ტაძარი.

ყოველივე აღნიშნული მიუთითებდა, რომ ეკლესიის სასარგებლო ძვრები და სათანადო მოქმედებები მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა. მართალია, ეკლესიისადმი საბჭოეთის მიერ მიყენებული ზარალი იმ რაოდენობის არის, რომ დღემდე ვერ ანაზღაურდა და ალბათ, შეუძლებელია, ბოლომდე ანაზღაურდეს, თუმცა დაწყებული პროცესები უდავოდ

სასიკეთო იყო, ათწლეულთა განმავლობაში, ათეისტური მთავრობის მიერ ძლიერ შეჭირვებული მებრძოლი ეკლესიისთვის.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში, პოლიტიკური გაერთიანების „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს“ გამარჯვებამ საბოლოოდ დაასრულა საქართველოში კომუნისტური პარტიის მმართველობა.

ამ თავში განხილულია გარდამავალი პერიოდი, საბჭოეთის რღვევა და საქართველოს ეკლესია. წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტები ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ფაქტების აღწერით, რომლებიც ცხად-ჰყოფენ ე.წ. გარდაქმნის პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიისადმი დამოკიდებულების მკვეთრ, სასიკეთო ცვლილებაზე. წარმოვადგინეთ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია და საქართველოს ეკლესია. ასევე აქვე არის მიმოხილული ეკლესიისთვის სასიკეთო ძვრები, რომლებიც საერო ხელისუფლებაში იმჟამად მიმდინარეობდა.

თავი V. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ურთულესი გამოწვევების წინაშე XX ს. 90-იან წლებსა და XXI საუკუნის დასაწყისში

5.1. სამხედრო გადატრიალება და მღვდელ რომანოზ ჩიქობავას წამება და შეპყრობა ე. წ. მხედრიონის მიერ

სამოცდაათწლოვანი საბჭოთა უღლის შემდეგ, საქართველომ შესძლო თავისუფლების მოპოვება და 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ (შემდგომში საქართველოს პრეზიდენტი) ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ახლადგანთავისუფლებულ ჩვენს ქვეყანას სჭირდებოდა ეროვნული კონსოლიდაცია, რათა საბჭოთა იმპერიის კლანჭებისგან ახლადდახსნილს წარმატებებისთვის მიეღწია... მოსკოვის უშიშროების დიდი დაფინანსებით, სამწუხაროდ, ნაცვლად ერთობისა, ქართველთა შორის დაიწყო შუღლი და უთანხმოება, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ პოლიტიკური ძალები. პროცესებმა განსაკუთრებულად უმართავი და მწვავე სახე მიიღო 1991 წლის ოქტომბერ-ნოემბრიდან, რომელმაც საფუძველი დაუდო, ამავე წლის დეკემბერში, სისხლიან დაპირისპირებას უკანონო ბანდფორმირებებისა კანონიერ ხელისუფლებასთან. მანამდე, იგრძონობდა რა, პოლიტიკურ ძალთა შორის მწვავე დაპირისპირების მომწიფება, 1991 წლის 21 სექტემბერს, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიმართვა გაუგზავნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს აკაკი ასათიანს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ბესარიონ გუგუშვილს, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტიისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანების ლიდერებს. მიმართვაში ნათქვამია: „სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. საქართველოში შექმნილმა პოლიტიკურმა დაძაბულობამ თავის მწვერვალს მიაღწია. ქართველი დაუპირისპირდა ქართველს, მოსალოდნელია ძმათა შორის სისხლისღვრა. არ უნდა მოხდეს ეს სამარცხვინო ფაქტი, ნუ ჩავიდენთ საშინელ ცოდვას ღვთისა და ერის წინაშე.

ამიტომ მოგიწოდებთ, დაუყონებლივ დაიწყოს დიალოგი თქვენს შორის და მშვიდობიან ვითარებაში გადაწყდეს ყველა სადავო საკითხი. თუ იქნება თქვენი სურვილი, მე მზად ვარ, მონაწილეობა მივიღო ამ დიალოგში.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ღვთის შეწევნით და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მფარველობით, დღევანდელი პოლიტიკური სიტუაცია ეროვნული თანხმობით დამთავრდება. ღმერთმა დაგლოცოთ“ (ს.ს.ს.ა. ახ.აღწ. 6870. გვ.1).

სამწუხაროდ, სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა. დაპირისპირებულ მხარეებს შორის ვერ მოხდა შეთანხმება, მათ ვერ გამონახეს საერთო ენა... 1991 წლის 22 დეკემბერს დაიწყო სისხლიანი შეტაკებები კანონიერ ხელისუფლებასა და რუსეთის მიერ მართულ უკანონო ბანდფორმირებებს შორის. თბილისი ომის ცეცხლის ალმა მოიცვა. სიტუაცია უმართავი და უკონტროლო გახდა. საქართველოს პრეზიდენტს მოუწია თავი შეეფარებინა მთავრობის სახლის ბუნკერისათვის. უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ სცადა, რათა გაენეიტრალებინა შექმნილი ვითარება და 1991 წლის 23 დეკემბერს, ამგვარად მიმართა სრულიად საქართველოს: „უმძიმესია დღევანდელი მდგომარეობა, საქართველო მისულია დაღუპვის პირამდე, იღვრება ქართველთა სისხლი, საქართველოს ემუქრება სამოქალაქო ომი. ვხედავთ რა დაძაბულ სიტუაციას, მოვუწოდეთ დაპირისპირებულ მხარეებს დიალოგისაკენ, რათა მშვიდობიანი გზით გადაწყვეტილიყო პრობლემები, თავიდან აგვეცილებინა ძმათა სისხლისღვრა. დიალოგი მართლაც შედგა, მაგრამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ვგრძნობთ რა მომავალ მძიმე შედეგებს, საქართველოს ეკლესიის, სამღვდელოებისა და მორწმუნე ერის სახელით, კიდევ ერთხელ მოგმართავთ დაპირისპირებულ მხარეებს: გამოიჩინეთ სიბრძნე და გონიერება, იგრძენით პასუხისმგებლობა ღვთისა და ერის წინაშე და ყველაფერი გააკეთეთ იმისათვის, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით გადავწყვიტოთ სადავო საკითხები. მომავალი თაობა დააფასებს თქვენს კეთილგონიერებას“ (ვარდოსანიძე, 2008:295-296). სამწუხაროდ, კათოლიკოს-პატრიარქის ეს მიმართვა, ისევე, როგორც ზემოთ ხსენებული პირველი მიმართვა, უშედეგო აღმოჩნდა... 1992 წლის 6 იანვარს საქართველოს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ იძულებით დატოვა საქართველო. ქვეყანაში შეიქმნა სრული ანარქია და ქაოსი... ხელისუფლება ხელში აიღო არალეგიტიმურმა ორგანომ. ე.წ. სამხედრო საბჭომ,

რომლის ლიდერები იყვნენ ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი. აგრეთვე, მათთან იმყოფებოდა საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა. უკანონო შეირაღებული ჯგუფები დათარეშობდნენ მთელი ქვეყნის მასშტაბით... ამ მხრივ მეტად გამოირჩეოდა სამხედრო დაჯგუფება ე.წ. მხედრიონი, რომელმაც ყველაზე მეტად დააზარალა სამეგრელოში მცხოვრები მოსახლეობა. მიმდინარეობდა სასტიკი, სისხლიანი ანგარიშსწორება ეროვნული ხელისუფლების მომხრეების წინააღმდეგ. სწორედ, ამ დროს, 1992 წლის პოლიტიკური ნიშნით წარმოებულ სადამსჯელო დანაშაულებრივ ღონისძიებებში მოჰყვა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სრულიად უდანაშაულო სასულიერო პირი, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მღვდელი (შემდგომში დეკანოზი) რომანოზ ჩიქობავა, რომელსაც უკანონო შეიარაღებულმა ძალებმა, უშუალოდ ჯაბა იოსელიანის მეთაურობით, დასწამეს ტაძარში იარაღის დამალვა, რაც მრავალი ცდის მიუხედავად, ბუნებრივია ვერ აღმოაჩინეს, თუმცა მამა რომანოზს სასტიკად გაუსწორდნენ...

დეკანოზი რომანოზი (ერისკაცობაში რამინ ვლადიმერის ძე ჩიქობავა) დაიბადა 1949 წლის 1 იანვარს, წალენჯიხაში. სწავლობდა წალენჯიხის N 2 საშუალო სკოლაში. 1985 წელს დაქორწინდა ელენე (ლენა) შუბლაძეზე, რომელთანაც შეეძინა სამი შვილი, ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ჯერ კიდევ ერისკაცი რამინ ჩიქობავა მოსახლეობაში ხელმოწერებს აგროვებდა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ისტორიულ ტაძარში წირვა-ლოცვის აღდგენის მიზნით და ამ მხრივ დიდი ღვაწლი გასწია... 1988 წლის 4 დეკემბერს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ტაძრად მიყვანების დღესასწაულზე, ტაძარი მოქმედი გახდა.

1990 წლის 22 ივლისს ზუგდიდის ვლაქერნის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძარში, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ჭყონდიდელმა მთავარეპისკოპოსმა (ამჟამად ტყიბულისა და თერჯოლის მიტროპოლიტი) გიორგიმ (შალამბერიძე) დიაკვნად აკურთხა რამინ ჩიქობავა და მას რომანოზი უწოდა. ზუსტად ერთ კვირაში, ამავე წლის 29 ივლისს, ხსენებულ ტაძარშივე, მთავარეპისკოპოსმა გიორგიმ, დიაკონ რომანოზს მღვდლად დაასხა ხელი და მსახურებისთვის დაადგინა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში. აგრეთვე, სხვადასხვა დროს მამა რომანოზი მსახურობდა ჯვარის, ჩხოროწყუს, კორცხელის ტაძრებში.

1992 წლის ივლისი უმძიმესი აღმოჩნდა წალენჯიხისათვის. 6 ივლისს ე.წ. მხედრიონი შეიჭრა რაიონში. მოხდა შეიარაღებული შეტაკება კანონიერი ხელისუფლების მომხრეებსა და მხედრიონს შორის, რასაც მსხვერპლი მოჰყვა. შემზარავი სანახობა იყო დატრიალებული. მრავალი სახლი იწვოდა და კვამლის სქელი ღრუბლები ჰფარავდნენ რაიონს... ისმოდა ხშირი სროლის ხმა, რომელსაც თავზარდაცემული ადამიანების ყვირილი ერთვოდა.

1992 წლის 7 ივლისს ომონისა და „მხედრიონის“ შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ დეკანოზ რომანოზსა და მის ოჯახს. წინა დღით, „მხედრიონთან“ შეტაკებისას მოკლული ერთ-ერთი ახალგაზრდის ცხედარი, მამა რომანოზმა ტაძარში დაასვენა, ვინაიდან, გარდაცვლილის წასასვენებლად არავის მოეკითხა. გარდაცვლილი იყო ვინმე გაბედავა, კორცხელიდან, დაახლოებით ოცდაათ წლამდე ასაკის ახალგაზრდა. სასულიერო პირი, ქრისტიანული მცნებებისამებრ მოიქცა და უპატრონოდ არ მიატოვა განსვენებულის ცხედარი, არამედ, დროებით, ვიდრე ნათესავები მოაკითხავდნენ წასასვენებლად, ტაძარში დაასვენა... ბოროტმოქმედებმა მამა რომანოზს კატეგორიულად მოსთხოვეს ტაძრისაკენ გაყოლა, სადაც მათი აზრით, იარაღი იყო დამალული. არც ის დამალეს, რომ ნაბრძანები ჰქონდათ, მოძღვარი დაეხვრიტათ. უწმაწური სიტყვებიც არ დააკლეს სასულიერო პირს და დაემუქრნენ, რომ ტაძარში დამალულ იარაღზე დაგაკლავთ ღორივითო... იარაღის კონდახის ცემით, მამა რომანოზი ტაძრისკენ წაიყვანეს და თან ბრალს სდებდნებ ლოთი ქობალიასთან კავშირში, რომელსაც მოძღვარი არც იცნობდა... ტაძარში შესვლამდე, მოძღვარმა მთელი გულით თხოვა შეიარაღებულ პირებს, რომ იარაღით არ შესულიყვნენ ტაძარში, რაც თავდამსხმელებმა შეისმინეს და მართლაც გარეთ დატოვეს იარაღი. მამა რომანოზმა მოითხოვა, რომ ტაძრის ჩხრეკას დასწრებოდნენ მეზობლები და ყველას ენახა, თუ მტყუანი აღმოჩნდებოდა მოძღვარი. ე.წ. მხედრიონელები დათანხმდნენ და მეზობლებიც შეუშვეს ტაძარში, სადაც შესვლისთანავე, ბოროტმოქმედებმა დაინახეს ზემოთხსენებული ახალგაზრდის ცხედარი დასვენებული, რომლის ხილვამ ძალიან განარისხა თავდამსხმელები იმ მოტივით, რომ გარდაცვლილი ახალგაზრდა „ჩვენიანი“ არ არისო... სამწუხაროდ, მათ შებილწეს ცხედარი და მოძღვარსაც შეურაცხყოფა მიაყენეს. ვერავითარი იარაღი ტაძარში ვერ იპოვნეს, გადათხარეს ეკვდერი, სადაც ბუნებრივია, არაფერი საეჭვო აღმოჩნდა. ე.წ. მხედრიონელები იმდენად არაადეკვატურად მოქმედებდნენ, რომ თვით ლევან დადიანის აკლდამაც კი გაჩრიკეს, აქ ხომ

არ არის იარაღი შენახულიო... საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ტაძარში არავითარი შეიარაღება ინახებოდა. დეკანოზი რომანოზი იგონებდა: „ეკლესიიდან რომ გადიოდნენ, ზოგმა მითხრა დაგვლოცეო. დავლოცე. ორ მათგანს ჯვარი ვაჩუქე, ვაკურთხე თანაც. ეზოდან გასვლისას ერთმა მკითხა: „შენ, მეგრელს ეკლესიაში რა გინდოდა მღვდლად?!“

- ნუ სცოდავთ! რა შუაშია მეგრელი და ქართველი? ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ. მე ქართველად ვთვლი თავს და თქვენ თუ მეგრელები ქართველებად არ მიგაჩნიათ, ეს არ შეიძლება. ეს ერის გახლეჩას ნიშნავს. ეს სირცხვილია, ამას ნუ იტყვით!

ერთ-ერთი მხედრიონელი ძალიან გააღიზიანა ამ შეგონებამ. ხმალი აღმოაჩნდა და მომიქნია, შენ ზვიადი იქნებ ეპისკოპოსობას გპირდებოდაო, მაგრამ მანამდე თავს გაგაგდებინებო. მე ვუთხარი: ასე რომ მექცევით, ამას ღმერთი არ გაპატიებთ!

ეპისკოპოსი, ღმერთი, მღვდელი, ამ სიტყვებს უხამსად იხსენიებდნენ და ხორხოცობდნენ“ („ნოჯიხური“, N25, 2012:5).

მხედრიონელები იქაურობას გაეცალნენ, თუმცა დღის მეორე ნახევარში, დაახლოებით ხუთი საათისთვის კვლავ მობრუნდნენ. ტაძრის ეზოში შესულ მამა რომანოზს თავზარდამცემი სურათი დახვდა. სხვადასხვა სახის იარაღით აღჭურვილი ადამიანები გარს შემორტყმოდნენ ტაძარს, ზოგიერთები სახურავზეც კი ასულიყვნენ. ბოროტმოქმედებმა მოსთხოვეს მოძღვარს, ტაძრის კარი გაეღო და ახლა უკვე, იარაღთან ერთად, ეჭვი გასჩენოდათ, რომ ტაძარში ე.წ. ზვიადისტებიც კი ჰყავდა დამალული მამა რომანოზს, რომელიც იხსენებდა: „შევახსენე, რომ იყვნენ ამ დილით და ვერაფერი ნახეს. გამაღებინეს და მკითხეს, აქ მკვდარი რომ გესვენა, სად წაათრიესო, ვინ იყო მისამართი გვითხარიო, იმას ბეტეერზე ჩამოვკიდებთ და ქუჩაში ვათრევთ, ოჯახს დავუწვავთო. მე ვუთხარი: „არც იმას ვიცნობდი და არც ის ვიცი, ვინ წაასვენა.“ სიმართლეს არ გვეუბნებიო და ისე მცემეს, რომ ცოტა ხანს უგონოდ ვეგდე ეკლესიის ქვაფენილზე. გონს მოვედი და ვხედავ როგორ ურტყამენ ავტომატების კონდახებსა და ლულებს სახარებასა და ჯვარს, ხატებს ქვემოთ ყრიან და გაიძახიან, იარაღი აქ იქნებაო. ვეუბნები მათ: „რაოდენ დიდ ცოდვას სჩადიხართ, ხომ ხედავთ აქ მხოლოდ ტრაპეზია, სახარება და ჯვარი ბრძანდება, ასე უდიერად რატომ ექცევით?!“ კვლავ მცემეს, ამჯერად ავტომატების ლულებით ისე, რომ გონება კვლავ მებინდებოდა. მერე ეკვდერების კარები გატეხეს, აქ ექნება ლოთის იარაღი გადამალულიო... მაცხოვრის ეკლესიის

მინაშენზე არის ლევან პირველის ეკვდერი, სადაც წმიდა გიორგის წამების ფრესკებია, იქვეა ნატრაპეზალი, რისი გათხრაც დაიწყეს - აქ იქნებაო იარაღი. არ შევეშვი, მუხლებზე დავეცი და მათ მივმართე: „ხომ ხედავთ, ახალი ამონათხარი არ ემჩნევა, შეუძლებელია რაიმე ნახოთ. ეს წმინდა ალაგია და წმიდა ნაწილები იქნება დამარხული. ეს ცოდვაა, ნუ თხრით! აქ გათხრის უფლება მხოლოდ არქეოლოგებს აქვთ, ძეგლთა დაცვის საზოგადოების ნებართვის შემდეგ. აბუჩად ამიგდეს: „არქეოლოგი, ძეგლთა დაცვა, თქვა ახლა ამანაც. თქვენ ვერ გაიგეთ, რომ საქართველოში ჩვენზე უფროსი არავინ არაა...“, ერთი ცალი ტყვიაც რომ ამოვარდეს, ადგილზე დაგხვრეტთო. გაისროლეს ეკვდერშივე და ხელში ნასროლის „გილზი“ დაიკავეს... ბოლომდე არ მაყურებინეს, ისე გამომაგდეს ეკვდერიდან... არავინ იცის რა ამოიღეს და წაიღეს. ჩემზე კი რატომღაც ჯავრი იყარეს... მტაცეს ხელი, ეკლესიის ეზოში გამიყვანეს, ხან პირით აღმოსავლეთისაკენ დამაყენეს, ხანაც დასავლეთისაკენ. ესროლე და გადააგდეო, ეუბნებიან ერთმანეთს. მე ვლოცულობ, პირჯვარს ვწერ ჩემს ჯალათებს, თან ლოცვაში ჩავურთავ ხოლმე: „ამას ღმერთი არ გაპატიებთ!“ ისვრიან გამუდმებით... სასტიკად მცემენ...“ (იქვე :5).

ნამდვილად რთულია, ეს სტრიქონები ემოციების გარეშე წაიკითხოს ადამიანმა... საუბედუროდ, მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების პირველი ნახევრის საქართველოში ამგვარი განუკითხაობა სუფევდა... გარე ძალებისგან წაქეზებულმა შიდა მოღალატურმა ძალებმა გადათელეს და გააპარტახეს მთელი საქართველო და არაერთ ადამიანს ამგვარად სასტიკად უსწორდებოდნენ. უდანაშაულო ადამიანებს აწამებდნენ, სცემდნენ ან კლავდნენ. არც სასულიერო პირს ერიდებოდნენ...

სროლის ხმაზე მამა რომანოზის მეუღლე, მცირეწლოვან ბავშვებთან ერთად მისულა ტაძრის ეზოში, სადაც ამ დროს, მოძღვარს უკვე მესამე ჯერზე ამზადებდნენ დახვრეტისთვის... ტაძრის ეზოში მისულმა მეუღლემ უთხრა მამა რომანოზს, რომ თუ მართლა დამნაშავე იყო, თუ მართლა უღალატა ღმერთს, ადგილზე მოეკლა თავი და თავადაც ამგვარად მოიქცეოდა და გაშორდა შვილებთან ერთად აქაურობას. ამ დროს, ე.წ. მხედრიონელთაგან ერთ-ერთს აზრად მოუვიდა, რომ დაეხოცათ მამა რომანოზის ცოლ-შვილი, მოეჭრათ მათთვის თავები და მოეტანათ მოძღვრისთვის იმ მიზნით, რომ თითქოს ცრუობდა და ამ შემთხვევაში მაინც იტყოდა სიმართლეს. ამის გაგონებისგან თავზარდაცემული სასულიერო პირი, მოულოდნელად ხელიდან დაუსხლტა ბოროტმოქმედებს და ტაძრის შესასვლელისკენ გაექანა,

თუმცა ის დაიჭირეს... მოძღვარი ჯვარს სახავდა თავდამხმელებს და ემუდარებოდა, რომ მისთვის ცოლ-შვილი არ მოეკლათ. ე.წ. მხედრიონელები კი გაიძახოდნენ, რომ მღვდელი ბეტეერზე მიეკრათ და მთელ წალენჯიხაში ეთრიათ...

ამ საშინელ ვითარებაში, ადგილზე მივიდა მამა რომანოზის მეზობელთა უმრავლესობა, მათ შორის იყო პედაგოგი ლალი ეგია, რომელიც თავისი გარდაცვლილი ბიძაშვილის სახელისა და გვარის ხსენებით გამოეცნაურა ერთ-ერთ ე.წ. მხედრიონელს, უთხრა მათ, რომ მამა რომანოზი პატიოსანი კაცი გახლდათ, ის ასეთი მოქცევის ღირსი არ იყო და არც მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძარში ამოიტანდა ვინმე იარაღს, თხოვა მათ, რომ აღარ ეწამებინათ სასულიერო პირი. თავდამსხმელებმა გაითვალისწინეს ეს საუბარი, მოეშვნენ მოძღვარს, გასაოცრად ბოდიშიც კი მოიხადეს და წავიდნენ.

მამა რომანოზი შეხვდა წალენჯიხაში ამ დროს მყოფ ჯაბა იოსელიანს და შესჩივლა, რომ მისმა ქვეშევრდომებმა ბევრი აწამეს და უდანაშაულოს რამდენჯერმე დახვრეტაც დაუპირეს... იოსელიანმა სატანა უწოდა სასულიერო პირს და ჰკითხა: „იარაღს ტაძარში რა უნდოდა?“ ახსნაც არ აცალეს მოძღვარს და იგი ძალადობით განაშორეს იქაურობას.

მესამე დღეს, დილით, კვლავ დაესხნენ თავს მამა რომანოზს, აწ უკვე ოჯახში და ძალადობით წაიყვანეს სახლიდან. ბავშვები ტიროდნენ, მამა არ წაიყვანოთო... ერთ-ერთმა ე.წ. მხედრიონელმა ჯიბიდან ამოიღო ნამცხვრის ნატეხი და მამა რომანოზის უმცროს ბიჭს გაუწოდა: „აი, ეს ჭამეთ, მამა რად გინდათ...“ (იქვე :5).

მამა რომანოზი გადაიყვანეს წალენჯიხის სკოლა-ინტერნატის შენობაში, სადაც აწამეს და სცემეს. ამ დროს, სხვა ოთახებში, მეტადრე პირველ სართულზე სხვებსაც აწამებდნენ, სროლის ხმაც კი გაისმა... ეკითხებოდნენ, როგორი კაცი იყო პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია და როგორი - ჯაბა იოსელიანი. ამ უკანასკნელზე ორაზროვანი პასუხის გაცემის შემდეგ, ბოროტმოქმედებმა ჰკითხეს მამა რომანოზს, რატომ არ ეახლა წალენჯიხაში მყოფ იოსელიანს და არ მიულოცა მას თანამდებობა, რაზეც სასულიერო პირმა მიუგო, რომ მას შეიარაღებულ ხალხთან არაფერი ესაქმებოდა. ამის გაგონებაზე, მამა რომანოზი სასტიკად სცემეს და მას სამკერდე ჯვარი წაართვეს, დანით წვერი ჩამაოგლიჯეს... თუმცა ე.წ. მხედრიონელთა შორისაც აღმოჩნდა ერთ-ერთი შედარებით შეგნებული და მოძღვარს მალევე დაუბრუნა სამკერდე ჯვარი. მამა რომანოზს დახვრეტა დაუპირეს ინტერნატის ეზოში მდებარე სტადიონზე, თუმცა

საბოლოოდ ვერტმფრენით თბილისში გადაიყვანეს. ვერტმფრენიდან გადაგდებაც კი დაუპირეს, თუმცა ღმერთმა დაიფარა და გადარჩა ამ საშინელებას... თბილისში ჩაყვანისას ცოცხლად დაწვითაც კი ემუქრებოდნენ. თბილისის წინასასწარი დაკავების იზოლატორში მიიყვანეს, სადაც კვლავ სასტიკად აწამეს, მიუხედავად იმისა, რომ სამღვდელო შესამოსლითა და ჯვრით იმყოფებოდა. უსამართლოდ, ტანჯვა-წამებით შეპყრობილ უდანაშაულო მამა რომანოზს იზოლატორში თავი გაუხეთქეს, ჭრილობაში, საიდანაც სისხლი დიდი რაოდენობით მოდიოდა, ერთ-ერთმა ჯალათმა თითები შეჩრა, ცოცხლად უნდა გაგატყავოთო, წვერს აგლეჯდნენ მოძღვარს, ავტომატის ლულითა და რევოლვერის ტარით უმოწყალოდ სცემდნენ, ღრძილებიდან სისხლი სდიოდა... ჯვარი წაართვეს... ტვინის შერყევა დაემართა მოძღვარს და ამგვარ მდგომარეობაში N 8 საკანში მოათავსეს, სადაც თოთხმეტი დღე დაჰყო, შემდეგ N 5 საკანში გადაიყვანეს და იქ ხუთი დღე გააჩერეს. საბოლოოდ ცხრამეტი დღის შემდეგ, უდანაშაულო მღვდელი გაანთავისუფლეს. უფლის მადლით, იგი სასწაულებრივად გადარჩა. არც დაუკითხავს არავის, რადგან იცოდნენ, უდანაშაულო იყო... მამა რომანოზი საპატრიარქოში მივიდა, სადაც კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრა სურდა, თუმცა ეს იმ დღეს ვერ შედგა... მეორე დღეს, ნატანჯი და ნაწამები მოძღვარი წალენჯიხაში დაბრუნდა. სამრეკლო ზარები შემოჰკრა... ღმერთს მადლობდა. ცოლ-შვილიც უვნებელი დახვდა... რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ჩავიდა თბილისში და ამჯერად შეხვდა მის უწმიდესობასა და უნეტარესობას კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რომელმაც მამა რომანოზს თავისი კუთვნილი ჯვარი დაუბრუნა... არავინ იცის, რა გზით, მაგრამ უდანაშაულოდ დაპატიმრებული და ნაწამები მოძღვრის ჯვარი კათოლიკოს-პატრიარქთან მიუბრძანებიათ... სასულიერო პირს წამებისგან ჯანმრთელობა ძლიერ შეერყა და ეპილეფსიის დაავადება შეეყარა. სახეზე ეტყობოდა ნაიარევიც, რომელშიც მწამებლებმა თითები ჩაჩრეს. მამა რომანოზი იხსენებდა: „სასტიკად ნაგვემი, სასოწარკვეთილი და ღონემიხდილი ჩამოვედი გადამწვარ და აწიოკებულ წალენჯიხაში. ეკლესიაში ავედი, ზარები შემოვკარი, დავიჩოქე ხატების წინ. მთელი ღამე ვლოცულობდი და ვტიროდი“ (ჯალაღონია, ფიფია, 2018:9).

1993 წლის 25 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე ორი დღით ადრე, საქართველოს დევნილმა პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ მოილოცა წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძარი. მამა რომანოზი კვლავ სიხარულით შეეგება

ქვეყნის დამოუკიდებლობის აღმდგენელ პრეზიდენტს, საჩუქრად გადასცა მას ბიბლია და დალოცა იგი თავის თანმხლებ პირებთან ერთად. ეს საქციელი, მამა რომანოზის მხრიდან ღმერთისა და სამშობლოს მტკიცე ერთგულებაზე მიუთითებს. იგი ამ წმიდა შემართებაში ვერ გატეხა უმძიმესმა სატანჯველმა და მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ გამსახურდიას ამგვარად მიღების გამო შესაძლოა დამუქრებოდა შეპყრობისა და წამების მორიგი საფრთხე, ის მაინც პირნათლად მოიქცა ღვთისა და ერის წინაშე.

2001 წელს ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსმა (ამჟამად მიტროპოლიტი) გერასიმემ, მღვდელ რომანოზს მიანიჭა დეკანოზის წოდება და დააჯილდოვა ოქროს ჯვრის ტარების უფლებით. დეკანოზი რომანოზი გარდაცვალებამდე გახლდათ წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვარი

დეკანოზი რომანოზი 2005 წლის 20 თებერვალს, მოულოდნელად აღესრულა ორმოცდათექვსმეტი წლის ასაკში. დაკრძალეს ამავე წლის 24 თებერვალს, წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის გალავანში.

2018 წლის 10 სექტემბერს გავიცანით დეკანოზ რომანოზის მეუღლე, ქალბატონი ელენე (ლენა) შუბლაძე-ჩიქობავა, რომელიც წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის მესანთლე გახლავთ.

დეკანოზის ქვრივმა გაიხსენა მამა რომანოზის თავს გადახდენილი უმძიმესი წამება, ტანჯვა, შეპყრობა... ქალბატონი ლენას თანხმობით, მისი საუბრის აუდიოჩანაწერი გავაკეთეთ. მისთვის ახლაც ძალიან მძიმე და ტკივილიანია ოცდაშვიდი წლის წინანდელი ამბების გახსენება და უცრემლოდ ვერ შესძლო საუბარი... „ნახაზი რომ აქვს პიროვნებას და რომ მიდის პირდაპირ საქმეზე, აი ასე მოვიდნენ... საკურთხეველში იარაღის წვერით გადმოაგდეს ტრაპეზიდან სახარება. ახლაც ის სახარებაა ტრაპეზზე“, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში დეკანოზ რომანოზის ქვრივმა.

მან გაიხსენა ის დღე, როდესაც მის მეუღლეს მეორედ დაესხნენ თავს სახლში და წაიყვანეს. ქალბატონმა ლენამ გაგვიმხილა, რომ მამა რომანოზის წაყვანისას, ე.წ. მხედრიონელებს თან ახლდა ერთი ნიღბიანი პიროვნება, რომელზეც დეკანოზის ქვრივი ფიქრობს, რომ იგი იყო წალენჯიხელი, მან იცოდა მოძღვრის საცხოვრებელი სახლი და მოუძღვა შეიარაღებულ ხალხს სასულიერო პირის შესაპყრობად. შესაბამისად, ამიტომ დაიფარა სახე, რადგან ჩიქობავების

ოჯახისთვის ნაცნობი პიროვნება იყო... მამა რომანოზს ჰყოლია ავტომობილი „ზაპოროჟეცი“, რომელიც ეზოში იდგა. ბოროტმოქმედებს ერთმანეთში გადაულაპარაკებიათ, ეს მანქანაც ხომ არ წავიყვანოთო... ერთ-ერთ მათგანს უთქვამს, მამაოს სახლიდან რაიმეს გატანა როგორ შეიძლებაო, რაზეც მოძღვრის მეუღლემ მიუგო: „მამაო ქე მიგყავთ და ეს „ზაპოროჟეცი“ სადაც გინდათ, იქ წაათრიეთ, თუ გამოგადგებათ (სტილი დაცულია).“

გაიხსენა მამა რომანოზის ნათქვამი, რომ იზოლატორში ყოფნისას თითქოს ჩაი შეჰქონდათ პატიმრებთან, მაგრამ რეალურად ეს ყოფილა შეღებილ ქვაბში ადუღებული ჩვეულებრივი წყალი, რომელსაც ჩაის შეფერილობის აღქმას აძლევდა თვით ქვაბის ფერი და არავითარი ჩაი იყო... ქალბატონმა ლენამ გვიამბო, რომ მამა რომანოზთან ერთი საეჭვო ქცევის ადამიანი შესულა საკანში, თითქოს პატიმარი, რომელსაც გამოუკითხავს მოძღვრისთვის, თუ რისთვის იყო დაკავებული, რაზეც სასულიერო პირს სიმართლე უამბნია... ბოლოს გაღებულა საკნის კარი და ეს პატიმარი გაუყვანიათ, მამა რომანოზს კი მისი ხმა შემოსმია, ხომ გითხარით, აქ დიდხანს ვერ დავრჩებიო... სავარაუდოდ, ეს ადამიანი საგანგებოდ შეაგზავნეს ნაწამებ მოძღვართან, თუ რას იტყოდა ის დატრიალებულ ამბებზე, კონკრეტულად ვისი დავალებით ან რა მიზნით შევიდა უცნობი პიროვნება საკანში, ასევე მისი ვინაობა, უცნობია...

ქალბატონმა ლენამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მამა რომანოზის წამებისა და დაკავების შემდეგ ოჯახთან არცერთ სასულიერო პირს ჰქონია კონტაქტი, არავის მოუკითხავს დაპატიმრებული მღვდელი. ერთადერთი, ჭყონდიდის ეპარქიაში (იმჟამად მთელი სამეგრელო ჭყონდიდის ეპარქიის იურისდიქციაში შედიოდა. შენ. ავტ.) მოღვაწე მონაზონი აკეფსიმა მისულა, მოუნახულებია მამა რომანოზის მეუღლე, უნუგეშებია, ტაძარი ერთად დაულაგებიათ და წასულა... ეს იყო და ეს, სხვა არავინ დაინტერესებულა სასულიერო პირთაგან, მამა რომანოზისა და მისი ოჯახის მდგომარეობით. შვილები აფხაზეთში, გალში გადაუყვანია ქალბატონ ლენას, უსაფრთხოების მიზნით... სანამ მამა რომანოზი პატიმრობიდან დაბრუნდებოდა, ორი დღით ადრე ჩამოსულა მისი მეუღლე გალიდან, ისე, რომ მან არ იცოდა, როდის გაათავისუფლებდნენ მოძღვარს და საერთოდ ცოცხალი დაბრუნდებოდა თუ არა იგი...

დეკანოზის ქვრივის თქმით, მამა რომანოზი დაბრუნებიდან დაახლოებით ათი დღის შემდეგ კვლავ ჩავიდა თბილისში მისი მეუღლე და შეხვდა კათოლიკოს-პატრიარქ ილია

მეორეს, რომელსაც უთქვამს მღვდლისთვის: „უშეცდომო მიწიერ ცხოვრებაში არავინ ვართ“ და გადაუცია მამა რომანოზისთვის მისი ჯვარი... მამა რომანოზმა არ იცოდა და არც უკითხავს, თუ რა გზით აღმოჩნდა ეს ჯვარი მის უწმიდესობასა და უნეტარესობასთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან. აღნიშნული ჯვარი, რომელიც მოწმეა მოძღვრის საზარელი წამებისა, დღესდღეობით მამა რომანოზის ოჯახშია დაცული და დაბრძანებული.

ქალბატონმა ლენამ გვითხრა, რომ მამა რომანოზი აღნიშნავდა თავის მწამებელ ჯალათებზე: „არავინ დამიწყევლია, მაინც ვლოცავდი ყველასო...“ (დეკანოზ რომანოზის მეუღლის, ელენე (ლენა) ყიფშიძის 2018 წლის 10 სექტემბრის საუბრის აუდიოჩანაწერი, სადაც ყოველივე აღნიშნულს საუბრობს, ინახება ნაშრომის ავტორთან).

უდანაშაულო სასულიერო პირის - მღვდელ (შემდგომში დეკანოზი) რომანოზის სასტიკი ტანჯვა-წამება და უკანონო პატიმრობა, დღემდე სამართლებრივად პასუხგაუცემელია, ისევე, როგორც მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში, იარაღის გამოყენებით, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობა და შემდგომ, მისი მომხრეების დანაშაულებრივი დევნა.

სამწუხაროდ, სამოქალაქო ქაოსის პირობებში, ეკლესია და მაღალიერარქია კვლავ უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებოდა. პოსტსაბჭოური პერიოდში, ეკლესიისადმი სათანადო დამოკიდებულება არ არსებობდა და ამიტომ, არც მაღალიერარქიას შეეძლო შესაბამისი მოქმედება.

დეკანოზ რომანოზის წამება ერთ-ერთი მტკივნეული გამოწვევაა საქართველოს ეკლესიის უახლეს ისტორიაში, რომელიც სხვა მრავალი პრობლემური საკითხითაა აღსავსე.

მამა რომანოზი ჩუმად, უხმაუროდ წავიდა ამქვეყნიდან, ისე, როგორც ქრისტეს, ეკლესიისა და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანს შეეფერებოდა. წავიდა ისე, რომ მან ამქვეყნად ვერ იპოვა სამართალი და საკუთარ თავს გადახდენილი ტანჯვა-წამების შესახე ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე: რატომ?!

5.2. 1997 წლის მოვლენები საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

1997 წლის მაისში, მორიგი მწვავე დაპირისპირება წარმოიშვა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში. ზოგიერთი მონასტრის მხრიდან დაიწყო მოთხოვნა, რათა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაეტოვებინა ეკლესიათა მსოფლიო საბჭო, რომლის წევრი საქართველოს ეკლესია გახდა 1962 წელს, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ეფრემ მეორის (სიდამონიძე) მამამთავრობისას.

მას შემდეგ, რაც 1917 წელს აღდგა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, საქართველოს ეკლესიისთვის მეტად პრობლემატური საკითხი იყო საერთაშორისო აღიარება. მსოფლიოს სხვა მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ ეკლესიებთან კონტაქტები მხოლოდ წერილობითი სახით შემოიფარგლებოდა. თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭომ, ჯერ კიდევ 1948 წელს გამოაგზავნა საქართველოში წერილი, რომელშიც გამოთქმული იყო სურვილი, რომ საქართველოს ეკლესია გამხდარიყო აღნიშნული ორგანიზაციის წევრი.

1960 წელს საქართველოს საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრდა უწმიდესი და უნეტარესი ეფრემ მეორე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ეფრემ მეორემ გაანალიზა საქართველოს ეკლესიის საერთაშორისო მდგომარეობა და აღნიშნულის კვალობაზე, 1962 წლის 4 მაისს, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს სახელზე გაგზავნილ წერილში ოფიციალურად განაცხადა თანხმობა, ხსენებულ ორგანიზაციაში, საქართველოს ეკლესიის გაწევრიანებაზე. ამავე წელს, კათოლიკოს-პატრიარქი ეფრემ მეორე მოხსენებით წარსდგა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს კონფერენციაზე, სადაც ვრცლად მიმოიხილა ჩვენი სამშობლოს ისტორია და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია. საქართველოს ეკლესიის ხმა გაისმა საერთაშორისო არენაზე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფი, დამოუკიდებლობაწართმეული ჩვენი ქვეყანა, ეკლესიის სახით, მსოფლიო საზოგადოების წინაშე გავიდა, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი, რაც მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობა საქართველოს ეკლესიამ აქტიურად გააგრძელა უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დავით

მეხუთის (დევდარიანი) მამამთავრობისას. 1978-1983 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი. ამ პერიოდში განხორციელდა არაერთი უცხოელი მაღალი რანგის სტუმრის ვიზიტები საქართველოში. მაგ: 1980 წლის 15-18 სექტემბერს საქართველოში იმყოფებოდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციის გენერალური მდივანი, დოქტორი გლენ ვილიამსი. ასევე ამავე წლის 26-29 სექტემბერს თბილისში არაოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ავსტრიის ეპისკოპოსთა კონფერენციის პრეზიდენტი, ქალაქ ვენისა და სამეფო სასახლის მთავარეპისკოპოსი, კარდინალი ფრანც კიონიგი თანმხლებ დელეგაციასთან ერთად. კარდინალმა აღნიშნა: „ამ სამი დღის განმავლობაში, რომელიც საქართველოში უნდა გავატაროთ, შესაძლებლობა გვექნება უფრო კარგად გავიცნოთ სიცოცხლით აღსავსე თანამედროვეობაცა და სახელოვანი წარსულიც ქართველი ხალხისა და მისი ეკლესიისა“ („ჯვარი ვაზისა, N2, 1980:47).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ამ ორგანიზაციის წევრი იყო 1997 წლამდე, როდესაც მონასტრების უმრავლესობამ მოითხოვა, რომ ჩვენი ეკლესია გამოსულიყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. ვითარება მეტად გართულდა და საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია, დიდი განხეთქილების რეალური საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

დაიწყო მეტად არასახარბიელო და ეკლესიისათვის დამაზიანებელი პროცესი... პრესაში იბეჭდებოდა მონასტრებისა და მათი წინამძღვრების წერილები, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავართან და წმიდა სინოდთან.

„შიომღვიმის მონასტერი წყვეტს ევქარისტიულ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ეკუმენისტური მწვალებლობის გამო. მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი, არქიმანდიტი იოანე, მღვდელი ნიკოლოზი, ბერი კირიონი, მორჩილი ბესარიონი, მორჩილი გურამი.

ბეთანიის მონასტერი წყვეტს ევქარისტიულ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ეკუმენისტური მწვალებლობის გამო. მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი ანგია, ბერი ევტიქი, ბერი გაბრიელი.

დავითგარეჯის ლავრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა გრიგოლმა გაწყვიტა ევქარისტიული კავშირი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ეკუმენისტური მწვალებლობის გამო და გადადგა წინამძღვრობიდან“ („დილის გაზეთი“, N 94, 1997:14).

მათ გამოაქვეყნეს „ღია წერილი პატრიარქს“, სადაც თექვსმეტ პუნქტად ჩამოაყალიბეს თავიანთი მოთხოვნები. ისინი წერდნენ: „ეკუმენიზმი მწვალებლობაა! ეს უკვე სრულიად უეჭველია. მეტიც: ეკუმენიზმი წვალებათა წვალებაა. ამ ერესთა ნაკრებიდან ყველაზე თვალსაჩინოა ეკუმენიზმის ეკლესიოლოგიური ერესი. იგი უარყოფს მართლმადიდებლური მრწამსის მე-9 წევრს და ამბობს, რომ დღესდღეობით არ არსებობს „ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“. „ეკლესიათა მსოფლიო საბჭო“, რომელიც უკვე თავისი დასახელებით („ეკლესიათა“) და თავისი „განშტოებათა თეორიით უარყოფს ეკლესიის ერთადერთობის დოგმატს, ქადაგებს და ახორციელებს რელიგიურ პლურალიზმს, ანუ ერესს. მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მწვალებლური საბჭოს წევრია, უკვე თვითონაც ერეტიკული ხდება, როგორც ამ კრებულის მწვალებლური ქადაგების და მთელი მისი მოღვაწეობის მონაწილე... საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია (თავისი უმაღლესი იერარქების წარმომადგენლობით), ამ მწვალებელთა საბჭოს წევრია და ამიტომ თვითონაც ერეტიკულ ნიშან-თვისებებს იძენს... მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ ორნაირად შეიძლება: ან ეკლესიამ უნდა მოიშოროს მწვალებლობა, ანდა ცხონების მაძიებელმა უნდა დატოვოს უსჯულოთა კრებული. ეკლესიიდან ეკუმენური მწვალებლობის მოშორება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ „ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან“ გამოსვლით - სხვა გზა არ არსებობს. ასეთი გამოსვლა უნდა მოხდეს მხოლოდ უმაღლესი იერარქებით მეშვეობით...“ (იქვე :14).

პრესაში ასევე გამოქვეყნდა „ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს“, სადაც აღნიშნულია: „გაცნობებთ, რომ ამა წლის (1997 წელი. შენ. ავტ.) ბრწყინვალე შვიდეულში შევწყვიტეთ ევქარისტიული კავშირი საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის პატრიარქთან. ამ უკიდურესი ნაბიჯის გადადგმა გვაიძულა მართლმადიდებლური რელიგიური გრძნობისთვის სრულიად უცხო სულიერი პროცესების დამკვიდრებამ საქართველოს ეკლესიაში, რაც 1961-1962 წლების შემდეგ სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა,

ხოლო მოცემულ პერიოდში უკიდურეს ზღვარს მიაღწია... ზემოთხსენებული მოძრაობა თავისი მასშტაბებით, მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილს მოიცავს. ამდენად, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელ კერძო მოვლენად, რის გამოც ცხადია, რომ ჩვენი მოქმედება არავითარ შემთხვევაში არ არის მიმართული ამჟამინდელი პატრიარქის ან სხვა საერო თუ სასულიერო პირის წინააღმდეგ და მიზნად არ ისახავს მათ პიროვნულ დისკრედიტაციას, არამედ, იგი ნაკარნახევია მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მოძღვრების ისტორიული სახის დაუზიანებლად შენარჩუნების სურვილით... ჩვენ კარგად ვგრძნობთ იმ დაძაბულ სოციალურ-პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც დღეს საქართველოშია, რის გამოც ყოვლისმხრივ ვცდილობთ, მხოლოდ რელიგიური მოტივით ნაკარნახევი ჩვენი ქმედება ვერავინ შეძლოს რაიმე ანტისახელმწიფოებრივი თუ ანტისაზოგადოებრივი მიზნებისთვის გამოიყენოს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია საპარლამენტო მცირე დროებითი კომისიის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლებას შეეძლება ჩვენი ნებისმიერი ნაბიჯის გაკონტროლება. ამასთან, მზად ვართ გულწრფელი და ამომწურავი პასუხი გავცეთ ხელისუფლების ნებისმიერ კითხვას... აგრეთვე, მართლმადიდებლური შემწყნარებლობიდან გამომდინარე, არ ვაპირებთ ვინმეს მოვუწოდოთ სხვა კონფესიის მაღიარებელ კონკრეტულ პირთა წინააღმდეგ...

უშუალოდ ბატონ პრეზიდენტს ვთხოვთ! გამოიყენოს თავისი ავტორიტეტი, რათა საპატრიარქოს მიერ ჩვენს მიმართ გამოყენებული ზომები თანხმობაში იყოს, როგორც საზოგადოებაში დამკვიდრებულ სამართლებრივ ნორმებთან, ასევე ქრისტიანულ ზნეობრივ პრინციპებთან. რიცხობრივი თვალსაზრისით, ვართ რა უმცირესობაში, ჩვენი ადამიანური უფლებების დაცვა ხელს შეუწყობს სახელმწიფოს მიერ დეკლარირებული დემოკრატიის ავტორიტეტის ზრდას...

დასასრულს დავძენთ, რომ ჩვენი მოკრძალებული თხოვნაა - დაგვეხმარეთ შევინარჩუნოთ მონასტრის მართლმადიდებლური სული და ამქვეყნად უხმაუროდ გავიაროთ ჩვენი ბერული ასპარეზი. შიომღვიმის მონასტერი: მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გიორგი, არქიმანდრიტი იოანე, მღვდელი ნიკოლოზი, ბერი კირიონი, მორჩილი ბესარიონი, მორჩილი გურამი, მონასტრის მრევლთან ერთად. ბეთანიის მონასტერი: მონასტრის წინამძღვარი

მღვდელ-მონაზონი ანგია, ბერი ევტიქი, ბერი გაბრიელი. დავითგარეჯის ლავრა: ლავრის წინამძღვარი არქიმანდრიტი გრიგოლი, მორჩილი ზურაბი“ (იქვე :14).

წარმოდგენილი ორივე ღია წერილი, როგორც კათოლიკოს-პატრიარქისადმი, ისე საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისადმი ცხადყოფს, რომ ავტორები საკმაოდ მომზადებულნი იყვნენ, საკუთარი პიროვნული რესურსით დაეცვათ თავიანთი მოთხოვნა. ამასთანავე, მათ გონივრულად, თადარიგიც კი დაიჭირეს სახელმწიფოს წინაშე და თავი დაიზღვიეს მოსალოდნელი ბრალდებებისგან, თითქოს ისინი ქვეყანაში, სამოქალაქო დესტაბილიზაციას უწყობდნენ ხელს და ამისთვის, უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძესაც კი მიმართეს... საფიქრებელია, რომ ისინი გარკვეული დროის განმავლობაში ემზადებოდნენ პროცესის დასაწყებად და ამისათვის შესაბამისად მოემზადნენ კიდევაც საინფორმაციო-შემეცნებითი კუთხით. ვითარება კიდევ მეტად რთულდებოდა და გამწვავების პიკისკენ მიიწევდა...

საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „მე, როგორც ჭეშმარიტ მორწმუნეს, მჯერა, რომ ეკლესიაში გათიშვა არ მოხდება და საქართველოს პატრიარქი ბრძნულ გადაწყვეტილებას მიიღებს“ („დილის გაზეთი“, N 95, 1997:1).

ცხადია, შექმნილ მძიმე ვითარებაში, საქართველოს საპატრიარქო უმოქმედოდ ვერ გაჩერდებოდა. ზემოთხსენებულ მონასტერთა მიერ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის გამო, საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრმა გააკეთა განცხადება: „შიომღვიმის, ბეთანიისა და დავით გარეჯელის მამათა მონასტრების წინამძღვრებმა და მონასტრის ზოგიერთმა წევრმა (ხელმომწერთა შორის თერთმეტი ადამიანია) განაცხადეს, რომ შეწყვიტეს ევქარისტიული კავშირი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან და საქართველოს ეკლესიასთან. აგრეთვე, მათ შეწყვიტეს ევქარისტიული კავშირი მსოფლიო საპატრიარქოსთან, მოსკოვის საპატრიარქოსთან და თითქმის ყველა მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიასთან მწვალებლობის უსაფუძვლო ბრალდებით, რადგან ისინი არიან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრები.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით 20 მაისს გაიმართება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველობის უმაღლესი ორგანოს - წმიდა სინოდის კრება, რომელიც განიხილავს ამ სამწუხარო ფაქტს.

ევქარისტიული კავშირის გაწყვეტა მართლმადიდებელ ეკლესიასთან ნიშნავს განხეთქილების (ბერძ. „სქიზმის“, რუს. „რასკოლის“) ჩადენას. განხეთქილების მოქმედი განეშორება ღვთის მადლსა და ეკლესიას.

საქართველოს საპატრიარქო გამოთქვამს მწუხარებას მომხდარი ფაქტის გამო და მოუწოდებს მათ სინანულისაკენ. დეკანოზი ბასილ კობახიძე, საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი” („დილის გაზეთი“, N 95, 1997 :3).

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის მოწვევა, შექმნილ საგანგაშო ვითარებაში, მართებული გადაწყვეტილება იყო. სხდომას თავისი გონივრული გადაწყვეტილებით, საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია უნდა ეხსნა განყოფისაგან. მითუმეტეს, რომ ქვეყანაში შექმნილი იყო უმძიმესი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და ფაქტობრივად, ჩამოშლილი სახელმწიფოს ფონზე, ეკლესია რჩებოდა ერთადერთ იმედად ქვეყანაში და ასევე დაქსაქსული, გათითოკაცებული ჩვენი ხალხის კონსოლიდაციის ერთადერთ სივრცედ. ამ სიტუაციაში, კიდევ უფრო იზრდებოდა პასუხისმგებლობა...

წმიდა სინოდის სხდომის დღეს, პრესაში კვლავ გამოქვეყნდა კიდევ ერთი წერილი ბეთანიის მონასტრის საძმოს სახელით. წერილში ვკითხულობთ: „ადგილობრივი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მონაწილეობა მწვალებლურ ეკუმენისტურ მოძრაობაში და მათი წევრობა ერეტიკულ ეგრეთ წოდებულ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში სავალალო და შემაძრწუნებელი მოვლენაა, რომელიც უკვე კარგა ხანია დაბრკოლების მიზეზად, საფრთხედ და საცდურად ექცა ცხონების მრავალ ჭეშმარიტ მსურველს. „მართლმადიდებელი“ ეკუმენისტები ფიქრობენ და არა მარტო ფიქრობენ, არამედ ქადაგებენ კიდეც, რომ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში მონაწილეობა აუცილებელია ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესიებისთვის ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური იზოლაციისაგან თავდასაღწევად... ეკუმენისტური მწვალებლობა თავისი ხასიათით ეკლესიოლოგიური ერესია. იგი მწვალებლობათა მწვალებლობაა, რადგან მიიჩნევს, რომ არ

არსებობს ერთი, წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია და მიზნად ისახავს, რომ სხვადასხვა ერეტიკული საკრებულოები ერთ ინტერკონფესიონალურ, პლურალისტურ და ადოგმატურ კონგლომერატად გადააქციოს და ამ მოძრაობაში მონაწილეობა, რომლის ანტიქრისტიანული მიზნები და მეთოდები აშკარაა, შეგნებული ღალატია მართლმადიდებლობისა, რადგან ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პროტესტანტი „ღვთისმეტყველნი“ ეკუმენიზმის ჭაობში ჩათრეული „მართლმადიდებელი“ იერარქებისგან ნიადაგ მოითხოვენ კომპრომისებს... ეკუმენიზმში მონაწილეობის შედეგია ისიც, რომ საქართველოში დაუბრკოლებლად იჭრება ათასგვარი მწვალებლური სექტა. მაგალითად: იეღოველებისა, ბაპტისტებისა, კრიშნაიდებისა, ადვენტისტებისა, ხსნის არმიისა და სხვა...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე განვაცხადებთ: გვწამს რა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიის სიწმიდე და ერთადერთობა და დაუშვებლად მივიჩნევთ რა მართლმადიდებლური ჭეშმარიტების შერყვნას ეკუმენისტური მწვალებლობის სიბილწით, ღვთისა და ღვთის მორწმუნე ერის წინაშე ვაღიარებთ: ჭეშარიტებასა და სიცრუეს შორის არაფერია საერთო და ეკლესიის საქმე ვერასდროს გადაწყდება კომპრომისების გზით (წმ. მარკოზ ეფესელი). ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ ეკუმენისტები და ლიტურგიკული ერთობა ვიქონიოთ მათთან, რადგან ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები.

თუკი საქართველოს ეკლესიას სურს მოიშოროს თავიდან ეკუმენისტური წვალება, მან უნდა შეაჩვენოს იგი და დაუყონებლივ გამოვიდეს ეგრეთ წოდებული ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ბეთანიის მამათა მონასტერი წყვეტს ევქარისტიულ კავშირს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, ეკუმენისტური მწვალებლობის გამო. მონასტრის წინამძღვარი, მღვდელ-მონაზონი ანგია, ბერი ევტიქი, ბერი გაბრიელი, მორჩილი მამუკა, მორჩილი კახაბერი” (იქვე :3).

აგრეთვე, განცხადება გააკეთა შემოქმედის ეპარქიის ორმა მონასტერმა. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდს

უწმიდესო მეუფეო, ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, დიდის მოკრძალებით გვინდა გაცნობოთ, რომ შემოქმედის ეპარქიის მმართველის, ყოვლადუსამღვდელოესის იოსების ლოცვა-კურთხევით, წლეულს 6 (19) მაისს გაიმართა გურიის სამღვდელოების კრება,

რათა განგვეხილა დედაეკლესიის წიაღში შექმნილი მდგომარეობა - კერძოდ, შიომღვიმის, ბეთანიისა და დავითგარეჯის წმიდა მონასტერთა ძმათა განცხადებანი.

უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დასერავთ ქრისტეს ეკლესიას განხეთქილებით და ღვთის სიყვარულის გამო გამოვიდეთ მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან.

წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი გულისტკივილით გვინდა გაცნობოთ, რომ ჩვენც ვუერთდებით ხმას, აღნიშნულ ძმობათა აზრს ევქარისიტიული კავშირის გაწყვეტის შესახებ. შემოქმედის წმიდა ნიკოლოზის მონასტრის წინამძღვარი: არქიმანდრიტი ნიკოლოზი; ჯიხეთის დედათა მონასტრის წინამძღვარი: არქიმანდრიტი ანდრია“ („დილის გაზეთი“, N96, 1997:3).

ამ წერილზე არქიმანდრიტ ანდრიას მიერ ხელმოწერის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრი იტყობინებოდა: „ერთ-ერთ ცილისმწამებლურ განცხადებაში ფიგურირებს ჯიხეთის მონასტრის წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას სახელი. აღსანიშნავია, რომ ამ განცხადებაზე მას ხელი არ მოუწერია და მისი სახელი მისივე ნებართვის გარეშე იქნა გამოყენებული“ (კობახიძე, 1997:20).

ამგვარ დაძაბულ ვითარებაში, 1997 წლის 20 მაისს, საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ხოლო მდივანი იყო ყოვლადუსამღვდელოესი ფოთის ეპისკოპოსი (ამჟამად ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი) გრიგოლი (ბერბიჭაშვილი). კრებაზე, რომელიც დაახლოებით ხუთ საათს გაგრძელდა, ორი ძირითადი საკითხი განიხილებოდა: 1. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოში საქართველოს ეკლესიის წევრობის შემდგომი გაგრძელების მიზანშეწონილობა; 2. შიომღვიმის, ბეთანიისა და დავითგარეჯის მონასტერთა წევრების განცხადებები საქართველოს ეკლესიასთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან და აგრეთვე სხვა საპატრიარქოებთან ევქარისტიული კავშირის გაწყვეტის შესახებ.

სხდომის დროითი ხანგრძლივობის მიხედვით აშკარაა, რომ ეკლესიისთვის მეტად საჭირბოროტო საკითხი იხილებოდა, რომელიც პირდაპირ კავშირში იყო საქართველოს ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნებასთან. სხდომის მიმდინარეობის პარალელურად,

საპატრიარქო რეზიდენციის შენობასთან მათი მხარდამჭერები შეიკრიბნენ. მათთან ერთად იყვნენ მედიის წარმომადგენლები, რომლებიც ელოდნენ წმიდა სინოდის განჩინებას ესოდენ უმნიშვნელოვანეს საკითხზე.

წმიდა სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ, საპატრიარქოში მიიწვიეს საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, რომლებსაც სინოდის გადაწყვეტილება გააცნო სხდომის მდივანმა, ფოთის ეპისკოპოსმა (ამჟამად ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი) გრიგოლმა: „1962 წელს საქართველო გახდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრი. 1979 წელს კი გაწევრიანდა ევროპის ეკლესიათა კონფერენციაში. უკანასკნელ ხანს ეკლესიათა მსოფლიო საბჭო ცდილობს, მიანიჭოს ეკლესიოლოგიური ხასიათი თავად ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს, რაც ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის მრწამსს. ამ ეკუმენისტურ ორგანიზაციაში ნაკლებად არის გათვალისწინებული მართლმადიდებლური ეკლესიის ინტერესები, ამიტომ 1995 წლის სექტემბერში, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე გამოითქვა აზრი ეკუმენისტური მოძრაობიდან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შესაძლო გამოსვლის შესახებ. წმიდა სინოდმა გაითვალისწინა ყოველივე ზემოთქმული და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე განაჩინა: „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უარს ამბობს ეკუმენისტურ მოძრაობაში მონაწილეობაზე და გამოდის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან“ (ვარდოსანიძე, 2011:167).

წმიდა სინოდის აღნიშნული განჩინება იყო ისტორიული მნიშვნელობისა, რომელმაც განხეთქილებისაგან იხსნა საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ და წმიდა სინოდის წევრმა მღვდელმთავრებმა, ერთობლივად გადადგეს მეტად ბრძნული და გონივრული ნაბიჯი და მიიღეს ქვეყნისა და ეკლესიის საკეთილდღეო გადაწყვეტილება. ამასთანავე, ამ გადაწყვეტილებით, ჩვენს ქვეყანაში თავიდან იქნა აცილებული გარეული, უცხოეთიდან მართული სქიზმატური დაჯგუფებების თარეში, რომლებიც უკეთუ საქართველოს ეკლესიაში მოხდებოდა მასობრივი განხეთქილებები, მყისიერად შემოიჭრებოდნენ ჩვენს სამშობლოში და საქართველოს ეკლესიასთან გულმწყრალად მყოფ სასულიერო თუ საერო პირებს სხვადასხვა დაპირებებით, საკუთარ დაქვემდებარებაში მიიღებდნენ და შესაბამისად საქართველოში

საეკლესიო კუთხით დამყარდებოდა სრულიად ქაოსური და დემორალიზებული ვითარება. საქართველოს ეკლესიის წინაშე აზვირთებული ეს ურთულესი გამოწვევა, რასაც მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლის მოთხოვნა წარმოადგენდა, აბსოლუტურად მართებული გადაწყვეტილებით ჩაცხრა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებას ჰქონდა ნეგატიური მხარეც. საქართველოს ეკლესიას 1997 წლიდან აღარ გააჩნია განსხვავებული აღმსარებლობის მიმდინარეობებთან იმგვარი მჭიდრო და ხშირი ურთიერთობები, რაც მანამდე არსებობდა. ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ტრიბუნა იყო საქართველოს სამოციქულო ეკლესიისა და მაშასადამე საქართველოსათვის, საერთაშორისო რელიგიურ, პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ არენაზე ჩვენი პოზიციისა და ამავდროულად პრობლემების გახმოვანების მნიშვნელოვანი საშუალება.

ამასთანავე, წმიდა სინოდმა იმსჯელა იმ სასულიერო და საერო პირთა შესახებ, რომლებმაც ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობის მიზეზით გაწყვიტეს საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი. წმიდა სინოდის განჩინებით მონასტრების წინამძღვრობიდან გათავისუფლდნენ და მღვდელმოქმედება აეკრძალათ: შიომღვიმის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გიორგის (ბარიშვილი); დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გრიგოლს (კობახიძე); ბეთანიის მონასტრის წინამძღვარს, მღვდელ-მონაზონ ანგიას (ჩოხელი); ზარზმის მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ გიორგის (ხაბეიშვილი). აგრეთვე, მღვდელმოქმედება აეკრძალათ საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირის გამწყვეტ სხვა სასულიერო პირებს, ხოლო იგივე ჩამდენის მოქმედ ბერებსა და მორჩილებს აეკრძალათ წმიდა ზიარების მიღება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა, აღნიშნულ პირებს მოუწოდა სინანულისაკენ, ხოლო მოუნანიებლობის შემთხვევაში, მათ დაედებოდათ საეკლესიო სამართლიდან მომდინარე, შემდგომი სათანადო სასჯელი.

ზემოთ აღნიშნული მონასტრების წინამძღვრებმა, მიუხედავად სასჯელისა, მადლობა გადაუხადეს სრულიად საქათველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. ამის შესახებ, „დილის გაზეთში“ დაიბეჭდა თეიმურაზ დედაბრიშვილის წერილი „მართლმადიდებლობის ზეიმი“, სადაც ვკითხულობთ: „ეს მნიშვნელოვანი ფაქტი (იგულისხმება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოსა და ევროპის ეკლესიათა კონფერენციიდან საქართველოს მართლმადიდებელი

ეკლესიის გამოსვლა. შენ. ავტ.) მომავალში თავის დადებით შედეგებს აუცილებლად გამოიღებს და იგი სასიკეთოდ დააჩნდება მთელი ერის სულიერ ცხოვრებას.

შიომღვიმის, ბეთანიის, ზარზმის, შემოქმედის მონასტრის წინამძღვრებმა მთხოვეს, „დილის გაზეთის“ მეშვეობით, მათი ხელით გულწრფელი მადლობა გადავუხადო მის უწმიდესობას კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს, რომელმაც გუშინდელ სხდომაზე ბევრი იღვაწა, რათა ეკუმენიზმის ანტიმართლმადიდებლური მოძრაობიდან გამოსასვლელად ერთობლივი თანხმობისთვის მიეღწია. ამ უკიდურესად საჭირო გადაწყვეტილების მიღების გამო, ზემოთხსენებული ბერების თანამდგომი მრევლიც მადლობას ვუხდით მის უწმიდესობას.

ცხადია, სიკეთე არავის უნდა დაეკარგოს. ყველა კეთილისმოქმედი ჯეროვანი პატივის ღირსია. ვფიქრობ, რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტას სათანადო კეთილისმყოფელი ფონი ბატონ პრეზიდენტის ოფიციალურმა განცხადებამაც შეუქმნა...

აქვე ხაზგასმით არის აღსანიშნი, რომ მართლმადიდებლობის დღევანდელი გამარჯვებისათვის მოშურნე მართლმადიდებელნი თოთხმეტ წელიწადზე მეტი მუხლჩაუხრელად იღვწოდნენ. განსაკუთრებით კი ზემოთ აღნიშნული მონასტრის ბერები, რომლებმაც ამ ერთი კვირის წინ კანონიკურად გამართლებულ უკიდურეს ზომებსაც მიმართეს. თუმცა მართლმადიდებელთა ახლანდელ ზეიმს მწუხარებაც ახლავს თან; ის საუკეთესო მღვდელ-მონაზვნები, რომელნიც ყველაზე მეტი მონდომებით ითხოვდნენ ეკუმენიზმისგან განდგომას, ეკუმენიზმიდან გამოსვლის შემდეგ, დაისაჯნენ. ცხადია, რომ დღევანდელი საერთო საზეიმო განწყობილების ფონზე ამ უცნაური ფაქტის კომენტარისაგან თავს შევიკავებთ. მით უმეტეს, თვით დასჯილი მღვდელ-მონაზვნები რაიმე წყენის ნიშანწყალსაც არ ავლენენ, რადგანაც უმთავრესი - ეკუმენიზმის დემონი, ფორმალურად მაინც გაგდებულია საქართველოდან” („დილის გაზეთი“, N 96, 1997:3).

ზემოთ აღნიშნულ სასულიერო პირთა შესაბამისი საეკლესიო სასჯელით დასჯის შესახებ, კომენტარი გააკეთა საქართველოს საპატრიარქოს პრეს-ცენტრის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა ბასილ კობახიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ხსენებული სასულიერო პირები არ განუკვეთავთ, არამედ მღვდელმოქმედება აეკრძალათ, რადგან „პირდაპირ ევქარისტიის გაწყვეტა სქიზმაა, ანუ ეკლესიაში განხეთქილების შემოტანა“ („დილის გაზეთი“, N 96, 1997:16). მან გამოთქვა

იმედი, რომ დასჯილი სასულიერო პირები შეინანებდნენ თავიანთ ქმედებას - ევქარისტიული კავშირის გაწყვეტას საქართველოს ეკლესიასთან და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან...

მოვლენის მნიშვნელობიდან გამომდინარე, იმდენად დიდი იყო სიხარული დასჯილი სასულიერო პირებისთვის, რომ მათ წინააღმდეგ გამოტანილ სასჯელს არ მოუტანია მათთვის მწუხარება...

1997 წელს საქართველოს საპატრიარქოს პრესცენტრის ხელმძღვანელი წერდა: „...რა მიზნები აქვთ ცილისმწამებლებს?! მათი მიზანია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის, საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებისა და საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტის დაცემა; მათი მიზანია საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობლის დამხობა საპატრიარქო ტახტიდან; მათი მიზანია ცალკე საკრებულოს შექმნა, რომელსაც ისინი „ეკლესიას“ უწოდებენ; მათი მიზანია თავისი ავადმყოფური ამბიციების დაკმაყოფილება... ცილისმწამებლები აცხადებენ, რომ თითქოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უარყოფდეს მართლმადიდებლური მრწამსის მეცხრე წევრს და ამბობდეს, რომ „დღესდღეობით არ არსებობს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“.

უწმიდესი და უნეტარესი ილია მეორე 1983 წლის საახალწლო ეპისტოლეში წერს: „ვინ შეიძლება ეკუთვნოდეს ქრისტეს ეკლესიას? ის, ვისაც სწორად სწამს და აღიარებას წმ. სამებას; ვინც მიიღო საიდუმლო ნათლისღებისა, ვინც შეერთებულია ღმერთთან და მოყვასთან სიყვარულით, ემორჩილება და აღასრულებს სჯულის კანონებს, ვინც ღებულობს ტაძარში შესრულებულ საიდუმლოთა, რომელნიც აღესრულებიან სამღვდელოების მიერ წმ. მოციქულთაგან მიღებული მადლით.“ მისი უწმიდესობა ბრწყინვალე და ამავე დროს სადა საღვთისმეტყველო ენით განმარტავს, თუ რას ნიშნავს „ერთი, წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, რას წარმოადგენს ეკლესიის წევრი პიროვნება და რა მოჰყვება ეკლესიისგან განდგომას...

ცილისმწამებლები საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალურ სამოციქულო ეკლესიას ერეტიკული ნიშან-თვისებების მატარებლად წარმოადგენენ. ამბობენ, რომ საქართველოს ეკლესიამ მწვალებლობა მიიღო თავის წიაღში და მისი წევრების სულის გადარჩენას სათუოდ ხდიან. საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ძველი აღთქმის

სოდომთან აიგივებენ, ხოლო თავის თავს - მართალი ლოთის ოჯახთან. აცხადებენ, რომ მათი გასვლით საქართველოს ეკლესიამ დაჰკარგა სული წმიდის მადლი. კანონისტ იოანე ზონარას დემაგოგიური მოშველიებით აცხადებენ, რომ თითქოს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე არ ეთანხმება მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლებას და ამახინჯებს მას. აგრეთვე ცილისმწამებლურად იყენებენ კონსტანტინეპოლის წმ. დიდი კრების მეთხუთმეტე კანონს, რომელიც ამბობს, რომ „თუ მღვდელმთავარი საჯაროდ ქადაგებს და აშკარად ასწავლის ეკლესიაში მწვალებლობას, მართლმადიდებელი უნდა განეშოროს მას, რადგან ასეთი მღვდელმთავარი „ცრუეპისკოპოსი და ცრუმოძღვარია“.

ყოველი ბრალდება წარმოადგენს აბსოლუტურ ცილისწამებას და განცხადების ყოველი სიტყვა გაჟღენთილია სიცრუითა და სატანური ამპარტავნებით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთელი ცხოვრება აშკარად წარმოაჩენს განცხადებებში გამოთქმული ბრალდებების სიყალბეს“ (კობახიძე,1997:1-3).

აღნიშნული საეკლესიო ამბოხის ერთ-ერთი მთავარი მოთავე და იდეოლოგი, არქიმანდრიტი იოანე (შეყლაშვილი) კატეგორიულად მოითხოვდა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას გაეწყვიტა ევქარისტიული კავშირი კონსტანტინეპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმის საპატრიარქოსა და ყველა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან. არქიმანდრიტი იოანე, ამ მოთხოვნის მიზეზად ასახელებდა, რომ აღნიშნული ეკლესიები მონაწილეობენ ეკუმენიზმის მწვალებლობაში.

არქიმანდრიტი იოანე დაუკავშირდა საბერძნეთში არსებული ერთ-ერთი სქიზმატური დაჯგუფების „ეპისკოპოს“ ამბროსის, რომელიც თავის მხრივ შეხვდა მამა იოანესა და მის მომხრე სხვა სასულიერო პირებს და შეჰპირდა შეხვედრის მონაწილე ქართველ მღვდელმსახურებს, რომ მათ შესახებ იმსჯელებდა საბერძნეთის „წმიდა სინოდი“. აღვნიშნავთ, რომ საბერძნეთში არსებობს ერთადერთი კანონიკური ეკლესია - ელადის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია - ათენის სამთავარეპისკოპოსო (ამჟამინდელი მეთაური: უნეტარესი სრულიად ელადისა და ათენის მთავარეპისკოპოსი იერონიმე მეორე), ხოლო „ეპისკოპოსი“ ამბროსი მიეკუთვნებოდა თვითმარქვია დაჯგუფებას, რომელსაც

მეთაურობდა „მიტროპოლიტი“ კვიპრიანე. ეს იურისდიქცია არ არის კანონიკური ეკლესია, არამედ წარმოადგენს არამადლმოსილ დაჯგუფებას, ანუ სქიზმას, რომელსაც, შესაბამისად, არავითარი რეალური საეკლესიო ძალაუფლება გააჩნია. აქვე შევნიშნავთ, რომ ვერც საბერძნეთის კანონიკური ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია განიხილავდა არქიმანდრიტ იოანესა და მისი თანამზახველი სასულიერო პირების საკითხს, რადგან ისინი გახლდნენ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციაში, რომლისგანაც განკანონდნენ მათი ანტიეკლესიური ქმედებების გამო, ხოლო ავტოკეფალურ ეკლესიას არ გააჩნია უფლება, რაიმე მხრივ ჩაერიოს სხვა ავტოკეფალური ეკლესიის შიდა საქმეებში, ან განიხილოს მის მიერ განკანონებულ სასულიერო პირთა საკითხი. შესაბამისად, „ეპისკოპოს“ ამბროსის დაპირება იყო ყალბი და არარეალური, რასაც სიხარულით ავრცელებდნენ არქიმანდრიტი იოანე და მისი თანამოაზრენი, რომლებიც ასევე აცხადებდნენ, რომ მათ მხარდაჭერა გააჩნდათ ათონის წმიდა მთიდანაც და აგრეთვე იუწყებოდნენ, რომ საქართველოს ეკლესიის მიერ ემს დატოვების გამო, იერუსალიმში, მაცხოვრის წმიდა საფლავზე ღვთაებრივი ცეცხლი გადმოვიდა...

იმ ფაქტის შესახებ, თითქოს ქართველ მეამბოხე სასულიერო პირებს მხარს უჭერდნენ ათონელი მოღვაწეები, 1997 წლის 18 ივნისს, ათონის წმიდა მთის განმგებლობამ წერილით მიმართა უწმიდესსა და უნეტარესს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს. წერილში ვკითხულობთ: „თქვენს უნეტარესობას, შვილებრივ და მოწიწებით უფლის მიერ გაუწყებთ, რომ მოაღწია ჩვენამდე სამწუხარო ცნობებმა თქვენდამი რწმუნებულ ღირსეულ ტახტის უფლებამოსილებათა ფარგლებში ვითომდა ფილისა და ატიკის ეპისკოპოს კვიპრიანეს უკანონო მოქმედებათა თაობაზე, რომ მან უკვე დაიყოლია თქვენი სამონასტრო ძმობის ნაწილი თქვენდამი რწმუნებულ საქართველოს ეკლესიასთან ზიარების შეწყვეტაზე და სხვათა შორის, ვითომდა წმიდა მთის მხარდაჭერასაც იმოწმებს. ჩვენ მოვალედ მივიჩნევთ თავს, რათა წმიდა მთის ამ ბეჭდით დამოწმებული ჩვენი წერილით ღრმა მწუხარებით, გულისტკივილითა და აღშფოთებით გაუწყოთ: ზემოაღნიშნულ ეპისკოპოსს არა აქვს არავითარი საეკლესიო კავშირი წმიდა მთასთან. იგი სქიზმატურად არის გამოყოფილი საბერძნეთის უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიისგან. ჩვენ გაუწყებთ, რომ ამ თემას

ყურადღებით გაითვალისწინებს წმ. მთის ძმობა და მასზე თქვენ უფრო ვრცლად წერილობით გაცნობებთ.

ამასთანავე გამოვხატავთ ჩვენს თანაგრძნობას და გიცხადებთ თანადგომას ამ თქვენთვის მძიმე განსაცდელის ჟამს, თქვენ, ღვთივდაცული თქვენი ეკლესიის სამწყსოს. შევთხოვთ თქვენს უნეტარესობას ღვთივშთაგონებულ ლოცვებს. უღრმესი მოკრძალებით, წმიდა ათონის მთის განმგებლობა: პროტოსი (პირველგანმგებელი) ივერონისა - პროიღუმენი კალენიკე, პანტოკრატორისა - მღვდელმონაზონი გერვასიოსი, ფილოთეუსი - მღვდელმონაზონი სილუანი, სიმონპეტრასი - მღვდელმონაზონი იუსტინე“ (კობახიძე, 1997:23-24).

ათონის წმიდა მთიდან გამოგზავნილი ეს წერილი ადასტურებს, რომ საქართველოს ეკლესიის მეამბოხე სასულიერო პირებს არავითარი მხარდაჭერა გააჩნდათ ათონელებისგან და განდგომილები, უბრალოდ, ყალბ ინფორმაციას ავრცელებდნენ, იმ მოსაზრებით, რომ ათონის მთის მონაზვნები, მართლმადიდებელ სამყაროში ერთ-ერთ ავტორიტეტულ მოღვაწეებად ითვლებიან. შესაბამისად, განდგომილებს, მათი სახელის მოხმობა დასჭირდათ საკუთარი მიზნების მართებულობის წარმოსაჩენად, რაც უარყოფილი იქნა ათონელთა მიერ გამოგზავნილი წერილით. ეს ფაქტი კიდევ ერთი დასტურია მეამბოხეთა ანტიეკლესიური და არაკეთილსინდისიერი ქმედებისა...

სამწუხაროდ, მიუხედავად საქართველოს ეკლესიის ემს-დან გამოსვლისა, არქიმანდრიტი იოანე (შეყლაშვილი) და რამდენიმე სხვა პირი კვლავ განდგომილებაში დარჩნენ საქართველოს ეკლესიისგან, ისინი არ დაკმაყოფილდნენ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის 1997 წლის 20 მაისის განჩინებით და ითხოვდნენ საქართველოს ეკლესიას გაეწყვიტა ევქარისტიული კავშირი სხვა ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან, ეკუმენიზმში მონაწილეობის ბრალდებით, რომელიც თავის მხრივ უსაფუძვლო იყო... რეალურად, აღნიშნული სასულიერო და საერო პირები მიისწრაფვოდნენ საქართველოს ეკლესიის თვითიზოლაციის მიღწევისაკენ...

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით, 1997 წლის ივლისში, საქართველოს საპატრიარქოში შეიქმნა საღმრთისმეტყველო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი (ამჟამად რუსთველი მიტროპოლიტი იოანე).

აღნიშნულ კომისიას დაევალა 1997 წლის მაისიდან, საქართველოს ეკლესიიდან განდგომილ სასულიერო და საერო პირთა მიერ წამოყენებული პრეტენზიების განხილვა, აგრეთვე იმჟამად არსებული სხვადასხვა პრობლემატური საღმრთისმეტყველო საკითხის განხილვა. სამწუხაროდ, განდგომილთა ჯგუფმა, თავდაპირველადვე უარი განაცხადა ყოველგვარ დიალოგზე, მათ „აღმართეს ცალკე საკურთხეველი“ და გავიდნენ განხეთქილებაში. განდგომილებმა დაწყევლეს საქართველოს ეკლესიის წევრები და აგრეთვე ისინი, ვინც თანაზიარებაშია მსოფლიოს კანონიკურ ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიებთან.

ზემოთხსენებული კომისია იუწყებოდა: „მიუხედავად ამისა, საქართველოს ეკლესია დღემდე იჩენს სულგრძელებას და ელის ცდუნებული შვილების დაბრუნებას. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ სინოდალური გადაწყვეტილებით, აღნიშნული პირები არ განკვეთილან ეკლესიიდან (თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათ ფაქტიურად თვითონ ჩაიყენეს თავი ამ მდგომარეობაში). ამასთან, ეკლესია კვლავ ცდილობს დიალოგი აწარმოოს განდგომილებთან.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ასეთმა სულგრძელმა პოზიციამ ის შედეგი გამოიღო, რომ იმ განდგომილ პირთაგან, რომლებიც, მართალია, ჩამოშორდნენ დედაეკლესიას, მაგრამ არ შეერთებიან სხვა სქიზმატურ დაჯგუფებებს, რამდენიმე პიროვნება უკვე დაუბრუნდა დედაეკლესიას, ხოლო ამ ჯგუფის მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში დაუბრუნდება მას...

ეკუმენიზმის კრიტიკა არსებობს როგორც საქართველოს, ისე სხვა ადგილობრივ ეკლესიებში. გარკვეული ჯგუფები კი ცდილობენ, რომ ეს კრიტიკა გამოიყენონ ეკლესიის იერარქიასთან საბრძოლველად. ზოგ შემთხვევაში, მათი მხრიდან ადგილი აქვს ინფორმაციის არასწორ მოწოდებას, ზოგჯერ კი - არასწორ გააზრებას.

კომისიის მხრიდან, მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში მიმდინარე პროცესების შესწავლა, რეალური სიტუაციის წარმოჩენა, მართლმადიდებლობისთვის მიუღებელი შეთანხმებებისა და პრაქტიკის დაგმობა ბევრ საკითხს გასცემს პასუხს და ამოწურავს იმ მიზეზებს, რის გამოც, ჩვენმა ცდუნებულმა ძმებმა დატოვეს დედაეკლესია“ (საინფორმაციო ბიულეტენი N1, 1998:1,3).

აღნიშნულმა საღმრთისმეტყველო კომისიამ იმსჯელა მართლმადიდებელთა და არაქალკედონიტთა შორის დიალოგის შესახებ (შამბეზის შეთანხმება), ათონის მთის წმიდა ძმობის მემორანდუმის შესახებ, რომელიც ეხება მართლმადიდებლებსა და არაქალკედონიტებს შორის დიალოგს და ა.შ. კომისიის დასკვნაში ვკითხულობთ: „...საქართველოს საპატრიარქოს საღვთისმეტყველო კომისიამ დაასკვნა, რომ XX საუკუნის დასაწყისში, ძირითადად მოდერნისტული თეოლოგიის წიაღში ჩამოყალიბდა მწვალებლური სწავლებები:

I. მაცხოვნებელი საიდუმლოებების, ქრისტეს ეკლესიის ხილულ, კანონიკურ, საზღვრებს გარეთაც არსებობის შესახებ და

II. ე.წ. „განშტოებათა თეორია“ ძირეულად ეწინააღმდეგებიან მართლმადიდებლურ ეკლესიოლოგიას და სრულიად უცხო და მიუღებელნი არიან ტრადიციული მართლმადიდებლობისთვის.

III. ჩვენი კომისია კიდევ ერთხელ გმობს ზემოთჩამოთვლილ მწვალებლობებს და მათგან მომდინარე თანალოცვის პრაქტიკას და თანაზიარობის ცალკეულ ფაქტებს, რითაც იწონებს და ეთანხმება ყოველთა მართლმადიდებელთა შეკრებაზე (1998 წლის 29 აპრილი-2 მაისი ქ. თესალონიკი) მიღებული საბოლოო დოკუმენტის მე-13 მუხლის ბ. პუნქტს, რომელშიც დაფიქსირებულია ყველა ადგილობრივი ეკლესიის პოზიცია: „მართლმადიდებელი დელეგატები არ მიიღებენ მონაწილეობას ეკუმენურ მსახურებაში, საერთო ლოცვებში, ღვთის თაყვანისცემაში და ასამბლეის სხვა რელიგიურ ცერემონიებში“.

რაც შეეხება ქრისტეს ეკლესიაში მწვალებელთა (და სქიზმატთა) მიღების წესს, ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ საეკლესიო იკონომიის პრინციპს და არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რომ თითქოს ამა თუ იმ საკრებულოში მოქმედებს სული წმიდის მადლი - ნათლისღების, მირონცხების ან ხელდასხმისა.

მადლმოსილება ერთი წმიდა, კათოლიკე მართლმადიდებელი ეკლესიის ბუნებაა მხოლოდ“ (საინფორმაციო ბიულეტენი N3, 1998:23-24).

გარდა აღნიშნული ფრთისა, რომელთაც დატოვეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, ასევე, თვით საქართველოს ეკლესიის წიაღში არსებობს იმგვარი დაჯგუფება, რომელიც, ასევე მეტად ხისტად უდგება ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს წევრობასა და

ზოგადად, ნებისმიერი სხვა აღმსარებლობის ლიდერებთან თუ წარმომადგენლებთან ყოველგვარი სახის ურთიერთობას, დიალოგს, შეხვედრებს...

1997 წელს ემს-დან გამოსვლამ, საქართველოს ეკლესიას მოუტანა გარკვეული საგარეო იზოლაცია, სათანადო საერთაშორისო დონეზე ვეღარ გაისმის საქართველოს უძველესი სამოციქულო ეკლესიის ხმა ზოგადგლობალური პრობლემებისა და გამოწვევების შესახებ, რაც პირდაპირ კავშირშია ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პრობლემატურ ყოფასა და სამომავლო პროგრესთან, თუმცა, მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს თავმჯდომარეობით, წმიდა სინოდის 1997 წლის 20 მაისს მიღებული გადაწყვეტილება გახლდათ ცალსახად მართებული და გონივრული იმ ფონზე, რომ საქართველოს უძველესი სამოციქულო საყდარი გადარჩენილიყო სქიზმასა და განყოფას.

5.3. საერო ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის ურთიერთობის საკითხები

მას შემდეგ, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ეტაპობრივად, ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში, კვლავინდებურად დაბრუნდა ეკლესია, როგორც ისტორიული ინსიტუტი, რომელმაც საუკუნეთა განმავლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. აღნიშულმა პროცესმა მოამზადა ნიადაგი, რათა საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამშრომლობას ოფიციალური სახე მისცემოდა, რაც გამოიხატა 2002 წლის 14 ოქტომბერს ხელმოწერილი დოკუმენტით „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“, რომელსაც ხელი მოაწერეს: საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ხელმოწერის ცერემონია გაიმართა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში. კონსტიტუციურ შეთანხმებაში, რომელიც თორმეტი მუხლისგან შედგება, ვკითხულობთ: „მართლმადიდებლობა, ევროპის ერთ-ერთი ტადიციული აღმსარებლობა, საქართველოში ისტორიულად სახელმწიფო რელიგია იყო, რომელმაც ჩამოაყალიბა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა, ეროვნული მსოფლმხედველობა და

ფასეულობები. საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. საქართველოს კონსტიტუცით აღიარებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებული როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში და მისი დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან“ (ჯაფარიძე, 2017:737).

აღნიშნულ შეთანხმებაში საუბარია სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთთანამშრომლობაზე სხვადასხვა მიმართულებით. მართალია, შეთანხმება ოფიციალურად ძალაშია და საკანონმდებლო დონეზე მოქმედებს, თუმცა წარმოიქმნება სიტუაციები, როდესაც ირღვევა მასში წარმოდგენილი მუხლები ან სათანადოდ ვერ მოქმედებს დათქმული პირობები, თუმცა კონსტიტუციური შეთანხმება სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის წარმოადგენს მნიშვნელოვან მონაპოვარს ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ეკლესიის ისტორიაში და თანამედროვე ჟამს, ეკლესიის ისტორიული, განსაკუთრებული მისიის აღიარებასა და დადასტურებას საქართველოს სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ჩამოყალიბება-განვითარებაში.

საქართველოს ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში, კიდევ ერთი დიდი გამოწვევა იყო 2011 წელს, საქართველოს პარლამენტის მირ მიღებული კანონი რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით.

საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებულია, საქართველოში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ტოლერანტული დამოკიდებულება ნებისმიერი რელიგიური კონფესიის მიმართ. ჩვენს ქვეყანაში არასდროს ყოფილა აღმსარებლობის ნიშნით დევნა-შევიწროება. შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამ მხრივ ერთ-ერთი იშვიათი გამონაკლისია. თუმცა, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას გააჩნია განსაკუთრებული როლი და გამორჩეული მისია ჩვენი სამშობლოს წინაშე, რაც დადასტურებული და აღიარებულია საქართველოს კონსტიტუციით და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით“.

რელიგიურ გაერთიანებათა კანონის მიღებას წინ უძღოდა 2011 წლის 10-15 ივნისს, საქართველოში, ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსის გარეგინ მეორის ოფიციალური ვიზიტი. სომეხთა ეკლესიის მეთაურს, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო

საზღვარზე, სადახლოში დახვდნენ საქართველოს ეკლესიის მეთაური, წმიდა სინოდის მღვდელმთავარნი, სხვა სასულიერო და საერო პირები. პირველი შეხვედრისთანავე, საზღვარზე, სომეხთა პატრიარქ-კათოლიკოსმა გარეგინ მეორემ აღნიშნა: „მოხარული ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ვისაუბროთ იმ საკითხებზე, რომელიც აინტერესებს სომხეთის ეკლესიას და სომეხ ხალხს“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N23, 2011:4). ამ ფრაზიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ სომეხთა მამამთავრის ჩვენს ქვეყანაში ვიზიტის ერთ-ერთი მთავარი მოტივი, სწორედ სომხეთის ეკლესიის ინტერესებს უკავშირდებოდა საქართველოს მიმართ... ცნობილია ის გარემოება, რომ არაერთ ტაძარზე, რომელიც საქართველოში მდებარეობს, სომხურ მხარეს გააჩნია პრეტენზია...

2011 წლის 11 ივნისს საქართველოს საპატრიარქოში გაიმართა სომხეთის ეკლესიის დელეგაციის ოფიციალური მიღება, რომელზეც პატრიარქ-კათოლიკოსმა გარეგინმა განაცხადა: „ჩვენთვის სასიამოვნოა იმ სულიერი გაბრწყინებისა და წინსვლის ხილვა, რასაც დღეს საქართველო განიცდის; ამ საქმეში, ისევე როგორც ეს საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოს სომხური თემიც. სამწუხაროდ, თქვენი ქვეყნის სულიერი და ეროვნული განვითარების მიუხედავად, ჩვენი ეკლესია საქართველოში თავისი მოწოდების შესრულებისას გარკვეულ სიძნელეებს აწყდება.“ (იქვე :5).

კათოლიკოს გარეგინს უპასუხა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ: „რა სტატუსიც ექნება საქართველოს ეკლესიას სომხეთში, იგივე სტატუსი ექნება სომხეთის ეკლესიას საქართველოში. რაც შეეხება ტაძრების საკითხს: ის მოთხოვნები, რომელიც არსებობს ქართველების მხრიდან სომხეთისადმი და თავის მხრივ, სომხების პრეტენზიები საქართველოს მიმართ, სამეცნიერო დონეზე უნდა განვიხილოთ. ტაძრების საკითხი მეცნიერებმა საგულდაგულოდ უნდა შეისწავლონ... ორივე მხარეს აქვს საბუთები იმისა, რომ სომხური ეკლესიები არსებობდა საქართველოში, ისევე როგორც ქართული ეკლესიები არსებობდა სომხეთში. ჩვენ მოვიწვევთ სამეცნიერო კომისიას, რომელიც ორივე მხარის პოზიციებს განიხილავს...

არ შეიძლება ურთიერთობებსა და პრობლემებზე ცალმხრივად საუბარი. ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს. როცა ვსაუბრობთ ამა თუ იმ ეკლესიის დაბრუნებაზე, კარგად უნდა დადგინდეს, თუ ვის ეკუთვნოდა იგი წარსულში. ჩვენ აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ

პრობლემები სომხეთის მხარესაც აქვს და საქართველოსაც; ქართველებსაც გვაქვს ჩვენი მოთხოვნები. იმედი მაქვს, რომ თქვენი უწმიდესობა ხელს შეგვიწყობს ჩვენი ეკლესიებისა და მონასტრების დაბრუნებაში.

ჩვენს ურთიერთობაში, რომელიც სამაგალითო უნდა იყოს, არ შეიძლება არსებობდეს მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა; ინტერესები ორმხრივად უნდა იყოს გათვალისწინებული“ (იქვე :5).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მოზომილი ფრაზებით, თუმცა გაბედულად დაიცვა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიერი და სამართალიანი მოთხოვნები. არცერთ სახელმწიფოს თუ ხალხს, არ უნდა მიეცეს შესაძლებლობა, რომ საქართველოში, საუკუნეებით გამოწრთობილი რელიგიური შემწყნარებლობა ბოროტად გამოიყენოს ისევ საქართველოსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ.

უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ცალსახად და მკაფიოდ დაფიქსირდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ დათმობდა თავის პოზიციებს, რომელიც ისტორიული წარსულიდან და თანამედროვე რეალობიდან არის ნაკარნახევი.

სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსის საქართველოში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა დაძრა პროცესი ახალი კანონის მიღებაზე, რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესის შესახებ, რომლის მიხედვით რელიგიურ გაერთიანებებს ენიჭებოდათ სამართლებრივი უფლება, რომ დარეგისტრირებულიყვნენ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად.

აღნიშნულმა ინფორმაციამ, სამართლიანად უარყოფითი დამოკიდებულება გამოიწვია ჩვენი ქვეყნის საზოგადოებაში, როგორც სასულიერო, ისე საერო სივრცეში...

პროცესი თითქოს წინასწარ გაწერილი სცენარით, შეუქცევადი ინერციით, სწრაფ რიტმში მიმდინარეობდა. აშკარა იყო, რომ შიდა და გარე ძალების თანხმობით, ერთობლივი მოქმედება ხორციელდებოდა...

2011 წლის 1 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა, პირველი მოსმენით მიიღო ხსენებული კანონი. ამავე წლის 4 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია

მეორემ გააკეთა განცხადება. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაური მოითხოვდა, რომ შეჩერებულიყო კანონის მიღების პროცედურა (მეორე და მესამე მოსმენები) და ხსენებული საკითხის შესახებ გამართულიყო საჯარო დებატები, თუნდაც სატელევიზიო პირდაპირ ეთერში, რათა ჩამოყალიბებულიყო საერთო-საზოგადოებრივი აზრი და საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან შემდგარიყო კონსესუსი, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, სწორედ მართლმადიდებელი ქრისტიანია. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კიდევ ერთხელ შეახსენა ქვეყნის მოქალაქეებს, რომ აღნიშნული საკითხი იყო მეტად უმიშვნელოვანესი, რამეთუ იგი არსებითად განსაზღვრავს სახელმწიფოს მოწყობის ძირითად პრინციპებს. აქვე, საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა აღნიშნა: „საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის სტატუსი და კონსტიტუციური შეთანხმება წლების განმავლობაში იყო ფართო განხილვის საგანი და მას საერთაშორისო ექსპერტიზაც ჩაუტარდა. თავის მხრივ, ეკლესია არასოდეს წასულა წინააღმდეგი და ყოველთვის მხარს უჭერდა საქართველოში არსებული სხვა რელიგიებისადმი სტატუსის მინიჭებას და მათი უფლებების განხორციელებას, მაგრამ ამ პროცესს სათანადო გაგრძელება არ მოჰყოლია, ანუ ხელისუფლების მხრიდან არ შექმნილა მრავალმხრივი სახელმწიფო კომისია, სადაც საკითხი იქნებოდა შესწავლილი და შეჯერებული.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სხვა სახელმწიფოებში არც ქართული მართლმადიდებლური ტაძრების საკუთრებისა და მოვლა-პატრონობის საკითხი დასმულა დღემდე და არც ჩვენი ეკლესიის სტატუსის განხილვა დაწყებულა. ამის ფონზე, სრულიად გაუგებარია ჩვენი ქვეყნის პარლამენტის მიერ ესოდენ მნიშვნელოვანი დოკუმენტის მიღება საჯარო განხილვის გარეშე და ასეთი დაჩქარებული წესით“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N 26, 2011:3).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ხაზი გაესვა საკითხისადმი მიდგომის უზუსტეს და პრინციულ გარემოებებს. მაშინ, როდესაც მეტად რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პირობებში უხდება თავისი მისიის აღსრულება საქართველოს ეკლესიას, ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებში (სომხეთი, აზერბაიჯანი), ხოლო საქართველოში არავინ ავიწროებს და დევნის ამ სახელმწიფოების დომინანტი რელიგიური კონფესიების მსახურებას და ისინი თავისუფლად და შეუზღუდავად ანხორციელებენ საკუთარ მისია-

მოვალეობებს, ამ ფონზე, მეტად გაუგებარი იყო, რელიგიური გაერთიანებისათვის ჩვენს ქვეყანაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესაძლებლობის კანონის ძალით მინიჭება, თუმცა ადამიანურ დონეზე გასაგები და აღქმადი ხდებოდა, რომ პროცესების სისწრაფე ნამდვილად მართული და მიზანმიმართული იყო.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ზემოთხსენებული განცხადების შემდეგ, ამავე დღეს, 2011 წლის 4 ივლისს, საქართველოს საპატრიარქოში, თავისი ინიციატივით მივიდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებმაც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას შესთავაზეს პირველი მოსმენით მიღებული კანონ-პროექტის სახეცვლილი ვარიანტი, სადაც კვლავ უპირობოდ რჩებოდა ჩანაწერი რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირად აღიარების შესახებ.

თავის მხრივ, საქართველოს საპატრიარქომ კვლავ მოითხოვა, რომ კანონის მიღების პროცესი შეჩერებულიყო, გამართულიყო მისი საჯარო განხილვა, რომლითაც შესაძლებელი გახდებოდა საზოგადოებრივი კონსესუსის მიღწევა. საპატრიარქოს მხრიდან, აგრეთვე ხელისუფლებისადმი მოხდა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, კომპრომისული ვარიანტის შეთავაზება. 2011 წლის 5 ივლისს საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, სადაც ვკითხულობთ: „შეთანხმება ვერ შედგა, რაც მეტად სამწუხაროა, რადგან აწ უკვე მიღებული კანონი ეწინააღმდეგება როგორც ეკლესიის, ისე ქვეყნის ინტერესებს. ვფიქრობთ, ეს კანონი თავის უარყოფით შედეგებს ახლო მომავალშივე გამოიღებს, რაზეც პასუხისმგებლობა ხელისუფლებას ეკისრება“ (იქვე: 3).

2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო რელიგიურ გაერთიანებებთან დაკავშირებით კანონი, სადაც ცალსახად ჩაიწერა რელიგიური გაერთიანებების რეგისტრაციის წესი, რომლის მიხედვით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიეცა უფლებამოსილება, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაარეგისტრიროს საქართველოსთან ისტორიული კავშირის მქონე რელიგიური მიმდინარეობა ან ის რელიგიური მიმდინარეობა, რომელიც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში კანონმდებლობით მიჩნეულია რელიგიად.

ამავე წლის 7 ივლისს, წმიდა იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაულზე, ავჭალის წმიდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თხოვნით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს

და განაცხადა: „მინდა ვთხოვო ჩვენს პრეზიდენტს, რომ ვეტო დაადოს ამ კანონს, ვიდრე იგი განხილული და შემოწმებული არ იქნება, რადგან მთავარი პასუხისმგებლობა მაინც პრეზიდენტს ეკისრება“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N 27, 2011:4). საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ამავე კანონის მეორე მუხლის საფუძველზე ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიას, რომელიც თითქმის ორი ათასწლეულია საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის ცხოვრებისა და ყოფის განუყოფელი, უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ამასთანავე, უდიდეს მისიას ასრულებდა და ასრულებს დღემდე ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა და სახელმწიფოებრივი სიძლიერისათვის, უთუოდ, უმაღლეს ოფიციალურ დონეზე, წმიდა სინოდის სახით, შესაბამისი შეფასება უნდა მიეცა მომხდარი ფაქტისათვის. ამ მიზნით, 2011 წლის 11 ივლისს, საქართველოს საპატრიარქოში შედგა საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. სხდომის მდივანი იყო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი გრიგოლი (ბერბიჭაშვილი), ხოლო თანამდივნები - ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტი ნიკოლოზი (ფაჩუაშვილი) და ხონისა და სამტრედიის მიტროპოლიტი საბა (გიგიბერია).

წმიდა სინოდის სხდომაზე გაიმართა მსჯელობა საქართველოში რელიგიური გაერთიანებების დარეგისტრირების შესახებ კანონმდებლობის მეტად არასახარბიელო ცვლილების შესახებ. საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის 2011 წლის 11 ივლისის სხდომის ოქმში ვკითხულობთ: „2011 წლის 5 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი სამოქალაქო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ. სინოდის სხდომაზე გამოითქვა საერთო უკმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ მიუხედავად კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებისა, კანონის მიღება მოხდა საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოებასთან წინასწარი კონსულტაციების გარეშე, რაც საქართველოს ეკლესიის სასულიერო პირთა და მრავალრიცხოვანი მრევლის მღელვარების მიზეზი გახდა. შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით წმიდა სინოდმა იმსჯელა და დაადგინა:

მიემართოს საქართველოს ხელისუფლებას:

ა) მომავალში რელიგიასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ანალოგიური საკითხების განხილვისას წინასწარი კონსულტაციები გაიმართოს საქართველოს საპატრიარქოსთან, რათა აღნიშნული თემის სიფაქიზიდან და სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თავიდან იქნეს აცილებული შესაძლო გართულებები;

ბ) დაიწყოს სამთავრობო მოლაპარაკებები ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს საპატრიარქოს ეპარქიების სტატუსსა და ქონებრივ საკითხებთან დაკავშირებით;

გ) სახელმწიფომ გააქტიუროს თავისი საქმიანობა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული ქართული ეროვნული და სულიერი კულტურის ძეგლების მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით;

დ) საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის შემდეგ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე სახელმწიფოს მიერ განხორციელებული რელიგიური პოლიტიკა და სხვა ქმედებები აღიარებულ იქნას უკანონოდ:

ე) შეიქმნას კომისია, რომელიც მონიტორინგს გაუწევს კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.

1. წმიდა სინოდი მოუწოდებს სასულიერო პირებს და მრევლს სიმშვიდისკენ და მიუხედავად მღელვარების მიზეზებისა, თავი შეიკავონ ყოველგვარი თვითნებური ქმედებებისგან და გააძლიერონ ლოცვა ერის ერთობისა და მშვიდობისათვის“ (იქვე :3).

წმიდა სინოდის წარმოდგენილი მიმართვით, საქართველოს სახელმწიფოს, სრულიად სამართლიანად ეთხოვა, ერისა და ეკლესიისათვის მნიშვნელოვანი ვალდებულებები შეესრულებინა. სამწუხაროდ, წმიდა სინოდის ხსენებული მიმართვებიდან, დღემდე არცერთი შესრულებულა, მაშინ, როდესაც 2011 წელს, ხუთი დღე დასჭირდა საქართველოში რელიგიური გაერთიანებებისათვის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესაძლებლობის კანონის ძალით მინიჭების დამტკიცებას.

წმიდა სინოდის 2011 წლის 11 ივლისის სხდომის შემდგომ, ვრცელდებოდა ხმები და აგრეთვე პრესაში იწერებოდა, რომ სხდომაზე მღვდელმთავართა აზრი ორად გაიყო და ა.შ. ნამდვილად მიუღებელი და გაუგებარია ამგვარი მიდგომა საკითხისადმი, რადგან სინოდის ოფიციალურ და საერთო პოზიციას გამოხატავს არა სხდომის მიმდინარეობისას გამოთქმული

კონკრეტული მოსაზრებები, არამედ მათი შეჯერების შედეგად დაწერილი ოქმი, რომელსაც წესისამებრ, წმიდა სინოდის უკლებლივ ყველა წევრი აწერს ხელს და მაშასადამე სწორედ ეს გადაწყვეტილება არის კრებსითი, საბოლოო და გასათვალისწინებელი.

გაზეთ „ქრონიკაში“ დაიბეჭდა სტატია, რომელშიც ავტორი წერს: „ვიცი, რომ წმინდა სინოდის იმ სკანდალური სხდომის დამთავრების შემდეგ, რუის-ურბნისის ეპარქიის ხელმძღვანელმა, მეუფე იობმა (აქიაშვილი) იმ ოც მეუფეს, რომლებმაც სააკაშვილის კანონს ხელი აუწიეს, პირდაპირ უთხრა, თქვენ კაცები არა ხართო და იქაურობა სწრაფად დატოვა...“ („ქრონიკა“, N 29, 2011:12). სამწუხაროა, რომ ავტორი ასე უკრძალველად მოეპყრო ეკლესიის სახელსა და ღირსებას და დაბეჭდა ამგვარი უპასუხისმგებლო, არარეალურ ამბავზე აგებული ინფორმაცია...

ამავე გაზეთის მომდევნო ნომერში ასევე დაიბეჭდა პუბლიკაცია ამგვარი სათაურით „წმინდა სინოდის იმ წევრთა სკანდალური სია, რომლებმაც ეკლესიასა და პატრიარქს უღალატეს და არ უღალატეს!...“, რომელიც აღსავსეა ცრუ და ყალბი ინფორმაციებით და პირდაპირ მიმართულია ეკლესიის დისკრედიტაციისკენ. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის იმჟამინდელ წევრ მღვდელმთავართა სრული სია და ფოტოსურათები, რომელთა შორის სტატიის ავტორის მოსაზრებით, რელიგიურ გაერთიანებათა მხარდამჭერებს დასმული აქვთ ნიშანი „პლუსი“, ხოლო მოწინააღმდეგებს - ნიშანი „მინუსი“. სტატიაში ვკითხულობთ: „პლუსით“ (+) აღნიშნულმა მეუფეებმა მიხეილ სააკაშვილსა და გარეგინ მეორეს დაუჭირეს მხარი, ხოლო ის უმაღლესი სასულიერო იერარქები, რომელთა გასწვრივაც „მინუსი“ (-) გახლავთ დასმული, პატრიარქისა და საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიის ერთგულნი დარჩნენ“ („ქრონიკა“, N 30, 2011:6). გაურკვეველია, თუ რა წყაროზე დაყრდნობით წერს ავტორი ყოველივე ამას. მაგ: წმიდა სინოდის წევრი, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი), ხსენებულ სტატიაში წარმოჩენილია, როგორც კანონის მხარდამჭერი, მაშინ, როდესაც მიტროპოლიტი კალისტრატე საერთოდ არ დასწრებია წმიდა სინოდის 2011 წლის 11 ივლისის სხდომას და მან ამ დღეს სადღესასწაულო ლოცვა შეასრულა ქუთაისის წმიდა მოციქულთა თავთა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში, ვინაიდან, მეორე დღეს, 12 ივლისს იყო პეტრე-პავლობის დღესასწაული.

სამწუხაროდ, აღნიშნული პუბლიკაცია შეფუთულია ეკლესიისა და კათოლიკოს-პატრიარქის დაცვის მოტივით, თუმცა, რეალურად, წარმოადგენს შეურაცხყოფასა და მტრობას მათ მიმართ...

ამავე გაზეთში დაბეჭდილია სტატია „11 ივლისს გამართული წმინდა სინოდის საგანგებო კულუარები“, რომელიც ასევე მრავლად შეიცავს დაუდასტურებულ და მოარულ ხმებზე აგებულ ინფორმაციას... მაგ: „ილია მეორე სააკაშვილმა ფაქტის წინაშე დააყენა... როცა ავლაბრის რეზიდენციაში პატრიარქი მისულა და იქ სომხეთის პატრიარქი დაუნახავს, უწმინდესს მოულოდნებლობისგან გაკვირვებულს უკითხავს, ეს კაცი აქ ვინ მოიწვიაო? სააკაშვილს პატრიარქისთვის ამ კითხვაზე ასეთი ხეპრე პასუხი დაუბრუნებია, რა ვიცი მე, ვინ მოიწვიაო?“ (იქვე :8). მხოლოდ ეს ამონარიდიც კი ვერავითარ კრიტიკას უძლებს...

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საქართველოში სტუმრად ჩამოსულ ყოველთა სომეხთა უმაღლეს პატრიარქ-კათოლიკოსს გარეგინ მეორეს, საქართველო-სომხეთის სახელმწიფო საზღვართან დახვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და არავითარი გაუფრთხილებელი და მოულოდნელი შეხვედრა არ მომხდარა მათ შორის. საიდან ასეთი ყალბი ინფორმაცია ან რა მოტივით მოხდა მისი დაბეჭდვა, ამაზე პასუხი, მხოლოდ ეკლესიის მიზანმიმართული დისკრედიტაციის მცდელობაში უნდა ვეძებოთ...

წმიდა სინოდის ხსენებული სხდომის შემდეგ, ზოგიერთმა მღვდელმთავარმა მეტად საგულისხმო განცხადებები გააკეთა. პასუხი გასცეს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ზოგიერთ კითხვას. აგრეთვე, მღვდელმთავართაგან გაჟღერდა ისეთი ინფორმაციები სინოდის სხდომის მიმდინარეობისას მომხდარი ფაქტების შესახებ, რომელიც, რასაკვირველია სხდომის ოქმში, როგორც ოფიციალურ დოკუმენტში, ნამდვილად ვერ აისახებოდა.

ბათუმისა და ლაზეთის, ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადის მიტროპოლიტმა დიმიტრიმ (შიოლაშვილი) განაცხადა: „სინოდის სხდომაზე ვიმსჯელეთ იმ საფრთხეებზე, რომლებიც რელიგიური გაერთიანებებისთვის ამ სტატუსის (საჯარო სამართლის იურიდიული პირი. შენ. ავტ.) იქმნება. არ ვიცი, რამდენად სწორია ამაზე ახლა საუბარი, სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილებას ვემორჩილებით ყველანი. ეს არის კომპრომისული გადაწყვეტილება, რომლითაც მაქსიმალურად შევეცადეთ, აგვეცილებინა საფრთხეები, თუმცა, ვიმეორებ, საფრთხეები ისევ არის და ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლად... ამბობენ, რომ სინოდის

სხდომაზე აზრი ორად გაიყო. ეს ასე არ არის. რა თქმა უნდა, სინოდის სხდომაზე იყო წინააღმდეგობრივი გამოთქმები, მაგრამ ეს არ ყოფილა იმასთან დაკავშირებით, რასთან დაკავშირებითაც საზოგადოება ღელავს. ჩვენი აზრი ორად გაიყო მას შემდეგ, რაც სინოდის სხდომის დროს კარი გაიღო და უცხო ადამიანები შემოვიდნენ. აზრი სწორედ ამ ადამიანების მოსმენასთან დაკავშირებით გაიყო... სინოდის სხდომის მიმდინარეობისას უცებ გაიღო კარი და შემოვიდნენ საერო პირები. როგორც აგვიხსნეს, ისინი იყვნენ იურისტები, რომლებიც ცხადია, ხელისუფლებამ გამოგზავნა ვიღაცასთან შეთანხმებით, ზუსტად არ ვიცი. აი, ამასთან დაკავშირებით გაიყო აზრი და არა იმასთან, რაც გაზეთებში დაიწერა. ნამდვილად არ მიმაჩნია სწორად, რომ სინოდის სხდომას საერო პირები დაესწრონ... ოქმი თუ ყურადღებით წაიკითხეთ, იქ წერია, რომ სინოდს ეს კანონი არ მოსწონს. კანონი უკვე მიღებული იყო და ამიტომ სინოდმა არჩია, მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომლითაც უფრო მეტი შედეგის მიღწევა არის შესაძლებელი. ვფიქრობ, რომ თანამშრომლობით უფრო მეტი შედეგის მიღწევა შეიძლება, ვიდრე იმით, რომ უარი თქვა თანამშრომლობაზე და მხოლოდ ხელისუფლებას მიანდო შექმნილი პრობლემების მოგვარება... თუმცა, ისევ ვიმეორებ, საფრთხე, რომელზეც პატრიარქი საუბრობდა, არ შემცირებულა. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ სიფხიზლე და არ დავუშვათ ეს“ („ასავალ-დასავალი“, N 31, 2011:8).

მიტროპოლიტმა დიმიტრიმ მეტად მნიშვნელოვანი ინფორმაცია გაასაჯაროვა, რომელიც, წმიდა სინოდის სხდომაზე, საერო პირთა დაუკითხავად, მოულოდნელ შესვლას ეხება. ცხადია და დავას არ საჭიროებს, აღნიშნული ფაქტით დამტკიცდა ის გარემოება, რომ ხელისუფლებისთვის მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალური პოზიცია, ვინაიდან ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა არის მართლმადიდებელი ქრისტიანი და საქართველოს ეკლესიის ოფიციალური გადაწყვეტილება მნიშვნელოვანწილად აისახება ქვეყნის ცხოვრებაზე, პოლიტიკურ და სამოქალაქო ვითარებაზე. სწორედ ეს იყო მიზანი, რომ ხელისუფლება, იურისტების წმიდა სინოდის სხდომაზე შესვლის გზით ჩარეულიყო სინოდის საბოლოო გადაწყვეტილებაში და განჩინება არ ყოფილიყო მწვავე, თუმცა, წმიდა სინოდის სხდომის ოქმში, ცალსახად დაფიქრდა საერთო უკმაყოფილება რელიგიური გაერთიანებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დარეგისტრირების შესახებ.

აღნიშნული გარემოება, რომ სინოდის სხდომაზე შეიჭრნენ ხელისუფლებისგან გაგზავნილი პირები, მას შემდეგ, რაც დასრულდა საბჭოთა რეჟიმი და საქართველომ აღიდგინდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ნამდვილად წარმოადგენს ეკლესიის მაღალიერარქიაზე უპრეცედენტო ზეწოლის ფაქტს, თუმცა, წმიდა სინოდმა თავისი სათქმელი მაინც დააფიქსირა და წარუდგინა საზოგადოებას.

თავისი მოსაზრება დააფიქსირა ბოლნელმა ეპისკოპოსმა (ამჟამად მთავარეპისკოპოსი) ეფრემმა (გამრეკელიძე): „სინოდი იყო ერთსულოვანი და ეს ოქმი გამოხატავდა იმ სულისკვეთებას, რაც იყო სინოდზე... ხელისუფლების გადასაწყვეტია, კანონს მიიღებენ თუ არა. ჩვენ ვთქვით, რომ ცუდია ეს კანონი, მაგრამ სინოდმა არჩია, რომ მიეღო კომპრომისული გადაწყვეტილება, ანუ ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც არ დააპირისპირებდა ხელისუფლებას და ეკლესიას ერთმანეთთან... როცა ერთი მხარე არ იჩენს გონიერებას, მეორე მხარემ უნდა გამოიჩინოს. ჩვენ ვართ ძალიან ფხიზლად და თუ რამ საფრთხე შეიქმნება, ამას არ დავუშვებთ“ (იქვე :8).

საგარეჯოსა და ნინოწმინდის ეპისკოპოსმა ლუკამ აღნიშნა: „ვფიქრობ, რომ საფრთხეები ისევ არსებობს, სრულად არ არის განეიტრალებული, მაგრამ ჩვენ ვართ ფხიზლად, პატრიარქი არ დაუშვებს და ჩვენ არ დავუშვებთ, რომ რაიმე ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური ნაბიჯი გადაიდგას“ (იქვე :8).

მღვდელმთავართა მიერ ნათქვამი, რომ წმიდა სინოდმა მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება, ასახავს იმ ფაქტს, რომლის მიხედვით სინოდმა მიზანმიმართულად ქვეყანას ააცილა სამოქალაქო მღელვარება, რომელსაც უფრო რთული პროცესების პროვოცირება შეეძლო. ქართველი ადამიანი, რომელიც მეტად ემოციურად არის განწყობილი ეროვნული და სარწმუნოებრივი იმპულსებისადმი, სინოდის რადიკალური გადაწყვეტილების შემთხვევაში, შესაძლოა გადართულიყო უმართავი პროცესების რეჟიმში, რაც უდავოდ ნეგატიური შედეგის მომტანი იქნებოდა ჩვენი ქვეყნისა და მისი სამოქალაქო სტაბილურობისათვის. სწორედ, ამ გარემოებიდან გახლდათ წმიდა სინოდის ის გადაწყვეტილება, რომელსაც, თავად მღვდელმთავრებმა „კომპრომისული“ უწოდეს.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ აღნიშნული კანონის მიღებას წინ უძღოდა საქართველოში ყოველთა სომეხთა უმაღლესი პატრიარქ-კათოლიკოსის გარეგინ მეორის ვიზიტი. ასევე,

არსებობს სომხური მხრიდან მომდინარე საფრთხეები, ზოგიერთ ქართულ ტაძარსა და მონასტერზე პრეტენზიების სახით. ხსენებული გარემოება მეტად საფრთხილო და გასათვალისწინებელია ქართული მხარისთვის, როგორც საერო-სახელისუფლებო, ისე საეკლესიოსათვის. სწორედ, ამ პრობლემაზე ჟურნალისტის მიერ კითხვის დასმის შემდეგ, თავისი მოსაზრება გამოთქვა მანგლისისა და წალკის მიტროპოლიტმა ანანიამ (ჯაფარიძე): „...საფრთხე, რა თქმა უნდა არსებობს. ამიტომ ვამბობ, რომ პარლამენტმა უნდა მიიღოს საგანგებო დადგენილება, რომლითაც ჩვენი ეკლესიის უფლებებს იმ დონეზე აიყვანს, როგორიც არის ევროპაში. თქვენ იცით, რომ ევროპაში რამდენიმე გამორჩეულ ეკლესიას აქვს ძალიან მაღალი სტატუსი. ევროპის შესაბამისად უნდა მოეწყოს საქართველოში სახელმწიფოს და ეკლესიის ურთიერთობა. ხელისუფლების წარმომადგენლები დაგვპირდნენ, რომ პარლამენტი მიიღებს საგანგებო დადგენილებას. მე ველოდები ამ დადგენილებას“ (იქვე :9).

მეტად საინტერესოა აღნიშნული მოსაზრება, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა მიისწრაფვის დასავლეთთან ინტეგრაციისკენ, მაშასადმე, ნებისმიერ სფეროში მიდგომები უნდა იყოს ევროპული, მათ შორის ეკლესიასთან მიმართებაში. ამ მხრივ, საქართველოში, ცალსახად და უდავოდ გამორჩეული და გამოკვეთილია საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია, მისი როლი და მისია ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში...

2011 წლის 11 ივლისის წმიდა სინოდის სხდომის შესახებ გავრცელებული ხმები, თითქოს მიღებულ გადაწყვეტილებაში სინოდი არ იყო ერთსულოვანი, ან რომელიმე მღვდელმთავარი თუ მათი გარკვეული ჯგუფი წავიდა კათოლიკოს-პატრიარქის წინააღმდეგ, ნამდვილად ემსახურებოდა ეკლესიის დისკრედიტაციის მცდელობას. თავად ქართული საზოგადოებისა და საინფორმაციო საშუალებების ნაწილი ვერ აღმოჩნდა სათანადო მოწოდების სიმაღლეზე, რათა ერთსულოვნად მხარი დაეჭირათ წმიდა სინოდის განჩინებისთვის და სწორედ ამიტომ, გავრცელდა არასწორი მოსაზრება, თითქოს სინოდში იყო დაპირისპირება. ამ გავრცელებულ ხმას პასუხი გასცა სინოდის წევრმა რამდენიმე მღვდელმთავარმა.

მიტროპოლიტი ანანია: „ვისაც გინდათ ჰკითხოთ, გიპასუხებთ, რომ სხდომაზე აზრი არ გაყოფილა. ოქმს ყველამ მოაწერა ხელი“ (იქვე :9).

რუსთავისა და მარნეულის მთავარეპისკოპოსი (ამჟამად მიტროპოლიტი) იოანე (გამრეკელი): „სინოდის ყველა წევრმა ერთნაიარად მოაწერა ხელი სხდომის განჩინებას. არანაირი აზრის გაყოფა არ მომხდარა“ (იქვე :9).

არასწორი ინფორმაციის გამავრცელებლები გაცდნენ ყოველგვარ ზღვარს და ამბობდნენ, რომ თითქოს, ზოგიერთი მღვდელმთავარი კათოლიკოს-პატრიარქის მოწინააღმდეგეა... ფაქტია, რომ ამის მთქმელნი ზოგნი მიზანმიმართულად, ეკლესიისა და სასულიერო დასის სამტროდ მოქმედებდნენ, ნაწილი კიდევ საეკლესიო სამართლის უცოდინარობიდან გამომდინარე. წმიდა სინოდი არის კრებსითი ორგანო, რომლის წევრები არიან მღვდელმთავრები. თითოეულ მათგანს გააჩნია უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, თუნდაც ის თანხვედრაში არ მოდიოდეს კათოლიკოს-პატრიარქის ან სხვა რომელიმე მღვდელმთავრის შეხედულებასთან. აღნიშნული სულაც არ ნიშნავს წინააღმდეგობას და მით უმეტეს, ხომ დაპირისპირებაზე საუბარი სრულიად არარეალურია, თუმცა, წმიდა სინოდის წევრებს, საზოგადოების მაღალი ინტერესიდან და მორწმუნეთა არასწორად ინფორმირებულობის აცილების მიზნით, მაინც მოუწიათ პასუხი გაეცათ გავრცელებულ არასწორ ცნობაზე.

ბორჯომისა და ბაკურიანის მიტროპოლიტმა სერაფიმემ (ჯოჯუა) განაცხადა: „საზოგადოებაში არასწორად არის გავრცელებული აზრი, რომ სინოდის წევრთა ნახევარი წავიდა პატრიარქის წინააღმდეგ. ასეთი რამ არ ყოფილა. აზრი გაიყო კერძო იურისტის მოსმენასთან დაკავშირებით... კენჭისყრა მოხდა სწორედ ამ საკითხზე. მინდა, იცოდეთ, რომ პატრიარქის წინააღმდეგ არავინ გამოსულა. პატრიარქი სინოდში ყველას უყვარს“ („ასავალ-დასავალი“, N 32, 2011:28).

გარდაბნისა და მარტყოფის ეპისკოპოსმა (ამჟამად ბოდბელი მთავარეპისკოპოსი) იაკობმა (იაკობიშვილი) აღნიშნა: „ის, რაც გაზეთებში ბოლო დროს სინოდის სხდომასთან დაკავშირებით დაიწერა, არის ტყუილი, აბსოლუტური ტყუილი. უნდა გადაამოწმოთ და ისე დაწეროთ. ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ“ (იქვე :28).

აგრეთვე, სხვა მღვდელმთავრებმაც გააქარწყლეს გავრცელებული არასწორი ინფორმაცია. ცაგერისა და ლენტეხის მთავარეპისკოპოსმა (ამჟამად მიტროპოლიტი) სტეფანემ განაცხადა:

„მინდა გითხრათ, რომ სინოდი განჩინების მიღებისას ერთსულოვანი იყო პატრიარქთან ერთად და სრული სიცრუეა, თითქოს, უწმიდესის გადაწყვეტილებით არ მიღებულა ეს განჩინება. სინოდმა ერთსულოვნად მიიღო ეს გადაწყვეტილება და იქ არ ყოფილა არანაირი კენჭისყრები“ (იქვე :29).

მარგვეთისა და უბისის (ამჟამად ცურტაველი) მიტროპოლიტმა ვახტანგმა (ახვლედიანი) აღნიშნა: „გულწრფელად მაინტერესებს, რატომ დასახელდნენ ის მღვდელმთავრები პატრიარქის მოწინააღმდეგებად და რატომ დავსახელდი მე პატრიარქის მოწინააღმდეგეთა სიაში?!.. როცა ქვეყანას ჰყავს ასეთი ბრძენი ადამიანი (იგულისხმება კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. შენ. ავტ.), ეს დიდი ღვთის წყალობაა და თუ მას ერი მოუსმენს, ღვთის წყალობაც არ მოგვაკლდება. კარგი პერსპექტივა გვექნება მომავალში. ახლა მე მეშინია, არ მოხდეს რელიგიური შუღლის გაღვივება“ (იქვე :29).

ვანისა და ბაღდათის მიტროპოლიტმა ანტონმა (ბულუხია) დასძინა: „პატრიარქი მამა არის ჩვენი და ვინ გამოვა პატრიარქის წინააღმდეგ?! ყველანი შევციცინებთ პატრიარქს თვალებში“ (იქვე :29).

წმიდა სინოდის წევრთა ეს მოსაზრებები წარმოვადგინეთ სწორედ იმ ერთსულოვნების წარმოსაჩენად, რომელიც სუფევდა წმიდა სინოდის 2011 წლის 11 ივლისის სხდომაზე. შეუძლებელია, რომ ყველა მღვდელმთავარს, რომელმაც ჟურნალისტების კითხვებზე პასუხების გაცემა ინება, ამგვარად ერთგვარი პოზიცია გამოეხატოთ, რომ არა რეალური ვითარება, რასაც ისინი ერთმანეთის მსგავსად ასახვდნენ...

რელიგიურ გაერთიანებათა კანონში ცვლილების შეტანა, უდავოდ მწვავე და მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რომელმაც შექმნილ ურთულეს სიტუაციაში, როდესაც ძალზედ მარტივი გახლდათ ზოგადი მდგომარეობის ესკალაცია, სამოქალაქო დესტაბილიზაცია და დაპირისპირება, კიდევ ერთხელ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და წმიდა სინოდის სახით აჩვენა სათანადო მოწოდების სიმაღლეზე ყოფნა, თავისი სულიერი შვილებისადმი ბრძნული მზრუნველობა და ცალსახა მხარდაჭერა ეროვნულ-სარწმუნოებრივი ინტერესებისა. გავიდა წლები და საქართველოს ეკლესია კვლავ ურყევად დგას და განაგრძობს თავის უდიდეს მისიას, როგორც ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტების ურყევი სვეტი და

ამასთანავე ბურჯი ქართული ეროვნული ცნობიერებისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ, მიღებული კანონის ფონზე, ჩინებულად გაართვა თავი, წამოჭრილ სირთულეებსა და გამოწვევებს და გააგრძელა იმავე კურსით სვლა, როგორც საუკუნეების წინათ. რასაკვირველია, მისასალმებელი იქნებოდა, რომ ხელისუფლებას გამოეჩინა კეთილგონიერება და არ მიეღო ხსენებული კანონი, თუმცა ეკლესიამ სძლია ხელოვნურად შექმნილ ბარიერებს და არა თუ გაყო და დააპირისპირა ქართველი ხალხი, არამედ კიდევ ერთხელ, ბრძნული შემართებითა და გადაწყვეტილებით, ქართული ეროვნული და სარწმუნოებრივი ცნობიერების მყარი სინთეზის საფუძველზე, მტკიცედ შეაკავშირა ჩვენი ქვეყანა და მისი საზოგადოება.

საქართველოს ეკლესიისთვის აგრეთვე გამოწვევად იქცა 2013 წლის 17 მაისს განვითარებული ცნობილი მოვლენები თბილისში, როდესაც ე.წ. სექსუალური უმცირესობები გამოვიდნენ საკუთარი უფლებების დასაცავად.

სამწუხაროდ, ამჯერადაც მოხდა პროვოცირება ქართველი ხალხის ეროვნულ-სარწმუნოებრივი და საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ქართული ტრადიციების ფონზე განვითარებული გრძნობებისა. ლგბტ წარმომადგენლებს დაუპირისპირდა მრავალრიცხოვანი მორწმუნე საზოგადოება და მათ შორის სასულიერო პირებიც. ემოციური იმპულსების ფონზე, ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაუძლო ცდუნებასა და ადგილი ჰქონდა ფიზიკური ანგარიშსწორების მწვავე მცდელობას. რასაკვირველია, ძალადობა ნებისმიერი ფორმით, კატეგორიულად მიუღებელი და დასაგმობია, თუმცა, ამავე დროს, მეორე მხარესაც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ეს საქართველოა და მოფრთხილებოდნენ ქართველი ხალხის ემოციურ გაღიზიანებას. განვითარებული მოვლენების ფონზე, საზოგადოების იმ მცირერიცხოვან ნაწილს, რომელიც სუბიექტურ ჭრილში ნეგატიურად არის განწყობილი მართლმადიდებელი ეკლესიისადმი, სამწუხაროდ, ჭორ-მართლის ფონზე მიეცათ სპეკულაციებისა ეკლესიისადმი საკუთარი ანტიპატიის გამოხატვის შესაძლებლობა. ზოგიერთი ორგანიზაცია თუ პიროვნება შეეცადა, რომ ეკლესიისგან შეექმნა მოძალადის ხატი. რასაკვირველია, პროცესმა, რომელიც ეკლესიისგან მართული არ იყო, თუმცა მასში ჩართული აღმოჩნდა ზოგიერთი სასულიერო პირი, ეკლესიისადმი მტრულად განწყობილ ძალებს მისცა

პროვოკაციული და ცილისმწამებლური განცხადებების გაკეთების შესაძლებლობა. ჩასაფრებულნი ხელსაყრელ ვითარებაში აღმოჩნდნენ.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 17 მაისს, საქართველოში არ იმყოფებოდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელიც თანმხლებ დელეგაციათან ერთად, ყოვლადუწმიდესის მსოფლიო პატრიარქისა და კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსის ბართლომეოსის მიწვევით, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა კონსტანტინეპოლში (სტამბული), მილანის ედიქტის ათას შვიდასი წლისთავის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ ღონისძიებებზე. მისი უწმიდესობა და უნეტარესობა 2013 წლის 21 მაისს დაბრუნდა სამშობლოში, თუმცა შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა განცხადება გააკეთა ამავე წლის 16 მაისს, რამეთუ ვითარება ნამდვილად საგანგებო იყო და მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის დროულ რეაგირებას უდავოდ საჭიროებდა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა: „როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ა.წ. 17 მაისს რუსთაველის გამზირზე დაგეგმილია სექსუალური უმცირესობების და მათი მხარდამჭერების შეკრება, რომელიც მიზნად ისახავს არა ამ ადამიანების რეალური პრობლემების მოგვარებას, არამედ თემით სპეკულირებას, რადგან ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული ტრადიციული აზროვნების მიუხედავად, მათ შეუზღუდავად შეუძლიათ წარმართონ პირადი ცხოვრება.

ფაქტია ისიც, რომ არის ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები, რომელიც საერთოა ყველა დროსა და სივრცეში; მათ შორისაა ზნეობრივი კანონები.

ყველა რელიგია და მეცნიერული მიმართულებებიც (ფსიქოლოგია, მედიცინა) ჰომოსექსუალიზმს ანომალიად და დაავადებად მიიჩნევს (რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ ახლადშექმნილ ფსევდომეცნიერულ შეხედულებებს).

ეკლესია ასეთი მიდრეკილებების მქონე ადამიანებს განიხილავს მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად, რომელთაც დახმარება და გამოსწორებისათვის სულიერი თანადგომა სჭირდებათ და არა წახალისება და მითუმეტეს, მათი მდგომარეობის მოსახლეობისთვის თავსმოხვევა...

ჩვენს ხალხს სულ სხვა სულისკვეთება აქვს და ამიტომაც გასაგებია მათი მძაფრი პროსტესტი კონრეტულად ამ და ზოგადად ასეთი შეკრებების მიმართ.

ჩვენი მოქალაქეები ამაში ხედავენ უმრავლესობის უფლებების დარღვევას, მათი ტრადიციების, სარწმუნოებისა და ზოგადად, აზროვნების წესის შეურაცხყოფას.

ვფიქრობთ, თბილისის მერიამ და ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს ეს და გააუქმოს ჰომოსექსუალებისათვის მიცემული ნებართვა დემონსტრაციისა...

შევნიშნავ იმასაც, რომ საერთაშორისო კონვენციები ცალსახად იძლევიან იმის უფლებას, რომ „საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილების, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვის მიზნით“ შეიძლება შეიზღუდოს გამოხატვის თავისუფლება“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N20, 2013:2-3).

კათოლიკოს-პატრიარქის ამ მოწოდების მიუხედავად, ხელისუფლებამ არ გააუქმა სექსუალური უმცირესობებისთვის მიცემული აქციის ნებართვა, რამაც მიზეზ-შედეგობრივად, ძლიერ ემოციურ ფონზე, უმართავობის ზღვრამდე მისული პროცესები გამოიწვია თბილისში.

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით, ერთობლივი განცხადება გააკეთეს რელიგიურმა გაერთიანებებმა: „საზოგადოებას გვინდა შევახსენოთ, რომ როგორც გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურს და იგი რიგი პირობების შედეგად შეიძლება შეიზღუდოს. საქართველოს კონსტიტუცია, ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია თუ სხვა საერთაშორისო დოკუმენტები ამომწურავად მიუთითებენ იმ პირობებს, რომლის დროსაც შეიძლება შეზღუდული იყოს იგი. სხვასთან ერთად ესენია უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, დანაშაულის თავიდან აცილება, სხვათა უფლებებისა და ღირსების დაცვა. ზემოაღნიშნულში ორი ფასეულობის - რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების კონფლიქტიც მოიაზრება...

ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა იმ ტრადიციული რელიგიების მიმდევარია, რომლის მოძღვრების მიხედვით ერთსქესიან ადამიანთა სქესობრივი ურთიერთობები ცოდვად მიიჩნევა, 2012 წლის 17 მაისის მსგავს პროპაგანდისტულ აქციებზე (იგულისხმება 2012 წლის 17 მაისს ჩატარებული ლგბტ აქტივივისტების მიერ გამართული შედარებით მცირერიცხოვანი აქცია თბილისში. შენ. ავტ.)

საზოგადოებას ლეგიტიმური უფლება აქვს, მშვიდობიანი, არაძალადობრივი ფორმით გამოხატოს პროტესტი...

ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება არის ხელშეუხებელი. ამასთან, მოვუწოდებთ აქციის მონაწილეებს საჯაროდ, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავიანთი სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებისა და პროპაგანდისაგან თავი შეიკავონ, რადგან ამგვარი ქმედება საზოგადოებრივი მორალისათვის არის მიუღებელი (იქვე :3).“ აღნიშნულ საერთო განცხადებას ხელს აწერს საქართველოში მოქმედი ცხრა რელიგიური გაერთიანება: საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია, ამიერკავკასიის მუსულმანთა სამმართველოს წარმომადგენელი საქართველოში, სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველო, სომეხთა სამოციქულო წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ეპარქია, ამიერკავკასიის კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაცია, ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია საქართველოში, ევანგელურ-ბაპტისტური ეკლესია, მეშვიდე დღის ქრისტიან-ადვენტისტთა ეკლესია საქართველოში, ხსნის არმია საქართველოში.

ამ ერთობლივი განცხადებიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სექსუალური უმცირესობების დაგეგმილი დემონსტრაცია თანაბრად მიუღებელი იყო საქართველოში არსებული ტრადიციული რელიგიებისადმი და ამგვარი მიდგომა, მხოლოდ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას არ გამოუხატავს. მაშასადამე, ნებისმიერი მცდელობა, განვითარებულ მოვლენებში დაედანაშაულებინათ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, პირდაპირ მიუთითებს ბრალმდებელთა ღრმად სუბიექტურ და ტენდენციურ დამოკიდებულებაზე მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ.

2013 წლის 17 მაისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა: „ჩვენ ვემიჯნებით ძალადობას, მაგრამ არ შეიძლება ცოდვის პროპაგანდა (იქვე :3). სწორედ, ცოდვის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოვიდა ათიათასობით ქართველი ქუჩაში. ქრისტეს მოძღვრება იწყნარებს მონანულ ცოდვილს და არა ცოდვას, ხოლო ამ უკანაკნელის პროგანდა პირდაპირ წარმოადგენს ღმერთის მგმობელურ და ასევე, ქართული ეროვნული ტრადიციებისა და ადათ-წესების გამთელავ ქმედებას, რასაც ბუნებრივია, სათანადო პროტესტი უნდა მოჰყოლოდა, რასაკვირველია ყოველგვარი ძალადობისა და ფიზიკური ანგარიშსწორების გარეშე.

მრევლთან ერთად იმყოფებოდნენ სასულიერო პირები, მათ შორის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ბოდბელი ეპისკოპოსი იაკობი (იაკობიშვილი). მომხდარ მოვლენებს გამოეხმაურა პრესა. „დღეს მავანნი მოითხოვენ, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ ხელდასხმული აქციის მონაწილეები, მათ შორის, სასულიერო პირები დაისაჯონ. /ერთ-ერთი პიროვნება/ უფრო შორს წავიდა - ბოდბელი ეპისკოპოსის, მეუფე იაკობის დაჭერასაც კი ითხოვს, აქციის ორგანიზატორი იყოო. მეუფე იაკობი რომ არ ყოფილიყო, რუსთაველზე ნამდვილად დაიხოცებოდა ხალხი. ყველა ტელევიზიამ, მარტო აგრესიული და სიმართლე ითქვას, ზოგიერთი სასულიერო პირის სტატუსისთვის შეუფერებელი საქციელი აჩვენა... არადა, აქციაზე მრავლად იყვნენ სასულიერო პირები, რომლებიც გავეშებულ ხალხს აშოშმინებდნენ, ხალხს ეხვეწებოდნენ, რომ გეები და ლესბოსელები არ ეცემათ, დაენდოთ, ეგენიც ღვთის შვილები არიან და ჩვენი მისია მათი ცემა კი არა, მათი ეკლესიაში მიყვანაა... ზოგიერთ სასულიერო პირსაც უმტყუნა ნერვებმა. არადა, ძნელია ნერვების დაოკება, როცა უზნეობა ასე თავხედურად გიტევს, სიბილწე არ გეპუება და შენზე გამარჯვებას ლამობს. საბედნიეროდ, ძალზე სწრაფად და ადეკვატურად მოქმედებდნენ პოლიციელები. მათ საკუთარი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის რისკის ფასად გამოგლიჯეს ხალხს ცოდვისშვილები და გაარიდეს იქაურობას. ამ დროს იყო სწორედ, სასულიერო პირთა უმრავლესობას პირველმა შფოთმა რომ გადაუარა, ყველაზე აგრესიულ მრევლს უკან დასდევდნენ და აშოშმინებდნენ, - თუ სისხლი დაიღვარა, ეს ჩვენი და ეკლესიის მარცხი იქნებაო... ამ აქციის ორგანიზატორად საპატრიარქო, ხოლო აქციის ლიდერად, მეუფე იაკობი უნდა ჩაითვალოს... დღეს ბევრი მეუფე იაკობის დასჯას ითხოვს. რა უნდა ექნა მეუფე იაკობს?! ხალხი განსაცდელში მიეტოვებინა?! გამოუჩნდა ამ პროტესტანტ ხალხს საერო ლიდერი, მოვიდა მეუფე იაკობი, ის გვერდზე გასწია და თავად ითავა ლიდერობა? ხალხი უპატრონოდ იყო მიტოვებული, ეს აქცია დიდი ხნის წინ იგეგმებოდა, მაგრამ მისი ლიდერობა ვერავინ იტვირთა, ვერც ბოლო მომენტში. ამ ღვთის ანაბარა დარჩენილ ხალხს კი ღმერთმა უპატრონა, საპატრიარქომ აიღო მართვის სადავეები ხელში. ნათქვამია, თუ ყველამ მიგატოვა და ღმერთი შენთანაა, ჩათვალე, რომ მარტო არ ხარო. სწორედ ასე მოუვიდა ამ ხალხსაც - ყველამ მიატოვა, ღმერთის გარდა“ („ქრონიკა“, N20, 2013:14-15).

2013 წლის 21 მაისს სამშობლოში დაბრუნდა უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც თბილისში დაბრუნებისთანავე მოილოცა ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარი, სადაც დალოცა შეკრებილი მრევლი და აღნიშნა: „ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი აქ არყოფნის დროს ქუჩებში იყო არსასიამოვნო გამოსვლები და ესეც, მადლობა უფალს, მშვიდობით დამთავრდა“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N20, 2013:2).

2013 წლის 17 მაისი, მიუხედავად მრავალი შემდგომი სპეკულაციისა, ტენდენციური და ცილიმსწამებლური განცხადებისა, დაძლეულ გამოწვევად უნდა ჩაითვალოს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, რომელმაც შეძლო, აქციაზე, სექსუალური უმცირესობების წინააღმდეგ გასული მრევლის მართვა და ღმერთის წყალობით, სისხლისღვრისა და მსხვერპლის თავიდან აცილება, რამეთუ იკვეთებოდა გარკვეული გარემოებები, რომ გარკვეული ძალები ანხორციელებდნენ შეგნებულ პროვოკაციას და ზოგიერთთა ინტერესებში, იქნებ სისხლისღვრა და მსხვერპლიც შედიოდა, რაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის აქციაზე მყოფი სასულიერო პირების სანაქებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მათი დიდი ძალისხმევით, ნამდვილად აცილებული იქნა, თუმცა იყო არასახარბიელო ექსცესებიც ზოგიერთი სასულიერო პირის მხრიდან...

ხშირად, უმცირესობის დაცვის საბაბით, უგულვებელყოფილია უმრავლესობის სამართლიანი უფლებები. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2014 წლის 13 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ქადაგებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ ბრძანა: „უფლის ლოცვა-კურთხევა რომ მოვიპოვოთ, უნდა გვახსოვდეს, ვინ ვართ, რა მოგვეთხოვება და საითკენ მივდივართ. უნდა ვიფიქროთ არა მარტო უფლებებზე, რომელიც გვაქვს, არამედ იმაზეც, თუ რა პასუხისმგებლობა აკისრია ყოველ ჩვენგანს წინაშე ღვთისა, ერისა, ადამიანისა და საკუთარი სულისა.

დღეს სულ იმაზე საუბრობენ, რომ დაცული უნდა იყოს უმცირესობის უფლებები და გულისხმობენ მცირერიცხოვან ეთნოსებს, მცირერიცხოვან რელიგიურ ჯგუფებს, უმცირესობაში მყოფ სხვა პირებს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ იმაზეც, თუ ვინ დაიცავს უმრავლესობას, ვინ დაიცავს ქართველ ხალხს?! ქართველ ერს უფალი დაიცავს, უფალი

გადააფარებს თავის კალთას! და დღეს განსაკუთრებით შევთხოვთ მას: უფალო, შენს წყალობას ნუ მოაკლებ საქართველოს!“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N15, 2014:2).

მართლაც ვინ დაიცავს უმრავლესობის უფლებებს, რომელიც უკანასკნელ ხანებში გაბატონებული გლობალური ტენდენციების გამო იჩაგრება, უმცირესობათა უფლებების დაცვის საბაბით?! სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ზემოთ ხსენებულ ქადაგებას გამოეხმაურა ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა: „აი, ძვირფასო მკითხველო, დღეს საქართველოში ყველაზე დიდმა ქართველმა, სასულიერო და საერო მოღვაწეთა შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტის მქონე კაცმა - საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წმიდა ამბიონიდან დასვა ის კითხვა, რომელიც გულსა და გონებას უფორიაქებს ყველა ჭეშმარიტ ქართველს და რომელზე პასუხიც დღემდე ვერ უპოვია ქართველობას!.. მე მგონი, უმრავლესობაში დღეს უმცირესობების უფლებათა დამცველები არიან. დიახ, არა მგონია, დღეს საქართველოში უმცირესობების იმდენი წარმომადგენელი იყოს, რამდენიც მათი დამცველია! ამიტომაც სვამს კითხვას ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელი: „ვინ დაიცავს უმრავლესობის უფლებებს?!“ ამ კითხვას პასუხი სჭირდება! უპასუხეთ! („ასავალ-დასავალი“, N 15, 2014:39).“

აი, რა პასუხი გაეცა, კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დასმულ ხსენებულ კითხვას. 2014 წლის აპრილში საქართველოს პარლამენტმა დაიწყო განხილვა კანონპროექტისა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც აკანონებდა ცნებებს „სექსუალური ორიენტაცია“, „გენდერული იდენტობა“. აღნიშნული ტერმინების ოფიციალურ დონეზე ჩაწერით, უზნეობა და ცოდვა იძენს სახელმწიფო დონეზე აღიარებული ქმედების სახეს. ამ კანონის წინააღმდეგ, ვნებათაღელვა წარმოიშვა სასულიერო პირებსა და მორწმუნეთა შორის. 2014 წლის 28 აპრილს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „...ღვთის მცნებებიდან გამომდინარე, მორწმუნე საზოგადოება არატრადიციულ სექსუალურ ურთიერთობებს სამართლიანად მიიჩნევს მომაკვდინებელ ცოდვად, ხოლო წარმოდგენილი ფორმით ანტიდისკრიმინაციულ კანონპროექტს თვლის ამ ცოდვის პროპაგანდად და დაკანონებად.

მათი აზრით, იგი იწვევს ყველა რელიგიით აღიარებული ძირითადი ზნეობრივი პრინციპების ეჭვქვეშ დაყენებას, ეს კი, თავის მხრივ, საზოგადოების ფართო ფენის დისკრიმინაციის საშიშროებას ქმნის.

ევროკავშირი წარმოადგენს განსხვავებული ერებისა და რელიგიების გამაერთიანებელ მრავალფეროვან სივრცეს, რომელიც აცხადებს, რომ აღიარებს სხვადასხვა ხალხების კულტურასა და ტრადიციებს და საქართველოსთან მიმართებაში მზად არის, გაითვალისწინოს და პატივი სცეს ჩვენს ფასეულობებს. აღნიშნული კანონების მოთხოვნები კი ამ პრინციპს ეწინააღმდეგება...“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N17, 2014:2-3).

კათოლიკოს-პატრიარქმა მიმართა საქართველოს პარლამენტს, რათა გადაედო კანონპროექტის არსებული სახით მიღება, საკითხის განხილვაში მომხდარიყო ეკლესიისა და ფართო საზოგადოების ჩართულობა, რათა მიღწეული ყოფილიყო საერთო თანხმობა და გადაწყვეტილება ნაჩქარევად არ მიღებულიყო.

სრულიად გაუგებარი იყო კანონპროექტის ამგვარი ფორმით მიღება, რადგან საქართველოში, სექსუალური ორიენტაციის გამო, საზოგადოებრივ დონეზე, მასობრივი სახით არავინ არასდროს უდევნიათ. შექმნილი ვითარება სამართლიანად იწვევდა მორწმუნეების გულისწყრომას. სასულიერო პირებიც ვერ ფარავდნენ გაოცებას, თუ რა იყო მიზეზი და მიზანი ხსენებული კანონის მიღებისა.

სიტუაცია უარესი ტენდენციისკენ მიდიოდა და კანონპროექტის არსებულ ფორმას კანონად მიღებისკენ მიაქანებდნენ. 2014 წლის 2 მაისს, ოდნავ შეცვლილი კანონპროექტი, საქართველოს პარლამენტმა დააკანონა. რაღაც უმნიშვნელო ცვლილების შემდეგ, გავრცელდა ინფორმაცია, რომ თითქოს, კანონპროექტის ოდნავ სახეცვლილი ვარიანტი მისაღები გახდა ეკლესიისთვის, რასაც 2014 წლის 2 მაისს განცხადებით უპასუხა საქართველოს საპატრიარქომ, რომელმაც უარყო გავრცელებული ინფორმაცია და დასძინა, რომ საქართველოს ეკლესია იცავდა და იცავს არა მხოლოდ სასულიერო პირებისა და მრევლის ინტერესს, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის იმ ნაწილის მოთხოვნასა და უფლებებს, რომლებიც მიუღებლად მიიჩნევდნენ კანონპროექტის არსებული ფორმით მიღებას.

2013 წლის 17 მაისის მოვლენების საერთო ჯამში მშვიდობიანად დასრულების მიუხედავად, 2014 წლის 2 მაისს მიღებული კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის

აღმოფხვრის შესახებ“ ფონზე, ისევ არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ მომდევნო წლებში, არაკეთილმოსურნე ძალებს კვლავ განეხორციელებინათ პროვოკაციული ქმედებები და სექსუალური უმცირესობების თემა გამოეყენებინათ მორიგი დაძაბულობის წარმოსაქმნელად. პასუხისმგებლობა კვლავ ეკლესიას უნდა აეღო და აღნიშნულის კვალად საჭირო იყო ქმედითი ღონისძიების გატარება. სწორედ ამ მიზნით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, თავისი ჩვეული სიბრძნით მიიღო გონივრული გადაწყვეტილება, რომლის შესახებ, სრულიად საქართველოს ამცნო 2014 წლის 11 მაისს, ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან. მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის ლოცვა-კურთხევით ყოველი წლის 17 მაისი გამოცხადდა ოჯახის სიწმიდისა და მშობლების დღედ. აღნიშნულთან დაკავშირებით, საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება, რომლის მიხედვით, ყოველი წლის 17 მაისს, ყველა მოქმედ ტაძარში აღევლინება ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის პარაკლისი, ხდება ტაძრების მიმდებარე ტერიტორიებისა და ქუჩების კურთხევა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, როგორც ერის სულიერი მამა, პარაკლისის შემდეგ წაიკითხავს საგანგებო ლოცვას. ამავეს აღასრულებენ მღვდელმთავრები მათი სამეუფეო ომოფორის ქვეშ მყოფ ეპარქიებში და ასევე სასულიერო პირები - თავიანთი მსახურების ადგილებზე, ტაძრებში. საქართველოს საპატრიარქოს განცხადებაში აღნიშნულია: „ოჯახის სიწმინდე და სიმტკიცე სახელმწიფოს ძლიერების საფუძველია. ოჯახის სიწმინდის ხელყოფა და არაბუნებრივი და გაუკუღმართებული ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობად გამოცხადება საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის, განურჩევლად აღმსარებლობისა, სრულიად მიუღებელია. რა თქმა უნდა, იგი ასევე მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკლესია ებრძვის ცოდვით დაზიანებულ ადამიანს, პირიქით, იგი ზრუნავს მისთვის და იღვწის მისი გამოსწორებისათვის. ეკლესია ამხელს და ებრძვის თავად ცოდვას, მის საჯარო პროპაგანდას, რადგან ასეთი დამოკიდებულება მეტად განარისხებს უფალს და ღვთის დიდ სასჯელს მოიწევს; ამიტომაც ცდილობს ჩვენი ეკლესია, დაიცვას ერი უზნეობის დაკანონებისა და სულიერი ძალადობისაგან...“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N20, 2014:4).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღნიშნა: „თავიოსუფლებას დიდი ძალა აქვს... მაცხოვარი ჩვენი ამბობს: მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე. სამწუხაროდ, ადამიანი თავისუფლებას ხშირად ბოროტად იყენებს, რაც მისთვის დამღუპველია. მას რომ სრული თავისუფლება ჰქონოდა მინიჭებული, მაშინ არც ათი მცნება მიეცემოდა, არც კანონების შექმნა იქნებოდა საჭირო და არც ადათ-წესებისა. ახლა ისეც ხდება, რომ ადამიანები და სახელწიფოები უკანონობას აკანონებენ... ჩვენ უნდა გავარჩიოთ სად არის კეთილი და სად ბოროტი, რა არის მისაღები და რა მიუღებელი. შევთხოვოთ უფალს, გაგვიხსნას გონება და გული და გულმა გაარჩიოს კეთილი და ბოროტი ერთმანეთისაგან. უფალმან ძალი ერსა თვისსა მოსცეს, უფალმან აკურთხოს ერი თვისი მშვიდობით. ამინ“ (საქ.ეკლ.კალ. 2016:4).

მართლაც, 2014 წლის 17 მაისიდან, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ჩვენს ქვეყანაში ფართოდ აღინიშნება ოჯახის სიმტკიცისა და მშობლების დღე, ეწყობა ლოცვითი მსვლელობები ქუჩებში, რომლის დასრულების შემდეგ, თბილისში, შეკრებილ მრავალრიცხოვან სასულიერო პირებსა და მრევლს, ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ლოცავს მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ილია მეორე. დღე, რომელიც შესაძლოა, ყოველ წელიწადს, ერისა და ეკლესიისთვის დიდ თავსატეხად და პრობლემად გადაქცეულიყო და არაერთი დაპირისპირება შეიძლებოდა გამოეწვია, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ერთობისა და ზეიმის დღედ გადაიქცა. ეს უდავოდ ჩვენი სამშობლოსა და დედაეკლესიის საკეთილდღეოდ მოპოვებული ერთ-ერთი დიდი გამარჯვებაა!

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვმოძღვრავს: „უკვე 20 საუკუნეა, საქართველო იცავს მართმადიდებლობას, როგორც უდიდეს საუნჯეს.. რწმენის ღალატი არ შეიძლება! ქართველმა კაცმა მუდამ იცოდა, რომ მამულის, რწმენისა და ეკლესიის ღალატი არ შეიძლება - ეს დამღუპველია ადამიანის სულისათვის“ (საქ.ეკლ.კალ. 2017:4).

ამ თავში განვიხილეთ 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება და საქართველოს ეკლესია, მღვდელ (შემდგომში დეკანოზი) რომანოზ ჩიქობავას წამება და უკანონო შეპყრობა ე.წ. მხედრიონის მიერ, 1997 წლის მოვლენები საქართველოს ეკლესიაში, როდესაც რამდენიმე მონასტრის წინამძღვრები და სხვა სასულიერო პირები მოითხოვდნენ საქართველოს ეკლესიის

მსოფლიო ეკლესიათა საბჭოდან გამოსვლას, 2002 წელს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის, 2011 წელს მიღებული კანონი რელიგიურ გაერთიანებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესახებ, 2013 წლის 17 მაისის მოვლენები, 2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონი და ყოველივე აღნიშნულის ფონზე საქართველოს ეკლესიის წინაშე წამოჭრილი გამოწვევები და პრობლემები.

თავი VI. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების ურთიერთობათა უახლესი ისტორიიდან

საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები მრავალი სირთულითა და გამოწვევითაა აღსავსე. იგივე შეიძლება ითქვას საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობებზე. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, რუსეთმა გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და უძველესი საპატრიარქო საყდარი დაუქვემდებარა რუსეთის სინოდს.

მეოცე საუკუნის დასაწყისში, ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა დიდი ღვაწლით მოხერხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, მაგრამ რუსეთის ეკლესია ცდილობდა მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში საქის ვითარების ისე წარმოჩენას, თითქოს, საქართველოს ეკლესია განუდგა ჭეშმარიტ მართლმადიდებლობასა და სქიზმაში გავიდა. მართალია, 1943 წლის ოქტომბერში, რუსეთის ეკლესიამ აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, ხოლო მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი პიმენი (იზვეკოვი) თანადგომას უცხადებდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს, რათა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ეღიარებინა საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, თუმცა, რეალურად, რუსეთის სასულიერო უმაღლესი იერარქია, ყოველთვის მოქმედებდა პირადი ინტერესების შესაბამისად.

1990 წლის 3 მაისს გარდაიცვალა უწმიდესი პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა პიმენი. ამავე წლის 6 მაისს, მოსკოვში, მის დაკრძალვას დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც აღნიშნა: „ამ წუთებში, უკანასკნელი დამშვიდობების ჟამს, ჩვენ წინ წარმოგვიდგება ნათელი სახე უწმიდესისა, რომელიც ჭეშმარიტად კეთილი მწყემსი იყო სრულიად რუსეთის სამწყსოსი. მე სიყვარულით ვიხსენებ მოსკოვის სასულიერო სემინარიაში სწავლის წლებს, როცა იგი უწმიდესი სერგის წმიდა სამების ლავრის წინამძღვარი იყო. ჩვენ, სტუდენტებიცა და მასწავლებლებიც, სიხარულით დავდიოდით მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯან-ღონით აღსავსე წინამძღვრის მჭევრმეტყველური და ღრმა შინაარსის ქადაგებების მოსასმენად... ჩემთვის უწმიდესი

ყოველთვის იყო სულიერებისა და ეკლესიურობის მაგალით და მისი დასწრებაც 1977 წელს საქართველოში ჩემს ინტრონიზაციაზე მე აღვიქვი, როგორც ნიშანი ღვთისგან დალოცვისა...“ (კაცაძე, ნაწ. II, 2017:222-223).

პატრიარქ პიმენის გარდაცვალების შემდეგ, 1990 წლის 7 ივნისს, რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის რიგგარეშე ადგილობრივმა კრებამ, მამამთავრად აირჩია ლენინგრადისა და ნოვგოროდის მიტროპოლიტი ალექსი (რიდიგერი), რომელიც ამავე წლის 10 ივნისს აღსაყდრდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად. ინტრონიზაციას მოსკოვის ღმრთის განცხადების სახელობის საპატრიარქო ტაძარში დაესწრო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც სიტყვით მიმართა ახლადაღსაყდრებულ პატრიარქ ალექსის: „დიდია ჩვენი სიხარული, რადგან დღეს უფლის ნებით პატრიარქის ტახტზე ავიდა ღირსეული მემკვიდრე სრულიად რუსეთის მღვდელმთავრებისა, უწმიდესი პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა ალექსი მეორე...

თქვენო უწმიდესობავ! დღეს თქვენ უფალმა მოგანდოთ ვრცელი სამწყსო სრულიად რუსეთისა, მოგანდოთ მაშინ, როცა აუცილებელი გახდა გადაწყვეტა ეკლესიის წინაშე დასმული მრავალი პრობლემისა. უფალი იყოს თქვენი შემწე ამ სიძნელეთა გადალახვაში!.. ეკლესიაში მოდიან ადამიანები, რომელნიც ღმერთს მხოლოდ ცივი გონებით ეძიებენ და რომელთაც მხოლოდ კრიტიკა შეუძლიათ. ეკლესიამ უნდა გაათბოს გამკაცრებული და გაყინული გულები. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული პასუხისმგებლობა პატრიარქს ეკისრება...

ჩვენ გამოვთქვამთ იმედს, რომ თქვენი მწყემსმთავრული მსახურება ღმრთისა, ერთმორწმუნე რუს და ქართველ ხალხებს შორის ძმური ურთიერთობების განმტკიცებით აღინიშნება. ჩვენ ჩამოვედით და ჩამოვიტანეთ სიყვარული წმიდა ივერიისა, კურთხევა და მფარველობა ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლისა, რომლის წილხვედრიცაა ჩვენი ქვეყანა.

ჩვენი ეკლესიის წმიდა სინოდის, სამღვდელოებისა და საქართველოს მორწმუნეთა სახელით გულითადად გილოცავთ თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, აღსაყდრებას რუსეთის საპატრიარქო ტახტზე...“ (იქვე :226-227).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ურთიერთანამშრობლობა და მეგობრული დამოკიდებულება შესთავაზა რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს. ამ უკანასკნელის პატრიარქობის პირველი წლები დაემთხვა საქართველოში კანონიერი ხელისუფლების გადატრიალებას, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში რუსეთის პირდაპირ ომს ქართული სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ და სეპარატისტების წაქეზებას. მოსკოვის საპატრიარქოც მხარს უჭერდა თავისი სახელმწიფოს ქმედებებს.

1991 წლის 31 ოქტომბერს „დამოუკიდებელ გაზეთში“ გამოქვეყნდა ჟანა მარუკიანის წერილი „სამხრეთ ოსეთის ქრისტიანები დახმარებას სთხოვენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური, ქ. ვლადიკავკაზის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის საფარველის სახელობის ტაძრის მოძღვარი, მამა ვიტალი, თანახმა იყო, რომ საკუთარ თავზე აეღო მზრუნველობა სამხრეთ ოსეთზე. წერილში ნათქვამია, რომ ყოველივე ამაზე, მამა ვიტალის ლოცვა-კურთხევას აძლევდა რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავარი, სტავროპოლისა და ბაქოს მიტროპოლიტი გედეონი, რომელსაც გამოუთქვამს თავისი მოსაზრება, „ორი ოსეთის“ შეერთების შესახებ. ამ ფაქტთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესიის პოზიცია იყო მტკიცე და შეუვალი. 1991 წლის 8 ნოემბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილით მიმართა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქს ალექსი მეორეს: „...უწინარეს ყოვლისა, მეუფე გედეონმა, ალბათ, უნდა იცოდეს, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორია არასოდეს ყოფილა გაერთიანებული ჩრდილოეთ ოსეთთან და რომ ის უძველესი ტერიტორიაა საქართველოსი. თავისი განცხადებით მეუფე მტრობას სთესს არა მხოლოდ ქართველებსა და ოსებს, არამედ ქართველებსა და რუსებს შორისაც, ხოლო თუკი მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მსგავსი განცხადება არ გაუკეთებია, მაშინ მას ამ სტატიის გამოჩენისთანავე წერილობით უნდა უარეყო იგი.

სტატია მთავრდება იმით, რომ რუსულ ეკლესიას მიტროპოლიტი გედეონის სახით სურს „სულიერი დახმარება გაუწიოს და მიიღოს სამხრეთ ოსეთი რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის პროტექტორატის ქვეშ“. ამისათვის, როგორც ნათქვამია „მიტროპოლიტმა სრულიად რუსეთის პატრიარქს ალექსი მეორეს გამოსთხოვოს კურთხევა.

თქვენო უწმიდესობავ, მე შემეძლო საერთოდ არ გამოვხმაურებოდი ამ სტატიას, როგორც არასერიოზულ განცხადებას, მასში რომ რუსული ეკლესიის თვალსაჩინო მღვდელმთავრის, მიტროპოლიტ გედეონის სახელი არ იხსენიებოდეს. მე არც თქვენი შეწუხება მსურდა, მაგრამ რადგანაც ამ წერილს საქართველოს ტელევიზიამ უკვე გაუკეთა კომენტარი, რამაც მორწმუნეთა შორის მღელვარება გამოიწვია, იძულებული გავხდი, თქვენთვის წერილით მომემართა... ძმური სიყვარული, ურთიერთგაგება და თანამშრომლობა, რომელიც ჩვენს ავტოკეფალურ ეკლესიებს შორის არსებობს, ვერ უნდა დაარღვიოს მსგავსმა უპასუხისმგებლო განცხადებებმა...“ (იქვე :290-291).

სავარაუდოდ, რუსეთის ეკლესიის მაღალიერარქიამ, მიტროპოლიტ გედეონის სახით, ნიადაგი მოსინჯა, რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის საეკლესიო ოკუპაცია. შემთხვევითი არ იყო, რომ ამ საქმეში, პატრიარქ ალექსი მეორის სახელმაც გაიჟღერა... სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მყარმა პოზიციამ და მიმართვამ რუსეთის პატრიარქისადმი, სამაჩაბლო, რომელიც ჩვენი სამშობლოსა და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის განუყოფელი ტერიტორიაა, გადაარჩინა საეკლესიო ანექსიას. ამ ფაქტმა კიდევ უფრო ნათელი გახადა რუსეთის საეკლესიო იერარქიის რეალური დამოკიდებულება და სურვილები საქართველოს მიმართ.

1992 წლის ოქტომბერში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ რუსეთის პატრიარქს სთხოვა, რათა თავისი ავტორიტეტით, შეეჩერებინა აფხაზეთში მიმდინარე სისხლისღვრა, თუმცა, რუსეთის ეკლესიის მეთაურისგან, ამ მხრივ, არავითარი ქმედითი დახმარება იქნა აღმოჩენილი...

1996 წლის 27 აპრილიდან 1 მაისამდე საქართველოს სტუმრობდა უწმიდესი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი ალექსი მეორე, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად. 28 აპრილს, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში, რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებმა, ერთობლივი საღმრთო ლიტურგია აღავლინეს. წირვაზე, დიდი შესვლისას, რუსეთის პატრიარქმა, ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიების მამამთავართა მოხსენიებისას, არ მოიხსენია მსოფლიო პატრიარქი ბართლომეოსი (იმხანად, ბალტიისპირეთის სახელმწიფოების გამო კონსტანტინეპოლისა და მოსკოვის საპატრიარქოებს ჰქონდათ დავა), რის გამოც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, განმეორებით,

თავად შეასრულა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურთა მოხსენიება, რომელიც დაიწყო მსოფლიო პატრიარქის ბართლომეოსის მოხსენიებით. თვითმხილველები იხსენებენ, რომ კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს აღნიშნული ქმედების გამო, უკმაყოფილება აშკარად დაეტყო პატრიარქ ალექსის, რომელმაც უკმაყოფილება, თავის უცნაური მოძრაობით გამოხატა... ამ ფაქტიდან გამომდინარე ნათელია, რომ რუსეთის პატრიარქი ცდილობდა, მოსკოვის საპატრიარქოს მხარეს მყოფად წარმოეჩინა საქართველოს საპატრიარქო და სწორედ ამ მიზნით, პატრიარქმა ალექსი მეორემ საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი საპატრიარქო კათედრალის ამბიონიდან, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ერთად აღსრულებულ საღმრთო ლიტურგიაზე, დემონტრაციულად არ მოიხსენია მსოფლიო პატრიარქი, რათა საქართველოს ეკლესია წარმოჩენილიყო, როგორც რუსეთის ეკლესიის ინტერესების გამტარებელი, რაც ვერ გამოვიდა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს მეტად გონივრული ქმედებით, რომელმაც საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო კურსს გაუსვა ხაზი.

საღმრთო ლიტურგიის განსრულებისას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან წარმოთქმულ თავის სიტყვაში ბრძანა: „თქვენო უწმიდესობავ, უწმიდესო ალექსი II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქო, ქრისტესმიერ ფრიად საყვარელო ძმაო! ყოვლადუსამღვდელოესნო მღვდელმთავარნო, ღმრთივგაბრძნობილნო მამანო, ძვირფასო სტუმრებო, დანო და ძმანო!

პასექის ამ ნათელ დღეებს, როცა ჩვენი გული მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის სიხარულითაა აღსავსე, განსაკუთრებულ სადღესასწაულო ბრწყინვალებას ჰმატებს დიდად საპატიო სტუმრის, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის უწმიდესი ალექსი II და მის თანხმლებ პირთა ჩამობრძანება ივერიის უძველეს კურთხეულ მიწაზე, რომელთაც ჩვენი ქვეყანა დიდი სიხარულითა და სიყვარულით მასპინძლობს... დღეს, როცა ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე ვიმყოფებით, მეტად დიდია ეკლესიებისა და მათ საჭეთმპყრობელთა როლი და პასუხისმგებლობა. ჩვენ მოწმენი ვართ თანამემამულეთა გაჭირვებისა, გვესმის კვნესა საკუთარ სამშობლოში უსახლ-კაროდ დარჩენილ ლტოლვილთა, მაგრამ ხშირად არსებითი დახმარების გაწევა არ ძალგვიძს.

ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა სეპარატისტული და ცენტრიდანული ძალების გააქტიურებასა და მათ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლას შეუწყო ხელი. ამ ძალების გავლენის შედეგია ის სიტუაცია, რაც დღეს აფხაზეთში და ჩეჩნეთშია შექმნილი! ეს ძალები მხოლოდ დღევანდელი დღით, წარსულისა და მომავლის გარეშე ცხოვრობენ. მათი აწმყო გენოციდი, სისხლი, ნგრევა, ათასობით მოტყუებული ადამიანია, რადგან თავიანთი ამბიციების დასაკმაყოფილებლად სეპარატისტთა ლიდერები არამარტო სხვა, არამედ საკუთარი ხალხის სიცოცხლესაც დაუნანებლად სწირავენ. ჩვენმა ხელისუფლებამ, ეკლესიებმა, კეთილი ნების ადამიანებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ მათ ბოროტ ზრახვებს გზა გადაეღობოს და სამართლიანობა, ურთიერთგაგება, მშვიდობა და სიყვარული აღდგეს...

გამოვთქვამთ იმედს, რომ ჩვენი ქვეყნები გაუძლებენ დროის გამოცდას, შექმნილ მძიმე პრობლემებს დაძლევენ და ურთიერთთანამშრობლობასა და ჭეშმარიტად მეგობრულ ურთიერთობას განამტკიცებენ. ჩვენ გვინდა ვიხილოთ სულიერად და მატერიალურად ძლიერი, მთლიანი და სტაბილური რუსეთი და საქართველო, დარწმუნებულნი ვართ, იგივე გსურთ თქვენც...“ („მადლი“, N4, 1996:3).

თავის მხრივ, სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა ალექსი მეორემაც წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი იმ კონკრეტულ საფრთხეებსა და გამოწვევებზე, რაც საქართველოს წინააღმდეგ არსებობდა რუსეთის სახელმწიფოს მხრიდან. ფაქტობრივად, რუსეთის პატრიარქმა თავი აარიდა საუბარს ყველა იმ პრობლემური საკითხის ირგვლივ, რომელთა შესახებ მკაფიოდ და ცალსახად ისაუბრა თავის სიტყვაში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა. რუსეთის ეკლესიის მეთაურის ამ ქმედებით ცხადი იყო, რომ ვერაფერ სასიკეთოს, მისი ვიზიტი ვერ ჰპირდებოდა ჩვენს ქვეყანას, თუმცა კი იყო გულთბილი საუბრები.

სვეტიცხოველში ასევე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც აღნიშნა: „ჩვენ ვთვლით, რომ თქვენი ვიზიტი ჩვენი ერთმორწმუნე ხალხების ცხოვრებაში უდიდეს მოვლენას წარმოადგენს... რწმენა უზრუნველყოფს სტაბილიზაციას ჩვენთანაც და რუსეთშიც, რომლის სათავეშიც დიდი სახელმწიფო მოღვაწე, ბორის ელცინი დგას... კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ. ვუსურვებ დიდ რუსეთსა და

დიდ რუს ხალხს, ყველა მორწმუნეს სიკეთეს, დიდ ბედნიერებასა და აყვავებას“ (იქვე :4). ბუნებრივია, პრეზიდენტი შევარდნაძე, რომელმაც მთელი თავისი კარიერა საბჭოთა კავშირში ააწყო და ცნობილი იყო, როგორც საბჭოთა პოლიტიკოსი და საქართველოს სათავეში მოვიდა რუსეთის მიერ ინსპირირებული სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, სწორედ ამგვარად მიმართავდა რუსეთის პატრიარქს, თუმცა, მისი გამოსვლა, ბევრმა, შორსმჭვრეტელი დიპლომატიით ახსნა.

1996 წლის 29 აპრილს რუსეთის პატრიარქი ეწვია საქართველოს საპატრიარქოს, სადაც თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიერ მიენიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. აღნიშნულ ღონისძიებაზე, რუსეთის პატრიარქმა ალექსი მეორემ წაიკითხა მოხსნება „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე სამყაროში“, რომელშიც გაამახვილა ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ძველი სლავური საღვთისმსახურო ტექსტების თანამედროვე რუსულ ენაზე თარგმნაა საჭირო, რათა ადამიანებისთვის გასაგები გახდეს. მისი თქმით, დასაშვებად მიაჩნდა საღმრთო ლიტურგიაში ცვლილებების შეტანა, რამეთუ ღმრთისმსახურების წესი, რომელიც ბიზანტიაში დადგინდა, დოგმატებისგან განსხვავებით არ მიიჩნია მარადიულად და უცვლელად. ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გაიხსენა წმიდა მოციქულთა მაგალითი და აღნიშნა, რომ მაცხოვრის მოციქულებს გააჩნდათ წესი, იქ, სადაც ერთ-ერთი მათგანი იქადაგებდა, მეორე აღარ წარმართავდა თავის სამოციქულო-მქადაგებლობით მოღვაწეობას, რამეთუ ადგილზე დაფუძნებულ ეკლესიას, უკვე თავისი ტრადიციები გააჩნდა. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა დასძინა, რომ ქართული ეკლესია ამჯობინებს, რომ ლიტურგიაში რეფორმები კი არ გაატაროს, არამედ არსებული ტრადიციები დაიცვას.

ამავე დღეს, რუსეთისა და საქართველოს პატრიარქები ესტუმრნენ საქართველოს პრეზიდენტს... 30 აპრილს კი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი ალექსი მეორე და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვივნენ ქუთაის-გაენათის ეპარქიას, მოილოცეს გელათის მონასტერი, სადაც ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარში, პატრიარქებმა აღავლინეს პარაკლისი და ასევე იმყოფებოდნენ ქუთაისის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის სიონის

(ბაგრატის) საკათედრო ტაძარში, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ნანგრევების სახით, აღუდგენელი იყო.

1996 წლის 1 მაისს რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე გაემგზავრა სამშობლოში. ეს გახლდათ პატრიარქ ალექსის, როგორც რუსეთის ეკლესიის მეთაურის პირველი და უკანასკნელი ვიზიტი საქართველოში.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე ყოველთვის რთული და დაძაბულია. სამწუხაროდ, რუსეთის სახელმწიფო მუდამ მტრულ პოზიციაში იმყოფება ჩვენი ქვეყნისადმი. აღნიშნული მტრული დამოკიდებულება მრავალი ქმედებით გამოიხატება, მათ შორის, რუსეთის სახელმწიფო დღემდე ცდილობს, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში შექმნილი კონფლიქტი წარმოაჩინოს როგორც დაპირისპირება ქართველებსა და აფხაზებს, ქართველებსა და ოსებს შორის და არა, როგორც რუსეთის აგრესია. ამ პროპაგანდაში აქტიურად მონაწილეობს მოსკოვის საპატრიარქოს იერარქია. საყურადღებოა 2001 წელს ჭიათურის (ამჟამად დასავლეთ ევროპის) მიტროპოლიტის აბრაამის (გარმელია) მიერ გაგზავნილი წერილი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქის ალექსი მეორესადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „რატომ დაუშვით თქვენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა დაძაბულობის გამძაფრებაში, რითაც ხელს უწყობდით კონფლიქტურ რეგიონებში ანტიქართულ განწყობას? რატომ დართეთ თქვენთან თანამსახურების ნება მღვდელს, ბესარიონ ფილიას, რომელიც, როგორც თქვენთვის ცნობილია, არ ემორჩილება კანონიერ საეკლესიო მთავრობას? რა დამსახურებისთვის იღებს იგი რუსეთის ეკლესიისგან მხარდაჭერასა და ჯილდოებს?.. ოსი და ქართველი ხალხი კი არ დაუპირისპირდა ერთმანეთს, არამედ ადგილი აქვს დაპირისპირებას რუსეთის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკასა და სუვერენული საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს შორის. ერთადერთი, რასაც ჩემს სამშობლოს ვუსურვებდი, რომ რუსეთი ჩამოშორდეს კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეს საქართველოში, რომელიც უკვე მეორე საუკუნეა იტანჯება რუსული სახელმწიფოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მტრული პოლიტიკის გამო“ (ვარდოსანიძე, 2010:286). ასევე, მეტად საგულისხმოა 2002 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებული დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის წერილი მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების უფროსის, სმოლენსკისა და

კალინინგრადის მიტროპოლიტის (ამჟამად სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი) კირილესადმი (გუნდიაევი), სადაც წერია: „რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებისა და სასულიერო პირების მიერ საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ტერიტორიული იურისდიქციის მიმართ საეკლესიო კანონების დარღვევის ფაქტები მრავალრიცხოვანია, - რუსული სამღვდელოების მუდმივი ვიზიტები აფხაზეთში, მათი მღვდელმსახურება სხვა ადგილობრივი ეკლესიის ტერიტორიაზე და სხვა. უწმიდეს პატრიარქ ალექსი II-თან შეხვედრების დროს უწმიდესი და უნეტარესი კათოლიკოს-პატრიარქი ილია II განდგომილთა მხარდაჭერის დაუშვებლობაზე საუბრობდა... სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სამღვდელოება, საქართველოში ფაქტიურად რუსეთის ყბადაღებული ინტერესებს შესაბამისად მოქმედებს“ (იქვე: 290-291).

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა უახლეს ისტორიაში, ერთ-ერთი უმწვავესი იყო 2006 წლის შემოდგომაზე ქართველთა დამამცირებელი დეპორტაცია რუსეთიდან, რამაც გამოიწვია მსხვერპლი საქართველოს მოქალაქეთა შორის. ამ სიტუაციაში, მოსკოვის საპატრიარქომ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი მიიწვია რუსეთში, მართლმადიდებლური ენციკლოპედიის მეცამეტე ტომის პრეზენტაციაზე, თუმცა, ცხადი იყო, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურის მისია გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე დასახელებული ოფიციალური მიზეზი. 2007 წლის 1-5 მარტს გაიმართა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალრიცხოვანი დელეგაციის ვიზიტი რუსეთში. საქართველოს ეკლესიის მეთაურმა პირველივე ოფიციალურ შეხვედრაზე განაცხადა: „ჩვენ ჩამოვედით ფრიად საპასუხისმგებლო დროს, როდესაც რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობები საგრძნობლად გართულდა... ვიმედოვნებთ, რომ ეს ურთიერთობები უახლოეს მომავალში გაუმჯობესდება და მივხვდებით, რომ მეზობელ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა იყოს სტაბილური და მეგობრული. ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით. არსებობს შესანიშნავი ბრძნული გამონათქვამი: „დილით ამომავალ მზეზე ადრე ხედავ მეზობელს...“ რუსეთს უნდა სჭირდებოდეს ერთიანი, მეგობრული საქართველო“ (ვარდოსანიძე, 2017:389).

სამწუხაროდ, რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობები არა თუ დასტაბილურდა, არამედ 2008 წლის აგვისტოში, რუსეთის მხრიდან წარმოებულ ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ომის რამდენიმე ლოკაცია გააჩაღა. რუსეთის ხელისუფლებას სურდა, რომ არსებული საომარი ვითარება წარმოეჩინა, როგორც ეთნოკონფლიქტი ქართველებსა და ოსებს შორის, თუმცა რუსეთის საჯარისო ნაწილები დაუფარავად შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე. ამ ვითარებაში, 2008 წლის 9 აგვისტოს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გაავრცელა განცხადება: „საქართველოს ეკლესია გამოხატავს დიდ მწუხარებას ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გამო და თანაგრძნობას უცხადებს დაღუპულთა და დაჭრილთა ოჯახებს - როგორც ქართველებს, ისე ოსებს. ეს ჩვენი საერთო ტრაგედიაა, მაგრამ აუცილებელია, ყველამ იცოდეს და განსაკუთრებით ცხინვალის რეგიონის მოსახლეობამ (ისევე როგორც აფხაზეთში მცხოვრებთაც), რომ მათ ქართველები არ ებრძვიან და მათი გაძევება არავის სურს. საქართველო თავისი საზღვრების მთლიანობას იცავს. ეს სურვილი სამართლიანია და ამას საერთაშორისო ნორმებიც ითვალისწინებს.

ყველამ იცის, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომია საქართველოს ძალადობრივი გასაბჭოების შედეგია, რომელიც ჩვენს ისტორიულ ტერიტორიაზე მხოლოდ 80-90 წლის წინ შეიქმნა და იგი არ უნდა იქნას გამოყენებული სეპარატიზმის საფუძვლად.

ამ მიწა-წყალზე საუკუნეთა მანძილზე ქართველებთან ერთად ყოველთვის მშვიდობიანად ცხოვრობდნენ ოსებიც, ისევე როგორც აფხაზეთში - აფხაზები. ჩვენ კვლავაც მოსურნენი ვართ მშვიდობიანი თანაცხოვრებისა, მაგრამ ქართველი ერი ვერასოდეს შეეგუება თავისი საზღვრების ხელყოფას. საქართველოს არასოდეს მიუტაცია სხვისი ტერიტორია, მაგრამ თავისას ბოლომდე დაიცავს. ასე, რომ ეს არის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლა და არა ეთნოკონფლიქტი.

თუმცა, საქართველოს ეკლესია ყოველთვის იყო და არის პრობლემების სამართლიანი და მშვიდობიანი გზით გადაჭრის მომხრე, ხოლო მშვიდობა სამართლის გარეშე ვერ დამყარდება. ამიტომაც მივმართავთ რუსეთის ხელისუფლებას - შეწყვიტოს სრულიად გაუმართლებელი აგრესიული ქმედებები საქართველოს ტერიტორიაზე და თავისი მხარდაჭერით ნუ წაახალისებს სეპარატისტულ ძალებს. ასევე მივმართავთ საქართველოს ხელისუფლებას და

საერთაშორისო საზოგადოებას - გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა შეჩერდეს სისხლისღვრა და პოლიტიკური სხვა გზები გამოიძებნოს სამართლიანობის აღსადგენად.

ეს არ არის მხოლოდ საქართველოსათვის და თუნდაც მხოლოდ კავკასიისთვის საჭირო ქმედება. აქ, ევრაზიის შესაყართან, მრავალი ქვეყნის ბედი წყდება.

საქართველოს ისტორია - განსაცდელების ისტორიაა. ჩვენ შევძლებთ, გავუძლოთ შექმნილ პრობლემებსაც. მთავარია, დროულად გადაიდგას სწორი ნაბიჯები, რათა სიტუაცია კიდევ უფრო არ გართულდეს.

ლოცვას დიდი ძალა აქვს. ყველას კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, გააძლიეროთ ღვთისადმი ვედრება“ (კაცაძე, ნაწ. IV, 2017:158).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრირქის წარმოდგენილი განცხადება არის ცალსახა და პირუთვნელი შეფასება 2008 წლის საომარი მოვლენებისა. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ სრულიად სამართლიანად შენიშნა, რომ ეს იყო ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის და არა ეთნოკონფლიქტი, როგორც ეს სურდა შეერაცხა მტერ სახელმწიფოს.

2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოს ეკლესიის მეთაურმა წერილობით მიმართა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს და მოუწოდა მას, რომ ამ ომში არავინ იქნებოდა გამარჯვებული და იგი დროულად უნდა შეწყვეტილიყო.

2008 წლის 25 აგვისტოს რუსეთის დუმამ აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამავე დღეს გააკეთა განცხადება, რომელშიც აღნიშნულია: „...რუსეთის მხრიდან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის ცნობით მსოფლიოში ხელი ეწყობა სეპარატიზმს და ამიტომაც, საერთაშორისო საზოგადოება ვალდებულია, ხმა აღიმაღლოს ამის წინააღმდეგ... მივმართავ რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ დიმიტრი მედვედევს და პრემიერ-მინისტრს, ბატონ ვლადიმერ პუტინს - საქართველოსგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა მეტად საშიშია თვითონ რუსეთისათვის. ეს მისცემს ბიძგს თქვენს ქვეყანაშიც სეპარატიზმის განვითარებას და მომავალში თქვენ გაცილებით მეტი პრობლემა გექნებათ, ვიდრე ეს დღეს საქართველოშია. ამაზე ღირს დაფიქრება.

იმ დროს, როცა უკვე დაიღვარა ოსების, რუსების, ქართველების სისხლი, ჩვენს შორის ვითარების კიდევ უფრო გამწვავება დაუშვებელია. დუმის დადგენილება ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებული გადაწყვეტილებაა და ჩვენივე ქვეყნების კეთილდღეობისათვის გთხოვთ, იგი არ დააკანონოთ“ (იქვე :162). სამწუხაროდ, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა, მეორე დღეს, 2008 წლის 26 აგვისტოს, ხელი მოაწერა დუმის გადაწყვეტილებას აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ. რუსეთმა საქართველოსთან ურთიერთობის მხრივ კიდევ ერთი ძალიან დიდი და მკვეთრად უარყოფითი უკუნაბიჯი გადადგა...

2008 წლის 5 დეკემბერს გარდაიცვალა უწმიდესი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი ალექსი მეორე. ამავე დღეს, რუსეთის ეკლესიის განსვენებული მეთაურის სულის საოხად, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, საქართველოს საპატრიარქოში აღავლინა პანაშვიდი. საქართველოს ეკლესიის მეთაური ჩავიდა მოსკოვში. გამგზავრების წინ კი განაცხადა: „ჩვენ შესაძლებელია შეხვედრა გვქონდეს რუსეთის ხელისუფლებასთან. ჩვენი ვიზიტი აღემატება იმ მისიას, რისთვისაც რუსეთში მივდივართ. მე მათ მთელი ჩვენი ერის სახელით მინდა ვუთხრა, რომ ქართველი ვერასოდეს შეურიგდება იმას, რომ აფხაზეთი და ცხინვალი იყოს საქართველოს გარეშე“ (ვარდოსანიძე, 2017:389-390).

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის საპატრიარქო ტაძარში დასვენებულ რუსეთის პატრიარქს ალექსის პირადად გადაუხადა პანაშვიდი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მონაწილეობა რუსეთის განსვენებული პატრიარქის წესის აგებაში და გამოემშვიდობა უწმიდეს ალექსი მეორეს. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე შეხვდა რუსეთის პრეზიდენტს დიმიტრი მედვედევს...

2009 წლის 27 იანვარს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილობრივმა კრებამ, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქად აირჩია მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, სმოლენსკისა და კალინინგრადის მიტროპოლიტი კირილე, რომელიც პატრიარქ ალექსის გარდაცვალების შემდეგ, საპატრიარქო ტახტის მოსაყდრე გახლდათ. ამავე წლის 1 თებერვალს მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის საპატრიარქო ტაძარში გაიმართა უწმიდესი სრულიად რუსეთისა და მოსკოვის

პატრიარქის კირილეს ინტრონიზაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის დელეგაციამ, შემდეგი შემადგენლობით: სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ქორეპისკოპოსი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი თეოდორე (ჭუაძე); საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე); არქიმანდრიტი დავითი (ჭინჭარაული); დეკანოზი გიორგი ხარაზიშვილი; საქართველოს ყოფილი ელჩი რუსეთში, ზურაბ აბაშიძე.

2 თებერვალს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მიიღო რუსეთის პატრიარქმა კირილემ, საპატრიარქო რეზიდენციაში. რუსეთის ეკლესიის მეთაურმა გულითადად მოიკითხა საქართველოს ეკლესიის მეთაური, გაიხსენა მასთან შეხვედრები და საქართველოს დელეგაციის წევრებს მოუთხრონ, რომ წლების წინ, როდესაც მან დაგმო საბჭოთა კავშირის ჯარების შეყვანა ავღანეთში, მხოლოდ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დაუჭირა მხარი. რუსეთის პატრიარქმა ისაუბრა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების შესახებ და განაცხადა, რომ ეკლესია არ უნდა იყოს პოლიტიკური კონიექტურის მიმდევარი“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N5, 2009:7).

პატრიარქ კირილეს მიერ აღნიშნული ფაქტი, საბჭოთა ჯარების ავღანეთში შეყვანის დაგმობის შესახებ, თავის ქადაგებაში, ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში ასევე გაიხსენა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, 2009 წლის 24 მაისს, როდესაც აღინიშნება ხსენება წმიდა კირილესა და მეთოდესი და არის ანგელოზის დღე რუსეთის პატრიარქ კირილესი. მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ აღნიშნა: „დღეს არის ორი დიდი წმინდანის ხსენება - კირილესა და მეთოდესი. ისინი წარმოშობით ბერძნები იყვნენ, მაგრამ არიან სლავების განმანათლებლები და მაშასადმე, არის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილეს ანგელოზის დღე. ჩვენ გავუგზავნეთ მას მისალოცი დეპეშა, მაგრამ მინდა, თქვენთან ერთად აღვავლინო ლოცვა, რომ ღმერთმა მისცეს მას სიბრძნე და მრავალჟამიერი სიცოცხლე.

მე კარგად ვიცნობ მას და მინდა მოგიყვეთ ერთი ამბავი მის შესახებ. ეს იყო ორი ათეული წლის წინ, მაშინ მე უკვე პატრიარქი ვიყავი, ის კი მიტროპოლიტი გახლდათ და ჩვენ ერთი განსაცდელი შეგვემთხვა. ჟენევაში იყო ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს შეკრება. მოგეხსენებათ,

იმ დროს მე ვიყავი ამ ორგანოს პრეზიდენტი, მიტროპოლიტი კირილე კი საბჭოს წევრი იყო. საბჭოს სხდომაზე განიხილეს ერთად მეტად რთული და მძიმე საკითხი. იმ დროს ავღანეთში საბჭოთა ჯარი იყო და ყველა ამ ჯარის გამოყვანას მოითხოვდა. ბოლოს ეს საკითხი კენჭისყრაზე დააყენეს. გასაგები მიზეზების გამო, ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ამ კრების ყველა მონაწილე ერთხმად უჭერდა მხარს ავღანეთიდან საბჭოთა ჯარის გამოყვანას. როცა დადგა კენჭისყრა, ჩვენც ამას დავუჭირეთ მხარი. ჩვენ რომ წინააღმდეგი წავსულიყავით, მხოლოდ ორნი ვიქნებოდით ამგვარ პოზიციაზე, მაგრამ მოსკოვში ხომ უნდა ჩამოვსულიყავით?! ამ ამბავმა საერთაშორისო ასპარეზზე დიდი გამოძახილი ჰპოვა. მთელი მსოფლიოს პრესა წერდა, რომ საქართველოს პატრიარქმა და რუსეთის მიტროპოლიტმა მხარი დაუჭირეს საბჭოთა ჯარების გამოყვანას ავღანეთიდან. ცხადია, რომ მერე გვქონდა უმძიმესი და უსიამოვნო შეხვედრები მოსკოვში. მე კიდევ ნაკლებად და მეუფე კირილეს - მეტად. იმხანად იყო ე.წ. რელიგიის საბჭო, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ კურაედოვი და ჩვენც სწორედ მასთან გამოგვიძახეს. პირველი, რაც კურაედოვმა შემოგვთავაზა - ჩაის ხომ არ მიირთმევთო. რა დროს ჩაი იყო, როცა ვიცოდით, რომ წინ მეტად მძიმე საუბარი გველოდა! მან მითხრა: „თქვენო უწმინდესობავ, რატომ დაუჭირეთ მხარი ამ საკითხს, თქვენ მხარი არ უნდა დაგეჭირათ!“ ვუთხარი, რომ მე, როგორც ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი, ვალდებული ვიყავი, უმრავლესობის მოთხოვნისთვის მხარი დამეჭირა-მეთქი. მათ შემდეგ შავ დღეში ჩააგდეს მიტროპოლიტი კირილე. დღეს მეუფე კირილე გახლავთ პატრიარქი მოსკოვისა და სრულიად რუსეთისა. თქვენი და ჩვენი სამღვდელოების სახელით მე ვულოცავ მას ანგელოზის დღეს. მინდა ვთქვა, რომ ჩვენს ეკლესიებს, საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ ჩვენი ქვეყნების სასიკეთოდ და ჩვენ ვეცდებით, რომ ასე მოხდეს“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N17, 2009:4).

2009 წლის სექტემბერში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა ე.წ. აფხაზეთის ეპარქიას ოფიციალური უარით უპასუხა თხოვნაზე, ეს უკანასკნელი მიეღო რუსეთის ეკლესიას იურისდიქციაში და განმარტა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში აღიარებას საქართველოს ეკლესიის კანონიკურ იურისდიქციას.

რუსეთის პატრიარქის რანგში უწმიდეს კირილესა და უწმიდეს და უნეტარეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შორის პირველი შეხვედრა შედგა ბაქოში, 2009 წლის ნოემბერში, რომლის შესახებ მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი იტყობინებოდა: „ორი პატრიარქი, როგორც ძველი მეგობრები, ისე შეხვდა ერთმანეთს. შეხვედრაზე ითქვა, რომ ორ ეკლესიას შორის არსებული მეგობრობა, ურთიერთგაგება იმის საწინდარია, რომ დროთა განმავლობაში ჩვენს ერებსა და სახელმწიფოებს შორის კვლავ აღსდგება ურთიერთობები“ (ვარდოსანიძე, 2017:390).

2010 წლის 21 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდმა განაჩინა:

„ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით და დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველობა გადაეცეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს და ამიერიდან მისი ტიტული განისაზღვროს შემდეგნაირად: უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მთავარეპისკოპოსი მცხეთა-თბილისისა, მიტროპოლიტი ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთისა” (საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი). რუსეთის ეკლესია ოფიციალურ მიმართვებსა და წერილებში დღემდე, საქართველოს ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში არ იხსენიებს „ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს“. ასევე, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველი მღვდელმთავრის წოდების გარეშეა წარმოდგენილი საქართველოს ეკლესიის მეთაურის ტიტულატურა მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

2011 წლის 25 ივლისს უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვია უკრაინის დედაქალაქს კიევს, რათა მონაწილეობა მიეღო კიევის რუსეთის გაქრისტიანების დღესასწაულში, რომელიც აღინიშნება 28 ივლისს, კიევის წმიდა მთავარ ვლადიმერის ხსენების დღეს. კიევში, საქართველოს ეკლესიის მეთაურს შეეგება უნეტარესი სრულიად უკრაინისა და კიევის მიტროპოლიტი ვლადიმერი. 26 ივლისს, კიევის სამიტროპოლიტოს სინოდის დარბაზში შედგა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს შეხვედრა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქ კირილესთან, რომელმაც ჟურნალისტებთან აღნიშნა: „ჩვენ ვიმსჯელეთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული საეკლესიო მდგომარეობის შესახებ... ცხადია, რომ საქართველოს

საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქცია ვრცელდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებზე. მეორე მხრივ, ამჟამად იქ სუფევს გარკვეული კანონიკური არეულობა - ეს ეხება ორივე რეგიონს...“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N28, 2011:10). უცნაურია პატრიარქ კირილეს საუბარი აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში კანონიკური არეულობის შესახებ, რადგან ამ სიტუაციაში, პირდაპირი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ რუსეთს, რადგან რუსული მხარე დღემდე კატეგორიულად ეწინააღმდეგება საქართველოს ეკლესიამ აღასრულოს თავისი კანონიკური უფლებამოსილება ხსენებულ ორ მხარეში. მაშასადამე, გაურკვეველია, ვისი მისამართით შეიძლება გამოითქვას ამ მოვლენის გამო, გარდა რუსეთისა და მისი ხელისუფლებისადმი...

28 ივლისს, წმიდა მთავარ ვლადიმერის ხსენების დღეს, კიევ-პეჩორის ლავრაში სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია აღავლინეს: უწმიდესმა სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქმა კირილემ, უწმიდესმა და უნეტარესმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ, უნეტარესმა სრულიად უკრაინისა და კიევის მიტროპოლიტმა ვლადიმერმა. წირვის დასასრულს, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა, თავის სიტყვაში მიმართა რუსეთის პატრიარქს: „თქვენო უწმინდესობავ! ის პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც დღეს რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს, სრულიად დაუშვებელია... ჩვენ, თქვენო უწმინდესობავ, დიდი პასუხისმგებლობა გვაწევს... თქვენ უნდა შეხვიდეთ რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში, როგორც მშვიდობისმყოფელი, როგორც ადამიანი, რომელმაც მოიტანა მშვიდობა ორი ერის ურთიერთობებში...“ (იქვე :13). სამწუხაროდ, რუსეთის პატრიარქი კირილე დღემდე ვერ იქცა მშვიდობისმყოფელად რუსეთსა და საქართველოს შორის, რადგან მოსკოვის საპატრიარქო აქტიურად მიჰყვება კრემლის კურსს საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ...

2011 წლის ნოემბერში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე თანხმლებ დელეგაციასთან ერთად ჩავიდა მოსკოვში, სადაც მონაწილეობა მიიღო რუსეთის პატრიარქის კირილეს დაბადებიდან 65 წლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში.

2013 წლის 13 იანვარს აღინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს დაბადებიდან 80 და აღსაყდრების 35 წელი აღინიშნა. ამ დღეს, თბილისის

ყოვლადწმიდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღავლინეს: მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, სრულიად სერბეთის პატრიარქმა ირინეოსმა, ბულგარეთის საპატრიარქო ტახტის მოსაყდრემ ვარნის მიტროპოლიტმა კირილემ, სრულიად ჩეხეთისა და სლოვაკეთის მიტროპოლიტმა ქრისტეფორემ და მსოფლიოს თხუთმეტივე ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებმა. წირვაში მონაწილეობდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამის მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), რომელმაც წაიკითხა რუსეთის პატრიარქის კირილეს მილოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი. მეუფე ილარიონი ადრეულ ასაკში ცხოვრობდა თბილისში და ამიტომ მან ქართულად წაიკითხა პატრიარქ კირილეს მილოცვა, რომელშიც ნათქვამია: „თქვენი ცხოვრება სიყრმიდანვე ეკლესიას ეძღვნებოდა და მისი მრავალწლიანი უწყვეტი მსახურებითაა აღბეჭდილი. თქვენი ცხოვრების გზის არჩევანი და მისი ერთგული მსახურება საწინდარია თქვენი უმდიდრესი სულიერი გამოცდილებისა და სამღვდელთმთავრო სიბრძნისა. თქვენ ღვთისგან ბოძებული გაქვთ სულიერი ნიჭი, რომელიც მიწიერ ცხოვრებაშივე გამოავლინეთ, როგორც ქრისტეს ჭეშმარიტმა მსახურმა. სწორედ ეს ნიჭია ის ფასდაუდებელი საუნჯე, რომელსაც თქვენ, საქართველოს ეკლესიის წინამძღოლი დაუღალავად უნაწილებთ თქვენს სამწყსოსა და მთელ მართლმადიდებელ სამყაროს, სახარების სიტყვებით: „არა აღანთიან სანთელი და დადგიან იგი ქვეშე ხვიმირსა, არამედ სასანთლესა ზედა, რაითა ჰნათობდეს ყოველთა, რომელნი არიან სახლსა შინა.“ განვლილი წლების განმავლობაში თქვენ ბრძანდებოდით დიდი ისტორიული ძვრების მოწმე. თქვენი საპატრიარქო მსახურება განსაკუთრებული ეპოქაა არა მხოლოდ საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში, არამედ ჩვენი ორი ეკლესიის ურთიერთობაშიც, რომელიც თქვენი პირადი თვისებების გამო ინარჩუნებს გულწრფელობას, სითბოსა და ქრისტესმიერ სიყვარულს. თქვენი საპატრიარქო ტახტზე აღსაყდრებიდან მოყოლებული საქართველოს უძველესი ეკლესია გაძლიერდა რწმენასა და ღირსებაში, მნიშვნელოვნად გამრავლდა სამღვდელოება და სამწყსო, ტაძრები და მონასტრები...“(„საპატრიარქოს უწყებანი“, N4, 2013:6-7).

2013 წლის 20 იანვარს რუსეთის პატრიარქის კირილეს მიწვევით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ჩავიდა რუსეთის

დედაქალაქ მოსკოვში. ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის მამამთავრისთვის საერთაშორისო საზოგადოებრივი ფონდის - „მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის“ პრემიის გადაცემა, რომლის ცერემონია შესრულდა ამავე დღეს, 18:00 სთ-ზე, მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის საპატრიარქო ტაძრის სხდომათა დარბაზში. პატრიარქმა კირილემ აღნიშნა: „უწმინდესი პატრიარქი ილია საპატრიარქო მსახურებას თავისი ქვეყნისთვის და სამწყსოსთვის მეტად რთულ პერიოდში ახორციელებს; იგი განამტკიცებს ქართველი ერის სულიერ ერთობას. მისი უწმინდესობა დიდ ძალისხმევას ანდომებს საეკლესიო ცხოვრების აღორძინებას, ეროვნული კულტურის განვითარებას, სახარებისეული საწყისების დამკვიდრებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ღრმა პატივისცემით სარგებლობს არა მარტო თავის ხალხში, არამედ მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში. უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ პატრიარქობის მრავალი წლის განმავლობაში მაღალი სულიერი ავტორიტეტი მოიხვეჭა. მისი სიბრძნე და სულიერი მოძღვრის დიდი გამოცდილება ძალიან დაეხმარა რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს, სახელმწიფოთაშორისი დაძაბული ურთიერთობების ყველაზე რთულ წლებში, - ქრისტესმიერი სიყვარულის სითბოსა და ძმური გულწრფელობის შენარჩუნებაში“ (იქვე :10). 22 იანვარს, კრემლის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარში საღმრთო ლიტურგია აღავლინეს რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურებმა. წირვის დასრულების შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, თავის ქადაგებაში აღნიშნა: „როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი შეხვედრის მიზეზი არის ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელ ხალხთა ერთობის საერთაშორისო ფონდმა პრემიით დამაჯილდოვა... დღეს, როდესაც ამ პრემიას ვიღებ, მას მივიჩნევ არა როგორც ჩემი ღვაწლის შედეგს, არამედ როგორც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქართველი ხალხის დამსახურებას, რომელმაც მიუხედავად კომუნისტური და პოსტკომუნისტური პერიოდის სერიოზული სიძნელეებისა, გამოავლინა უსაზღვრო სიყვარული ღვთისადმი და აღადგინა ათასობით ეკლესია და მონასტერი, აღიდგინა სულიერება...

მე ადრეც არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ურთიერთობა ჩვენს ქვეყნებს შორის შეიძლება ნორმალური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იზეიმებს სამართლიანობა და საქართველოს

დაუბრუნდება მისი ძირძველი ტერიტორიები - აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, რაც იქნება კავკასიაში რთული პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი მთავარი პირობა.

საქართველო ღვთისმშიბლის წილხვედრი ქვეყანაა. საუკუნეების განმავლობაში მან მრავალი განსაცდელი გადაიტანა, მაგრამ ყოველთვის ღირსეულად უმკლავდებოდა სიძნელეებს. დარწმუნებულნი ვართ, რომ ღვთის წყალობითა და რუსეთისა და საქართველოს (ბუნებრივია, იგულისხმება აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც) ბრძენი და ძლიერი პიროვნებების თანადგომით, ადრე თუ გვიან, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება და რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია ყველასთვის“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N5, 2013:3-4).

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამ ვიზიტისას მოილოცა წმიდა სერგის ლავრა, სადაც ღირსი სერგი რადონეჟელის წმიდა ნაწილები განისვენებს, იმყოფებოდა მოსკოვის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში, სადაც თავად სწავლობდა... 22 იანვარს, სასტუმრო „რედისონ უკრაინაში“ გამართულ პრესკონფერენციაზე, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ მისი და რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის შეხვედრისას, მსჯელობის მთავარი საგანი იქნებოდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თემა. პრეზიდენტ პუტინთან შეხვედრაზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურმა ცალსახად დააყენა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. მაშინ, როდესაც საქართველოს სახელმწიფოსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის არ არსებობს არავითარი მაღალი რანგის დიალოგი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, 2013 წლის იანვრის ვიზიტისას მოსკოვში, საქართველოს სამართლიანი ინტერესების სასარგებლოდ მკაფიო გზავნილები გააჟღერა.

2013 წლის 23-29 ივლისს რუსეთის პატრიარქის კირილეს მიწვევით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, თანმხლებ დელეგაციასთან ერთად ეწვია რუსეთის დედაქალაქ მოსკოვს, უკრაინის დედაქალაქ კიევსა და ბელორუსის დედაქალაქ მინსკს. სამივე ქალაქში გაიმართა სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგიები. 29 ივლისს სამშობლოში დაბრუნებულმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა: „ღმერთმა დალოცოს საქართველო. საქართველოს არაფერი სჯობს. თქვენი ლოცვითა და ღვთის წყალობით მშვიდობით ჩამოვედით...

ჩვენ გვქონდა შეხვედრები რუსეთის პატრიარქთან და რუსეთის პრეზიდენტ პუტინთან. მთავარია, დაიძრას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილების მშობლიურ კურთხეების დაბრუნების საკითხი. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვეთ, რომ ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ თავის ოჯახებში, თავის სახლებში. ასე, რომ ღვთის იმედით ვართ და ვფიქრობთ, რომ ყოველივე კარგად წარიმართება“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N30, 2013:8). ვიზიტის ფარგლებში არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი განიხილეს. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ვლადიმერ პუტინთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრების შეცვლა მიმდინარეობს უკანონოდ და დასვა დევნილების საკითხი, რაზეც რუსეთის პრეზიდენტისგან მიიღო დაპირება, რომ ახლო მომავალში ჩაერთვებოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების გადაწყვეტის საკითხში და ხელს შეუწყობდა დევნილების დაბრუნებას აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში. პრეზიდენტ პუტინის ეს დაპირება დღემდე დაპირებად რჩება...

2016 წლის 18-25 ნოემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე კვლავ ეწვია მოსკოვს, რუსეთის პატრიარქის კირილეს დაბადებიდან სამოცდაათი წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. 19 ნოემბერს, წმიდა დანიელ მესვეტეს სახელობის მამათა მონასტრის საპატრიარქო რეზიდენციაში, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეხვედრისას, რუსეთის პატრიარქმა კირილემ აღნიშნა: „ჩემთვის განსაკუთრებით ძვირფასია პირადად თქვენი ჩამობრძანება, უწმინდესო და უნეტარესო მეუფეო! საჭეთმპყრობლის ტიტულის ხანგრძლივობის მიხედვით, თქვენ ბრძანდებით უხუცესი ყველა ადგილობრივი ეკლესიის მეთაურებს შორის. თქვენი ცხოვრება მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრებასთან. ჩემი ბიოგრაფია იკვეთება თქვენს ბიოგრაფიასთან: ჩვენ არაერთხელ ერთად გავმხდარვართ მრავალი მოვლენის მოწმე - როგორც მხიარულისა თავისი არსით, ასევე არაერთი მწუხარებისა, რომლებიც ხდებოდა საბჭოთა კავშირში მცხოვრებ მართლმადიდებელთა ცხოვრებაში, თუმცა, მოგვიანებითაც ჩვენ შორის მუდამ იყო კეთილი, გულწრფელი, ნდობით აღსავსე და ღია ურთიერთობები. ვფიქრობ, რომ ჩვენ ორს ეკლესიას შორის კვლავაც შენარჩუნდება კარგი დამოკიდებულება“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N36, 2016:4-5). 20 ნოემბერს, მოსკოვის ქრისტე მაცხოვრის სახელობის სახელობის საპატრიარქო ტაძარშია

აღევლინა საზეიმო წირვა, ხოლო 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე, მოსკოვის წმიდა დიდმოწამე გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ აღავლინა სადღესასწაულო საღმრთო ლიტურგია.

2017 წლის 4 დეკემბერს, რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა რუსეთში პატრიარქობის აღდგენისა და რუსეთის პატრიარქის ტიხონის (ბელიავინი) ინტრონიზაციის 100 წლის იუბილე. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მისაწვევად თბილისში ჩამოვიდა მიტროპოლიტი ილარიონი (ალფეევი), რომელმაც რუსეთის პატრიარქის კირილეს მიწვევა გადასცა საქართველოს ეკლესიის მეთაურს. ცნობილია, რომ რუსეთის პატრიარქი ტიხონი მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას და მკაცრი წერილიც კი მოსწერა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს კირიონ მეორეს. პატრიარქი ტიხონი სქიზმატებად მიიჩნევდა ქართველ სამღვდელოებას და მოუწოდებდა მათ რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში დაბრუნებისაკენ... სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე არ გაემგზავრა ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად. საქართველოს ეკლესიის სახელით რუსეთში ჩავიდა მღვდელმთავრთა დელეგაცია. 2 დეკემბერს, საიუბილეო სხდომაზე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს მისალოცი სიტყვა წაიკითხა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა თეოდორემ. საქართველოს ეკლესიის მეთაურის წერილში ნათქვამია: „როგორც ცნობილია, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული დაძაბული პოლიტიკური მდგომარეობის მიუხედავად, ჩვენი ეკლესიები ინარჩუნებენ მეგობრულ დამოკიდებულებასა და ევქარისტიულ ერთობას, მაგრამ სიტუაციის განმუხტვისათვის ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია, შეიცვალოს ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში და ჩვენს სახელმწიფოებს შორის დამოკიდებულება სამართლიანობასა და ურთიერთპატივისცემას დაემყაროს, რის შესახებაც ჩვენ ადრეც არაერთხელ აღგვინიშნავს. წმ. წერილში ვკითხულობთ: „სიმართლისა და სამართლის ქმნა, მსხვერპლზე უფრო სასურველია უფლისათვის (იგავ. 21,3)“ („საპატრიარქოს უწყებანი“, N 37, 2017:2).

2018 წლის 22 თებერვალს ცხინვალში წამებით მოკლეს საქართველოს გატაცებული მოქალაქე, არჩილ ტატუნაშვილი, რომლის ცხედრის გადმოცემას, სეპარატისტული მხარე არ თანხმდებოდა. ამავე წლის 2 მარტს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია

მეორემ წერილი გაუგზავნა სრულიად რუსეთის პატრიარქს კირილეს და თხოვა მას შუამდგომლობა შესაბამის ორგანოებთან, ამ საკითხის გადაწყვეტისათვის. 5 მარტს, პატრიარქმა კირილემ საპასუხო წერილი მოსწერა კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს. რუსეთის ეკლესიის მეთაური იტყობინებოდა, რომ საქართველოს ეკლესიის მეთაურის წერილის მიღებისთანავე, დაუყონებლივ იქნა მიღებული არსებული სიტუაციისთვის ყველა შესაძლო ზომა. ამ წერილში რუსეთის პატრიარქი, ცხინვალის საოკუპაციო, დანაშაულებრივ რეჟიმს იხსენიებს, როგორც „ადგილობრივ ხელისუფლებას“, რომელსაც აღუთქვამს პატრიარქ კირილესთვის, რომ ცხედარს უმოკლეს დროში დააბრუნებდნენ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის თანადგომით. მხოლოდ 2018 წლის 20 მარტს გახდა შესაძლებელი სეპარატისტების მიერ წამებით მოკლული ქართველი ახალგაზრდის, არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენება საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

მეტად რთულია საქართველოს ეკლესიის ვითარება კონსტანტინეპოლის მსოფლიო და მოსკოვის საპატრიარქოების დავაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხზე. 2018 წლის 31 აგვისტოს, ისტორიულ კონსტანტინეპოლში (სტამბული) ჩავიდა რუსეთის პატრიარქი კირილე და შეხვდა მსოფლიო პატრიარქს ბართლომეოსს, რომელმაც განუცხადა რუსეთის ეკლესიის მეთაურს, რომ უკრაინის ეკლესია, რომელიც მოიაზრებოდა მოსკოვის საპატრიარქოს კანონიკურ სივრცედ, აუცილებლად მიიღებდა ავტოკეფალიას. კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, აპელაციის უფლებით, ანათემა მოუხსნა კიევის საპატრიარქოს მეთაურს, პატრიარქ ფილარეტსა და „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს, მიტროპოლიტ მაკარის და სცნო ისინი და მათი იურისდიქციების იერარქები კანონიკურ სასულიერო პირებად. საპასუხოდ, რუსეთის ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინებით, რუსეთის ეკლესიამ შეაჩერა მსოფლიო პატრიარქის მოხსენიება და მათ იერარქებთან თანაზზიარება, ხოლო ამავე წლის 15 ოქტომბერს, რუსეთის ეკლესიამ სრულად გაწყვიტა ევქარისტიული კავშირი კონსტანტინეპოლის ეკლესიასთან. უკრაინაში არსებული მოსკოვის საპატრიარქოს ეკლესია არ ითხოვს ავტოკეფალიას. შესაბამისად, ავტოკეფალია უნდა მინიჭებოდა „კიევის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა“ და „უკრაინის ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის“ გაერთიანების შედეგად დაარსებულ უკრაინის ეკლესიას. გამაერთიანებელი კრება

ჩაინიშნა 2018 წლის 15 დეკემბერს. ხუთი დღით ადრე, 2018 წლის 10 დეკემბერს საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე, ვოლოკოლამის მიტროპოლიტი ილარიონი, რომელმაც ჩამოაბრძანა ღირსი დედის, იღუმენია თამარის (მარჯანიშვილი) წმიდა ნაწილი. ცხადია, ვიზიტი სცდებოდა ოფიციალურ მიზეზს და საუბარი შეეხო უკრაინის ეკლესიის საკითხს. მიტროპოლიტი ილარიონი შეხვდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, რომელსაც გადასცა დოკუმენტები, სადაც აღწერილია მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია უკრაინის ეკლესიასთან მიმართებაში. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ განაცხადა, რომ შეისწავლიან მსოფლიო და მოსკოვის საპატრიარქოების მიერ წარმოდგენილ მასალებს და მათ შესახებ მსჯელობა გაიმართება წმიდა სინოდის სხდომაზე.

2018 წლის 15 დეკემბერს კიევის წმიდა სოფიას სახელობის ისტორიულ საკათედრო ტაძარში, გაიმართა უკრაინის ეკლესიის გამაერთიანებელი კრება, რომელსაც თავმჯდომარეობდა მსოფლიო საპატრიარქოს მღვდელმთავარი, გალიის მიტროპოლიტი ემანუელი. უკრაინის გაერთიანებული ეკლესიის მეთაურად აირჩიეს მიტროპოლიტი ეპიფანე. 2019 წლის 5 იანვარს ყოვლადუწმიდესმა მსოფლიო პატრიარქმა ბართლომეოსმა ხელი მოაწერა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსს, რომელიც 6 იანვარს, ფანარის წმიდა გიორგის სახელობის საპატრიარქო ტაძარში, საღმრთო ლიტურგიისას გადასცა უნეტარეს მიტროპოლიტს ეპიფანე კიეველს. ტომოსის გადაცემას ასევე ესწრებოდნენ უკრაინის მოქმედი პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო და ყოფილი პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო. აღსანიშნავია, რომ ორივე მათგანი გულმხურვალე ავტოკეფალისტები არიან და როგორც პრეზიდენტებმა, დიდი წვლილი შეიტანეს უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების საქმეში.

2019 წლის 30 იანვარს საქართველოს ეწვია მსოფლიო საპატრიარქოს დელეგაცია: გალიის მიტროპოლიტი ემანუელი და ანდრიანუპოლისის მიტროპოლიტი ამფილოქე. ამ ვიზიტთან დაკავშირებით, საქართველოს საპატრიარქომ გაავრცელა განცხადება: „როგორც მიტროპოლიტმა ემანუელმა აღნიშნა, ამ ჩამოსვლის მიზანია უკრაინის ეკლესიისთვის ტომოსის მინიჭებასთან დაკავშირებით მსოფლიო საპატრიარქოს პოზიციის განმარტება და დასძინა, რომ ეს ვიზიტი არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მათი აზრის თავსმოხვევის

მცდელობა, არამედ მხოლოდ პოზიციის გაცნობა. შემდეგ კი დაწვრილებით ისაუბრა ტომოსთან დაკავშირებით ა.წ 6 იანვრამდე განვითარებულ მოვლენებზე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ბრძანა: "იმისათვის, რომ დავეხმაროთ უკრაინას, რათა საეკლესიო ცხოვრებაში მშვიდობამ დაისადგუროს და არსებული პრობლემები გადაიჭრას, საჭიროა დრო. მეუფე ემანუელიც დაეთანხმა მას და თქვა, რომ იგი დარწმუნებულია, კათოლიკოს-პატრიარქის სიბრძნეში. საუბრისას დაისვა კონკრეტული შეკითხვებიც, თუმცა შეხვედრას ძირითადად ზოგადი ხასიათი ჰქონდა; მთავარი შედეგი არის შემდეგი: ორივე მხარე თანხმდება, რომ ყველამ უნდა ვიზრუნოთ მართლმადიდებელთა ერთობისათვის, ხოლო უკრაინის თემასთან მიმართებაში აჩქარება სიკეთის მომტანი არ იქნება" (საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი). ცხადია, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთვის ღირებულია ყოველი ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარება, მეტადრე საპატრიარქო პატივის მქონე ეკლესიებისგან, რომელთა შორის ერთ-ერთი საპატიო და გამორჩეული ადგილი, სწორედ საქართველოს საპატრიარქო ეკლესიას უჭირავს.

2019 წლის იანვრის მიწურულს მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარემ, მიტროპოლიტმა ილარიონმა, ერთ-ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა: „ვერ წარმომიდგენია საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღიაროს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალია, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გადაწყვეტილებით შეიქმნა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა უმეტესობა ის ადამიანები არიან, რომლებსაც კარგად ესმით საეკლესიო რეალობა და ესმით, რა შეიძლება დაემუქროს საქართველოს ეკლესიას ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო. მართალია, იქ არის რამდენიმე ახალგაზრდა მღვდელმთავარი, უმეტესად ისინი, რომლებიც ღია თუ ფარულ ოპოზიციაში არიან კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორესთან, რომლებიც მოუწოდებენ პატრიარქს, აღიაროს უკრაინის ავტოკეფალია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ მოხდება. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ, თავის დროზე, გადაწყვიტა არ წასულიყო კრეტის კრებაზე და ჩვენ, მათ შორის, საქართველოს ეკლესიის სოლიდარობის ნიშნადაც მივიღეთ ასეთივე გადაწყვეტილება, რომ არ წავსულიყავით ამ კრებაზე. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია მართლმადიდებლურ დიპტიქებში მეექვსე

ადგილს მოითხოვს და ჩვენ მას ამაში მხარს ვუჭერთ. ჩვენს დიპტიქში ის მეექვსე ადგილს იკავებს. ახლა კი, როდესაც ამ დიპტიქიდან წაიშლება კონსტანტინეპოლის პატრიარქი, საქართველო დაიკავებს მეხუთე ადგილს. კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დიპტიქში საქართველო იკავებს მეცხრე ადგილს და ამ საპატრიარქოში არავინ აპირებს საქართველოს რიგითობის ადგილის საკითხს გადახედოს. აი, ამ ფაქტების ერთობლიობა ნაკლებსავარაუდოს ხდის იმას, რომ საქართველოს ეკლესიამ, ოდესმე, მხარი დაუჭიროს ახალგაზრდა მღვდელმთავრების მოთხოვნას უკრაინის ავტოკეფალიასთან დაკაშირებით“ (ინტერპრესნიუსი).

მიტროპოლიტ ილარიონის ხსენებულ გამონათქვამებთან დაკავშირებით, 2019 წლის 1 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქომ გააკეთა განცხადება: „გადაცემაში „ეკლესია და მსოფლიო“ მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობების განყოფილების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ილარიონის (ალფეევი) ინტერვიუს იმ ნაწილმა, სადაც მეუფე საქართველოს თემატიკას ეხება, მძიმე შთაბეჭდილება დატოვა მთელს საზოგადოებაზე, რადგან იგი აღქმულ იქნა ერთგვარ უხეშ ზეწოლად და დავალდებულებად.

ჟურნალისტის შეკითხვას იმის შესახებ, საქართველოს მხრიდან უკრაინის ახლადგამოცხადებული ეკლესიის აღიარების შემთხვევაში, მოყვება თუ არა მოსკოვის საპატრიარქოსაგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში საეკლესიო სტატუსის გადახედვა, მიტროპოლიტმა ილარიონმა არ გასცა პირდაპირი პასუხი და ნაცვლად ამისა, ბუნდოვნად ისაუბრა საქართველოს ეკლესიისიისთვის მოსალოდნელ საფრთხეებზე.

მაშინ, როდესაც, ცხინვალის რეგიონში, რუსეთის სამხედრო ბაზაზე, ჩვენთან სრულიად შეუთანხმებლად, შენდება ტაძარი, ხოლო აფხაზეთის ტერიტორიაზე პერიოდულად საეკლესიო მსახურებას არაკანონიკურად აღასრულებენ რუსეთის ეკლესიის იურისდიქციაში მოქმედი სასულიერო პირები, ინტერვიუში დატოვებული ორაზროვნება, ბუნებრივია, მუქარის შინაარსს იძენს.

შევნიშნავთ იმასაც, რომ მიტროპოლიტმა ილარიონმა, სრულიად არასწორად გააკეთა აქცენტი კრეტის კრებაზეც და დიპტიხთან დაკავშირებითაც.

მან თქვა, თითქოს ჩვენდამი სოლიდარობაც იყო მიზეზი იმისა, რომ რუსეთის ეკლესია ამ კრებაზე არ წავიდა. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზებმა განაპირობა მათი გადაწყვეტილება, მაგრამ

ფაქტი ერთია, საქართველოს ეკლესიას თავისი პოზიციის გამო მხარდსაჭერად არავისთვის მიუმართავს.

ასევე ის, რომ მოსკოვის საპატრიარქო დიპტიხში მე-6 ადგილზე გვიხსენიებს, ხოლო კონსტანტინოპოლი - მე-9 ზე, არ ნიშნავს, რომ ამის გამო მოსკოვის საპატრიარქოს პოზიცია სავალდებულოდ გასათვალისწინებელია.

როგორც კრეტის კრებასთან მიმართებაში, ასევე უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ეკლესია ყოველთვის ცდილობდა პოზიცია არ განესაზღვრა პოლიტიკური ნიშნით და პოლიტიკური პროცესებიდან გამომდინარე, არამედ ეყრდნობოდა და ეყრდნობა საეკლესიო კანონიკასა და სახარებისეულ სწავლებას. ვხელმძღვანელობთ რა ამ პრინციპით, დღეს არსებულ ვითარებაში, ჩვენ, ჩვენი შესაძლებლობისამებრ, ვზრუნავთ მართლმადიდებელთა ერთობისათვის და დაძაბულობის განმუხტვისათვის, რაც მიგვაჩნია პირველი რიგის ამოცანად ყველა ეკლესიისთვის.

P.S. როგორც ახლახან საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებმა მოსკოვიდან შეგვატყობინეს, ისინი შეხვდნენ მიტროპოლიტ ილარიონს და სთხოვეს განმარტება ინტერვიუსთან დაკავშირებით.

მეუფის განცხადებით, საშიშროებაში იგი გულისხმობდა იმ პრობლემებს, რომელიც, ტომოსის აღიარების შემთხვევაში დაუდგება არაერთ ეკლესიას, მათ შორის, საქართველოსასაც და არ ლაპარაკობდა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს რუსეთის ეკლესიის იურისდიქციად გამოცხადების საფრთხეზე.

გვაცნობეს ისიც, რომ იგი მზად იყო ჩვენი რომელიმე არხისთვის განმარტების მისაცემად, მაგრამ საქართველოს ტელევიზიის არცერთი ჯგუფი ამჟამად მოსკოვში არ იმყოფებოდა" (საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი).

ფრიად აღმაშფოთებელია რუსეთის ეკლესიის საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარის, მიტროპოლიტ ილარიონის (ალფეევი) საუბრის ტონი და უპატივცემულობა საქართველოს ეკლესიისადმი.

მიტროპოლიტ ილარიონის წარმოდგენილი განცხადება აღსავსეა ცინიკური დამოკიდებულებით საქართველოს ეკლესიის მიმართ, მიზანმიმართულად შეიცავს მრავალ

შეუსაბამო ფაქტსა და რეალობას აცდენილ გარემოებას. მიტროპოლიტ ილარიონის მიერ ნათქვამი ფრაზა: "საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმთავართა უმეტესობა ის ადამიანები არიან, რომლებსაც კარგად ესმით საეკლესიო რეალობა და ესმით, რა შეიძლება დაემუქროს საქართველოს ეკლესიას ასეთი გადაწყვეტილების მიღების გამო", არის ფრიად აღმაშფოთებელი და პირდაპირი მუქარა საქართველოს ეკლესიისადმი…

რაც შეეხება მიტროპოლიტ ილარიონის მიერ აპელირებას იმ გარემოებაზე, რომ რუსეთის ეკლესია დიპტიქში საქართველოს ეკლესიას იხსენიებს მეექვსე ადგილზე, საკითხში ჩახედულებმა კარგად ვუწყით, რომ რუსეთის ეკლესია, თავისი ინტერესებიდან გამომდინარე იხსენიებს საქართველოს ეკლესიას მეექვსე ადგილზე, რადგან მეხუთე ადგილი, რომელზეც რუსეთის ეკლესიაა ჩამდგარი, ისტორიული საფუძველიდან გამომდინარე ეკუთვნის საქართველოს ეკლესიას და რუსეთის ეკლესია, ერთგვარად იმადლიერებს საქართველოს საპატრიარქოს მეექვსე ადგილზე მოხსენიებით, რათა ქართულმა ეკლესიამ არ მოითხოვოს მეხუთე ადგილი, რომელიც მას ეკუთვნის რეალურად და რომელზეც რუსეთის ეკლესია იხსენიება. ამ გარემოების შესახებ, 1982 წლის 3 ივლისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორისა და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წერილში მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოსისადმი ნათქვამია: „როგორც ცნობილია, XVI დასასრულს კონსტანტინეპოლის პატრიარქმა იერემია II მიანიჭა რუსეთის ეკლესიის მეთაურს პატრიარქის წოდება და დიპტიხში მან დაიკავა V ადგილი, ე.ი. იერუსალიმის პატრიარქის შემდეგ /რომის გამოკლებით/, ხოლო საქართველოს პატრიარქმა დაიკავა VI და ეს გრძელდება დღემდე. ამ თანმიმდევრობას საქართველოს ეკლესია ეთანხმება და სცნობს მას, როგორც თავის დიპტიხში, ისე სამღვდელმთავრო პრაქტიკაში“ (ს.ს.ს.ა. ახ.აღწ. 10417, გვ. 6). გასათვალისწინებელია, რომ ეს წერილი დაწერილია 1982 წელს, როდესაც საქართველო იმყოფებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში და რუსეთი იყო დომინანტი ქვეყანა. შესაბამისად, საქართველოს ეკლესია ვერ მოითხოვდა მეხუთე ადგილს დიპტიქში, მითუმეტეს, რომ მეექვსე ადგილის აღიარების შესახებ იმჟამადაც და დღესაც პრობლემაა წამოჭრილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან. დღესდღეობით კი, ქართულ საერო და სასულიერო წრეებში აქტიურად და სრულიად სამართლიანად გაისმის მოსაზრება, რომ

სიძველის, სამოციქულო და საპატრიარქო მემკვიდრეობის მიხედვით, საქართველოს ეკლესიას დიპტიქში უნდა ეჭიროს მეხუთე ადგილი, რომელზეც ამ ეტაპზე იხსენიება რუსეთის ეკლესია.

ასევე, კრეტის კრებაზე რუსეთის ეკლესიის წაუსვლელობის მიზეზად, საქართველოს ეკლესიის წაუსვლელობისადმი სოლიდარობის გამოცხადების დასახელება, არის მცდელობა, რათა საქართველოს საპატრიარქოს შეეწმინდოს ხელები მოსკოვის საპატრიარქოს ქმედების გამო.

გადაუჭარბებელია აღინიშნოს, რომ რუსეთის ეკლესიის ფაქტობრივად მეორე პირის ამ საუბრით, კიდევ ერთხელ, მთელი სიმწვავით წარმოჩინდა მოსკოვის საპატრიარქოს რეალური დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი და კიდევ ერთგზის ცხადი გახდა, რომ რუსული სახელმწიფო და საეკლესიო პირველი პირები ერთობლივად მოქმედებენ ჩვენი ქვეყნისა და საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ…

2019 წლის 3 თებერვალს კიევის წმიდა სოფიას სახელობის საკათედრო ტაძარში გაიმართა უნეტარესი სრულიად უკრაინისა და კიევის მიტროპოლიტის ეპიფანეს ინტრონიზაცია. ტაძარში და შემდეგ საზეიმო მიღებაზე იმყოფებოდა საქართველოს ელჩი უკრაინაში, გელა დუმბაძე. საქართველოს ეკლესიის მხრიდან, არავინ დასწრებია მიტროპოლიტ ეპიფანეს ინტრონიზაციას...

თავის მხრივ, მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია, რომელსაც მეთაურობს უნეტარესი მიტროპოლიტი ონოფრე, ცდილობს, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისგან მოიპოვოს მხარდაჭერა. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა 2019 წლის 20 თებერვალს, აღნიშნული ეკლესიის საგარეო განყოფილების ხელმძღვანელის, ბორისპოლისა და ბროვარსის მიტროპოლიტის ანტონის ვიზიტი საქართველოში. მიტროპოლიტი ანტონი საქართველოს საპატრიარქოში შეხვდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს. ამ შეხვედრის შესახებ, საქართველოს საპატრიარქომ განაცხადა: „შეხვედრა არაოფიციალური იყო და სტუმრობის მიზანს წარმოადგენდა უკრაინაში განვითარებული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მოწოდება და მათი პოზიციის ჩვენთვის გაცნობა. ითქვა, რომ ტომოსის გადაცემის შემდეგ სხვადასხვა ტაძრებსა და რეგიონებში ხშირია კონფლიქტი მორწმუნეთა

შორის ეკლესიების კუთვნილებასთან დაკავშირებით, რაც დიდ დაპირისპირებას ქმნის მრევლში და სასულიერო პირებთან მიმართებაში.

მისმა უწმინდესობამ სტუმრებს მადლობა გადაუხადა და კიდევ ერთხელ გამოთქვა გულისტკივილი შექმნილი სიტუაციის გამო, ამასთან მოუწოდა ლოცვის გაძლიერებისკენ, რათა ღვთის მადლით დაიძლიოს პრობლემა და მართლმადიდებელთა ერთობა შენარჩუნდეს“ (საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი).

აღნიშნულის ვიზიტის შესახებ ინფორმაცია ასევე გაავრცელა მოსკოვის საპატრიარქოს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა. ინფორმაციაში საქართველოს ეკლესიის მეთაურის ტიტულატურაში არ არის მოხსენიებული "ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი" და მეტიც, საქართველოს ეკლესიის მეთაური მოხსენიებულია ძალზედ არასრული სახით, როგორც საქართველოს პატრიარქი ილია მეორე. აღსანიშნავია, რომ ეს არის ოფიციალური ვებ-გვერდი, სადაც ოფიციალური და სრული ტიტულატურა უნდა იყოს მოხსენიებული საქართველოს ეკლესიის მეთაურისა და არა ამგვარად, როგორც არის წარმოდგენილი...

ქართულ საზოგადოებაში მიმდინარეობს აქტიური განსჯა, საქართველოს ეკლესიამ აღიაროს თუ არა უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია. გამოითქმის ვარაუდები, რომ აღიარების შემთხვევაში, საქართველოს ეკლესიას ელოდება საფრთხე მოსკოვის საპატრიარქოსაგან, რომელიც ოფიციალურად მიიერთებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს საეკლესიო დონეზე. უნდა აღინიშნოს, რომ მოსკოვის საპატრიარქოს პოლიტიკა და ქმედება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, ამჟამად ამგვარია: აღიარებს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს და მათ "პრეზიდენტებს" რუსეთის პატრიარქი უგზავნის ოფიციალური მილოცვისა თუ სხვა სახის წერილებს; რუსეთის პატრიარქი ორივე სეპარატისტული რეჟიმის ლიდერებს ღებულობს, როგორც ოფიციალურ პირებს; აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მოქმედებენ რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავართაგან ხელდასხმული სასულიერო პირები, რომელთა შორის, აფხაზეთში მოქმედი ერთ-ერთი ფრთის ლიდერი, მღვდელი ბესარიონ აპლია (ფილია; იგი ხელდასხმულია საქართველოს ეკლესიის მიერ) მიღებული პიროვნებაა მოსკოვის საპატრიარქოს კარზე და მას საეკლესიო ჯილდოებიც აქვს ნაბოძები რუსეთის

პატრიარქისგან, ხოლო მეორე ფრთის ლიდერი, არქიმანდრიტი დოროთე (დბარი) მოსკოვის საპატრიარქოს შეფარული და ალტერნატიული პროექტია აფხაზეთში; მოსკოვის საპატრიარქო და რუსეთის პატრიარქი, დღემდე, ჯიუტად და მიზანმიმართულად არ სცნობენ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ტიტულატურაში "ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს" და სრული ტიტულატურით არ იხსენიებენ საქართველოს ეკლესიის მეთაურს; ქ. ცხინვალში, რომელიც საქართველოს ეკლესიის საყოველთაოდ აღიარებული კანონიკური ტერიტორიაა, საეკლესიო სამართლის უხეში დარღვევით, მოსკოვის საპატრიარქო ამჟამად აშენებს ტაძარს; ქართველი სამღვდელოება ვერ შედის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, მაშინ, როდესაც რუსეთის ეკლესიის მღვდელმთავრები და სამღვდელო პირები თავისუფლად გადაადგილდებიან და მოქმედებენ აღნიშნულ ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

აგრეთვე, მას შემდეგ, რაც რუსეთის ეკლესიას მეთაურობს პატრიარქი კირილე, ამ ხნის განმავლობაში, საქართველოს მხცოვანი კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ოთხგზის ჩავიდა მოსკოვში და რუსეთის პატრიარქი არცერთ ჯერზე შეეგება მას აეროპორტში, არამედ მხოლოდ მღვდელმთავართა დახვედრით შემოიფარგლა. თვითონ რუსეთის პატრიარქი კირილე, არასდროს ჩამოსულა საქართველოში, როდესაც იგი, თავისი პატრიარქობის განმავლობაში, უკვე ორგზის გახლდათ ჩასული სომხეთში და ასევე იმყოფებოდა აზერბაიჯანში. ის შეხედულება, რომ თუ საქართველო აღიარებს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას და ამ შემთხვევაში, მოსკოვის საპატრიარქო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს ოფიციალურად მიიერთებს, მოკლებულია ყოველგვარ რეალობასა და საფუძვლიანად სადავოა, რადგან მოსკოვის საპატრიარქოს რეალურად და ფაქტობრივად, უკვე წლებია მიერთებული აქვს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი (ზემოთ მოხმობილი გარემოებები ცხად-ჰყოფენ). შესაბამისად, მოსკოვის საპატრიარქო, ახლანდელ მდგომარეობაზე მეტად, რეალურად ვერაფერს დაამძიმებს ამ ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

ამ თავში განვიხილეთ საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის ურთიერთობა უახლესი ისტორის განმავლობაში, პრობლემები, რაც ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ პერიოდში არსებობს საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. საარქივო, პერიოდიკისა

და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე განხილულია ამ საკითხის მრავალი მხარე და გამოწვევათა გამოვლინება.

დასკვნები

თავი I

პირველი თავის პირველ პარაგრაფში მოცემულია საერო ხელისუფლების დამოკიდებულება საქართველოს ეკლესიისადმი, ოფიციალური ათეისტური კურსის მიმოხილვა, რომელსაც საბჭოთა რეჟიმი მისთვის ტრადიციულად ატარებდა ეკლესიის წინააღმდეგ, რაც კვლავ უცვლელი იყო მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულსა და ოთხმოციანი წლების დამდეგს.

ამ თავის მეორე პარაგრაფში განხილულია უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის აღსაყდრების მომენტისათვის, რა ვითარება იყო საქართველოს ეკლესიაში. განხილულია ის პრობლემატური საკითხები ეკლესიის შიგნით, რომელიც ძირითადად იმჟამინდელი საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალური ათეისტური კურსიდან გამომდინარეობდა. აქვეა მოცემული ის გამოწვევები, რომლებიც თან ახლდა ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილიას, ჯერ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოსაყდრედ, ხოლო შემდეგ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად არჩევას. წარმოვადგინეთ ის პირველი ნაბიჯები, თუ როგორ იწყებოდა საქართველოს ეკლესიაში ახალი, უმნიშვნელოვანესი პერიოდი, მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლების მიწურულს.

პირველი თავის მესამე პარაგრაფში მიმოხილულია საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ისტორიული წინაპირობები, რაც გამოიხატება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიასთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების წარმოდგენით, რომლებიც თავის მხრივ, მყარ საფუძვლად დაედო 1990 წელს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარებას. წარმოვადგინეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალიის აღიარების წარმატებით დასრულება, რომელსაც მრავალწლოვანი შრომა უძღოდა, რაც ძირითადად და მნიშვნელოვანწილად წარიმართა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეკლესიის მეთაური გახდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. პერიოდიკის მასალებისა და სხვა ისტორიოგრაფიული ცნობების საფუძველზე განხილულია ის არაერთი სვლა, რომელიც განხორციელდა ქართული მხრიდან, რათა

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხრიდან აღიარებულიყო საქართველოს ეკლესიის ისტორიული ავტოკეფალია, რაც წარმატებით დაგვირგვინდა.

აქვე წარმოდგენილია ჩვენს მიერ გაკეთებული შედარება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღიარების ტომოსისა და უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის მინიჭების ტომოსის და აღნიშნულის საფუძველზე განხილვა, თუ რა სხვაობა ისტორიული ავტოკეფალიის აღიარებასა და ახალი ავტოკეფალიის გადაცემას შორის, ამ მაგალითზე თუ რაოდენ დიდია საქართველოს ეკლესიის პატივი და ღირსება, როგორც უძველესი ეკლესიისა.

თავი II

მეორე თავში მრავლად არის წარმოდგენილი საარქივო დოკუმენტური მასალები, რომელთა უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ამ თავში განხილულია მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი), ეპისკოპოს ილარიონის (სამხარაძე), მიტროპოლიტ ნიკოლოზის (ავალიშვილი), მიტროპოლიტ შიოს (ავალიშვილი), მთავარეპისკოპოს იოანეს (ანანიაშვილი) და მთავარეპისკოპოს ამბროსის (ქათამაძე) თავს გადახდენილი ცნობილი მოვლენების ნაკლებად ცნობილი, ან უცნობი დეტალებით, რაც გამოიხატება სხვადასხვა საარქივო მასალის წარმოჩენით. პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში მიტროპოლიტ გაიოზის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი. ასევე, პირველად შემოდის ეპისკოპოს ილარიონის, მიტროპოლიტ ნიკოლოზისა და მთავარეპისკოპოს იოანეს მიერ დაწერილი წერილები, სადაც ისინი თავიანთი პიროვნული მდგომარეობისა და პრობლემების შესახებ აუწყებდნენ ოფიციალური ხელისუფლების პირებს და ითხოვდნენ სამღვდელმთავრო ხარისხში აღდგენას.

აქვე, პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში ქუთაისში, მიტროპოლიტ ნიკოლოზის შესახებ ჩატარებული კრების მასალები. აგრეთვე, პირველად არის წარმოდგენილი მასალები მკვლევარ პაატა ქურდოვანიძის დღემდე გამოუცემელი ნარკვევიდან მთავარეპისკოპოს იოანეს შესახებ, რომლის გამოყენების ექსკლუზიური უფლება თავად ავტორმა მოგვცა.

ამ თავში არის განხილული მღვდელმონაზონ თეოდორეს (ჩიხლაძე) სასამართლო პროცესი, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია პერიოდიკის ნაკლებად ცნობილი მასალებისა და სხვა ისტორიოგრაფიული გამოცემების ცნობების საფუძველზე.

თავი III

მესამე თავში განხილულია საბჭოთა ათეისტური პოლიტიკის მარწუხები საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ. ამ თავში წარმოდგენილია საარქივო მასალები, რომლებიც დაცულია საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივში, რომელთა უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. აღნიშნული მასალებიდან დეტალურად ირკვევა, თუ რა ურთულეს წინააღმდეგობებსა და ბარიერებს აწყდებოდა საქართველოს ეკლესია და სასულიერო პირები ოფიციალური ხელისუფლებისგან, საეკლესიო ცხოვრებისა და მოქმედების სხვადასხვა მიმართულებით.

თავი IV

მეოთხე თავში განხილულია გარდამავალი პერიოდი, საბჭოეთის რღვევა და საქართველოს ეკლესია. წარმოდგენილია საარქივო დოკუმენტები ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი ფაქტების აღწერით, რომლებიც ცხად-ჰყოფენ ე.წ. გარდაქმნის პერიოდში საბჭოთა ხელისუფლების ეკლესიისადმი დამოკიდებულების მკვეთრ, სასიკეთო ცვლილებაზე. საარქივო, პერიოდიკისა და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე განხილულია პირველი ნაბიჯები ადმინისტრაციულად დახურული ტაძრების დაბრუნება-გახსნისაკენ, საპატრიარქოს ისტორიული რეზიდენციის დაბრუნებისათვის ბრძოლა და ამ მიზნის მიღწევა, 1989 წლის 9 აპრილი და საქართველოს ეკლესია, უმაღლესი სასულიერო სასწავლებლების გახსნა და აღდგენა. აქვეა წარმოდგენილი საარქივო მასალები ქუთაისის ცენტრალური არქივიდან, რომლებიც პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. ასევე, პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში მთავარეპისკოპოსყოფილ იოანეს (ანანიაშვილი) და არქიმანდრიტ იოაკიმეს (ასათიანი) წერილები 9 აპრილის ცნობილი მოვლენების შესახებ. წარმოდგენილია ოფიციალური ხელისუფლების პირველი პირების დამოკიდებულების ცვლილება ეკლესიისა მისი მაღალიერარქიისადმი, კონკრეტულად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისადმი.

თავი V

ამ თავში განხილულია თუ რა ძირითადი და ურთულესი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს ეკლესია მეოცე საუკუნის უკანასკნელ ათწლეულსა და ოცდამეეთე საუკუნის დასაწყისში.

მეხუთე თავის პირველ პარაგრაფში მიმოვიხილეთ 1991-1992 წლების სამხედრო გადატრიალება და საქართველოს ეკლესია, თუ რა ურთულეს ვითარებაში აღმოჩნდა ეკლესია, რომელსაც დაპირისპირებული მხარეები უნდა გაეერთიანებინა, თუმცა სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა სისხლისღვრის თავიდან აცილება, რამაც დაამხო კანონიერი ხელისუფლება და ქვეყანაში დამყარდა არალეგიტიმური მმართველობა. აქვე ვრცლად განვიხილეთ წალენჯიხის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის საკათედრო ტაძრის წინამძღვრის, მღვდელ (შემდგომ დეკანოზი) რომანოზ ჩიქობავას წამება და უკანონო შეპყრობა ე.წ. მხედრიონის მიერ, კანონიერი ხელისუფლების მხარდაჭერის გამო. შევხვდით მამა რომანოზის მეუღლეს, ელენე შუბლაძე-ჩიქობავას, რომლისგანაც პირადად მოვისმინეთ სასულიერო პირს თავს გადახდენილი ტრაგიკული მოვლენები. ჩვენი რესპოდენტის თანხმობით, მისი საუბრის აუდიოჩანაწერი გავაკეთეთ, რომელიც გამოყენებულია ამ პარაგრაფში. ასევე, აღნიშნული ფაქტი გადმოვეცით პერიოდიკისა და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე.

ამ თავის მეორე პარაგრაფში განვიხილეთ 1997 წლის მოვლენები საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიაში, როდესაც მოხდა დაპირისპირება, საქართველოს ეკლესიის ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან გამოსვლის მოთხოვნით და ამ მიზნით, რიგი მონასტრებისა და სასულიერო პირებისა გავიდა განხეთქილებაში, გაწყვიტეს ევქარისტიული კავშირი საქართველოს საპატრიარქოსთან და შეწყვიტეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მოხსენიება. დაძაბული პროცესების შემდეგ, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს ეკლესია გამოვიდა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოდან. მართალია, ამ გადაწყვეტილებამ, გარკვეული საერთაშორისო იზოლაციონიზმი მოუტანა საქართველოს ეკლესიას, რადგან დაიკარგა შესაძლებლობა მსოფლიოსთვის მიგვეწვდინა ხმა, თუმცა მთავარი დადებითი იყო ის, რომ წმიდა სინოდის კეთილგონიერი განჩინებით, საქართველოს უძველესი ეკლესია გადაურჩა სქიზმებსა და განხეთქილებებს.

მეხუთე თავის მესამე პარაგრაფში წარმოდგენილია საერო ხელისუფლებისა და საქართველოს ეკლესიის თანამშრომლობისა და უთანხმოების საკითხები, სადაც განვიხილეთ 2011 წელს მიღებული კანონი რელიგიურ გაერთიანებათა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად დარეგისტრირების შესახებ, ამ ფაქტის თანმდევი მღელვარე საზოგადოებრივი მოვლენები და საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის განჩინება. აღსანიშნავია, რომ უახლესი ისტორიის ამ მოვლენის განხილვა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში. წარმოდგენილია მრავალრიცხოვანი მასალა პერიოდიკიდან.

აქვე არის 2014 წელს მიღებული ანტიდისკრიმინაციული კანონისადმი საქართველოს ეკლესიის დამოკიდებულება, მისი თანმდევი პროცესები. ასევე ამ მოვლენის განხილვაც პირველია სამეცნიერო მიმოქცევაში და მის შესახებაც მრავალრიცხოვანი მასალა არის წარმოდგენილი პერიოდიკიდან.

თავი VI

მეექვსე თავში წარმოდგენილია რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ურთიერთობათა უახლესი ისტორია, ის პრობლემები და სირთულეები, რაც ჩვენს მიერ საკვლევად აღებულ ქრონოლოგიურ პერიოდში არსებობს საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის. საარქივო, პერიოდიკისა და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე განხილულია ამ საკითხის მრავალი ასპექტი, მათ შორის, უახლესი პრობლემა ამ მხრივ, რაც წარმოიშვა 2019 წელს კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისათვის გადაცემული ავტოკეფალიის, საქართველოს ეკლესიის მხრიდან ცნობა-აღიარების შესახებ.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

საარქივო დოკუმენტები

უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი

1. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №357.
2. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №391.
3. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №427.
4. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №464.
5. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №493.
6. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №521.
7. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №531.
8. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №552.
9. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №553.
10. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №562.
11. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №572.
12. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი 1880, აღწერა 1, საქმე №592.

შსს არქივი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივი)

13. შსს არქივი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივი), ფონდი 14, აღწერა 123, საქმე №305.
14. შსს არქივი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივი), ფონდი 14, აღწერა 124, საქმე №448.
15. შსს არქივი (საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტარქივი), ფონდი 14, აღწერა 129, საქმე №149.

ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი

16. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 149, აღწერა 1, საქმე №5822.
17. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 149, აღწერა 1, საქმე №5871.
18. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 149, აღწერა 1, საქმე №5892.
19. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 149, აღწერა 1, საქმე №5897.
20. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 149, აღწერა 1, საქმე №5912.

სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი

21. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №1988.
22. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №2547.
23. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №5344.
24. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №6870.
25. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №7720.
26. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №10106.
27. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №10417.
28. სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არქივი, ახალი აღწერა, საქმე №16420.

ქუთაის-გაენათის ეპარქიის არქივი

29. ქუთაის-გაენათის ეპარქიის არქივი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანება №439, 21.09.1990.

მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე) პირადი არქივი

30. მიტროპოლიტ ნაომის (შავიანიძე) პირადი არქივი, ქუთათელ-გაენათელ ეპისკოპოს ნაომის წერილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ მელქისედეკ მესამისადამი, 16.09.1959წ.

მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი

31. მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი, ეპისკოპოს ილარიონის (სამხარაძე) წერილი მიტროპოლიტ გაიოზისადმი (კერატიშვილი), 25.11-13.12.1984წ.

32. მიტროპოლიტ გაიოზის (კერატიშვილი) პირადი არქივი, ეპისკოპოს ილარიონის წერილი „ა/წ 7 მარტს თბილისში რელიგიის საქმეთა წარმომადგენელი ბატონი რატი ტატიშვილთან შეხვედრის გამო ძირითადი დასკვნები და ზოგადი მოსაზრებანი.“ ასლი: მაღალყოვლადუსამღვდელოეს გაიოზს, 10.03.1985წ.

პაატა ქურდოვანიძის პირადი არქივი

33. პაატა ქურდოვანიძის პირადი არქივი, პაატა ქურდოვანიძე, „ცხოვრება და გზა, განვლილი მეუფე იოანესი“.

გამოყენებული ლიტერატურა

34. ბოკელავაძე, კრებულიდან „ქრისტიანობის კვლევები“, 2009: ბოკელავაძე ე. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქო ღირსების აღიარება კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს მიერ (1990 წ.)“, კრებულიდან „ქრისტიანობის კვლევები II”, მთავარი რედაქტორი: ქ. პავლიაშვილი, თბილისი, 2009 წ.

35. ბურდული, 2012: ბურდული გ. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის კანონიერების საკითხი რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე“, თბილისი, 2012 წ.

36. გეგეშიძე, 1976: გეგეშიძე დ. “მართლმადიდებლობის იდეოლოგიის კრიტიკა“, თბილისი, 1976 წ.

37. გეორგიკა, ტ. I, 1961: გეორგიკა, ტომი პირველი, მთავარი რედაქტორი: გ. წერეთელი, თბილისი, 1961 წ.

38. ვარდოსანიძე, 2008: ვარდოსანიძე ს. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ილია II”, თბილისი, 2008 წ.

39. ვარდოსანიძე, 2010: ვარდოსანიძე ს. „ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები“), თბილისი, 2010 წ.

40. ვარდოსანიძე, 2011: ვარდოსანიძე ს. „XX საუკუნის საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საჭეთმპყრობელნი და მათი ოპონენტები“, თბილისი, 2011 წ.

41. ვარდოსანიძე, 2014: ვარდოსანიძე ს. „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი უწმიდესი და უნეტარესი ლეონიდე (1861-1921 წწ.), თბილისი, 2014 წ.

42. ვარდოსანიძე, 2015: ვარდოსანიძე ს. „მზიანი ღამის 38 წელი“, თბილისი, 2015 წ.

43. ვარდოსანიძე, 2017: ვარდოსანიძე ს. „საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ასწლოვანი მატიანე (1917-2017 წ.წ.)“, თბილისი, 2017 წ.

44. ვაშაყმაძე, 2011: ვაშაყმაძე ზ. „თანამედროვე ქართული საეკლესიო სამართალი“, თბილისი, 2011 წ.

45. კაშია, 2013: კაშია ჯ. „ტოტალიტარიზმი“, თბილისი, 2013 წ.

46. კაცაძე, ნაწ. I, 2016: „ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“, ნაწილი პირველი, პროექტის ავტორი და შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2016 წ.

47. კაცაძე, ნაწ. II, 2017: „ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი; პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“, ნაწილი მეორე, პროექტის ავტორი და შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2017 წ.

48. კაცაძე, ნაწ. IV, 2017: „ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, პირადი წერილები, ჩანაწერები, ფოტოები“, ნაწილი მეოთხე, პროექტის ავტორი და შემდგენელი მზია კაცაძე, თბილისი, 2017 წ.

49. კობახიძე, 1997: დეკანოზი ბასილი (კობახიძე), „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში განხეთქილების შემოტანის მცდელობის შესახებ“, თბილისი, 1997 წ.

50. ლომაძე, გელაშვილი, 2009: ლომაძე დათუნა, გელაშვილი ვაჟა, „აჯანყება ეკლესიის წინააღმდეგ 1982-83 წლებში“, თბილისი, 2009 წ.

51. მეტრეველი, კრებულიდან „ისტორია შეულამაზებლად“ 2015: მეტრეველი რ. „აღსაყდრება“, კრებულიდან „ისტორია შეულამაზებლად“, კრებული შეადგინეს ვ. გურულმა და ლ. ჯიქიამ, რედაქტორები რ. მეტრეველი, ს. ვარდოსანიძე, თბილისი, 2015 წ.

52. მჭედლიძე, კეზევაძე, 2008: მჭედლიძე გ. კეზევაძე მ. „ქუთაის-გაენათის ეპარქია“, ქუთაისი, 2008 წ.

53. პაიჭაძე, 2013: დეკანოზი კონსტანტინე პაიჭაძე, „საქმე№-201 ჩიხლაძე თ.ვ. და სხვები“, თბილისი, 2013 წ.

54. საინფორმაციო ბიულეტენი №1, 1998: საქართველოს საპატრიარქო, საღვთისმეტყველო კომისია „საინფორმაციო ბიულეტენი №1“, თბილისი, 1998 წ.

55. საინფორმაციო ბიულეტენი №3, 1998: საქართველოს საპატრიარქო, საღვთისმეტყველო კომისია „საინფორმაციო ბიულეტენი №3“, თბილისი, 1998 წ.

56. საქ.ეკლ.კალ. 1974: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1974 წლისათვის, შემდგენელ-რედაქტორი: ეპისკოპოსი გაიოზი (კერატიშვილი), თბილისი, 1974 წ.

57. საქ.ეკლ.კალ. 1978: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1978 წლისათვის, პასუხისმგებელი გამოცემაზე: კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, თბილისი, 1978 წ.

58. საქ.ეკლ.კალ. 1979: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 1979 წლისათვის, შემდგენელი: ქუთათელ-გენათელი და ნიკორწმიდელი მთავარეპისკოპოსი შიო, თბილისი, 1979 წ.

59. საქ.ეკლ.კალ. 2016: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2016, შემდგენელნი: კოპლატაძე გვ. რუხაძე გრ; თბილისი, 2015 წ.

60. საქ.ეკლ.კალ. 2017: საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2017, შემდგენელნი: კოპლატაძე გვ. რუხაძე გრ; თბილისი, 2016 წ.

61. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, „საიუბილეო 2017 წელი“, 2017: „საიუბილეო 2017 წელი“, შემდგენელი: საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდი, თბილისი, 2017 წ.

62. ტყეშელაშვილი, 2014: ტყეშელაშვილი ლ. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ძირითადი საკითხები“, ქუთაისი, 2014 წ.

63. ტყეშელაშვილი, 2016: ტყეშელაშვილი ლ. „იმერეთის მეფე სოლომონ მეორე სამშობლოსათვის თავდადებული“, ქუთაისი, 2016 წ.

64. ფანჯიკიძე, 1976: ფანჯიკიძე თ. „წერილები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ“, თბილისი, 1976 წ.

65. ფანჯიკიძე, 1983: ფანჯიკიძე თ. „რელიგიის არსი და ათეიზმი“, თბილისი, 1983 წ.

66. ჯალაღონია, ფიფია, 2018: ჯალაღონია ზ. ფიფია ვ. „დეკანოზი რომანოზ ჩიქობავა“, წალენჯიხა, 2018 წ.

67. ჯაფარიძე, 2017: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, „საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული“, თბილისი, 2017 წ.

პერიოდიკა

68. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2011, №31

69. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2011, №32

70. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2011, №33

71. გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2014, №15

72. გაზეთი „დილის გაზეთი“, 1997, №94

73. გაზეთი „დილის გაზეთი“, 1997, №95

74. გაზეთი „დილის გაზეთი“, 1997, №96

75. გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, 1991, №2

76. გაზეთი „კომუნისტი“, 1990, №55

77. გაზეთი „კომუნისტი“, 1990, №80

78. გაზეთი „კომუნისტი“, 1990, №225

79. გაზეთი „მადლი“, 1994, №3
80. გაზეთი „მადლი“, 1996, №4
81. გაზეთი „ნოჯიხური“, 2012, №25
82. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2009, №5
83. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2009, №17
84. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2011, №23
85. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2011, №26
86. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2011, №27
87. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2011, №28
88. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2013, №4
89. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2013, №5
90. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2013, №20
91. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2013, №30
92. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2014, №15
93. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2014, №17
94. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2014, №20
95. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2016, №36
96. გაზეთი „საპატრიარქოს უწყებანი“, 2017, №37
97. გაზეთი „ქრონიკა“, 2011, №29
98. გაზეთი „ქრონიკა“, 2011, №30
99. გაზეთი „ქრონიკა“, 2013, №20
100. გაზეთი „ქუთაისი“, 1988, №182
101. გაზეთი „ქუთაისი“, 1990, №181
102. ჟურნალი „მნათობი“, 1988, №10
103. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1978, №1
104. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1978, №2
105. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1979, №2
106. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1980, №1

107. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1980, №2

108. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1987, №2

109. ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3

ინტერნეტრესურსი

110. საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომის ოქმი, 27 ივნისი, 2005 წ. ლინკი: http://patriarchate.ge/geo/wminda-sinodi/wminda-sinodis-ganchinebani/2005-weli-27-ivnisi/ (უკანასკნელად ნანახია 16.10.2019)

111. საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური ვებ-გვერდი, საქართველოს საპატრიარქოს განცხადება 01.02.2019. ლინკი: http://patriarchate.ge/geo/%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%a5%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%97%e1%8%95%e1%83%94%e1%83%9a%e1%83%9d%e1%83%a1%e1%83%a1%e1%83%90%e1%83%9e%e1%83%90%e1%3%a2%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%a5-4/ (უკანასკნელად ნანახია 16.10.2019)

112. ინტერპრესნიუსი, „ილარიონ ალფეევი - საქართველოს ეკლესიის მღვდელმთავრებს კარგად ესმით, რა შეიძლება დაემუქროს საქართველოს ეკლესიას უკრაინის ავტოკეფალიის აღიარების შემთხვევაში“, 31.01.2019. ლინკი: https://www.interpressnews.ge/ka/article/530837-ilarion-alpeevi-sakartvelos-eklesiis-mgvdelmtavrebs-kargad-esmit-ra-sheizleba-daemukros-sakartvelos-eklesias-ukrainis-avtokepaliis-agiarebis-shemtxvevashi?fbclid=IwAR13VqfMqUYGxG0nehMuOF1u8loi0QFb9R3EojJnkjolSR5YlyrV-x_UDOo (უკანასკნელად ნანახია 16.10.2019)

აუდიოჩანაწერი

113. დეკანოზ რომანოზ ჩიქობავას მეუღლის, ელენე შუბლაძე-ჩიქობავას საუბრის აუდიოჩანაწერი, ჩაწერილი რესპოდენტის თანხმობით, ნაშრომის ავტორის მიერ, 10.09.2018